

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ზოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ისტორიის ინსტიტუტი

ახალი ქართული ლიტერატურის საკითხები

IV



გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1973

„ახალი ქართული ლიტერატურის საკითხების“ წინამდებარე (IV) კრებულში გაერთიანებული წერილები XIX საუკუნის ქართული მხატვრული ლიტერატურის, ქართული ჟურნალისტიკის ისტორიისა და ქართული ლიტერატურულ-კრიტიკული და ესთეტიკური აზროვნების განვითარების ცალკეულ საკითხებს ეხება. კრებულში განხილულია XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ლიტერატურის ჰუმანისტურ-დემოკრატიული თავისებურებანი, ვაჟა-ფშაველას პროზაულ თხზულებათა კომპოზიციის საკითხები, გაზ. „ტფილისის უწყებათა“ და „კვალის“ ადგილი და როლი ქართული პრესის განვითარების ისტორიაში, ნიკო ნიკოლაძისა და სერგეი მესხის ლიტერატურულ-კრიტიკული მოღვაწეობა და სხვ.

„ახალი ქართული ლიტერატურის საკითხები“ გამოიზნულია როგორც ლიტერატურის სპეციალისტთათვის, ასევე ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორები: გ. აბაშიძე, გ. ასათიანი

აპაი კანოზილი

XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ლიტერატურის ჰუმანისტურ-დემოკრატიული თავისებურებანი

ყოველი ეპოქის ლიტერატურა ხასიათდება ჰუმანისტურ-დემოკრატიულ მისწრაფებათა სხვადასხვა ხარისხითა და თავისებურებით, რასაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ამა თუ იმ მწერლის მსოფლმხედველობის მრავალი ფაქტორი.

ყოველი დროის ლიტერატურას ახასიათებს სწრაფვა ცხოვრების უკეთესად მოწყობისაკენ, სიკეთის ამა თუ იმ სახით დამკვიდრებისაკენ.

XIX საუკუნის პირველი ნახევრის, — ახალი ქართული ლიტერატურის ჰუმანიზმისა და დემოკრატიზმის თავისებურებებს არსებითი განმსაზღვრელი ეპოქისეული ვითარება მდგომარეობს იმაში, რომ ეს ხანა ემთხვევა გამათავისუფლებელი მოძრაობის „თავადაზნაურულ“ ეტაპს; აქვე უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ ამ ეტაპის ყოველი პროგრესული მისწრაფება ვ. ი. ლენინს არ მიაჩნდა „თავადაზნაურულ“ იდეად. შემთხვევითი როდია, რომ ილია ჭავჭავაძემ „საქართველოს მოამბეს“ ეპიგრაფად წარუძღვარა ბარათაშვილის სიტყვები: „რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს“ და პირველივე ნომერი ჟურნალისა გახსნა ლექსით „შემოღამება მთაწმინდაზედ“, რითაც ბარათაშვილთან თავისი სულიერი ნათესაობა დაადასტურა.

„საქართველოს მოამბეში“ (№ 12) ერთ-ერთი თერგდალეულთაგანი (კ. ლორთქიფანიძე) დემოკრატის ცნებას ასე განმარტავდა: „იმ

კაცს, რომელიც ხალხის მმართველობის დაწესებისათვის ზრუნავს, ეძახიან „დემოკრატს“. თერგდალეულთა დემოკრატიზმი ფართო ხალხური დემოკრატიზმია, რომელსაც „მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა“ შემწეობა, ამოძრავება და ამოქმედება, მათი ადამიანურ უფლებებში აღდგენა ჰქონდა მთავარ მიზნად. ამასვე ვერ ვიტყვი XIX საუკუნის პირველი ნახევრის მწერლებზეც, მაგრამ მათი მრწამსისათვისაც არ იყო უცხო თავისი დროის თავისებურებებით აღბეჭდილი ჰუმანისტური და თვით დემოკრატიული იდეალები. ამ საკითხის გამო აღ. ხახანაშვილი წერდა: „რაკი მწერლობის გაძღოლა წილად ხვდა თავადაზნაურობას, ამიტომაც ჩვენს ლიტერატურას ნახევარი საუკუნის განმავლობაში (XIX საუკუნის პირველ ნახევარში — ა. კ.) არისტოკრატიული ბეჭედი დაეკრა... გ. ერისთავის, დ. კონქაძის და ლ. არღანიანის ასპარეზზე გამოსვლამდის. ამათ შესცვალეს კლასიური ეგოიზმი და გაითვალისწინეს ინტელიგენციის მოვალეობა დაბალთ მოძმეთა წინაშე. ამათგან იწყება მხატვრული ქადაგება საქვეყნო და საერთო იდეალებისა... ცვლილებამ, რომელიც მოჰყვა ბატონყმობის მოსპობას, მწერლობის დასში ჩარია თავადაზნაურთა გარეშე კლასთა წარმომადგენელიც და... შესძღვნა ლიტერატურას დემოკრატიზაცია, რომლის მეთაურად უნდა ჩაითვალოს ი. ჭავჭავაძე და მისი თანამედროვენი. ქართული ლიტერატურა... თავის მიზნად აღნიშნავს პიროვნების განთავისუფლებას და ხალხის სამართლიანის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას“¹.

ამ არსებითად სწორ დებულებას აკლია მინიშნება XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული მწერლობის ჰუმანისტურ და დემოკრატიულ იდეალებზე. ქართული ლიტერატურის ისტორიაში მთელი ერის სახელით მოღვაწეობის პირველ გამოკვეთილ მაგალითებს სწორედ გასული საუკუნის პირველი ნახევრის ქართველი მწერლები გვთავაზობენ. სხვა თუ არაფერი ლექსის „ვაჟ სოფელსა“ (1808 წლამდე) და „კალმასობის“ (1813—1828 წწ.) ავტორებმა პირველებმა გასული საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ ლიტერატურაში მიუთითეს ევროპეიზმსა და ჰუმანიზმზე და დემოკრატიზმის სახელით დაგმეს კიდევ ყმების ყიდვა-გაყიდვა და მათი ჩაგვრა: „გარნა ანდლიასა შინა არა არს სირცხვილი... განრთვა ვაჭრობასა შინა... საფრანგეთსა შინაცა... — დაცინვით მიმართავს „კალმასობის“ მთავარი გმირი მოკალმასე ბერი იონა მებატონე გურიელს, — ბატონო გურიელო... ჩვენნი ხალხნი... თაკილობენ... ვერც ცხენს

¹ ა. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, XIX საუკუნე, 1917, გვ. 7—8.

გაპყიდით, ვერც ძროხასა და სხვათა ნივთთა, არამედ თქვენის ყმის შვილებს კი დაპყიდით და ბევრნიც გაათათრდებიან თქვენის მიზეზით“².

საგულისხმოა, რომ ამ ნაწარმოებში ლაპარაკია მონარქიული წყობილების წინაშე რესპუბლიკური წყობილების უპირატესობის შესახებ.

„კალმასობის“ ავტორს ბატონყმობა ქვეყნის უბედურებად მიაჩნია. იგი ყურადღებას ამახვილებს ყმის ეკონომიურ და უფლებრივ დამონებაზე. ი. ბაგრატიონი ყოველი სურათით თითქოს გეუბნება: ამის მეტი მოთმენა შეუძლებელია. ასეთი არ არის იოანე ბაგრატიონის ირონია ზემო იმერელ-ჰალელ აბაშიძეებზე? მათ რამდენიმე ყმა დაუტყვევებიათ გასაყიდად, და იმის შიშით, მეც არ მიმაყოლონო. სტუმრად მისული იონა ბერი ღამით გამოიპარება. იონას შიში არცთუ უსაფუძვლო იყო: გასაყიდი ყმებისადმი გამოსარჩლებისათვის დაემუქრნენ: „იმ ტყვეებს ერთი დიაკვანიც ეჭირვებათ და მეტადრე შენისთანა მოქადაგე, რომ არღა გაათათრდებიანო“.

„საქართველოს გაზეთში“ (1819—1821 წწ.) ყმების საჯარო ვაჭრობით გაყიდვის ურიცხვი ოფიციალური განცხადების საპირისპიროდ უღერს ი. ბაგრატიონის აზრი, რომ ყმებს საქართველოში გარეშე მტრები იმდენ ზიანს ვერ აყენებდნენ, რამდენსაც საკუთარი მებატონენი. ამას კარგად გვიჩვენებს ასეთი სურათი: მოურავი მოდენის „ნარბევს“ — საქონლის ჯოგს, წანართმევს იმ ყმებისათვის, რომლებმაც ვერ მოახერხეს დადევნებოდნენ საქონლის გასატაცებლად შემოსეულ ლეკებს. „რაც ლეკებს გადარჩომია, მოურავს სისრულე მიუცია“, — დაცინვით ამბობს იონა³.

ანალოგიურ სურათს გვიხატავს „კალმასობა“ სადადიანოში. დადიანები ყმა გლეხებს ბარბაროსულად არბევენ: უწყვეტენ პირუტყვს და ტყავს უბრუნებენ: „უი ჩემ თავს, — შეცხადებით ამბობს იონა, — ტყავიც და ხორციც, რომ იმ კაცთა იყო, ეს რა სამართალია?“ დადიანები „ამ სოფელში ორა კვირა იდგნენ, ყოველდღე გლეხნი თვისთა მოსადგურეთა უმასპინძლებოდენ თხითა, ღორითა, ქათმითა, კრავითა... ღვინოებით, ღომით, სიმინდით... აუხდიდნენ ღომის ჩალით დაფარებულს სახლებს და აკმევდნენ ცხენთა, სწვა-

² ი. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, კალმასობა, კ. კეკელიძის და ა. ბარამიძის რედაქციით და ა. ბარამიძის წინასიტყვაობით, 1936, ტ. II, გვ. 57.

³ ი ქ ე ე, გვ. 18.

ედნენ ჰერგოთა სართა, და აქევედნენ ვენახთა და ბაღებთა ღობეებს, და ბევრჯერ სახლებსაც გვერდებს გამოუქევედნენ დასაწვავად“. იონა მწარე დაცინვით ეკითხება დადიანების ხუცესს: „— ამ სოფელს რა შეცოდება აქვს, რომ ამ ყოფაში გყავთ?“ „— რად გიკვირს. — უპასუხებს ხუცესი, შეილებსაც გაუყიდიან აქ თავის მებატონენი თათრებზედ“⁴.

ობიექტურად „კალმასობა“ ბატონყმობას არანაკლებ მკაცრად ამხელს, ვიდრე შემდეგში დ. ჰონქაძე, ან ი. ჰავჭავაძე, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი სუბიექტურად ბატონყმობის უმკაცრეს ფორმებს გმობს მხოლოდ და არა მთლიანად ბატონყმობას. აი, „კალმასობის“ „გაპუმანურებული“ ბატონყმობის განჩინება: „ყმათა შენთა უდიერსა ნურარას დასდებ ხარკსა. ყმანი შენი შეძლებისამებრ იმსახურე და უსამართლოდ ნურას წაართმევ. ყმათა შენთა მსახურებისამებრ მათისა უწყალობე და დანაშაულსა შინა იყავ მოწყალე, გარნა ყოველთვის ნუ მიუტევებ, რათა არ განიკუფნენ“. — ვკითხულობთ „კალმასობის“ „შემოკლებით ზნეობით სწავლაში“⁵.

„კალმასობაში“ საგანგებოდაც კი არის ლაპარაკი იმაზე, თუ „მებატონენი ვითარ უნდა ექცეოდნენ თვისთა ყმათა, ანუ ყმანი თვისთა მებატონეთა“⁶. „კალმასობა“ მართალია მკაცრად ამხილებს და „მოდვრავს“ კიდევ მებატონეებს, მაგრამ მისი მიზანი ბატონყმობის ერთგვარი „ნორმალიზაციაა“. „არა შესაბამ არს, რათა ფიცხელად ექცეოდეს უფალი ქვეშევრდომთა თვისთა, არცა უჯეროდ ართმევდეს და სტაცებდეს, ანუ ამუშავებდეს, ღინაიდან იგიცა კაცი არს გულისხმიერი და აქვს გრძნობა შეწუხებისაცა“⁷.

„კალმასობას“ მიუხედავად მრავალი მკვეთრი ჰუმანისტური და დემოკრატიული მოთხოვნისა, მაინც ასევე მკვეთრად აზის დალი იმისა, რომ იგი „გამათავისუფლებელი“ მოძრაობის „თავადანაურული“ ეტაპის ნაწარმოებია.

„კალმასობის“ ავტორი რამდენადაც გულწრფელად კიცხავს ყმა-გლეხთა სასტიკ ჩაგვრას, ამდენადვე გულწრფელად ცდილობს სრსებული სოციალური ურთიერთობის ნორმალიზებას. მისი აზრით. ყმები „ოდეს ნაკლოვან იქმნენ მოსაგლითა, ანუ ჰპურისა გამო, ანუ სხვებ, შეეწიე ნაკლულევანებასა მათსა და მის ძალით გაიერთგუ-

⁴ ი. ბ ა ტ ო ნ ი შ ე ი ლ ი, კალმასობა, ტ. II, გვ. 49—50.

⁵ ი ქ ვ ე, ტ. I, გვ. 34.

⁶ ი ქ ვ ე, გვ. 50—51.

⁷ ი ქ ვ ე, გვ. 51.

ლებ გულსა მათსა... მეძღვნეთა და შემომწირველთა აკმევდე შენ-
თანა პურსა და მადლობით გაინსტუმრებდე... ნუ გული გითქვამს,
ცოლსა ანუ ქალსა ყმისა შენისასა ზედა,... უმეტეს გაიმუხანათებ...
ავადმყოფს მოუარე, მკვდრის პატრონს ნუგეშ ეც... და უკანასკნე-
ლად — ესრეთ გიყვარდენ ყმანი შენნი, ვითარცა ძენი შენნი“⁸.

„კალმასობა“ „ფილანთროპიულ“, „ჰუმანურ-დემოკრატიულ“
ბატონყმობას იცავს და ამდენად, ამ მხრივაც ერთგვარად მაინც თა-
ვისი დროის მოწინავე განმანათლებლური და ჰუმანისტურ-დემო-
კრატიული პრინციპების კვალში დგას. მისი ჰუმანიზმი მდგომარე-
ობს იმის ხმაამლად განცხადებაში, რომ ყმაც „კაცი არს“; ეპოქის
მოწინავე იდეურ მისწრაფებებს ეხმიანება ავტორის განცხადება:
„ესრეთ გიყვარდენ ყმანი შენნი, ვითარცა ძენი შენნი“ „კალმა-
სობის“ სატირული და არასატირული მათრახი მთელ ფეოდალურ-
მონარქიულ სისტემას ხედება.

XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ მწერლობაში „კალ-
მასობა“ ობიექტურად თავისი დროის ყველაზე მნიშვნელოვანი
ქართული ჰუმანისტურ-დემოკრატიული მხატვრულ-პუბლიცის-
ტური ძეგლია. ამ ნაწარმოებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა
თვით XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართულ ლიტერატურაში
ჰუმანიზმ-დემოკრატიზმის დამკვიდრებაში. სოციალური საკითხების
მახვილი გაშუქებით „კალმასობას“ განსაკუთრებული ადგილი უჭი-
რავს იმ დროის ქართულ ლიტერატურაში; იგი აღრმავებს და ამკვი-
დრებს ჰუმანიზმისა და დემოკრატიზმის იდეების დაკავშირებას
სოციალურ და ეროვნულ საკითხებთან. „კალმასობა“ ეპოქის ხასიათ-
თა მდიდარ გალერეას იძლევა.

„კალმასობის“ დემოკრატიზმს საკმაოდ უწყობს ხელს მკვეთ-
რად რეალისტური სტილი, „სამი შტილის“ თეორიით დამკვიდრე-
ბული ლელარქნილი „მაღალი შტილი“ დაგმობა, სადა და გამკვირ-
ვალე თხრობა, რაც მის ავტორს ი. ბაგრატიონს XIX საუკუნის ქარ-
თული რეალისტური ლიტერატურის კარიბჭეში აყენებს.

საყურადღებოა „კალმასობის“ დამახასიათებელი ძეგლი და
ახალი ეპოქის „გარდამავალი“ მიჯნის დემოკრატიზმი: ამას მეტ-
ყველებს, როგორც ფორმისა და შინაარსის ერთგვარი ამორფულო-
ბა-სინკრეტულობა, ასევე წარმართულ-ფოლკლორული, რელი-
გიურ-ქრისტიანული და მწიგნობრულ-ათეისტური ელემენტების
თანაარსებობა. ეს „ამორფიზმ-სინკრეტიზმიც“ თავისთავად ახალი

⁸ ი. ბატონიშვილი. კალმასობა. ტ. I. გვ. 51—52.

მოვლენა და „კალმასობის“ ტრადიციულ ელემენტებს აკავშირებს, როგორც XVIII საუკუნის ბოლოს, ასევე XIX საუკუნის პირველი ნახევრის ახალ ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებასთან და მხატვრულ ლიტერატურასთან.

ქართული მწერლობის რომანტიზმის პერიოდის ლიტერატურის დემოკრატიზმის თავისებურებაზე საგულისხმოდ მეტყველებს ის მომენტიც, რომ „კალმასობაში“ შემოყვანილია მოქმედ გმირებად დაბალი წრეების წარმომადგენელიც: თვით იონა ბერი, ზურაბა ლამბარაშვილი, ოთარიკა ზუმარა და სხვ.

ი. ბაგრატიონი თავისი რეალიზმით, ჰუმანიზმით, დემოკრატიზმით, მახვილი სოციალური სატირითა და გროტესკით, XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული კრიტიკული რეალიზმის მეტად საყურადღებო წინამორბედიც არის.

ს. დოდაშვილი (1805--1836), ისევე როგორც ი. ბაგრატიონი სამოციან წლებში იქნა „აღმოჩენილი“. იგი თავისი დროის უაღრესად დიდი ფილოსოფოსი და პუბლიცისტი-მწერალია. აღსანიშნავია მისი განსაკუთრებული დაინტერესება და აღშფოთება ყმა გლეხობის ხვედრით. მისი ერთი წერილი (1828 წ.) ი. ხელაშვილისადმი, კერძოდ, სიღნაღის მაზრის ყმა-გლეხობის ეკონომიური გაჭირვების გამო, მოწმობს ჰუმანიტარული დემოკრატი მხატვრის მწვავე განცდებსა და დაფიქრებას: „ერი (გლეხობა — ა. კ.) მის მაზრისა ფრიად მწუხარე და მტირალი ვიხილე, ნახევარი მცხოვრები არღა იპოება, რომელნიცა გარდაეგნენ სხვადასხვა მხარესა... შიმშილისა გამო, მოსავალი არ მოვიდა, ახალი არარაი და ძველი ხომ არღა იყო: კოდი ფქვილი ოთხ მანეთად თეთრ ფულად... გლეხთა ვინ მისცათ, რათა მოივაკრონ ფასითა ამით. ესე ვითარმან მდგომარეობამან... დიდ ფრიად მწუხარედ იყო და შეჭირვებული“⁹.

ს. დოდაშვილი საქართველოში დაბრუნების დღიდანვე აკვირდება გლეხობის ჰივარამს, ყურადღებას ამახვილებს მათ ორმხრივ ჩაგვრაზე: ქართველ მებატონეთაგან და ცარიზმის მოხელეთაგან. 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის გამო 1833 წლის 23 იანვარს მიცემულ ჩვენებაში დოდაშვილი განსაკუთრებით სწორედ გლეხობის უსამართლოდ შევიწროებაზე ლაპარაკობს, რომ:

„1. სასამართლო დაწესებულებებში საქმეები მეტად ნელა წარმოებს, ხალხის (გლეხობის — ა. კ.) ზნეჩვეულების ხასიათის სრულიად გაუთვალისწინებლად, კანონებს დამახინჯებული, უკუღმართი

⁹ ს. დოდაშვილი, თხზულებანი, 1961, გვ. 284.

სახით ხსნიან და საქმეები მეტად არასწორად მთავრდება... ყველაზე კეთილსინდისიერი და ყველასაგან პატივცემული ადამიანი ისჯება... მართვისათვის საჭიროა არჩეულ იქნას ხალხის სავსებით მცოდნე ადამიანები... მიუყერძებელნი და კეთილნი“¹⁰. ეს დოკუმენტი მოწმობს, რომ გლეხობის ქომაგი თავისი დროის ნამდვილი რევოლუციონერ-დემოკრატია. სწორედ გლეხობის ჩაგვრით გამოწვეულმა მსოფლმხედველობრივმა რადიკალიზმმა და „ცარიზმის სიძულელი“ ს. დოდაშვილი მიიყვანა 1832 წლის „შეტქმულებასთან“, მაგრამ მისი დემოკრატიზმი, მისი პოლიტიკური მრწამსი არსებითად განსხვავდებოდა შეთქმულთა უმრავლესობის თვალსაზრისისაგან¹¹.

ს. დოდაშვილი გაზეთ „ტფილისის უწყებანის“ ოფიციალურ გვერდებზე ხშირად ახერხებს დემოკრატიული სულისკვეთებით გამსჭვალული მასალა წარმოადგინოს, ასეთია მაგ., ცნობა „სამძღვარს გარეთის ახალნი ამბავნი“ პარიზში მომხდარ „ანღრევაზე“, „ამბოხებაზე“ და მასში „შავი ხალხის“ მონაწილეობაზე („ტფილისის უწყებანი“, 1832, № 2).

ს. დოდაშვილის მშრომელი წრეებისადმი განსაკუთრებულ თანაგრძნობას მოწმობს იმავე გაზეთის „ანღრევის“ განყოფილებაში მოთავსებული ერთი მინიატურული მოთხრობა დაბალი წრის წარმოშობის გენერალსა და მაღალი წოდების კაცს შორის შელაპარაკებაზე, რომელსაც ქედმაღლურად უთქვამს გენერლისათვის, როგორ გამიბედეთ შემოპასუხება ყოფილმა მეურმემო. გენერალს თავის დაბალი წარმოშობის დასაცავი პასუხი გაუცია: მართალია ჩვენს შორის დიდი წოდებრივი სხვაობაა. — ყოფილმა მეურმემ გენერლობას მივალწიე, ხოლო თუ თქვენ მეურმე ყოფილიყავით, მუდამ მეურმედ დარჩებოდითო. ამ მინიატურასა და დოდაშვილის ერთ თავგადასავალშიც არის ერთგვარი ანალოგია; დოდაშვილი ბაგრატ ბატონიშვილის შვილების აღმზრდელად მუშაობდა, ხოლო ეს ოჯახი კი პატივისცემის ნაცვლად ზევიდან დასცქეროდა ქედმაღლურად: დოდაშვილი დემოკრატიული სიამაყით წერდა ი. ხელაშვილს ბატონიშვილის ოჯახის უკულტურო ქედმაღლობაზე: „თქვენ უწყით უკეთუ ამათ არარაი იციან, რომელ სწავლასა შინა დიდის კაცისა და მკირისა ერთნი არიან“¹².

ს. დოდაშვილის დემოკრატიული მრწამსის გამომხატველია მისი თარგმანებიც — ნოველები: „ჟინევრა“, „ელენე“, „ანეკდოტი“.

¹⁰ ს. დოდაშვილი. დასახ. ნაშრომ. გვ. 346—347.

¹¹ იქვე, გვ. 24. (გ. აბზიანძის შესავალი წერილიდან).

¹² იქვე, გვ. 255.

„პარუნ ალ-რაშიდი და მოხუცი“, „სამი ინდის ხურმა“, რომელიც „სალიტერატურონი ნაწილნი“ მთავარი თარგმანებია და ამ პირველი ქართული ჟურნალის თარგმნილი ლიტერატურის ხასიათზეც იძლევა წარმოდგენას; მასში უთუოდ მოჩანს მთარგმნელის მეტი ჰუმანისტურ-დემოკრატიული ტენდენცია, ვიდრე ეს ითქმის, მაგ., პირველი ქართული გაზეთის — „საქართველოს გაზეთის“ თარგმნილ ლიტერატურაზე.

„ჟინევრა“ თავისუფალი სიყვარულის გამარჯვებაზე მოგვითხრობს: მაღალი წრის ასულის ჟინევრასა და მღაბიო ანტონის დაბრკოლებებით აღსავსე სიყვარულის ზეიმზე. დაახლოებით ანალოგიური ხასიათისაა „ელენეც“, რომელიც უფრო გადმოქართულებულია: გმირების სახელები ქართულია. ეს ნოველაც წოდებრივ ქედმაღლობას გამოხატავს. ელენეს არჩეული საქმრო, უბრალო წარმოშობის ამირანი ელენეს მამამ დაიწუნა, რითაც შვილი დაღუპა.

აღმოსავლურ ნოველაში „ანეკდოტი ანუ ღირსსახსოვარი შემთხვეულობა“ მხილებულია მონარქის შეუველობა. ეს კარგად ჩანს ვეზირის პასუხებით მეფისადმი: 1. შენ ყოველთვის იჯექ — მე ვიდექ. 2. შენ გეძინა — მე ვფხიზლობდი. 3. შენ სადილობდი — მე არას მთავაზობდი. 4. შენი სიკვდილის მეშინოდა — მე არ დამბრალდეს-მეთქი. 5. ვშიშობდი, არაფერი შემცდეს — დამსჯიან-მეთქი. ახლა ღმერთს ვემსახურები და შიში არაფრისა მაქვს.

ასევე აღმოსავლური ნოველაა „პარუნ ალ-რაშიდი და მოხუცი“, რომელშიც პარუნის ხალხის გულმოწყალე მეფის სახეა.

ნოველაში „სამი ინდის ხურმა“, მეფისა და მსახურის უფლებანი ხუმრობაში თანაბარ რანგშია აყვანილი: მეფემ მსახური გაამწარა თავისი ხუმრობით, მსახურმა კი მეფე, ისე რომ მეფეს მსახურის დასჯა გულშიც არ გაუვლია.

ს. დოდაშვილის საკუთარი მხატვრული „სიტყვა-მოწოდება“ და „მანისი“ ქართული რომანტიზმის იდეური და სტილისტური ნიშანთვისებებითაა აღბეჭდილი.

XIX საუკუნის პირველი ნახევრის თვალსაჩინო ქართველ პოეტთა შორის ა. ჭავჭავაძე ყველაზე მკვეთრად ამკლავნებს ჩავრული ხალხისადმი თანაგრძნობისა და მხარდაჭერის დემოკრატიულ პოზიციას, რის ჩამოყალიბებაშიც პირველად დიდი როლი შეასრულა მისმა მონაწილეობამ 1804 წლის მთიელთა აჯანყებაში. აღსანიშნავია, რომ იმავე 1804 წელს ა. ჭავჭავაძე თარგმნის დემოკრატიული ტენდენციით გამსჭვალულ თხზულებას „ახლოით განჩხრეკილი კაცი“, რის ანარეკლსაც ვპოულობთ მის ლექსში „გაე სოფელსა“

(1804—5 წ. წ.). თარგმანში საკუთრება და სიღარიბე გამოცხადებულია ყოველგვარი უბედურების; შფოთი, ბარბაროზობის მთავარ საწყისად და თვით თავისუფლებისათვის ბრძოლის გამომწვევადაც: „უბედურსა შობილსა ღარიბად აწუხებენ მსგავსნივე მისნი. ამისათვის გრძნობა თავისუფლებისა აქვს მარად გულსა შინა... ტირანთა თვისთა... მოემატების სიძულვილი... იგი განგლეჯდა ყოველსა... ოდეს მდგომარეობამან აღუთქვას მას გარდაუხდევინებლობაი; ესრედ გარდაიჭმნება ყოვლად ტკბილი არსებაი ყოვლად უწყალოდ და ბარბაროსად“. არასმქონესთვის ქვეყნად არ არის არსად ნუგეში, „სრულიად ქვეყანა დაფარულ არს ცოდვისა ქვეშე“; ცხოველი უფრო ბედნიერია, ვიდრე ღარიბი: „ჰია, დაბადებული ფურცელსა ზედა სუნთქავს თავისუფლებით, ხოლო კაცი ვერაჲად ჰპოებს თავისუფალსა ადგილსა!“ კეთილ აღამიანთაგან თუ ვინმე გადარჩენილა, „ჯერ არს ძიება მათი აღვალთა მათა და კლდეთა ქვაბთა შინა, შინაგან ჰხშირთა ტყეთა“. თარგმანის ავტორი სოციალური ბოროტებიდან თავისებურ გამოსავლსაც ეძებს, ისევე როგორც ეძებდა გამოსავალს „კალმასობის“ ავტორი; თარგმანის ავტორის მიხედვით, „ქვეყნის დასასრულის“ მაუწყებელი „უამი მოიწვევის მომუქართა... ხელმწიფენი, თავადნი, ტირანნი, მონანი, ქადაქნი, სამეფონი, ყოველნივე განურჩევლად წარიღებიან; ყოველივე განქრების, არღარა ჰრჩების კაცსა შეეცოდებათა თვისთა“. აქაც გამოსავალი სოციალური ბოროტებიდან შეფერადებულია გამათავისუფლებელი მოძრაობის პირველი ეტაპის „თავადაზნაურული“ შინაარსით.

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში დამკვიდრებულია თვალსაზრისი, რომ ამ რუსოისტული თხზულების გავლენით დაიწერა ა. ჰაევკაძის „ვაჟ სოფელსა“ და რომ სოციალური პროტესტის სულით დიდი ნათესაობაა მათ შორის. მაგრამ არ მიუთითებენ რა მნიშვნელოვანი სხვაობაც არის ამ ნაწარმოებებს შორის. თარგმანის ძირითადი კონცეფცია განმანათლებლური და ერთგვარად სოციალური ანტაგონიზმის მოსპობაზე ბისტკეურ-აპოკალიპსურია — ყოველივეს „ქვეყნის დასასრული“ — გაასწორებს“; ლექსის „ვაჟ სოფელსა“ ავტორი უფრო მოწინავე დემოკრატიულ დოქტრინას აყენებს. რომ მდიდარო, რომელნიც ჩაგრავთ და ამწარებთ ღარიბებს, „მოელოდეთ მათთან თანასწორობასო“, „ყოველივე წარუვალს განელვის“. ამ მოთხოვნით ა. ჰაევკაძე თერგდალეულების გარკვეული წინამორბედა.

ა ჰაევკაძის ლექსში მთავარი იდეური მოთხოვნა ის არის, რომ გარდუვალაა გაბატონებულ წოდებათა თუ კლასთა („მძლეთა“) დაბალ წოდებათაგან „ძლევა“:

გარნა მძლეცა შემდგომ სხვისგან იძლევის,
თვისგან ქმნილი თვისადვე მიექცევის,
ყველაკაი წარუვალს განელევის,
რაცა ჰქონდა პოვნილ
მღაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხევეკით.

რადიშჩევი გაბატონებული კლასების დამხობის იმედს ხალხის მასების რევოლუციაზე ამყარებდა. ნაკლები სიმძაფრით ა. ჭავჭავაძეც მსგავს თვალსაზრისს გამოთქვამს; რადიშჩევი უტოპისტების კრიტიკით მიღის რევოლუციის იდეასთან. ა. ჭავჭავაძე უტოპისტურ-სოციალისტური პრინციპის პატივისმცემელი რჩება. ლექსში „ვაჟ სოფელსა“ ლაპარაკია სხვა სოციალურ სამყაროზე, ღარიბთა მტრების „ძლევით“ ჩამოქვეითებაზე და მათ ღარიბებთან გათანასწორობაზე.

ა. ჭავჭავაძის ჰუმანისტურ-დემოკრატიული მრწამსის გამოხატულებად შეიძლება მივიჩნიოთ მისი თარგმანი ლაფონტენიდან „მგლისა და კრავისათვის“, სადაც იგავ-არაკული ფორმით დაგმობილია ძლიერთაგან სუსტთა უსამართლო ჩაგვრა. აღსანიშნავია პუშკინის „ანჩარის“ თარგმანიც.

საყურადღებოა ა. ჭავჭავაძის მიერ კორნელის „სინას“ თარგმანის ფაქტიც (1844 წ.). ეს ტრაგედია საზოგადოებისა და პიროვნებებს ჰარმონიის პრინციპს იცავს. „სინაში“ წამოჭრილი მრავალი პრობლემა აქტუალური იყო იმ დროის საქართველოსათვის, 1832 წლის ყოფილ აჯანყებულთათვის, აგრეთვე „ბედი ქართლისას“ ავტორისათვის და სხვ. ამისათვის ბარათაშვილის „ბედი ქართლისაში“ იმ ადგილს, სადაც ერეკლე და მისი მსაჯული ერის მართვის შესახებ მსჯელობენ, ეხმაურება „სინას“ ის ადგილი, სადაც იმპერატორი ხალხს მიმართავს რჩევისათვის, თუ წყობილების რომელი სისტემა სურთ: „გთხოვთ მექცეთ ვითა მეგობარს და არა ვითა კეისარსა... თქვენ გიძთ განგებად აზია, ევროპია, და აფრიკა, მონარხიული კანონი უჯობთ მათ თუ რესპუბლიკა? რასაცა არჩევთ, იგი მე მივიღო სჯულად სასტიკად“. საყურადღებოა, რომ ა. ჭავჭავაძეს თარგმანში გამოყენებული აქვს ტერმინი „დარბაზის ერნი“, რაც მოწმობს რომ ა. ჭავჭავაძე, როგორც პოეტი საკმაოდ საფუძვლიანად დაფიქრებულა რესპუბლიკურ-დემოკრატიული წყობილების დადებითი მნიშვნელობის შესახებ. რაც შეეხება „სინას“ და „ბედი ქართლისას“ ლიტერატურული ურთიერთობის საკითხს, რაკი საკმაოდ მსგავსი სოციალ-პოლიტიკური პრობლემებია მათში დასმული, შესაძლოა იგი ბარათაშვილის პოემის გავლენით ითარგმნა.

ა. ქავჭავაძის ჰუმანისტურ-დემოკრატიული მრწამსის ხასიათზე მეტყველებს გარეგნულად „მოხსენების“ თუ „ისტორიული“ ენარის, ხოლო თავისი ნამდვილი არსით სწორედ პუბლიცისტური პათოსის შემცველი თხზულება „საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი და მდგომარეობა 1801 წლიდან 1831 წლამდე“, რომელიც 1837 წელს მოხსენებად წარედგინა რუსეთის იმპერატორს.

საგულისხმო ფაქტია, რომ „ნარკვევის“ ავტორი ოფიციალურად სავალდებულო ფორმით მთელი პუბლიცისტური პრინციპულობითა და მოქნილობით ესარჩლება და იცავს ქართველ გლეხობას მრავალი ცილისწამებისაგან. ნარკვევის მოწინავე დამოკრძიულ პოზიციას მოწმობს ქართველი გლეხობის ჩაგვრისა და დამცირების საგანგაშო ფაქტებზე მითითება, და ამდენად ქართველი გლეხობის ცარიზმის თუ ბატონყმობის წინააღმდეგ მიმართულ აჯანყებათა (1804, 1808, 1812, 1819...) გამართლება, რომელთა უმთავრესი მიზეზი, ა. ქავჭავაძის სამართლიანი რწმენით, „ხალხის (გლეხობის — ა. კ.) ერთადერთი უმაგალითო შეწუხება იყო. კერძოდ, 1811 — 1812 წლ. კახეთის გლეხთა აჯანყების მიზეზების დეტალური ანალიზი, თვით აჯანყებულთა პროკლამაციის დამოწმება და მისი დაცვა მოწმობს, რომ ა. ქავჭავაძე იცავს გლეხობას და მიაჩნია, რომ „განსაკუთრებული ზრუნვაა საჭირო მიწათმოქმედთა კლასის გასამრავლებლად“.

აღ. ქავჭავაძის პოეზიაში დემოკრატიულ ნიშანთვისებათა გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ ხალხური თუ მდაბიო კილოს დასესხების ცალკეული ფაქტებიც.

ჰუმანისტური და მოწინავე იდეების თვალსაზრისით გრ. ორბელიანის პირველი და მეორე პერიოდის (1827—1832, 1833—1851 წწ.) შემოქმედებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურამდის“ (1831—1832 წწ.), კერძოდ, ნოვგოროდის „ვეჩეს“ და „ვეჩეს ზარის“ პროგრესული რომანტიზმის ნიშნები. „ვეჩე“ ხალხური დემოკრატიული დაწესებულება იყო. თვით ის ფაქტი, რომ ქართველი მწერალი ადიდებს „ვეჩეს“ და „ვეჩეს ზარს“, როგორც ხალხური მმართველობის ფორმას, გრ. ორბელიანის დემოკრატიზმს მოწმობს: „ვეჩეს ზარის ხმა, — წერს გრ. ორბელიანი, — რაოდენსამე საუკუნესა შეჰკრებდა ვეჩეს... და მოაგონებდა მათ თავისუფლებასა, რომელიცა მიანიჭა მათ დიდმან თავადმან იაროსლავმან“.

გრ. ორბელიანის დემოკრატიზმის თავისებურებაზე მეტყველებს მისი ესკიზი „საქართველო ჩემის დროისა“. აქ ჩანს ცარიზმის

მოხელეთა ანტიხალხური უმსგავსობის მკაცრად უარყოფითი დახასიათება და დაგმობა.

„საქართველო ჩემის დროისა“ დაახლოებით ისეთი დემოკრატიული პუბლიცისტური თხზულების შესამჩნევი ჩანაფიქრია, როგორც ა. ჭავჭავაძის პუბლიცისტური „ნარკვევი“.

გრ. ორბელიანის ჰუმანისტურ-დემოკრატიული მიდრეკილებების გამოხატულებაა კრილოვის იგავ-არაკების თარგმანები; „ბუღბული და ვირი“ დასცინის ვაიმოსამართლე მსაჯულებს. „სოფლენი და მდინარე“ გმობს „საწყალთა და უძღურთა“ ჩაგვრას. „ნადირთა ქირი“ ისეთი უსამართლობის კრიტიკაა, როცა დამნაშავენი დაუსჯელნი რჩებიან.

გრ. ორბელიანის დემოკრატიზმზე ლაპარაკისას შეუძლებელია გვერდი ავუაროთ მის მუხამბაზებს: „არავისთვის მე დღეს არა მცალიან“; „სავათნოვას მიბაძვა“, „სალომეს ბეჟანა მკერვალის მაგიერ“ (1833—35 წწ.). მათ ქართულ რომანტიზმში დაამკვიდრეს ერთგვარი ბოჰემური „დემოკრატიული“ ნაკადი. გრ. ორბელიანის მუხამბაზების მთავარი პერსონაჟები ახლაც და შემდეგშიც თბილისელი ყარაჩოხელი მუშა-ხელოსნები არიან, რომელნიც ხალხური გულახდილობით გველაპარაკებიან თავის განცდებზე და ჩვენს თანაგრძნობასაც იმსახურებენ. ეს ფაქტი მეტყველებს გრ. ორბელიანის პოეზიის საკმაოდ დემოკრატიულ ხასიათზე. ეს ნიშანთვისება, დემოკრატიზმის გამოვლენის ეს ფორმა დიდ ტრადიციად იქცა ქართულ პოეზიაში. ამის გამო ილია ჭავჭავაძე წერდა: 60-იანი წლების მოღვაწეებმა „მიაგნეს, რომ მდაბიოთა ცხოვრებაშიც არის ადამიანური გულთათქმა... გლოვისა და სიხარულისა, ქირისა და ლხინისა, ძულებისა და სიყვარულისა... ოღონდ კი კაცს მაღლი ჰქონდეს ამაებღს დანახვისა, ამაების გამოხატვისა. გრ. ორბელიანმა... ზურგი კი არ შეუქცია, როგორც უღირს რასმე, თან აჰყვა. მისი „ონიკაშვილის დარდები“, „ლოპიანა“, „მუშა ბოქულაძე“, რომელნიც თითო-თითო პოემად აღირს, ამისი მოწმენი არიან“¹³.

უტოპიური სოციალიზმის გარკვეული გამოძახილი შეიმჩნევა რუსულ კლასიკურ ლიტერატურაში¹⁴. მაგ., პუშკინი უტოპიურ სოციალიზმს ფრანგულ განმანათლებლობაზე არანაკლებ მნიშვნელობას აძლევდა კაცობრიობისათვის. აღსანიშნავია ფურიერიზმის, გან-

¹³ ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1941, ტ. II, გვ. 94.

¹⁴ Идея социализма в русской классической литературе, АН СССР, Л, 1969.

საკუთრებით ფურიეს „ვენებათა თეორიის“ მნიშვნელოვანი გადღე-
ნა XIX საუკუნის 30—40-იანი წლების დემოკრატიულ მოძრაობაზე.
მისი გარკვეული ანარეკლი უნდა ჩანდეს მ. ლერმონტოვის „ჩვენი
დროის გმირში“ და სხვ. ნაწარმოებებშიც: პიროვნების გაორება,
იმედგაცრუებული ინტელიგენტის კაპრიზები. ყოველივეში „ორი
იდეის“ ძიება, რეფლექტორული შეგნება, სოციალური ფსიქოლოგი-
ზმი, ინტრიგისაკენ ლტოლვა, ურწმუნოება, ეჭვი ყოველივესადმი,
ფატალიზმის მიუღებლობა, ზნეობრივი დაცარიელება, ამქვეყნიუ-
რი ამაოების გრძნობა, მაღალი დანიშნულების დაუკმაყოფილებ-
ლობა, საკუთარი სულის განუხსაზღვრელი ძალის შეგრძნება და სხვ.
კითხვები და თვისებანი ერთგვარ ანალოგიას პოულობენ ფურიეს
„ვენებათა თეორიასთან“¹⁵.

უსაფუძვლო არ იქნება ანალოგიური ნიშნები ვეძებოთ XIX
საუკუნის პირველი ნახევრის ჩვენს მწერლობაშიც, განსაკუთრებით
ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში.

ქართულ რომანტიკოსთა შემოქმედებაში ეროვნულ საკითხს
განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, ამ სა-
კითხის ჰუმანისტურ-დემოკრატიული გადაწყვეტა.

რომელნიც ამწარებთ ღარიბთ ცხოვრებას
და ქსთხოვთ ურცხვად, უსამართლოდ მონებას,
მოელოდეთ მათთან თანასწორობას
არა მარადის იშვით
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხევჭით!

ეს ლექსი ჭეტად საგულისხმო ფაქტია და იგი ბეჯერს მეტყვე-
ლებს ქართული რომანტიზმის ჰუმანიზმსა და პროგრესულ ხასიათ-
ზე. უთუოდ ამ მომენტს გულისხმობდა ი. ჰაეკვაძეც, როცა წერ-
და: „ამ ტკბილ მთქმელსაც ძაყოველთაო უნუგეშყოფამ მაშინდე-
ლი დროისამ წარმოათქმევიანა ერთგან თავისი სამძიმარი, საცა ის-
მის ე. წ. „მოქალაქური გულისტკივილი“ მის გამო, რასაც გულში
იმაღავდა მაშინდელი ცხოვრება: „ძალი დავალს ღიმით ნაქცევთა
ზედა“..

ეს ძალა, რომ ღიმით დადიოდა ნაქცევდა ზედა: და ფეხით ჰლა-
ხავდა გზადაგზა სიმართლის ყვავილსა, რომელნიც ჰქნებიან მდა-
ბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხევჭით, — ნათელი სურათია მა-

¹⁵ Идеи социализма... გვ. 87—91.

შინდელის ყოფა-ცხოვრებისა, პოეტი უჩივის ამ ყოფას და უქადის რომ დრო მოვა და სხვა იქნება და ამბობს გაფრთხილდითო:

რომელნიც ამწარებთ ღარიბთ ცხოვრებას...“¹⁶

„ახლოით განჩხრეკილი კაცი“ „აჯანყებული გლეხების პროკლამაციად შეიძლება ჩაითვალოსო“, — წერდა ი. გრიშაშვილი. „ვაჟ სოფელსა“ 1804—1805 წლებშია დაწერილი, ხოლო ი. ბაგრატიონის „კალმასობა“ 1813—1828 წლებში იწერება. „რაზნოჩინელი“ დემოკრატი ს. დოდაშვილი 1825 წლის მომდევნო ხანებში მოღვაწეობს. ასე, რომ XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ მწერლობაში ჰუმანისტურ-დემოკრატიული მძლავრი ტრადიციების დამწყები არის ა. ჭავჭავაძე.

პარმონიული, თავისუფალი ადამიანის იდეალი იდგა და დგას ყოველი ეპოქის ლიტერატურისა და ფილოსოფიურ-სოციალური მოძღვრების, მათ შორის მოწინავე რევოლუციური რომანტიზმის ცენტრშიც. ეს იგანსაზღვრავს მის პრობლემატიკას და სოციალურ მრწამსს.

რომანტიკოსთა ესთეტიკა არ ყოფილა ერთგვაროვანი, მან მრავალი სკოლისა და მიმართულების სახით იჩინა თავი სხვადასხვა ქვეყანასა და სხვადასხვა ეტაპზე.

რომანტიზმისათვის საერთოა ბურჟუაზიის გამარჯვების შედეგებით უკმაყოფილება: სინამდვილით უკმაყოფილება კონსერვატული რომანტიზმისა უმთავრესად ფეოდალურ ოპოზიციას ეფუძნება; მოწინავე რევოლუციური რომანტიზმი ხალხთა გამათავისუფლებელ მოძრაობას ემყარება. ასეთია უმთავრესად ქართველი რომანტიკოსების (განსაკუთრებით ა. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი) უკმაყოფილება სინამდვილით; ასე უნდა აიხსნას ა. ჭავჭავაძის უკმაყოფილება და უიმედობა ლექსებში „სხვადასხვისა დროისათვის კაცისა“ და „ვაჟ სოფელსა“, სადაც ჩანს არსებული სოციალური ურთიერთობის უარყოფა და უტოპიურ თანასწორობაზე დამყარებული საზოგადოებრივი წყობილების იდეალი. ბარათაშვილის „შემოღამება მთაწმინდაზედ“ თუ სხვა ლექსებში არსებული სოციალური რეალობის უარყოფაა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ლიტერატურაში დემოკრატიზმის იდეები უფრო ფართო, თანმიმდევრული და მრავლისმომცველი ხდება. მაგრამ ამ პერიოდის დემოკრატიზმის ხარისხის მიხედვით არ შეიძლება შეფასდეს იგივე მოვლენა წინამორბედი

¹⁶ ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1941, ტ. II, გვ. 80.

პერიოდისა. ქართველ რომანტიკოსთა ფილოსოფიურ დაფიქრებებში, მათ ჭმუნვასა და ბედისადმი ჩივილში ჩანს არა მხოლოდ ეროვნული რეალობის ეჭო, არამედ სოციალური პრობლემებისადმი დამოკიდებულების ცნობიერი თუ ქვეცნობიერი ანარეკლი. არსებული წყობით უკმაყოფილება და რწმენა, რომ დამყარდებოდა უფრო სამართლიანი წყობა, ნათელ ზოლად გასდევს ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებას. ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში არსებულით უკმაყოფილებიან ანარეკლია ისეთი შეძახილები, როგორცაა: „ბედსა ვხედავ მზარადა“, ან „ჰოე, ჟამო ძნელო“, მაგრამ ისტორიულ პროგრესისადმი რწმენა მუდამ შენარჩუნებულია: „მე ამას ვსტირი განაწირი ვაჲ თუ ვესწრა ვერ, თვარაღა ჟამი გულით მაამი კვლავცა იქმნების“. იგივე უარყოფის, თავისი არსით ჰუმანისტური და პროგრესული სულით ხასიათდება გრ. ორბელიანის უკმაყოფილება არსებული სინამდვილით: „ბედო! ნუ გძინავს, განიღვიძე, ისმენდ ვაებას“, ან „რომელ ოდესმე ცისკარი თავისუფლების აღმოჩნდეს“.

ბარათაშვილის პროგრესული რომანტიზმის ხასიათი თავის თავში გულისხმობს ჰუმანისტურ და დემოკრატიულ ხასიათს. რეალობის ღრმა ფილოსოფიური უარყოფა მის პოეზიაში მერმისისადმი ჰუმანისტურ რწმენას ემყარება: „რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს“. ქართველ რომანტიკოსთა ჰუმანიზმის თავისებურება ის არის, რომ ფეოდალიზმის დეკადანსი თუ კაპიტალიზმის აღმავლობა, როგორც პარამონიული ადამიანის თავისუფლების დამთრგუნავი მთავარი მიზეზი, მათ ნაწარმოებებში პირდაპირ არ არის დასახელებული. მაგრამ ყოველთვის მკვეთრად შეიმჩნევა არსებული რეალობით უკმაყოფილება და ორიენტაცია მომავალზე. ბარათაშვილის პოემაში „ბედი ქართლისა“ მეტ-ნაკლებად ჩანს პოეტის დამოკიდებულება აბსოლუტიზმის იდეალებისადმი, ხოლო მთელი მისი ლირიკა საკმაო საფუძველს იძლევა დავინახოთ მისი დამოკიდებულება უსამართლობისა და დისპარმონიის წარმომშობი ყოველგვარი მიზეზებისადმი, კერძოდ, მისი დროის სოციალური სინამდვილისადმი. მაგრამ საგულისხმოა, რომ ლექსში „ფიქრნი მტკვრის პირას“ რეალობის უარყოფა ფაქტიურად თავისუფალია კონკრეტული პოლიტიკური ტენდენციისაგან და დისპარმონიის უარყოფა ემყარება არა ვიწრო სოციალურსა თუ პოლიტიკურ საფუძველს, არამედ — ზოგად ადამიანურს. ეს მომენტი ასევე მკვეთრია „მერანში“. ეს ნიშანთვისება ბარათაშვილისა და სავსებით, ქართული რომანტიზმის ჰუმანიზმისა და დემოკრატიზმის ერთ-ერთი თავისებურებაა. არა მხოლოდ მისი დროის სინამდვილის,

არამედ, საერთოდ, წუთისოფლის ხედვა „აღუვსებელ საწყაულად“ ბარათაშვილის ჰუმანიზმს ანათესავენებს შექსპირთან, კერძოდ, ჰამლეტთან. ნ. ბარათაშვილის ჰუმანიზმის ამ თავისებურებით აიხსნება, რომ იგი „ჩაილდ-ჰაროლდის“, თუ „დონ-ჟუანის“ ან „პოლინოდიას“ (ლეოპარდი) ავტორებისაგან განსხვავებით პოლიტიკურ ტერმინოლოგიას და ფრაზეოლოგიას იშვიათად მიმართავს. ბარათაშვილის „ჩეხის“ არის რომანტიკული იდეალი, რომელიც უპირისპირდება რეალურ საპყრობილეს, რომელიც გვართმევს ბუნებრივ ადამიანურ თავისუფლებას:

იტყვიკე ვნთა უსუსურის,
იტყვიკე, ვიდრე ეამი დაგხარის,
ვიდრემდის ხარ ყრმამ თავისუფალი,
არ გიყენია სოჟელი მომღერალი!

სოფლის კიცხვა აქ არ გამოდის ამქვეყნიური ბოროტების მორალური გმობის ჩარჩოებიდან, არ იმსჭვალება კონკრეტული პოლიტიკური ტენდენციით.

ბარათაშვილის უმაღლესი სოციალური და ესთეტიკური მოთხოვნა ჰარმონიული ადამიანია, სულიერად და ზნეობრივად განსპეტაკებული ადამიანი; ეს მისი მსოფლგანცდის მთავარი არსია.

რომანტიკოსებს, მათ შორის ბარათაშვილს, ახასიათებთ გარკვეული ინდივიდუალიზმის აპოლოგია. მაგრამ მათ პოეზიაში არის ძლიერი სწრაფვა საზოგადოებრივისა და ინდივიდუალურის შერწყმისაკენ, სწრაფვა სწორედ ასეთი წინააღმდეგობის დაძლევისა და გადალახვისაკენ, პიროვნულ-საზოგადოებრივის ჰარმონიისაკენ. ბარათაშვილის რომანტიკული გმირის სიახლეც ისაა, რომ იგი არ ურიგდება პიროვნულისა და საზოგადოებრივის ჰარმონიის დარღვევას. პიროვნულისა და საზოგადოებრივის ჰარმონიის ძიებაში ხედავს ამ სოფლად თავისი ბედის წილობას „მერანის“ გმირი.

ყველაზე მეტად არსებულ სინამდვილეში პიროვნულ-საზოგადოებრივის გათიშულობის დაძლევისა და გადალახვის განუსაზღვრელი ლტოლვა გამოსჭვივის სიტყვებში:

ძნელი არის მართობა სულისა;
მას ელტვიან სიაშენი სოფლისა.
(„სული ობოლი“)

ბარათაშვილის ჰუმანიზმი ჰარმონიის რღვევას ან მისი მიუღწევლობის ტრაგიზმს გამობნატავს. თითქოს მოპოვებული იდეალის მსხვერვის ტრაგიკული განცდაა ლექსი „ვპოვე ტაძარი“.

...განჰქრა ტაძარი — და უდაბნო ჩემდა მღუშარებს;
ვერა აღმიგო სიყვარულმა კვალად ტაძარი!
...და დავალ ობლად, ისევ მწირი, მიუსაფარი!

ადამიანთა შორის ანტაგონისტურ ურთიერთობას რომანტიკოსები მიიჩნევდნენ იდეალისადმი დაპირისპირებულად. გოფმანი სულის განწმენდაში ეძებს მიწიერი ნეტარების საწინდარს, ზეციური სამოთხის მიწაზე აყვავებას, ამასვე მოგვაგონებს ბარათაშვილის სიტყვები მაიკო ორბელიანისადმი: „დაიმარხე მშვენიერება სულისა, ჟმანკობა გულისა, აი, ჰეშმარიტი ბედნიერება, უმაღლესი სიამე... სხვათა ბედნიერებათა სოფლისათა უყურე გულგრილად, ამაყად და გრწამდეს, რომ იგინი შეურჩენელნი არიან“¹⁷. ადამიანის პიროვნების შინაგანი მშვენიერება მიაჩნიათ რომანტიკოსებს ცხოვრების ყველაზე საოცარ და მომხიბლავ ფენომენად.

ბურჟუაზიული „წესრიგის“ გამო ცხოვრებიდან სულიერ სამყაროში „გაქცევა“ ყოველთვის როდი აკმაყოფილებთ რომანტიკოსებს. ამიტომ მათთვის დამაზასიათებელია ბუნების წიაღში, სოფლური იდილიისაკენ ლტოლვა, როგორც კაპიტალისტური ქალაქისადმი დაპირისპირების თავისებური ფორმა. ბარათაშვილის შემოქმედებაში კონკრეტული სინამდვილის კრიტიკა გადაზრდილია საერთოდ წუთისოფლის კიცხვაში, მოვიგონოთ მისი სიტყვები ზაქარია ორბელიანისადმი: „ჩვენი არსებობის მიზნის მიულწევლობამ, ადამიანის სურვილთა უსაზღვროებამ და ყოველივე ამქვეყნიურის ამაოებამ საშინელი სიცარიელით აღავსეს ჩემი სული. მე რომ პატარა დამოუკიდებელი მდგომარეობა მქონდეს, იმწამსვე მივატოვებდი ქვეყანასაც და ადამიანებსაც მათი გაუმადლობით, და დამშვიდებული და მოსვენებული გავატარებდი პატრიარქალურ ცხოვრებას მარტივი ბუნების წიაღში... ღრმად ჩაიხედე შენს გულში... თავი დაანებე სამსახურს, ზელი მოკიდე მეურნეობას. ეს იქნება მეორე სასახელო საქმე — გააბედნიერო შენი გლეხები, რომელნიც ამდენი ხანია მიტოვებულნი არიან უპატრონოდ — უმზრუნველოდ“¹⁸.

ბარათაშვილის ჰუმანიზმს დიდ თავისებურებას ანიჭებს კიდევ ერთი მომენტი: ფუქი და ამაო სოფლის თეზის გვერდით მოხმობილია თეზა ადამიანის მძალაი მორალური ვალისა სოფლის წინაშე. „მერანის“ გმირი სოფლის წინაშე ვალდებულების შეგნებითაა გამსკვალული. ეს არის მისი ტრაგიკული მსოფლგანცდილს, მისი ჰუმანიზმის აქტიური და ქმედითი მხარე:

¹⁷ ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი, 1945, გვ. 83.

¹⁸ იქვე, გვ. 87.

მაგრამ რადგანაც კაცი გეჰვიან — შეილნი სოფლისა,
უნდა კიდევ მივდიოთ მას, გვესმას შობლისა.
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკედარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს!

თვით ეროვნული კატასტროფის საშიშროების შეგრძნებაც ბარათაშვილის პოეზიაში, ასევე ალ. ჭავჭავაძის ლექში „გოგჩა“ ითავსებს სოფლის ამაოების, იდეალის მიუღწევლობის თეზას და ამასთანავე იდეალისათვის ბრძოლის ჰუმანისტურ თვალსაზრისს.

რომანტიკოსების ოცნებას ადამიანის მთლიანობისა და ჰარმონიის შესახებ ღრმად პოზიტიური, სოციალური და ჰუმანისტური აზრი ჰქონდა.

ქართველი პროგრესული რომანტიკოსები ჩასწვდნენ თანადროულ საზოგადოებას და ნიადაგი მოუმზადეს კრიტიკულ რეალიზმს.

ლეილა სულხანიშვილი

ვაჟა-ფშაველას კოეტიური ლექსიკონის საკითხები

მხატვრული ენა, როგორც ცნობილია, საერთო-სახალხო ენობრივ კულტურაში თავისებურ მოვლენას წარმოადგენს, პირველ ყოვლისა, იმით, რომ ეს არის ენა — მხატვრულად მოტივირებული, განსაზღვრული მოცემული ნაწარმოების მხატვრულ სახეთა სისტემით, ამ ნაწარმოებში გამოსახული სინამდვილით.

ვაჟას სინამდვილე ემოციური, პლასტიკური და დინამიკურია. ამგვარი მხატვრული ხედვა, რა თქმა უნდა, ვაჟას თხზულებათა ენობრივ თავისებურებებშიც მკაფიოდ გამოიხატება. — სახელდობრ, ლექსიკასა, ფრაზეოლოგიასა, მეტყველების განსაკუთრებულ კილოსა თუ ინტონაციაში და ა. შ. ქვემოთ ვაჟას პოეტური ლექსიკის ზოგ მხარეს შევეხებით და ამ საკითხებზე მსჯელობისას ვაჟას პროზაული თხზულებებით შემოვიფარგლებით.

ლექსიკონის თვალსაზრისით ვაჟას პროზაზე დაკვირვება საკმაოდ სპეციფიკურ სურათს იძლევა. ჩვენ მიერ დაინტერესდებიან მიჩნეული სიტყვებიდან აქ მხოლოდ ერთ ნაწილს მოვიტანთ:

აგვადიხებ, უოფლო („ბუნების მგონებები“); აასინათა, გააძავ-ფრინებდა, გააჭირდიდა („მოგონება“); აბლატი („ჩვენი მამალი“); აბუეტო („ყორანი“); ამაძრახებს („გასამართლებული ჩიბუხი“); ავენაობითა, გეში, კურუმი, სანიიაოზე („ტრედები“); აზეზებული, გაიფხლაკნა, მუხლადი, უშტარი („ცრუპენტელა აღმზრდელი“); ალაკლაკებს („კლდე მხოლოდ ერთხელ სთქვა“); ანათალი, ალაზლახდა („სვავი“); აფამფარებდა, ნაგალა („ძალმა ციკანი მოიგო“); ახანებდა, ბუქულა („საშობაო მოთხრობა“); ბოჯოჯლის, ხოხნიდენ („ბუ-

ნების წიაღზე“); გააბედენა, საყუჩში („დათვი“); გააბუეს, დელგმა, ყელგადაგდებით („დარეჯანი“); გაბეზრებული („გოჩი“); გადალახლახდებოდა („ნაპრალნი“); გავიხომები, წახნიანებული („სოფლის სურათები“); გაღეშილიყო, ხვედას („როგორ გაჩნდენ ბუები ქვეყანაზედ?“), გამიბოხა, გულშავი („პატარა მწყემსის ფიქრები“); გამტკნარებული, კორჩხლიანს („ხოლერამ მიშველა“); გაპბანდავს („ჩემი მოგზაურობა ერემ-სერემ-სურემიანეთში“); დახულუზნებული („დიდებული საჩუქარი“); თავგზიანი („მელია-კულიგელია“); იყაშყაშა („შეყვარებული“); ლაშებდაღებული („საახალწლო სიზმარი“); მიჩანაგებს („მგელი“); მკლავფიქალა („უძმოს-ძმა“); მოაფლაშუნებ („მელია-სერეფენია“); ნაკაფიანებში („შვლის ნუკრის ნაამბობი“); პირგანაცრებული, პიროფლიანი („წისქვილი“); პირშითილამ („წიფლისჩიტა“); უთიმთიმებთ („მთანი მალანი“); ყუნქი („ია“); ხელშაუქცევრად („ერთგული მეგობარი“); ხელშესავალი („ჩვენი სოფელი“) და ა. შ.

რა შეიძლება ითქვას ამგვარ ლექსიკაზე მანამ, სანამ ვნახავდეთ ჩამოთვლილ სიტყვებს კონტექსტში, სხვა სიტყვების გარემოცვაში? — ჯერ ერთი, ეს სიტყვები არ იძლევიან იმის საფუძველს, რომ ვილაპარაკოთ მათი წიგნური წარმოშობის შესახებ. პირიქით, მათ აშკარად ემჩნევა სასაუბრო მეტყველებიდან, — ხოლო ბევრ შემთხვევაში, ფშაური მეტყველებიდან, — წარმომავლობის კვალი. ამასთანავე, ფშაური კოლორიტი ვერ კეტავს ამ სიტყვებს ფშაური კილოს ჩარჩოებში. ეს სიტყვები არ წარმოადგენენ იმგვარ დიალექტურ ფორმებს, რომელთა შემოტანა მხატვრულ ნაწარმოებში სალიტერატურო ნორმათა დარღვევად შეიძლებოდა ყოფილიყო მიჩნეული. პირიქით, აღნუსხული სიტყვების აბსოლუტური უძრავლეზობა სალიტერატურო ენისათვის საჭირო სიტყვებია — ან იმის გამო, რომ ვაყას მიერ ნახმარი რომელიმე ერთი სიტყვით შეიძლება გამოიხატოს მოვლენა, რომლის გამოსათქმელად სხვა შემთხვევაში საჭირო იქნებოდა რამდენიმე სიტყვა თუ მთელი ფრაზა, ან იმის გამო, რომ ვაყას სიტყვა, თავისი ლიტერატურული სინონიმებისაგან განსხვავებით, რაღაც ახალი ნიუანსის შემცველია და, მაშასადამე, ამა თუ იმ საგნის თუ მოვლენის რაღაც ახალ ნიშანზე მიმითითებელი.

ისეთ სიტყვების ნიმუშად, რომელთაც სალიტერატურო ქართულში სინონიმი არ ეძებნება, შეიძლება დავსახვლოთ, ვთქვათ,

ს ა ნ ი ა ე ო — ნიავის მოსადენი ადგილი¹, ნიავიანი, გრილი ადგი-
ლი²; მისი ა ნ ა თ ა ლ ი — სულ იმის მსგავსი, მთლად იმნაირი. გან-
საკუთრებით საინტერესოა სიტყვა დახულუზნებული, რომე-
ლიც ერთბაშად ორ მომენტს აღნიშნავს: დახულუზნებული, ე. ი.
ფრთებშეკეცილი და სწრაფად დაშვებული (იტყვიან ფრინველებზე).

შინაარსით მდიდარია ვაჟას პროზაში ამობურცული სიტყვები:
ა ა ს ი ნ ა თ ა — აანთო; ბ ო ჯ ო ჯ ლ ი — შტოიანი, დატოტვილი; ბ უ-
ქ უ ლ ა — პატარა³; გ ა ა ბ უ ე ს — გაწეწეს; გ ა ა ჭ ი რ დ ი დ ა —
გააზვიადა; გ უ ლ შ ა ვ ი — ბოროტი, სასტიკი, შეუბრალებელი,
გულქვა; კ ო რ ჩ ხ ლ ი ა ნ ი — დახლართულტოტებიანი; ლ ა შ ე ბ-
დ ა ღ ე ბ უ ლ ი — პირდაფჩენილი, პირდაღებული; მ კ ლ ა ვ ფ ი-
ქ ა ლ ა — მკლავმაგარი, ღონიერი; პ ი რ გ ა ნ ა ც რ ე ბ უ ლ ი —
გაფითრებული, ფერდაკარგული; პ ი რ მ ზ ი თ ი — მზვარე, მზიანი
ფერდობი; ს ა ყ უ ჩ ი — სამზერი, საფარი; უ ო ფ ლ ო — ზარმაცი,
უქნარა, გაურჯელი; ყ ე ლ ვ ა დ ა ვ დ ე ბ ი თ — ხვეწნით, მუდარით,
ვედრებით.

ნათელია, რომ ვაჟას მიერ შერჩეული სიტყვები თავიანთ სინო-
ნიმებს ემოციურობითა და გამომწატველობის ძალით, ექსპრესიუ-
ლობით აღემატებიან, ხოლო თვით ეს ძალა სიტყვის ამა თუ იმ მხა-
რითაა განსაზღვრული.

ბ უ ქ უ ლ ა ს, მაგალითად, პ ა ტ ა რ ა ს გ ა ნ განსხვავებით, და-
ახლოებით ისეთივე ემოციური ელფერი აქვს, როგორიც პ ა წ ა წ ი-
ნ ა ს, პ ა წ ი ა ს ა ნ პ ა წ ა წ კ ი ნ ტ ე ლ ა ს. პ ა ტ ა რ ა უფრო ობი-
ექტური აღნიშვნაა აფქტისა. ბ უ ქ უ ლ ა კი, თითქოს, — საგნის სი-
პატარავეზე ალერსით მითითება. იგი გამოხატავს არა მარტო საგნის
ნიშანს, არამედ ამ საგნისადმი შემფასებლის ემოციურ მიმართება-
საც. ამგვარი შთაბეჭდილება სიტყვის — ბ უ ქ უ ლ ა — ბგერითი შე-
დგენილობიდან უნდა წარმოსდგებოდეს.

სიტყვები — ბ ო ჯ ო ჯ ლ ი და კ ო რ ჩ ხ ლ ი ა ნ ი ასევე ბგერითი
შედგენილობით იწვევენ ჩვენს წარმოდგენაში დატოტვილისა და და-
ხლართულტოტებიანის ხატს და სწორედ ამდენადაა შესაძლებელი

¹ იხ. ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, სიტყვის კანა, თბ., 1949.

² იხ. ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, შედგენილი ა ღ ე ქ ს ი ჭ ი ნ ქ ა რ ა უ-
ღ ი ს მიერ., თბ., 1969. სიტყვათა განმარტებისათვის შემდგომაც ამ ლექსიკონს ვი-
ყენებთ.

³ საბა ბ უ ქ უ ლ ა ს განმარტავს, როგორც პ ა ტ ა რ ა წ ი ს ქ ე ი ლ ს. ვა-
ჟა ამბობს — ბ უ ქ უ ლ ა წ ი ს ქ ე ი ლ ი.

მათ ექსპრესიულობაზე ლაპარაკი. მათი ამგვარი ხასიათი კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება ფრაზაში, სადაც ისინი გარკვეულ სინტაგმებში მონაწილეობენ: „ველში გამოჩნდა ხარირემი თავის ბოჯოჯოლიან რქებით“ („ბუნების წიაღზე“); „ვინ დიდი წიფლის ქვეშ მობუნაგებულიყო... ვინ კორჩხლიანს რცხილას აპფარებოდა“ („ხოლერამ მიშველა“).

ერთ ჯგუფში შეიძლება მოვაქციოთ: გააკვირდი და, ყელგადაგდებით, ლაშებდაღებულნი, მკლავფიქალა და პირგანაცრებულნი. — რა დამოკიდებულებაა ვაჟას მიერ შერჩეულ ამ სიტყვებსა და მათ სინონიმებს შორის?

გაკვირდი და მეტია თავის სინონიმზე იმით, რომ აღნიშნავს არა საერთოდ გაზვიადებას, არამედ სიძნელის გაზვიადებებას. ი. ენაცვლება ორ სიტყვას და ამ ორ სიტყვაზე უფრო ემოციურად გამოხატავს სათქმელს.

ყელგადაგდებით, სიტყვა ხვეწნისა და სხვა სინონიმებისაგან განსხვავებით, არა მარტო მიმართვის ტონზე მიგვანიშნებს, არამედ ჰევწნა-მუდარის გამოხატველ განსაკუთრებულ მოძრაობასაც წარმოგვიდგენს, რაც ობიექტს, რომელთანაც ეს სიტყვაა დაკავშირებული, ერთგვარ პლასტიკურობას ანიჭებს.

ასევე, ბევრად უფრო ექსპრესიულია სიტყვა ლაშებდაღებულნი, ვიდრე მისი სინონიმური — პირდაფიქნილი და პირდაღებულნი, რადგან პირველი საგნის ორმაგ დახასიათებას იძლევა: მას, ვისაც ეს სიტყვა მიემართება, დაღებული აქვს არა უბრალოდ პირი, არამედ დაღებული აქვს უშნო პირი (ლაშები უშნო პირია)⁴.

მკლავფიქალა და პირგანაცრებულნი შედარების შემცველი ხატოვანი ეპითეტებია: ფიქალივით მკლავმაგარი და ნაცარივით პირისმქონე, პირზე ნაცრისფერდაღებული.

სიტყვაში აასინათა, „ანთოსთან“ შედარებით, უფრო მეტადაა გახაზული და წინა პლანზე წამოწეული ის, რომ საგანს მოქმედმა პირმა სინათლე გამოაცემინა. უფრო მეტად ვგრძნობთ აქ მოქმედების პროცესს და თვით ობიექტის აქტიურობასაც.

საყუჩი მის მიერ აღნიშნული საგნის გარკვეულ ნიშანს წამოსწევს წინ. — არა იმას, რომ ესაა ადგილი, საიდანაც ვიშვირებით (ააშვირ), ან რასაც ვეფარებით (საფარი), არამედ ხაზს უსვამს მესამე მომენტს: საყუჩი არის ადგილი, სადაც გაყუჩებულები, გაჩუმებულები უნდა ვიყოთ.

⁴ იხ. ალ. ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბ., 1951.

სიტყვები — გააბუეს, უოფლო, გულშავე — ყურადღებას იქცევენ თავიანთი არაპირდაპირი, გადატანითი მნიშვნელობითა და ხატოვანი შინაარსით. ასევე — პირმზითი, უაღრესად პოეტური სიტყვა. ამგვარი შთაბეჭდილების უტყუარობას მოწმობს ის ფაქტი, რომ ეს სიტყვა თანამედროვე პოეზიაშიც შემოვიდა და დამკვიდრდა⁵.

ანათალი, აფამფარებდა და გააქირდიდა; თავგზიანი, პირგანაცრებული და პირმზითი; საყუჩი, უთიმთიმებთ, ხელშესავალია და სხვა, მსგავსი ხასიათის. სიტყვები, პირველყოვლისა, თავისი იშვიათობითა და უჩვეულობით იპყრობენ მკითხველის ყურადღებას. უკვე ამ უჩვეულობით ასრულებენ ისინი თხრობის გამოპაცოცხლებელ როლს⁶, — ფრაზაში, ნაწარმოებში მათ განსაკუთრებულ მხატვრულ ფუნქციაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, — და სიახლის სასიამოვნო განცდას იწვევენ. ამავე დროს, ამგვარი, ქართული მწერლობისთვის შედარებით იშვიათი, სიტყვები გარკვეულად ერთიან იერს აძლევენ ვაჟას მთელ მხატვრულ პროზას.

აქ მთავარი ის კი არ არის, პირველად ვაჟასთან გვხვდება თუ არა ეს, ჩვენთვის საინტერესო, სიტყვები; — მთავარი ისაა, რომ ეს სიტყვები ვაჟასთან აქტუალიზირდებიან და მისი შემოქმედებისთვის, — კერძოდ. მისი მხატვრული პროზისთვის დამახასიათებელი ხდებიან. ხოლო სტილის თვალსაზრისით, სწორედ ამას აქვს მნიშვნელობა.

ზემოთ ჩამოთვლილი და მსგავსი სიტყვების გარდა, ვაჟას ლექსიკა. რასაკვირველია, ეყრდნობა ქართული მწერლობისთვის, ქართული მეტყველებისათვის, შედარებით, ჩვეულებრივ, მაგრამ ძლიერი ემოციური ტონის, ლირიკული ხასიათისა და ზოგჯერ ღიდი დინამიზმის შემცველ სიტყვებსაც. აუთებია: მიბნედილს, ტურფა, ტრფიალება და მისგან ნაწარმოები — ვეტრფი, მოტრფიალება, სატრფო: გაიკასკასებს, კრძალვით, სულგანაბული. დააკქვეტდა, მივაფრქევე, მიკოდავ, გავისხიპე, ქათიბი, მიბუნდებულს,

⁵ „ცხრა წყარო გადავიარეთ პირმზითი, ნაპირმზითთარი“ . . . ვკითხულობთ ა. კალანდაძის ლექსში „ღამარის ვაზზე“ (იხ. მისი ლექსები, 1967, გვ. 133).

⁶ ამის შესახებ იხ. გრ. კიკნაძე, მეტყველების სტილის საკითხები, 1957, გვ. 236.

თ ვ ა ლ გ უ ლ დ ა მ შ ე უ ლ ი და სხვა მისთანანი, რომელთაგან ზოგი სისტემატურად გვხვდება ვაჟას პერსონაჟთა მეტყველებაში:

„მერე რომ ჩადუნიაში ჩავრაკრავდები და ისინიც გარს შემომერტყვიან და ტ რ ფ ი ა ლ ი თ მომძახიან...“ („მთის წყარო“).

„ნაზს, მიბნედილს სახეზე გამოუთქმელი ტ რ ფ ი ა ლ ე ბა გადაჰფენია...“ („ხმელი წიფელი“).

„წინაღღეს ცოცხალს, მშვენებით სავსეს ჩემს ნუგეშს შ ე ვ ს ტ რ ფ ო დ ი ...“ („შელის ნუკრის ნაამბობი“).

„რა გულით უნდა საწყალს, რომ ერთი ვარდი, ან ია მოსწყვიტოს თავის ს ა ტ რ ფ ო ს მკერდზე“ („კლდე მტირალი“).

„ისინიც, როგორც მე, ბედკრული, შ ე ს ტ რ ფ ი ა ნ პირიმზეს“ („ქუჩი“).

„მე როგორ შ ე ვ ს ტ რ ფ ი, თ ვ ა ლ გ უ ლ დ ა მ შ ე უ ლ ი შევსცქერივარ... — (იქვე).

„ის მზეს შესცქერის, იმას ე ტ რ ფ ი ს. პირიმზე მზის მ ო ტ რ ფ ი ა ლ ე ა“ (იქვე).

„მოუთმენლად ველი ხოლმე განთიადს, მაშინ დავინახავ ხოლმე ჩემს ს ა ტ რ ფ ო ს“ (იქვე).

„ბალახებმა და ხის ფოთლებმა სიხარულის ცრემლს დაუწყეს ფ რ ქ ვ ე ვ ა“ („შელის ნუკრის ნაამბობი“).

...„სურნელებას მი ვ ა ფ რ ქ ვ ე ვ არე-მარეს“ („ია“).

...„ამოაჩინა თავი იამ, გადიყრევირა თავიდან წიფლისა და თხილის ხმელი ფოთლები და მი ა ფ რ ქ ვ ი ა სურნელება ტყესა“ („წიფლისჩიტა“).

„ვერხვის მთროლოარე ფოთლები ცრემლს ა ფ რ ქ ვ ე ვ დ ე ნ“ („ბუნების მგოსნები“).

„შავის ტყით დაფარული სერები ოხვრა-კვნესას, ნიავის მიერ მოტაცებულს, იმ მდელოს ა ფ რ ქ ვ ე ვ დ ე ნ, სადაც ხარ-ირემი ესვენა“ („ტყე ტიროდა“).

„მოსთქვამდა ტყე და თანაც ცრემლს ა ფ რ ქ ვ ე ვ დ ა“ („ტყე ტიროდა“).

„ტანზედ მაცვია პატარა, მოკლებეწვიანი, თეთრის თვლებით მოწინწკლული თხელი ქ ა თ ი ბ ი“ („შელის ნუკრის ნაამბობი“).

...„ეხლა ისინი ახალს კაბებს და ქ ა თ ი ბ ე ბ ს ჩაიცმენ“ („ია“).

„ლამაზო პირიმზევ. როგორ შორსა ხარ ჩემზედ, მაგრამ მაინც როგორ მი კ ო დ ა ვ გულსა!..“ („ქუჩი“).

„ხმელს წიფელზე ბუ შეჩდება და დ ა კ ო დ ი ლ ი ს ხმით მოჰყვება გულმოკლული ძახილს“ („ხმელი წიფელი“).

„მიბუნდებულს, უღრანს, ბნელს, დაბურულს ტყეს ხომ რა შეედრება!... (იქვე).

„მთას უხდება კალთებში ტყე, მიბინდებულ-მიჩუმებულს“ („წიფლისჩიტა“).

ამგვარი ლექსიკა ემოციურ-ლირიკულ ატმოსფეროს ქმნის ვაჟას მოთხრობებში.

ვაჟას პროზა თავისებურ ძალას არა მარტო საკუთრივ ლექსიკაში, არამედ ლექსიკურ ერთეულთა განმეორებაშიც პოულობს.

როცა ვკითხულობთ ასეთ ფრაზას: „გვალვა, დიდი გვალვა დამდგარიყო“... — ვგრძნობთ, რომ ეს ფრაზა მღელვარედ, შეშფოთებით წარმოთქმული ფრაზაა (აშკარად სხვაგვარი იქნებოდა შთაბეჭდილება, რომ თქმულიყო, ვთქვათ, ასე: „გვალვა დამდგარიყო“, ან თუნდაც — „დიდი გვალვა დამდგარიყო“). ამას გვაგრძნობინებს განმეორება სატყვისა გვალვა, რომელიც განმეორებისას გვეძლევა უკვე ეპითეტით დიდი, რის გამოც მას ემოციური ძალა ემატება.

შეშფოთებისა და მღელვარების შთაბეჭდილება იზრდება, როდესაც ზემოთ მოტანილ ფრაზას სხვა ფრაზების გარემოცვაში ვკითხულობთ: „წუხელის რა ცუდი სიზმარი ვნახე!.. ღმერთო დამბადებელო, ჩვენო პატრონო, ჩვენო შემნახველო, კარგად ამიხდინე!.. ვნახე, ვითომ ზილუპებოდი. გვალვა, დიდი გვალვა დამდგარიყო; ბალახნი, ხენი, ჩემნი მშობელნი, დამკვნარიყვენენ, მეც დავმშრალიყავი თითქმის“.

ერთსა და იმავე ფრაზაში ერთი და იმავე სიტყვის განმეორება ემოციურად ტვირთავს ფრაზას, ამკვეთრებს ამა თუ იმ ფაქტისა თუ მოვლენისადმი სუბიექტის ემოციურ დამოკიდებულებას მაშინაც კი, როდესაც ფრაზაში ამაზე ერთი სიტყვაც კი არ არის პირდაპირ ნათქვამი.

აღნიშნული გზით ემოციური ატმოსფეროს შექმნა არც თუ ისე იშვიათია ვაჟას პროზაში. იგივე მთის წყარო თავისი დინების დაუსრულებლობას და ამით გამოწვეულ განცდას სწორედ სიტყვის განმეორებით გამოხატავს: „ღმერთს ესე დაუწესებია, — ამბობს იგი: — უნდა ვიღინო, ვიღინო; ყველამ ჩემით უნდა მოიკლას წყურვილი“.

„გულ მიწუხს.. გულ ი...“ — ჩივის ობოლი შელის ნუკრი.

..წიფელი დგას, დგას შეუშფოთრად, წარბშეუხრელად; არც აფს ამბობს, არც კარგსა“ („ხმელი წიფელი“).

..წვიმის მოსვლა მცენარეთ უხარიანთ, — უხარიანთ, ყელამდის სიხარულით მოიყარნენ...“ („ია“).

..აი, ეს ორი დღეა, რაც ჩემი დობილი სასუტელაც ამოჩნდა; უხარიან, უხარიან საცოდავს“... (იქვე).

..და ის ვენე, დედამიწავ, და ის ვენე. ჩვენ ახლა შენ აღარ შეგაწუხებთ“ („ფესვები“).

..კაცმა, შეუბრალებელმა ადამიანმა, მოგვიკლა გული, მოგვიკლა შვილი და დაგვტოვა თვალცრემლიანი“ (იქვე).

..აცქერდები, აცქერდები კარგა დაკვირვებით და რა ლამაზად გეჩვენება...“ („კლდე მტირალი“).

..საწყალო კლდეო, საწყალო! მესმის, მესმის შენი ყოფა. შენი გულისპასუხი“... (იქვე).

..ორბი ძვალს ათამაშებდა: ჩამოაგდებს დედამიწაზე და დაეტანება; მერე ისევ წაიღებს, წავა, წავა მალლა...“ („პატარა მწყემსის ფიქრები“).

..ყველანი კბილებს აკაწკაწებდენ, შიოდათ, ძალიან შიოდათ“ („ამოდის, ნათდება!“).

..რასაც არ მოელოდენ, ის მოხდა: მოხდა ის, რითაც იმათი საქმე ფუჭდებოდა...“ (იქვე).

..შეჯგუფებული მგლები ბრაზმორეულნი იძახდენ: „ამოდის, ამოდის, ნათდება!“ (იქვე).

ყოველი ცალკეული მაგალითი გვიჩვენებს, რომ განმეორებული ლექსიკური ერთეული საყრდენ სიტყვად იქცევა ფრაზაში. ემოციური შინაარსით იტვირთება და ასეთსავე იერს აძლევს მთელ ფრაზას.

ვაქას სტილისათვის დამახასიათებელია საგნების მრავალმხრივად, მრავალი კუთხით ხედვა, რაც ფრაზეოლოგიურად ეპითეტების სიუხვესა და მრავალგვარობაში ვლინდება. ვაქას პროზაში ჩვეულებრივია საგანი ორი, სამი და ოთხი ეპითეტითაც კი. ეს ეპითეტები საგანგებოდ აღსანიშნავია იმით, რომ საგნის მხოლოდ ამა თუ იმ ობიექტურ ნიშანზე კი არ მიუთითებენ, არამედ ავტორის თუ მთხრობელი, მოსაუბრე პერსონაჟის ემოციურ დამოკიდებულებასაც გამოხატავენ ამ საგნის მიმართ, — ვთქვათ, შიშს, შეძრწუნებას. როდესაც შვლის ნუკრი იგონებს: „მხრებ შეკუმშული, ნი-

სკარტდაღებულ ი, უზარმაზარი ლეგა ფრინველი მოდიოდა პირდაპირ ჩემკენა“. აქ ოთხი ეპითეტიდან პირველი სამი, გარკვევით, ემოციური შეფერილობისაა. ეს ითქმის, განსაკუთრებით, უზარმაზარი ე, რამდენადაც ამ ნიშნის აღნიშვნა უსათუოდ გულისხმობს საკუთარი უმწეობისა და შიშის განცდას, ხოლო ამ ეპითეტის გვერდით ანალოგიური ემოციური შინაარსით იტვირთება წინა ეპითეტებიც — მხრებზე კუმშული და ნისკარტდაღებულ ი. საგანთან ასეთსავე მიმართებას ამჟღავნებს ნუკრი. როცა ამბობს: „იმის გვერდით წამოყუჩებულ იყო ბანჯღღლიანი, სპაზარელი შესახედავი ძაღლი.“ ეპითეტი სპაზარელი, რომელიც შიშის ემოციას გამოხატავს, ზემოთ მოტანილი მაგალითის მსგავსად, გავლენას ახდენს მეზობელ ეპითეტზე (ბანჯღღლიანი) და გარკვევით უარყოფით ემოციურ ხასიათს აძლევს მას (რათქმა უნდა, აქ ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა კონტექსტშია მოქცეული ეპითეტების შემცველი მთელი ფრაზა).

მიბუნდებულ ი, უღრანი, ბნელი, დაბურთული ტყე; უწყინარი, უვნებელი, ლაბუა, ლამაზი „წიფლისჩიტა“; წმინდა, უცოდველი, ტურფა და ლამაზი პირიმზე: დიდრონი, სისხლის მოყვარული თვალები არწივისა; ყელმოღერებულ ი და თავდაუღებელი კლდე; ხეები — უვნებელი, უღარდელი; ფერწასული, დამტკნარი, გაყვითლებული ფოთლები ხმელი წიფლისა; მადალი, მწვანით, ყვავილებით მორთული მთა; თვალე ბმის უქვილი, მოზუზული როქო; პაწაწა, ობოლი ნუკრი; აბეზარი, დაუღეგარი, მოუსვენარი მდინარე... — ყველა ეს ეპითეტი, როგორც ზემოთ ითქვა, ერთდროულად საგნის ობიექტურ ნიშანსაც აღნიშნავს და მისდამი ავტორის თუ პერსონაჟის ემოციურ დამოკიდებულებასაც გვაგრძნობინებს. ამათ გარდა, ვაჟას პროზაში შეინიშნება ისეთი ეპითეტებიც, რომლებიც იმდენად საგნის რაიმე კონკრეტულ თვისებას არ წარმოგვიდგენენ, რამდენადაც შემფასებლის ემოციურ მიმართებას გვიჩვენებენ. ასეთებია, მაგალითად, ტიალი, გასახმობი, გასავერანებელი... —

ვაჟას ეპითეტებს შეიძლება ვუწოდოთ არა მხოლოდ ემოციური, არამედ „გასულიერებულ იც“⁷. ამ ეპითეტებში მკაფი-

⁷ ამ ტერმინს ხმარობს ვ. ეინოგრადოვი წიგნში «Стиль Пушкина», 1941, გვ. 210. მსგავს ეპითეტებს მეტაფორულსაც უწოდებენ.

ოდ ჩანს ვაჟას მხატვრული ხედვის სპეციფიკა, რაც სამყაროს საყოველთაო გასულიერებასა და გაადამიანურებაში მდგომარეობს. ეს ეპითეტები ძალზე ხშირად სწორედ უტყვ და უსულო საგანთა ადამიანურ თვისებებს, ადამიანურ ნიშნებს და განცდებს გამოხატავენ; თავმოწონებას, გულშეუდრეკლობასა და სიამაყეს („...მუხა თ ა ვ-მ ო მ წ ო ნ ე დ ყ ე ლ ყ ე ლ ა ო ბ დ ა. ჩ ე ე ნ ც ა მ ი თ ი მ ო ჯ ე წ ო ნ დ ა თ ა ვ ი, რ ო მ ლ ა მ ა ზ ი, გ უ ლ შ ე უ დ რ ე კ ე ლ ი, ა მ ა ყ ი შ ვ ი ლ ი გ ა ვ ზ ა რ დ ე თ“; არწივი „თ ა ვ მ ო წ ო ნ ე ბ ი თ, ა მ ა ყ ა დ მ ო ი ზ ლ ა ზ ნ ე ბ ო დ ა...“); ზაწმინდეს, უცოდველობას, უდარდელობასა და ბედნიერებას („სხვა ხეები მორთულან მწვანის ფოთლით, უ ჯ ნ ე ბ ე ლ ნ ი, უ დ ა-რ დ ე ლ ნ ი...“ ახლადამოსულ ბალახს „უ ც ო დ ვ ე ლ ა დ, უ ვ ნ ე ბ-ლ ა დ ა მ ო უ ჩ ე ნ ი ა თ ა ვ ი...“ პირიმზე „წ მ ი ნ დ ა ა, უ ც ო დ ვ ე ლ ი, მე კ ი უ შ ნ ო და ც ო დ ვ ი ლ ი ო“, — ამბობს ქუჩი, მთის წყარო კი ჩივის: „ორისა თუ სამის ვერსის სიგრძეზე ვარ მხოლოდ ბ ე დ ნ ი ე რ ი და უ ც ო დ ვ ე ლ ი ო...“); დაუდევრობასა და მოუსვენრობას („ოჰ, ღმე-რთო, ჩემს ამაგს რად აფუჭებინებ იმ ტიალს, აბეზარს, და უ დ ე-გ ა რ ს, მ ო უ ს ვ ე ნ ა რ ს მ დ ი ნ ა რ ე ს!“); პირდაღმეჭილობას, მრისხანებას, შეუდრეკლობასა და გულმაგრობას („ფეხშეუხრელად, მკვიდ-რად, პ ი რ დ ა ღ მ ე ჭ ი ლ ა დ, მ რ ი ს ხ ა ნ ე ს დ გ ა ს კ ლ დ ე;“ „სხვა-ფრივ შე უ დ რ ე კ ე ლ ი და გ უ ლ მ ა გ ა რ ი ა ჩ ე მ ი დ ე დ ა,“ — ამბობს ქუჩი კლდეზე); ყელმოღერებულობასა და თავდაუღებ-ლობას („ძლიერ მტრიანი თუა, რომ მუდამ ფეხზლად არის, მუდამ ყ ე ლ მ ო დ ე რ ე ბ უ ლ ი და თ ა ვ დ ა უ ღ ე ბ ე ლ ი ი ც კ ი რ ე ბ ა“ კლდე)... ვაჟას სამყაროში ქუჩი ს ა წ ყ ა ლ ი და ბ ე ჩ ა ვ ი ა, კ ლ დ ე მ ტ ი რ ა ლ ი ა, ბ რ ძ ა მ ი თ ვ ა ლ ც რ ე მ ლ ი ა ნ ი ა და ი გ ი, „კ ლ დ ის კ ი ნ ჭ უ ხ ზ ე დ ა კ ი დ ე ბ უ ლ ი, გ უ ლ მ ო კ ლ უ ლ ი ი ს მ ე ნ ს დ ე დ ის ტ ი-რილს“...

ამგვარი ეპითეტები თვალსაჩინოს ხდიან საგანთა ემოციურ სიმ-დიდრეს; მათ შინაგან სიღრმეს, შინაგან სიცოცხლესა და აქტიურო-ბას გვაგრძნობინებენ.

ზემოთ ითქვა, რომ ვაჟას პროზაში საგანი ერთსა და იმავე ფრაზაში ძალიან ხშირად არა ერთი, არამედ რამდენიმე ეპითეტით წარმოგვიდგება და რომ ეს ეპითეტები, უმთავრესად, ემოციური შინაარსის მქონენი, ემოციურად შეფერილნი არიან.

აქ გვინდა დავამატოთ შემდეგი:

ვაჟას ფრაზაში ხშირად ერთადაა თავმოყრილი პერსონაჟის გა-რეგანი ნიშნების, ან შინაგანი თვისებების თუ მისი რაიმეგვარი

მდგომარეობის აღმნიშვნელი ეპითეტები. ასეთ შემთხვევაში გვე-
ძლევა იმდენად მკაფიო, იმდენად თვალსაჩინო ხატი, რამდენადაც
მეტია საგნის თანმხლებ ეპითეტთა რიცხვი:

„ღა ბ უ ა, ლ ა მ ა ზ ი „წიფლისჩიტა“ ჩამოფრინდა ვერხვის
ტოტიდამ“, — ვკითხულობთ მოთხრობაში „ია“; როკო „თ ვ ა ლ ე ბ-
მ ი ხ უ კ ვ ი ლ ი, მ ო ბ უ ზ უ ლ ი იჭდა,“ — გვიამბობს პატარა
მწყემსი: არწივი „ვილატას ემუქრება, აბრიალებს დიდრონს, სო-
სხლის მოყვარულს თვალებს“ („ქუჩი“); „გარედან რომ და-
კმუჭნილი, ხმელი ტყავი გვაკრავს, იმან შეგაშინა?“ — გვე-
კითხებიან ფესვები; ხეებს „სქელი, გველებივით დაკლა-
კნილი ფესვები ჩემს უბე-კალთაში ჩაუწყვიათ“ („მთის წყარო“);
„ყველას და, მათ შორის მეც, მიყვარს მაღალი, მწვანით, ყვა-
ვილებით მორთული მთა...“ ხმელი წიფლის „ფესვებში რამ-
დენიმე ფენი ძირტებილა მოდის, ზამთარ-ზაფხულ მწვანე. და-
კბილულ ფოთლებიანი...“ „მარტო ერთს გამოუვა ხოლმე
სამი თუ ოთხი ფოთოლი, ისიც ფერწასული, დამკვნიარი,
გაყვითლებული“ („ხმელი წიფელი“); „... და ჩვენ უსახურ-
რავონი ვრჩებით, ტიტველნი და მშიერი“ („ფესვები“);
„ტანზედ მაცვია პატარა, მოკლებეწვიანი, თეთრის
თვლებით მოწინწკლული, თხელი ქათიბი;“ „მხრებ-
შეკუმშული, ნისკარტდაღებული, უზარმაზარა
ლეგაფრინველი მოდიოდა პირდაპირ ჩემკენ“ („შვლის ნუჯრის ნა-
ამბობი“); „თქვენ გენაცვალოსთ თქვენი ბედშავი, ნაგვემი,
გულ-მკერდ დაკაწრული და ნაცრად ქცეული დე-
დამშობელი“ („კლდე სალი“); „მე ისევ ისე დაჩოქილი ვიყავი და და-
მუნჯებული, ტუჩებმოკუმშული, სახეგაშეშებუ-
ლი შევჩერებოდი“; „უცბად ვნახე, რომ ერთი უზარმაზარი,
ბანჯღვლიანი, თვალებდაწითლებული, ლაშებ-
დაღებული დათვი შემოიქედა სახლში“ („საახალწლო სიზ-
მარი“).

როგორც ვხედავთ, ეს ეპითეტები სხვადასხვა ნიშან-თვისებაზე
მიუთითებენ. ამ მხრივ, აქ რაიმე განსაკუთრებული ვითარება არა
გვაქვს. აქ საყურადღებო მხოლოდ ის არის, რომ ვაჟასთან ჩვეუ-
ლებრივია ერთსა და იმავე ფრაზაში ერთი და იმავე საგნის განმ-
საზღვრელი ერთზე მეტი ეპითეტი.

უფრო საინტერესოა ის შემთხვევა, როდესაც საგანი სინონი-
მური ეპითეტებითაა წარმოდგენილი. ამგვარი ეპითეტების სიუხვე
ფრაზის ემოციურობის ერთ ძირითად ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ.
თითქოს მოზღვავებული ემოციები არ აძლევს საშუალებას ავტორს

თუ პერსონაჟს შეჩერდეს ერთ ეპითეტზე, მისთვის ეს ერთი ეპითეტი თითქოს საკმარისი სიზუსტით არ გამოხატავს საგნის ნიშანს... და იგი უხმობს სხვა განსაზღვრებას იმავე ნიშნისთვის, სხვასა და კიდევ სხვას, — ზოგჯერ რამდენიმეს ზედიზედ, ერთიმეორის მიყოლებით:

„პირიმზევ, ტ უ რ ფ ა ვ, ლ ა მ ა ზ ო! — ეძახის კლდეზე დაკიდებული ქუჩი თავის სატრფოს — პირიმზეს, — ... ს ა წ ყ ა ლ ი, ბ ე ჩ ა ვ ი ქუჩი ვარ, შემობრალე!“

„არა, ის წ მ ი ნ დ ა ა, უ ც ო დ ვ ე ლ ი,“ — ამბობს იმავე პირიმზევზე ქუჩი, კლდეს კი შეუდრეკელსა და გულმაგარს უწოდებს („სხვაფრივ შეუდრეკელი და გულმაგარია ჩემი დედა“).

„წყარონო, წ მ ი ნ დ ა დ, ა ნ კ ა რ ა დ მ დ ი ნ ა რ ნ ო!“ — გალობა ბულბული („სვავი“).

„წიფელი დგას, დგას შეუშფოთრად, წ არ ბ შე უ ხ რ ე ლ ა დ...“ („ხმელი წიფელი“).

„...იმის ხვივილი მესმის ბუნდად, გაურკვეველად...“ („კლდე სალი“).

„...მაშინ ხომ... ასე წელმოწყვეტილი და თავდახრილი არ ვიქნებოდი, შვილების ძახილით დაღლილ-დაქანცული, ქანცგამოღეული“ („კლდე სალი“).

„ტიროდენ ყვავილნი, ცქრანტანი, მილეულ-მიბნედილინი...“ („კლდე სალი“).

„ბევრჯელ დამაღონე, შე წ ყ ე უ ლ ო, შე შე ჩ ვ ე ნ ე ბ უ ლ ო!“ („ამოდის, ნათდება!“).

პატარა მწყემსი იგონებს: „საპარავის-ყელში გადმოჩნდა არწივი; თავმოწონებით, ამაყად მოიზლაზნებოდა“.

ახლად ამომავალ ბალახს, — ნათქვამია მოთხრობაში „ხმელი წიფელი“, — „უცოდველად, უვნებლად ამოუჩენია თავი და... ნ ა ზ ს, მ ი ბ ნ ე დ ი ლ ა სახეზე გამოუთქმელი ტრფიალება გადაჰფენია...“ იმავე მოთხრობაში ვკითხულობთ: „ეს მოხდება სწორედ მაშინ, როდესაც პ ი რ ბ ა დ რ ი, ს ა ხ ე ნ ა თ ე ლ ი, თმაგაშლილი „ადგილის დედა“ ბუნების სანუგეშოდ სიყვარულზე, სიწმინდეზე და სიცოცხლეზე ზღაპარს უამბობს...“ „მიბუნდებულს, უღრანს, ბნელს, დაბურულს ტყეს ხომ რა შეედრება!...“

ამ უკანასკნელ მაგალითებში სინონიმური ეპითეტების გვერდით გვხვდება მათგან შინაარსით განსხვავებული (ნაწილობრივ ან სრულიად განსხვავებული, — სრულიად სხვა ნიშანზე მიმთითებელი) ეპითეტებიც [პ ი რ ბ ა დ რ ი, ს ა ხ ე ნ ა თ ე ლ ი, ერთი ნხრივ-

მეორე მხრივ კი — თ მა გ ა შ ლ ი ლ ი; უ ლ რ ა ნ ი, ბ ნ ე ლ ი, ღ ა ბ უ რ უ ლ ი (ტყე — შიგნით) და მი ბ უ ნ დ ე ბ უ ლ ი (ტყე — შორიდან)]. ანალოგიური სურათია შემდეგ ფრაზებში:

„იმის ახლოს იჭდა გ უ ლ წ ი თ ე ლ ი ჩ ი ტ ი, „წიფლისჩიტა“, უ წ ყ ი ნ ა რ ი, უ ვ ნ ე ბ ე ლ ი, ღ ა ბ უ ა“ („შელის ნუჯრის ნამაზობი“).

„ამ ღ როს, ღ ღ ის ი თ ფ რ თ ხ ი ლ ი და წ ი ნ დ ა ხ ე დ უ ლ ი, ზ უ რ გ ზ ე რ ქ ე ბ გ ა დ ა ყ რ ი ლ ი, „ყ ე ლ ყ უ რ ლ ა მ ა ზ ი ა ნ ი“ ი რ ე მ ი მ ო ვ ა რ დ ა...“ („მთის წყარო“).

„ოჰ, ღ მერ თო, ჩ ე მ ს ა მ ა გ ს რ ა დ ა ფ უ ჟ ე ბ ი ნ ე ბ ი მ ტ ი ა ლ ს, ა ბ ე ზ ა რ ს, დ ა უ ღ ე გ ა რ ს, მ ო უ ს ვ ე ნ ა რ ს მ დ ი ნ ა რ ე ს!“ („მთის წყარო“).

„ფ ე ხ შ ე უ ხ რ ე ლ ა დ, მ კ ვ ი დ რ ა დ, პ ი რ დ ა დ მ ე კ ი ლ ი, მ რ ი ს ხ ა ნ ე ს დ გ ა ს კ ლ დ ე“ („კლდე მტირალი“).

„ერ თ ხ ე ლ შ ე ხ ე დ ვ ი თ რ ო გ ო რ ს ა ძ ა გ ლ ა დ, უ მ ს გ ა ვ ს ა დ არ ის მ ო თ უ თ ხ ნ ი ლ ი, უ ს წ ო რ - მ ა ს წ ო რ ო დ, უ წ ე ს ო დ ე რ თ მ ა ნ ე რ თ ზ ე მ ი ყ რ ი ლ ის ლ ო დ ე ბ ი თ: ზ ო გ ა ნ ჩ ა შ ა ვ ე ბ უ ლ ი, ზ ო გ ა ნ ჩ ა ყ ვ ი თ ლ ე ბ უ ლ ი, ს ხ ვ ა გ ა ნ ჩ ა ლ უ რ ჯ ე ბ უ ლ ი, ნ ა კ ა წ რ ს, ნ ა ღ ა დ რ ი, დ ე ლ გ მ ა - ღ ვ ა რ ის ა გ ა ნ გ ა გ ლ ი ლ ი და ჩ ა მ ო ღ ა რ უ ლ ი“ („კლდე მტირალი“).

თუ თვალს გადავაგვლებთ ეპითეტების შემცველ მთელ ზემოთ მოტანილ მასალას, შევნიშნავთ, რომ რიგ შემთხვევებში ეპითეტების მწკრივიდან ყოველი მომდევნო (და მით უმეტეს, ბოლო ეპითეტი) წინას აღმატება ემოციურობის ხარისხით, შინაგანი ძალითა თუ ეფექტურობით. მართალია, ასეთი სხვაობა ყოველთვის არ არსებობს, ან ყოველთვის მკაფიოდ არაა გამოხატული, მაგრამ ბევრჯერ სრულიად აშკარად ჩანს. აშკარაა, მაგალითად, რომ შთაბეჭდილება, რომელსაც ახდენს ჩვენზე სიტყვა ბ ე ჩ ა ვ ი, აღმატება შთაბეჭდილებას, მიღებულს სიტყვისაგან ს ა წ ყ ა ლ ი („საწყალი, ბეჩავი ქუჩი ვარ...“), უ ც ო დ ვ ე ლ ი აღმატება წ მ ი ნ დ ა ს („არა, ის წმინდაა, უცოდველი...“), მი ბ ნ ე დ ი ლ ი — ნ ა ზ ს („...ნაზს, მიბნედილს სახეზე გამოუთქმელი ტრფიალება გადაჰფენია...“), უ ვ ნ ე ბ ე ლ ი — უ წ ყ ი ნ ა რ ს, ღ ა ბ უ ა — უ ვ ნ ე ბ ე ლ ს ა და უ წ ყ ი ნ ა რ ს („იმის ახლოს იჭდა... „წიფლისჩიტა“, უწყინარი, უვენებელი, ღაბუა“). წ ი ნ დ ა ხ ე დ უ ლ ი — ფ რ თ ხ ი ლ ს („ღღისით ფრთხილი და წინდახედული... ირემი მოვარდა...“), ნ ა ღ ა დ რ ი — ნ ა კ ა წ რ ს, ჩ ა მ ო ღ ა რ უ ლ ი — გ ა გ ლ ი ლ ს („...ნაკაწრი, ნაღადრი, დელგმა-ღვარისაგან გაგლილი და ჩამოღარული...“), უ მ ა გ ა ვ ს ა დ მე ტ ი ა, ვ ი დ რ ე ს ი ტ ყ ვ ა ს ა ძ ა გ ლ ა დ („ერთხელ შეხე-

დვით როგორ საძაგლად, უმსგავსად არის მოთუთხნილი...“). მ რ ი ს-
ხ ა ნ ე — ვიდრე ეპითეტები: ფ ე ხ შ ე უ ხ რ ე ლ ა დ. მკვიდრად
პ ი რ დ ა ღ მ ე კ ი ლ ი („ფეხშეუხრელად, მკვიდრად, პირდაღმეკი-
ლი, მრისხანე სდგას კლდე.“) და ა. შ.

ემოციურობის ხარისხის ასე თანდათანობით ზრდა ეპითეტთა
მწკრივში ფრაზას ხდის შინაგანად დაძაბულსა და ემოციურად სავ-
სეს. შესაბამისად, ემოციური სისავსითა და შინაგანი დაძაბულობით
გამოირჩევა ამგვარად მიღებული ხატი. იზრდება ამ ხატის, გამოსა-
ხული საგნის, მხატვრული ზემოქმედების ძალა.

საგანთან, მოვლენებთან ემოციური მიმართება, თვით ამ საგან-
თა და მოვლენათა ემოციური ხასიათი ვაჟას პროზაში გამოხატულია
არა მარტო ეპითეტთა სიუხვით ერთ ფრაზაში და, ამასთან, სინონი-
მური ეპითეტებით, არამედ ერთსა და იმავე ფრაზაში ზ მ ნ ა თ ა
ს ი მ რ ა ვ ლ ი თ ა ც, ს ი ნ ო ნ ი მ უ რ ი შ ი ნ ა ა რ ს ი ს ზ მ ნ ე ბ ი-
თ ა და ამა თუ იმ მოქმედების აღმნიშვნელი ს ი ნ ო ნ ი მ უ რ ი გ ა-
მ ო თ ქ მ ე ბ ი თ. ამ სტილური თავისებურების მოტივი და საფუ-
ძველიც იგივე ჩანს, რაც ეპითეტების შემთხვევაში: ავტორი თუ
პერსონაჟი შთაბეჭდილებებითაა დატვირთული; საგანს, მოვლენას,
სხვის თუ საკუთარ მდგომარეობას იგი აღიქვამს და განიცდის
მრავალმხრივად, ძალზე მძაფრად და აქტიურად. ამიტომაც სკირდე-
ბა მას ერთი და იმავე განცდის — ვთქვათ, შეძრწუნების. შიშის, სინა-
ნულის, სიყვარულის და სხვა ემოციათა — გადმოსაცემად რამდენ-
იმე ზმნა თუ მთელი გამოთქმა ერთსა და იმავე ფრაზაში:

„მ ე მ ო ვ კ ვ დ ი, ტ ა ნ შ ი ღ ა ვ ი შ ა ლ ე, — ამბობს ნუკრი,
— როდესაც შეჩვენებულმა მონადირემ ამოიძრო პრიალა ხანჯალი
და გამოუსო დედას ყელში“.

„ც რ ე მ ლ ი მ ო მ ე რ ი ა, გ უ ლ ი მ ო მ ი კ ვ დ ა“, — ასე გა-
მონატავს სხვა ადგილას ნუკრი ავის მოლოდინის ფრქობას.

დაღუპვის შიშითა და ძრწოლითაა განსაზღვრული ნუკრის მთე-
ლი რიგი ქცევები და სწორედ ეს ემოციები — შიში და ძრწოლა —
ჩანს ქვემოთ მოტანილ ფრაზაში:

„ს უ ლ ა ქ ე თ-ი ქ ი თ უ ნ დ ა ვ ი ყ უ რ ო, ვ ე ფ ა რ ო ხ ე-
ე ბ ს, კ ლ დ ე ე ბ ს, ბ ა ლ ა ხ ე ბ ს ა და კ ა ნ კ ა ლ ი თ ვ ქ ა მ ო
ს ა კ მ ე ლ ი, შ ი შ ი ს ა გ ა ნ ზ ე ზ ე უ რ ა დ უ ნ დ ა დ ა ვ დ-
ნ ე!..“

„უყვარს ბარი“, — ნათქვამია კლდეზე მოთხრობაში „კლდე
მტირალი“, მაგრამ ფრაზა აქ არ თავდება; ფრაზა გრძელდება და იუ-
სება კონკრეტული შინაარსით კლდის სიყვარულისა ბარის მიმართ:

„უყვარს ბარი, სულ იმას შესცქერის თვალ-
წარბში, ვერ გამძღარა იმის სიყვარულით, უნ-
და მისვლა და მოხვევნა, მაგრამ...“

ქუჩის ტრფიალი პირიმზისადმი ერთ ფრაზაში გამოხატულია
არა მარტო ამ გრძნობაზე უშუალოდ მიმითებელი სიტყვებით —
შევსტრფი და მიყვარს, არამედ ქუჩის სიყვარულის კონკ-
რეტულ გამოვლინებათა ამსახველი გამოთქმებით: „მე როგორ შევს-
ტრფი, თვალგულდაშშეული შევსცქერივარ,
თვალს ვერ ვარიღებ ერთს წუთას, ისე მიყვარს...“

მოჭამაგირეობით გაწვალებული და სახლს მონატრებული პა-
ტარა მწყემსი მხოლოდ იმას კი არ ამბობს — შინ დარჩენა მომინ-
დაო, ანდა მხოლოდ — აღარ მინდოდა ცხვარში წასვლაო, არამედ
ერთსაც ამბობს და მეორესაც: „გული დამიბრუნდა შინ,
აღარ მეწადა ცხვარში წასვლა.“ მართალია, ფაქტიუ-
რი ვითარების გადმოსაცემად ერთ-ერთის აღნიშვნაც საკმარისი იქ-
ნებოდა, მაგრამ ეს, აშკარად, არ იქნებოდა საკმარისი პერსონაჟის
განცდის, მისი სულიერი მდგომარეობის გამოსახატად.

სინანულს, გულდაწყვეტილობას, მშობლიური ადგილის სიყვა-
რულს გამოხატავს შემდეგ ფრაზაში არა მხოლოდ სიტყვა გვენა-
ნება, არამედ იმ ადგილთან დამაკავშირებელი მომენტების ჩამო-
თვლაც, რომელსაც შორდებიან ფესვები: „გვენანება იმ ადგილის
განშორება, საცა დავიბადენით, აღვიზარდენით, სა-
დაც სიციოცხლევიგრძნეთ“.

ბრძოლის სურათით განცვიფრებული და შეძრწუნებული ქუჩი
გვიამბობს: მხედრები „ერთმანეთს ცხენებიდან ჰყრიდენ, ჰქე-
ლავდენ, მახვილსა სცემდენ“.

ფესვები თავის გულისტივილს გამოხატავენ, როცა შემდეგნაი-
რად ჩამოთვლიან მსგავსი ხასიათისა და განწყობილების ქცევებს:
„განა რომ ხელს არ გამოვიღებთ, თავპირს არავის
ვაკაწრით, არა ელანძღავთ, წასულს არ მივ-
დევთ და მოსულს მრისხანესახით არ ვუხვდე-
ბით, იმიტომ არაფერსა ვგრძნობთ?!“

„ნეტა ვის შევსტირო, ვის შევეხვეწო...“ — კენე-
სის შელის ნუკრი, — ვინ არის ისეთი ძალუმი, რომ დედრიე-
მის თვალეზში ჩამახედოს, დამატკბოს იმის
აღერსით!“

„ტყუილად შეკრთი, ჩვენ კაცს არაფერს ვავნებთ, არ
მოვსწამლავთ“ („ფესვები“).

„მხოლოდ შორიდან გამიცინებს, გაიღიმება საცოდავი...“ („ია“).

„...ხანდახან შემომჭიკჭიკებენ პირში, მათამაშებენ. უხარიანთ ჩემი სიცოცხლე“ („ია“).

ზმნათა სიხშირე ერთ ფრაზაში ხატის, გამოსახული საგნის თუ მთელი ნაწარმოების არა მარტო ემოციურ ხარისხზე მოქმედებს, არამედ მას დინამიურადაც წარმოგვიდგენს. ემოციურობის თვალსაზრისით. როგორც ითქვა, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სინონიმურ ზმნებსა და ამა თუ იმ მოქმედების გამომხატველ სინონიმურ გამოთქმებს. სინონიმური ზმნებისა და გამოთქმების ერთ ფრაზაში თავმოყრა ზრდის პერსონაჟის ქცევის, განცდისა თუ მდგომარეობის მნიშვნელობას.

„მეც დამენანა, [შამებრალა] თავისი თავი და ტირილი დავიწყე“ („პატარა მწყემსის ფიქრები“).

„დამბადებელო, დამიფარე [შემინახე] უნაყოფო კლდეზე დაკიდებული ქუჩი!“ („ქუჩი“).

„...ის კი შეუბრალებლად სწიწკნიდა, [პგლეჯდა] თავისის აღმწაის ნისკარტით“ (იქვე).

„თან კიდევ დასჭყვივის, [დაპკივის], თითქოს ნიშნს უეგბსო“ („ხმელი წიფელი“).

„...მოხდა ის, რითაც იმათი საქმე იშლებოდა, [ფუქდებოდა]“ („ამოდის, ნათდება!“).

„გაპკრეს, [გაუსგეს] კბილი კბილს...“ (იქვე).

„გულში ჩაიხვევია, [ჩაიკეცებია] შავი, მწარე ფიქრები...“ („კლდე სალი“).

„მოვარდება ჩემთან გულგახეთქილი, თრთის, [კანკალეებს.] დნება შიშით...“ (იქვე).

„აი რად მინდა ასე გაგაყვებით მოვმოშო ჩემი შვილები და შემოვიწყო, [შემოვირიგო] გულმკერდზე“ (იქვე).

საკმარისია ფრჩხილებში ჩასმული სიტყვების გამოტოვებით წავიკითხოთ ზემოთ მოტანილი ფრაზები, რომ აშკარა გახდეს ამ გამოტოვებული სიტყვების როლი: მათ გარეშე სუსტდება ფრაზის ემოციური ძალა, — პერსონაჟის მოქმედებას აკლდება სიმძაფრე, ამ მოქმედებისადმი მთხრობელი პერსონაჟისა თუ ავტორის ემოციური მიმართება ფერმკრთალდება, ფრაზაში გამომხატული განცდა აავრძნობლად მცირდება.

„...ფესვები გაზოჩნდებიან აღმე თავაპერილები, თითქოს ლოცულობდენ, ღმერთს ევედრებოდენ, შველა-

ს ა ს თ ხ ო ვ დ ე ნ ო...“ — ვკითხულობთ მოთხრობაში „ხმელი წიფელი“ და სრულიად ცხადია, რომ ამ ცხოველი, შინაგანი თრთოლვით სავეს ხატის შექმნაში მონაწილეობს არა რომელიმე ერთი გამოთქმა უკანასკნელი სამი სინონიმური გამოთქმიდან. არაქედ სამივე ერთად: თითქოს ლ ო ც უ ლ ო ბ დ ე ნ, ღ მ ე რ თ ს ე ვ ე დ რ ე ბ ო დ ე ნ, შ ვ ე ლ ა ს ა ს თ ხ ო ვ დ ე ნ ო...“

იგივე უნდა ითქვას ყველა სხვა, ანალოგიურ შემთხვევასთან დაკავშირებით. ყველგან სინონიმური თქმები მხატვრულ სახეს, პერსონაჟთა ურთიერთმიმართებებს, დამოკიდებულებას ფაქტებისა და მოვლენებისადმი მკაფიო ემოციურ შეფერილობას აძლევს.

„რა დაგიშავა საბრალო დედაჩემმა, რა შეგისვა, რა შეგიქამა, რომ მოჰკალი და უპატრონოდ დამაგდე, დამაოზღე?!“ („შელის ნუკრის ნაამბობი“).

...„ბოლოს მოვწყდებით და წავალთ თავქვე, ჩავეშვებით...“ („ფესვები“).

„ვინ იცის... მწვავე მზის სხივებმა და გვავაქცოს. გაგვახმოს, გააქროს ჩენი ხსენება!“ (იქვე).

...„მოსტყდება, წაიქცევა, გვერდზე წაწვება...“ („ხმელი წიფელი“).

...„არაფრად აგდე ბენ ხმელს წიფელს, ყურადღებას არ აქცევენ“ (იქვე).

...„ჩაუველი გასახმობად დამზადებულს ბუერასა და იგი თავს დამიკრავს, სალამს მაძლევს...“ („მთის წყარო“).

...„მერე ეთქვა ჩემზე აუგო, მერე დავეძრა ხე“ („სვავი“).

„მაგრე როგორ დაგიმონათ, შეგიპყრათ, დაგიმორჩილათ ერთმა ფიქრმა...“ („მთანი მაღალნი“).

ისევე, როგორც ეპითეტთა მწკრივებში, აქაც თანდათანობით იზრდება ზმნათა და მოქმედების აღმნიშვნელ სინონიმურ გამოთქმათა ექსპრესიულობა.

„კლდეო მაღალო, — მიმართავს ქუჩი კლდეს, — შეინახე ჩემი ფესვები, სიცოცხლეს ნუ დაუჟარგავ, ნუ ამომთხრი, ნუ ამომაგდე!“ („ქუჩი“).

„ბარი კლდის ცრემლს გულზე დაიყრის, შეისუტავს, შეისისხლს ორცეხს...“ („კლდე მტირალი“).

„ჩხიკვს შეეშინდა, გაახილა თვალები, გაუსკდა გულს, მიასკდა ხან იქით, ხან აქეთ...“ („შელის ნუკრის ნაამბობი“).

„ხმელი წიფლის ტოტები ამაყად დედამიწას სცემდენ, ასკდებოდენ“ („ხმელი წიფელი“).

„იმედი გადაუწყდათ, სასოება დაჰკარგეს“
(„ამოდის, ნათლება!“).

„მერე დამლევს, ჩამნთქავს უზარმაზარი მდინარე...“
(„მთის წყარო“).

„თითონ ხომ ღრიალებს, ბორგავს, აწყდება აქეთ-
იქით, ანგრევს დედამიწას, გლეჯავს ხეებსა და მიათრევს, მეც
იმასვე ჩამადენინებს“ (იქვე).

ნუ ამომთხრი — ნუ ამომაგდებ; შეისუტავს — შეისისხლხორ-
ცებს; შეეშინდა — გაუსკდა გული; სცემდენ — ასკდებოდენ; იმე-
დი გადაუწყდათ — სასოება დაჰკარგეს; დამლევს — ჩამნთქავს;
ბორგავს — აწყდება აქეთ-იქით. ამ ჭინონიმური წყვილებიდან ექ-
სპრესიულობით, როგორც ვხედავთ, ყოველი მეორე აშკარად აღე-
მატება პირველს. ხოლო როდესაც ამგვარად განლაგებული სინო-
ნიმური ზმნები მოქცეულია ისეთი ენერგიული ზმნების გარემოც-
ვაში, როგორიცაა — ღ რ ი ა ლ ე ბ ს, ა ნ გ რ ე ვ ს, გ ლ ე ჯ ა ჯ ს,
მ ი ა თ რ ე ვ ს, მაშინ გამოსახული საგნის ემოციურობა და დინამიკა
მაქსიმუმს აღწევს.

ლეილა სულხანიშვილი

მასხას პროზაულ თხზულებათა კომპოზიციის შესახებ

ლიტერატურათმცოდნეობაში გვაქვს ორი ტერმინი, რომელთაც ხშირად სინონიმებად ხმარობენ. ერთია ტერმინი „არქიტექტონიკა“ და მეორე — „კომპოზიცია“. როდესაც ამ ორივე ტერმინის შენარჩუნებას ვცდილობთ, მაშინ მათ შორის განსხვავებასაც უნდა ვხედავდეთ, რათა ერთ-ერთი მათგანი ზედმეტი არ აღმოჩნდეს.

თუ „არქიტექტონიკაში“ ვიგულისხმებთ სრულიად გარკვეული ნაწილების ურთიერთშეკავშირების ფორმებს, მაშინ „არქიტექტონიკა“ ნაწარმოების გარეგანი მხარის, თვალისათვის დასანახი შინაარსის გამომხატველი ტერმინი იქნება. ამგვარად გაგებული „არქიტექტონიკა“ გავითვალისწინებს ნაწარმოების მსვლელობას, მასში გადმოცემულ ამბავთა, განწყობილებათა და სხვ. ურთიერთში ვადასვლის, ურთიერთშენაცვლების გზებს. ასეთ შემთხვევაში, როცა ვიმსჯელებთ, მაგ., ვაქვას „იის“ არქიტექტონიკაზე, ვიტყვი, რომ იგი თვითდახასიათებით იწყება. ამ თვითდახასიათებაში არის ჩართული გაცოცხლებული გარემოს კეთილი მიმართება იისადმი, რომლისაგან განცალკევებულად დგას და მასთან არის დაპირისპირებული ადამიანი. ნაწარმოები თავდება უკმაყოფილებით ამ შეუსაბამობათა გამო. მაშასადამე, არქიტექტონიკა „იისა“ ოთხ ძირითად პუნქტად გვეძლევა: თვითდახასიათება (საკუთარი სილამაზის აღიარება); ბუნების მიმართება იისადმი; ამასთან არის დაპირისპირებული, ე. ი. კონტრასტის გზით არის მოცემული ადამიანი, რომელიც „ვერ აფასებს ჩვენს სილამაზესო“, — ამბობს ია; ბოლოს, მე-

ოთხე პუნქტი შეიცავს პასუხის მაძიებელ კითხვას: „თუ, გამაჩინე, უფალო, დიდი დღე რად არ მამეო?“

ამგვარი არქიტექტონიკა ვაჟას მოთხრობათა მნიშვნელოვანი ნაწილისათვის არის დამახასიათებელი. ამის ანალოგონი შეიძლება ვიპოვოთ სხვა ავტორებთანაც. ამიტომ ლიტერატურათმცოდნეობისათვის არ არის საკმარისი შეჩერება ამგვარად გაგებულ არქიტექტონიკის ანალიზზე. აუცილებელია დაიძებნოს შინაგანი კავშირები ცალკეული ნაწარმოების ფარგლებში. ეს ნიშნავს, რომ ლიტერატურათმცოდნეობა ნაწარმოების აღნაგობაზე დაკვირვებისას თვისობრივ მხარეებს მიაქცევს ყურადღებას, — მხარეებს, რომელნიც განსაზღვრავენ ნაწარმოების ნაწილთა ამგვარობას. ეს ნიშნავს, რომ მსჯელობა ნაწარმოების აღნაგობაზე შეუძლებელია მის აზრობრივ სფეროზე, მის იდეაზე, გაბატონებულ განწყობილებაზე და მისთანათა შესახებ მსჯელობის გარეშე. ამით არის გამართლებული კომპოზიციის ცნების შემოტანა, რაც კი არ გამოორიცხავს, არამედ გულისხმობს ნაწარმოების არქიტექტონიკის კვლევას.

რას მოგვცემს, მაგალითად, მსჯელობა იმავე „იის“ კომპოზიციაზე განსხვავებით იმისაგან, რაც ითქვა მისი არქიტექტონიკის გამო?

ნაწარმოებში ძალიან მკაფიოდ არის დასმული საკითხი იის ფუნქციის შესახებ, სამყაროში მისი ადგილის შესახებ. ამ საკითხს შემოპყავს ნაწარმოებში ტყე და ბალახი, გულხავსიანი კლდე. დამპალი ყუნჭი. წვერხმელი ხეები, შხაპუნა წვიმა, ცა და ღრუბელი, მზე, მთები, ჭალები და ღაბუა ჩიტები... — მთელი სამყარო. ბოლო კი ეხმაურება დასაწყისს („ულრანს ტყეში მოსული ვარ... მანამ ცოცხალი ვარ, ჩემის სილამაზით დავატებო ტყეს, ბალახს და იმ გაღმიდამ გამომქეკრალს გულხავსიანს კლდესა, სუნელებას მივაფრქვევ არემარეს“) იმით, რომ ისევ უბრუნდება იის ფუნქციობის, მისი ღირებულებისა და ხანგრძლივად არსებობის საკითხს („ვაჰმე, რა საბრალო არი ია, მოსული მთაზედა!“ და სხვ.).

ნათქვამიდან აშკარაა, რომ ნაწარმოების კომპოზიციის მიხედვით ჩანს საკითხისადმი ავტორის ინტერესი და მისი იდეა, — უკეთ რომ ვთქვათ, მისი მიზანსწრაფვა. ვაჟას მიზანსწრაფვა კი აღნიშნულ ნაწარმოებში მიმართულია იმის გარკვევისაკენ, თუ როგორია ურთიერთობა მოვლენათა შორის და რამდენად არის შესაძლებელი — ან შესაძლებელია თუ არა, საერთოდ, — მოხსნა იმ დაპირისპირებისა, რომელიც სინამდვილეში სხვადასხვა რიგის მოვლენათა შორის არსებობს. უკვე საკითხის ამგვარ სიბრტყეზე დასმა არის აზროვნების ფილოსოფიური წყობის გამოვლენა. და ვაჟას პროზაულ თხზულება-

თა. შეიძლება ითქვას, დიდი უმრავლესობა სწორედ ამგვარი აზროვნების ნიადაგს ამჟღავნებს. ასეთია, მაგალითად: „შვლის ნუკრის ნაამბობი“, „კურდღელი“, „ამოდის, ნათლება!“, „მგელი“, „ფესკები“, „ირემი“, „ქუჩი“ და სხვ.

ვაქას, როგორც ფილოსოფიურად მოაზროვნე გონებას, ეს სამყარო, რა თქმა უნდა, გამარტივებულად არ ჰქონდა წარმოდგენილი. ამ სამყაროს იგი ურთულეს ფენომენად მიიჩნედა და ხშირად ფანტაზიას უხმობდა მის წარმოსახვად. ეს განმარტავს სიზმრებისა და ჩვენებების სიუხვეს ვაქა-ფშაველას შემოქმედებაში. ამ რიგის მოთხრობებში აშკარად თუ შემოვლითი გზით დასმულია კითხვა — „რატომ არის ეს ასე?“ და ეს კითხვა საზოგადოებისა თუ მთელი სამყაროსადმი მიმართული. ამგვარი კითხვის შემცველი ნაწარმოებები ხსნიან გზას ნაირნაირი სფეროდან მასალის შემოტანისათვის. რეალური და უკიდურესად წარმოსახვითი სურათების ერთ სიბრტყეზე წარმოდგენისა და გაშლისათვის. ეს კითხვა — „რატომ?“ აერთიანებს გარეგნულად თითქოს ერთმანეთთან დაუკავშირებელ ამბებს, შესაძლებელს ხდის ერთი ნაწარმოების ფარგლებში მათ მოქცევასა და ერთმანეთთან მიახლოებას. ამის ნიმუშებია: „ოცნება“, „მოჩვენება“, „საახალწლო სიზმარი“ და სხვ.

სიუჟეტური აგებულების თვალსაზრისით, ვაქას მოთხრობების სამ ძირითად სახეობას ვხვდებით.

პირველი, როდესაც ნაწარმოებში მოცემულია ერთი ამბავი და მწერლის მთელი გულსყური ამ და მხოლოდ ამ ამბისადმი არის მიმართული, მას ამდიდრებს ნაირნაირი დეტალით, მისი შინაგანი მრავალფეროვნებით გვიზიდავს და გვიპყრობს. ამ ტიპის მოთხრობებია: „ხმელი წიფელი“, „მთის წყარო“, „ფესკები“. „მთანი მაღალნი“ და სხვ.; მერე, როდესაც მოთხრობაში თითქოს მოცემულია ამბები, მაგრამ ვხედავთ, რომ მწერალს ერთი ამბის გარშემო ტრიალი აინტერესებს, მას ვერ სცილდება. სანიმუშოდ აქ შეიძლება დავასახელოთ „შვლის ნუკრის ნაამბობი“ და „პატარა მწყემსის ფიქრები“. მესამე, როდესაც მწერალი მოთხრობაში ნაირნაირ ამბავს იძლევა („მოგონება“, „ბუნების მგონები“, „როგორ გაჩნდნენ ბუები ქვეყანაზედ?“ და სხვ.).

პირველი შექმნევის საილუსტრაციოდ „ხმელი წიფლის“ მაგალითზე შევიჩრდეთ. ამ მოთხრობაში გადმოცემული „ამბავი“ ორი სიტყვით შეიძლება გამოითქვას: კვდება ოდესღაც ძლიერი წიფელი. მაგრამ მას იმედი აქვს თავისი ყლორტისა — და ეს, ერთი შეხედვით, მარტივი „ამბავი“ ავსებულა დეტალებით, მრავლისმეტყველი. გულშიჩამწვდომი განცდებით, — და, რაც მთავარია, ნაირფეროვანი ნიუანსებით დატვირთული განცდებით.

ცხადია, განცდა მიზეზის გარეშე არ არსებობს და ამ მოთხრობებშიც დახატულია ესა თუ ის. ემოციების აღმძვრელი, სურათი, ან აღნიშნულია ამა თუ იმ განცდის გამომწვევი ფაქტი. მაგრამ ყოველთვის ნათელია, რომ ყველა სურათი და ყველა ფაქტი პერსონაჟის განცდათა სიღრმეების საჩვენებლად არის მოხმობილი.

პირველი ტიპის მოთხრობებისგან მეორე ჯგუფის მოთხრობებს გამოვყოფთ იმდენად, რამდენადაც აქ ამბები თითქოს უფრო დამოუკიდებელ მნიშვნელობას იძენენ. ეს ითქმის განსაკუთრებით „შვლის ნუკრის ნაამბობზე“, სადაც ნუკრის თითქმის მთელი ცხოვრებაა მოცემული — დედასთან გატარებული დღეებისა და დობლების ისტორია. მაგრამ, ამასთანავე, ცხადია, რომ მწერლის ინტერესის მთავარ საგანს მაინც ნუკრის განცდები, ამბავთადმი ნუკრის ემოციური მიმართება წარმოადგენს. მოთხრობა სწორედ ამ ემოციებით, ამ ემოციათა გამომხატველი ფრაზებითაა სავსე. სურათები, ეპიზოდები დღევანდელი მწვავე განცდის შედეგად ამოტივტივდებიან ნუკრის ცნობიერებაში და ერთიმეორესთან ასოციაციურ კავშირში იმყოფებიან. თითქმის ასეთივე ვითარებაა მოთხრობაში „პატარა მწყემსის ფიქრები“.

სიუჟეტის მიხედვით ერთმანეთისაგან მაინც განსხვავებული პირველი და მეორე სახეობის მოთხრობები, პერსონაჟის ემოციების წინა პლანზე წამოწევით, ძალზე უახლოვდებიან ერთმანეთს. როგორც ჩანს, ამ საერთო მომენტთან უნდა იყოს დაკავშირებული მათი კომპოზიციური ურთიერთსიახლოვეც.

ამ მოთხრობების კომპოზიციისათვის, პირველ ყოვლისა, ასოციაციის პრინციპია ნიშანდობლივი. ეს პრინციპი სრულიად ბუნებრივი ჩანს ნაწარმოებისთვის, რომლის შინაარსსაც პერსონაჟის ემოციები წარმოადგენს.

აღნიშნული ტიპის მოთხრობების კომპოზიცია, უმთავრესად, ერთ, ან რამდენიმე ემოციურ მოტივს ეყრდნობა. ზოგიერთ ამ მოტივზე მითითება ნაწარმოებიდან ამოკრეფილი ცალკეული ფრაზებითაც შესაძლებელია. „შვლის ნუკრის ნაამბობში“, მაგალითად,

ასეთ, წამყვანი მოტივის გამომხატველ, ფრაზად უნდა მივიჩნიოთ: „რალა მეშველება მე საბრალოს ეხლა!“ რომელიც მკაფიოდ გვაგრძნობინებს თავისი წარსულის, აწმყოსა და მომავლისადმი ნუკრის ემოციურ მიმართებას. ამ ფრაზიდან ჩანს, რომ წარსულში ნუკრი კარგად გრძნობდა თავს, ბედნიერი იყო, ახლა კი შემკრთალა და მთელ მის არსებას მომავლის შიში დაუფლებია.

შეიძლება ითქვას, რომ ფრაზა „რალა მეშველება მე საბრალოს ეხლა!“ „შელის ნუკრის ნაამბობის“ ცენტრალური ფრაზაა, რამდენადაც იგი გამოხატავს მოთხრობის მთავარ განწყობილებას და წარმოადგენს მისი კომპოზიციის ნამდვილ ლერძს. ნუკრის მიერ გადმოცემული ყველა ეპიზოდი, მის მიერ წარმოდგენილი ყველა სურათი ამ ლერძის გარშემო იყრის თავს. ის ლირიკული წიაღსვლები კი, რომლებითაც სავსეა მოთხრობა, აღნიშნული ფრაზის ვარიაციებად შეიძლება ჩაითვალოს.

მოთხრობა აგებულია ისე, რომ თითქმის ყოველი ცალკეული მონაკვეთის ანდა ცალკეული მოგონების დამთავრება შეიძლება ფრაზით — „რალა მეშველება მე საბრალოს ეხლა!“ თითოეული მათგანი თავისთავში გულისხმობს ამ ფრაზას; ეს უკანასკნელი თითქოს მთელი მოთხრობის ქვეტექსტს წარმოადგენს და მას მიჰყავს ძირითადი ტექსტი მაშინაც, როდესაც ლაპარაკი თითქოს სხვა რამეზეა.

შიშითა და სასოწარკვეთილებით შეპყრობილ ნუკრს სწორედ ის შემთხვევები, ის ეპიზოდები აგონდება, რომლებიც მისი დღევანდელი განცდების საფუძვლიანობას ადასტურებს. ეს ეპიზოდები ასახავენ ნუკრის ცხოვრებას დაობლებამდეც და დაობლების შემდეგაც. პირველ შემთხვევაში ქვეტექსტი გვეუბნება: „აი, როგორ ვცხოვრობდი დედასთან ერთად. ეხლა რალა მეშველება?“ მეორე შემთხვევაში კი: „აი, რა დღეში ვარ ჩავარდნილა. რალა მეშველება ეხლა?“

ამბავი — ემოციები, ემოციები — ამბავი... — ასეთი მონაცვლეობა ჩვეულებრივია „შელის ნუკრის ნაამბობისა“ და მისი რიგის თხზულებათა კომპოზიციისათვის. ემოციების გამომხატველი ფრაზები და გამოთქმები ზოგჯერ თვით ეპიზოდსა თუ აღწერილ სურათშია ჩართული, როგორც მაგალითად:

„ავიხედე მალლა: მხრებშეკუმშული, ნისკარტდაღებული, უზარმაზარი ლეგა ფრინველი მოდიოდა პირდაპირ ჩემკენ. მე, შეშინებული, ტყეში გადაუხტი. წამოვიდა ის წყეული ფრინველი, ტანი ველარ შეიმაგრა და ჩემს ნადგომ ადგილს დაეცა. ურუანტგლი მივლის, როდესაც იმისი მოკაყული ნისკარტი და აღმასივით ბრკყა-

ლები მაგონდება. პირდაპირ მოვიდა და იქ რომ არ დავხვდი, ბალახებზედა და მაყვლოვანზედ იხრებით ტყლაშუნი გაადინა“.

ანალოგიურია შემდეგი ადგილი „პატარა მწყემსის ფიქრებიდან“:

„შვარდენი გაწყრა, წავიდა მალლა-მალლა კივილით და ცაში დაილუპა. მე როჟო ხელში ავიყვანე. საცოდავი! კანკალებდა და გასაფრენად იზიდებოდა, დაფეთებულს თვალებს აქეთ-იქით ავლებდა“...

„პატარა მწყემსის ფიქრებში“ განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს ნაწარმოების აგების ასოციაციური პრინციპი, ხოლო, თუ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ამ ასოციაციების საფუძველს, მათი წარმოშობის მიზეზსა და წყაროს აქაც პერსონაჟის განწყობილება, სახელდობრ, — მარტობის განცდა, გულნაკლულობის, გულდაწყვეტილობის, დაჩაგრულობის გრძნობა წარმოადგენს.

ასოციაციის გზით სურათების ურთიერთმონაცვლეობა დამახასიათებელი ჩანს როგორც მეორე, ისე პირველი ჯგუფის მოთხრობებისათვის. ეს საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ვაჟას ესთეტიკური ხედვისთვის, მის მიერ გამოსახული მხატვრული სახეებისა და მთელი მხატვრული სინამდვილისათვის ნიშანდობლივი დინამიკურობა ამ მოთხრობების კომპოზიციამიც იჩენს თავს.

კომპოზიციის დინამიკას განსაზღვრავს, აგრეთვე, პერსონაჟის მიერ, მითითების ან რაიმე სხვა გზით, ახალ-ახალი ობიექტის შემოყვანა მოთხრობაში. როგორც ზემოთ „იის“ მაგალითზეც ვხახვთ, ამ ობიექტთა შემოყვანა ნაწარმოებში სრულებითაც არ არის შემთნვევითი ხასიათის და ყოველთვის ამა თუ იმ — ერთ ან რამდენიმე — მოტივთანაა დაკავშირებული. მაგალითად, მოთხრობაში „ქუჩი“ მარტობის, უიმედო ტრფილის, სიბრალულისა და მადლის ქმნის, სიცოცხლის წყურვილისა და სიკვდილის მოტივები აქ გამოსახულ მთელ საგნობრივ სინამდვილეს განსაზღვრავს. ეს სინამდვილე კი წარმოდგენილია სალის კლდითა და „კლდის ძუძუთგან მონაწყვეტი“ ლოდებით, გაღმა მთის ფერდიდან გამომცქერალი, ტკბილად მოდუღუნე ყვავილებითა და ლამაზი პირიმზით, მზითა და წვიმით, ბებერი არწივით, საბრალო როჟოთი და ქუჩის გვერდით ცხვირწამოშვერილი ლოდით, ერთმანეთის წინააღმდეგ ამხედრებული მეომრებით...

„მთის წყაროში“ სიცოცხლით სიხარულისა („რა ბედნიერადა ვგრძნობ ჩემს თავსა, ღმერთო!“) და „მადლის ქმნის“ მოტივებითაა განსაზღვრული გამოსახული სინამდვილის საგნობრივი შინაარსი,

— ის, რომ აქ ცხედავთ სქელი, მწვანე ხავსით დაფარულ ლოდებს, პირყვითელ კლდეს, ზეცად აწვდილ, დევებიჯით ქორაფებს, უზარ-მაზარ, მოუსვენარ მდინარეს. „გასახმობად დამზადებულს ბუერას“, „ჩადუნიანს“, „ზევისაგან წამოთელილს თხილებსა და ურძნებს“, ლაბუა „წიფლისჩიტას“, „ყელყურლამაზიან“ ირემს, დამკუნარ ბალახსა და ხეებს...

ანალოგიური ვითარებაა სხვა, ამათ მსგავს მოთხრობებში.

სინამდვილის დინამიკურად და პლასტიკურად ხედვის შედეგი უნდა იყოს ვაჟას მოთხრობების ერთი კომპოზიციური თავისებურება: ნაწარმოების დაწყება უქსპოზიციოდ, მკითხველის წინასწარ მოუმზადებლად, ყოველგვარი შესავლის გარეშე, ჩვეულებრივია ვაჟას მთელი მხატვრული პროზისათვის. ვაჟასთვის არ არის დამახასიათებელი ილიასებური — „მე, სწორედ, ნადირობის ტრფიალს რომ იტყვიან, ისა ვარ“... ან „რიტორიკაში სწერია: ყველაფერი შესავალით უნდა დაიწყოს კაცმაო“... „მახსოვს, როცა პატარა ვიყავი, რა გულის ფანცქალით ვნატრობდი წინა-დამე ახალის წლისა მალე გათენდეს მეთქი“ და სხვა მისთანა. გაუა პირდაპირ მიდის საგანთან, — კი არ უახლოვდება, თითქოს მიიჭრება მასთან და ერთბაშად, სწრაფად და მოსხლეტით წარმოადგენს მას მკითხველის წინაშე:

„ბაღაზი ვარ მთისა...“ (ქუჩი“).

„ბეჩაობით გაზრდილი ვარ...“ („პატარა მწყემსის ფიქრები“).

„ფეხშეუხრელად, მკვიდრად, პირდაღმეკილი, მრისხანე სდგას კლდე“ („კლდე მტირალი“).

„ნუ გეშინია, არა ეართ გველები“ („ფესვები“).

„მოდგნენ დანგრეულის დარბაზის ეზოში“ („მოჩენება“).

„იდგნენ და ელოდნენ“ („მთანი მალაღნი“).

იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს საგანი უეცრად წამოიზარდა და პირდაპირ თქვენს თვალწინ აღიმართა.

დასასრული კი ვაჟას მოთხრობებისა — განსაკუთრებით, იმ მოთხრობების, რომელთა მთავარ შინაარსს პერსონაჟის განცდები წარმოადგენს — ისეთია, თითქოს ავტორს კიდევ შეეძლო მათი გაგრძელება. აქ, ამ მოთხრობების ბოლოს არ ზის მყარი და უძრავი წერტილი, რომელთანაც ყველაფერი მთავრდება; თუმცა ამის გამო მოთხრობა სრულიადაც არ ტოვებს დაუმთავრებლის შთაბეჭდილებას და არ იწვევს უკმარობის უსიამოვნო გრძნობას. პირიქით, კომპოზიციის თვალსაზრისით, იგი სრულიად უნაკლოა, მსგავს მოვლე-

ნას სახვით ხელოვნებაში ზოგი მკვლევარი ატექტონიკური სტილის ნიმუშად ჩათვლიდა!

ვაჟა-ფშაველას მოთხრობების უძირითადეს ჯგუფებსაც კი ჯერ დავახასიათებდით, თუ არ შევჩერდებოდით „ბუნების მგოსნებისა“ და „ჩხიკვა ქორწილის“ ტიპის მოთხრობათა სიუჟეტურ-კომპოზიციურ თავისებურებებზე.

„ბუნების მგოსნები“, ისევე, როგორც „ჩხიკვა ქორწილი“, ამბავთა ერთგვარი აკიდოა. აქ ამბებია აცმული ერთ ღერძზე, — პირველ შემთხვევაში იუბილეს სახით, მეორე შემთხვევაში კი ქორწილის სახით წარმოდგენილ ღერძზე. და ეს, ტრადიციულად ნაცნობი გზა, მწერალს გამოუყენებია იმისათვის, რომ თავისი მკითხველებისთვის სრულიად უცნობი სამყარო ეჩვენებინა და მათთვის დაეახლოებინა. აქ, ამ მოთხრობებში, მრავალი ფრინველია, თავიანთი ნაირნაირი ხასიათით, ნაირნაირი მეტყველებით, ნაირნაირი მოძრაობითა და ქცევით და არც თუ ყოველთვის მოსალოდნელი შედეგებით. ზემოთქმულის საჩვენებლად სრულიად საკმარისია ამ მოთხრობათა სიუჟეტური სქემის წარმოდგენა. აქ ჩვენ, სანიმუშოდ, მხოლოდ ერთი მოთხრობის, სახელდობრ, „ჩხიკვა ქორწილის“ სქემის მოწოდებით დაკმაყოფილდებით.

ჩხიკვა ქორწილია:

1. ჩხიკვი თომა ლოცავს და ყვავილების გვირგვინს ადგამს ნეფე-დედოფალს.

2. ნეფე და დედოფალი ტახტზე სხდებიან. იწყება ნადიმი.

3. ფულუროდან კოდალა „მრავალყამიერს“ ამბობს.

4. ფრინველები ჯავრობენ კოდალაზე: რატომ ღვინოს არა სვამო. — სუფრასთან უხმობენ.

5. კოდალა ჰიას მიართმევს ძღვნად ნეფე-დედოფალს და ფრინველებიც „საკარგუმოს“ სვამენ.

6. ყვავის მოთავეობით ფრინველები სიმღერას ამბობენ.

7. ხმაურზე სოროდან თავუნა გამოძვრება და საღერღელაშლილი პირდაპირ ნეფე-დედოფლის წინ დასკუპდება სუფრაზე. ფრინველები მხიარულად ეგებებიან მას და ღვინოს აძალებენ.

¹ მაგ. პ. ვ ე ლ ფ ლ ი ნ ი. იხ. მისი «Основные понятия истории искусств», М.-Л., 1930.

8. თავუნა ღვინოს სეამს და ითვრება.

9. ფრინველები ბულბულს სიმღერას სთხოვენ და ისიც მღერის.

10. ბულბულის გალობას შორიახლოდან ხარირემი უგდებს ყურს.

11. ფრინველები საერთო სიმღერას იწყებენ. გამოჩნდება არწივი.

12. არწივის სუფრასთან იწვევენ.

13. ფრინველები ველარ მხიარულობენ არწივის თანადასწრებით; მხოლოდ თავუნა და კოდალა იქცევიან თამამად.

14. არწივისაგან შეშინებული თავუნა ავად ხდება.

15. კოდალა თამამ სიტყვას უბედავს არწივს. ფრინველები სჯიან მას ამის გამო.

16. სუფრას მელა ეპარება. მის დანახვაზე ჩაქორწილო სუფრა ერთბაშად აიშლება (არწივი კლავს მელას და ხეზე მიკრულ კოდალას ათავისუფლებს).

ამ საქმიდან ჩანს, რომ ვაჟა-ფშაველას ნიქისათვის სრულიადაც არ არის უცხო მოთხრობათა ტრადიციული კომპოზიციები. მაგრამ, როგორც ეტყობა, იგი ასეთ გზას უფრო ხშირად მაშინ მიმართავდა, როდესაც ამბავს გამართობელი და იუმორისტული მიდგომით ამუშავებდა. აქ იგი იმდენად თავის შინაგან სამყაროს არ ხსნიდა, რამდენადაც ობიექტების წვდომას და ჩვენებას ისახავდა მიზნად. იმ ტიპის მოთხრობებში კი, როგორც არის „მთის წყარო“, „ხმელი წიფელი“ და „ქუჩი“, თვითონ ვაჟა გვეძლევა თავისი განცდებით, საკუთარი თავის წარმოსახვით.

ნაწარმოებთა კომპოზიციასზე დაკვირვებისას, როდესაც თვით ავტორია საძიებელი, პირველყოვლისა, ისეთ მომენტებზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება, რომლებიც მეორდება. აქ მხედველობაში გვაქვს არა ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური განმეორებანი, არამედ თვით განმეორებათა სტრუქტურები. — რა ფორმა აქვს ამ განმეორებებს, სად და როდის იჩენენ ისინი თავს? ამ მხრივ, მოპოვებული მასალა მოგვცემს შესაძლებლობას, მეტის დაბეჭითებით აღვნიშნოთ, თუ როგორი კომპოზიციებია უფრო ძვირფასი და დამახასიათებელი ჩვენი ავტორისათვის. ამ თვალსაზრისით კი, პირველ რიგში ის უნდა შევნიშნოთ, რომ ვაჟას მოთხრობებში, უმეტესად, მთავარი განწყობილების, ძირითადი მოტივის გამომხატველი ფრაზა ან ფრაზათა ჯგუფი მეორდება. ამ სახის გამეორებები კრავს, ამთლიანებს ნაწარმოებს კომპოზიციურად და, რაც ჩვენთვის ამჟამად საინტერესოა, გაჰყვება ამ ხელოვანის ნაწარმოებთა მთელ რიგს და მათ ერთი ავტორის ხელს დაამჩნევს.

ავიღოთ, მაგალითად „შელის ნუკრის ნამბობი“. აქ ასეთ ფუნქციას ასრულებს ის ლირიკული ჩანარები, რომლებითაც მთავრდება მოთხრობის ყოველი თავი, გამოუნაკლისად:

„რას ვიშავებ. ადამიანო, მითხარი, რას? — მიმართავს პირველი თავის დასასრულს დაობლებული ნუკრი ადამიანს. — რა დაგეშავა საბრალო დედაჩემმა, რა შეგისვა, რა შეგიჭამა, რომ მოჰკალი და უპატრონოდ დამავდე. დამაობლე?! ოჰ, ადამიანებო!“...

„ოჰ, რამდენი გამოცდილება მაკლია ჯერ კიდევ მე. საცოდავსა!..“ — ოჩრავს იგი მეორე თავის ბოლოს.

„საბრალო დედაჩემი წინათვე ჰგრძნობდა, რომ ისე იქნებოდა“. (III თავი).

„ნეტა ვის შევტირო, ვის შევეხვეწო, ვინ არის ისეთი ძალუმი, რომ დედიჩემის თვალებში ჩამახედოს, დამატკბოს იმის ალერსით! როგორ უნდა მოვინელო ეს ჯავრი?...“ (IV თავი).

„მას აქეთ ცოცხალმკვდარი ვარ; ვტირი და ეს არის ჩემი ნუგეში: დავდივარ და შევსტირი ხეებს, მთასა და კლდეებს, დავსტირი წყალსა და ბალახს, მაგრამ ჩემთვის დედა არა ჩნდება, დედაჩემს ველარა ვხედავ. ვარ ობოლი და, ვინ იცის, ვინ დამეპატრონება, ვინ შეილებავს ჩემის სისხლით ხელებს?!“ (V თავი).

მსჯავისი სურათია სხვა მოთხრობებშიც.

სუბტი, უმწეო კურდღლისადმი დიდი სიბრაღის გრძნობით არის დაწერილი მოთხრობა „კურდღელი“ და, ამ გრძნობის შესაბამისად, აქ სამ სხვადასხვა ადგილას ეხვდება ერთმანეთის ანალოგიურ ფრაზებს: „საწყალი კურდღელი!“ და „საცოდავი ცხოველი!“

„ხმელი წიფელი ამოიკენესებს ღრმა კენესით და არც ავად, არც კარგად ყურს არ ათხოვებს ამ ამაყ მცენარეთ...“ ეკითხულობთ მოთხრობაში „ხმელი წიფელი“ და ფარული მწუხარების გამოხატველი ეს ფრაზა თავისი ვარიაციებით მოთხრობაში კიდევ ორჯერ მეორდება: „წიფელი დგას, დგას შეუშფოთრად, წარბშეუხრელად: არც ავს ამბობს, არც კარგსა“. და ბოლოს: „ხმელი წიფელი შეუშფოთრად სდგას: არც ავს იტყვის, არც კარგს, სდგას გაშტერებული...“

მოთხრობის ერთი ძირითადი მოტივი გამოხატულია ჩანართი პოეტური სტრიქონებით:

„განა ყველა, რაც ხმელია,
კაცისგან საწუნარია ?!
ათასს ცოცხალსა ზევრჯელა
ათჯერ სჯობს ერთი მკვდარია.“

და ეს მოტივი მანამდე, სულ ცოტა, ორჯერ მაინც იჩენს თავს არანაკლები სიმკვეთრით:

„ეს გაფოთლილი ხეები ამაყად დასცქერიან ბეჩაღს ხმელს წიფელს, — ვკითხულობთ ერთგან, — იმისი ეჩოთირებათ და ამბობენ: „ნეტავი შენ არ გვაუშნობდელი!“ — არ იციან, რომ ხმელი წიფელი იმათზე მეტად იხსენიება და არიან, იპოვებიან ისეთნი კაცნი, რომელთაც მოსწონთ და უყვართ უბედურებაში ჩაყარდნილი ხმელი წიფელი“...

ხოლო ცოტა უფრო ქვემოთ იგივე აზრი ასეა გამოთქმული:

„დიად, არ იციან უგუნურმა ხეებმა, რომ ხალხს ჯერ არ დაუვიწყნია ხმელის წიფლის სახელი, კიდევ ახსოვს იმისი სიდიადე“.

კიდევ უფრო ხშირად გვხვდება ამგვარი განმეორებაჲნი პოეტურ მოთხრობა-სურათში „ზაფხულის სიზმრები“.

„ზაფხულს ეძინა“.

„ზაფხულს კი ეძინა მშვიდი, ტკბილი ძილით“.

„ზაფხულს კი ეძინა“.

ამ ფრაზებიდან პირველით მოთხრობის პირველი თავი იხსნება, მესამით იხურება იგი, მეორე ფრაზა კი ამავე თავის შემადგენელ ორ მონაკვეთს აკავშირებს ერთმანეთთან.

ასეთივე ჩარჩოშია ჩასმული მოთხრობის მეორე თავი, რომლის პირველი და ბოლო ფრაზები უკიდურესად უახლოვდებიან ერთმანეთს: „ეძინა ზაფხულს და საშინელს სიზმრებს ჰხედავდა“. — „ზაფხულს კი მშვიდად, ტკბილად ეძინა“.

პირველ თავში მოცემული აყვავებული ბუნების სურათი მეორე თავში ზამთრის მდუმარე, გულისმომკვლელი სურათით იცვლება. მოთხრობაში შემოდის ახალი, „საშინელი სიზმრების“ მოტივი და წინა თავში გამეორებული ფრაზებიც ერთგვარად სახეს იცვლიან:

„ეძინა ზაფხულს და საშინელს სიზმრებს ჰხედავდა, — ვკითხულობთ ამ თავის დასაწყისში. — ზოგჯერ იმის გული ჰკენესოდა, ბაგა-ბუვი გაჰქონდა და მძინარ თვალთაგან ცრემლის ნაკადული ჩამოსდრიოდა... საშინელს სიზმარს ჰხედავდა ზაფხული და გული იმიტომ უკვდებოდა, საშინლად შეძრწუნებულ-შეშინებული იყო.“

მესამე აბზაცში კი ციტირებული მონაკვეთი ასეთი სახეცვლილებით გვეძლევა:

„მართლაც სიკვდილს ნატრულობდა ზაფხული. უჭირდა სუნთქვა. გულში ჰბორგავდა, კენესოდა ღრმად, თვალებიდან ცრემლი დაპალუპით გადმოსდრიოდა.“

ლოდინის მოტივზეა აგებული ვაჟას ცნობილი „მთანი მაღალნი“ და ამ მოტივის ყველაზე უფრო მკაფიოდ და უშუალოდ გამომხატველი ფრაზა გასდევს მას დასაწყისიდან დასასრულამდე, პირველი აბზაციდან უკანასკნელ აბზაცამდე.

„იდგნენ და ელოდენ. უსაზღვროა მთების მოლოდინი; უსაზღვრო ზღვადა სდგას იმათ გულში...“

„ელოდენ, ელიან და კვლავ ექნებათ მოლოდინი. რა დააშრობს იმათ გულში იმ მოლოდინის ზღვას?“

„სდგანან და ელიან“.

მოტანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ ვაჟას ნაწარმოებებში ასეთი ჩართვები თუმცა შეიძლება ლექსიკურ-ფრაზეოლოგიურად პირდაპირ არ მეორდება, მაგრამ ყველა მათ ლირიკული ფორმა აერთიანებს და ეს ლირიზმი ურთიერთთან მიახლოებულ განცდათა სტრუქტურებს ქმნის.

ნიკო ანდრონიკაშვილი

პიროვნულისა და ეროვნულის პრობლემა ალ. ყაზბეგის შემოქმედებაში

ალ. ყაზბეგის ინტერესის საგანს და, ამდენად, მისი შემოქმედების ცენტრსაც ადამიანი წარმოადგენს. ადამიანის პიროვნება, მისი სწრაფვა სიცოცხლისა და ბედნიერებისაკენ უაღრესად ძვირფასია ყაზბეგისათვის. „ალექსანდრე ყაზბეგს ადამიანი მიაჩნია უსაზღვრო ღირებულებად, რადგან მასში ეგულება აურწყველი წადილები და მიჯნა დაუდებელი სწრაფვა სისრულისაკენ. ერთი სიტყვით ადამიანი სუბსტანციაა, რომელიც თვით არკვევს თავის თავს, თუ შეიძლება ასე ითქვას, და მიტომ არის, რომ ადამიანის ინდივიდუალური ბედისწერა ისე აღელვებს და აფიქრებს ჩვენს ავტორს“¹. თავად ყაზბეგი ამბობს: „ბუნება კარგია მხოლოდ მაშინ, როდესაც შიგ სიცოცხლე ტრიალებს და ბრუნავს, ბრუნავს იმ სიტყვო სიმწარე შერეული ძალით, რომელიც ადამიანის თვით ცხოვრებას შეადგენს. რა არის მთვარე მოკაშკაშე, რომელიც აშუქებს ათას ყვავილებს, თუ იქავ მკერდს არ უდგას სულდგმული, რომელზედაც ასე თუ ისე გავლენა აქვს, ახარებს, თუ ჩაწყვდიადებულ გულს ნუგეშს აძლევს. მე არ ვარ მლოცველი უსულო, უსიცოცხლო საგნებისა, ვერც ჩემი ოცნება, ვერც ჩემი გონება, ვერც ჩემი კალამი ვერ მოუბრუნდება მკედარს, მოქმედება დაკარგულს საგანს“². მართლაც, ყაზბეგის ადა-

¹ ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია, ქუთაისი, 1927, ნაწ. III, გვ. 36.

² ა. ყაზბეგი, თხზ. სრ. კრ. 1948, ტ. V, გვ. 142.

მიანებს აქვთ უღიდუსი შინაგანი ენერგია, მძლავრი საპიციოცხლო პოტენცია. მფეთქავი „იმ სიტკბო სიმწარე შერეული ძალით, რომელიც ადამიანის თვით ცხოვრებას შეადგენს“; ესაა მათი სიყვარული — ხალასი, ბუნებრივი, რაღაც შეურყვნილი პირველყოფილი ძალის. იმავე კოტეტიშვილის თქმით „XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში არ არსებობს მეორე პოეტი, რომელსაც ასეთი სიმძაფრით ჰქონდეს ეროსი აღწერილი, მთელი თავისი პირველყოფილობითა და სტიქიურობით“³. სიყვარული ყაზბეგთან არის ყოვლად ადამიანური, ხორციელი გრძნობა; მაგრამ არის მასში რაღაც ზებუნებრივი, ტრაგიკული. ეს ის ძალაა, რომელიც ადამიანს სიცოცხლეს შთაბერავს, უფერული მასიდან გამოარჩევს და ინდივიდუალობას ანიჭებს. სიყვარული ყაზბეგის გმირებისათვის სისუსტეც არის და ძლიერებაც; ბედნიერების წყაროც და უბედურების საწინდარიც. „ნურვის ეჩვენება აქ ის ჩვეულებრივი რომანების ფაბულა, რომელიც მიმზიდველობისათვის არის ნაგარაუდფევი, — წერს ვახტანგ კოტეტიშვილი, — არა, აქ ქალის სახით არის არაჩვეულებრივი შეხორცება ყოველივე იმისი, რაც მის გმირებს გააჩნიათ ღრმა, მაღალი დაუთმობელი. აქ მარტო სქესობრივი სიყვარული არ არის. აქ საკუთარი მეობის მწვერვალია ყველა იმ ინტიმურ საიდუმლოებათა კონცენტრაცია, რომელიც ადამიანის ფასდაუდებ საუნჯეს შეადგენენ“. სიყვარული ადამიანის სასიცოცხლო ძალას წარმოადგენს. თავის ერთ ლექსში ყაზბეგი ასე აგვიწერს სიყვარულის ძალას:

ნაკვერჩხლებსა, ვით საყვარელს
დასტრიალებს თავზედ ალი,
ზედ აკვდება, ზედ აღნება
დაბარბაცობს ვითა მთვრალი.

.....
რა მოაკლდა მზრუნველობა
საყვარლისა ნაკვერჩხალსა,
ალარ ბრჭყვინავს, არ ედრება
ელვარებით ლალის თვალსა
ქმუნვარებით გულმოკლული
მთლად ფერფლებში გაეხვევა
და შემდეგში საცოდავი
ურგებ ნაცრად გარდიქცევა.
კაცისაცა ბედ იღბალი
ნაკვერჩხლისას ემსგავსება
სიყვარულით გული სცოცხლობს
სისხლი სდუღს და ძლიერდება.

³ ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტ. ისტორია, ნაწ. III, გვ. 75.

უამისოდ სდნება კაცი,
ჭრება ვითა ნაკვერჩხალი.
მას აკლდება მამაცობა,
ეკარგება სიმხნე, ძალი“⁴.

ყაზბეგისათვის სიყვარული ეს ნდომაა, წყურვილია სიცოცხლისა. მისწრაფებაა სიცოცხლისაკენ; „იგი, ვინც სიყვარულს არის მოკლებული, ვერა დროს ვერ ეღირსება გაზაფხულს სულისას.“ ამბობს ვაჟა, ხოლო ვაჟასეული გაგებით გაზაფხული „სხვა არაფერია თვინიერ სიცოცხლისა... მაშ ვიწამოთ სიცოცხლისა და გაზაფხულის ერთგვარობა ერთბუნებოვნება“⁵. სულის გაზაფხულის ცნება არც ყაზბეგისათვის არის უცხო:

„შერცხვა პირქუში ზამთარი
სითბოსა დაუძაბუნდა,
თვით ნისლმა დაუცბრომელი
მთის წვერი ველარ დაბუნდა
მის ადგილს ყველა გაღიმდა
ყველას სიცოცხლე მოუნდა
და თვით ბულბული, თავდახრის
გაფურჩქენალს ვარდზედ დადუნდა.

.
გულს თანამგრძნობი დასკირდა
არ ხერხდებოდა ცალობა
იძახდნენ გაზაფხულია
დიღია მისი წყალობა.
მათ შორის მხოლოდ მე ვიდექ
სიცოცხლე მოწყურებული,
ვერ ვგრძნობდი ჩვეულებრივსა
ზაფხულსა გაყრუებულს.
ველოდი ზაფხულს სულისას
წადილით გაბრუებულს.

.
მას გაზაფხულსა სულისას
დღემდის მკენესაგი მას ველი.
მის მოლოდინით ვსულდგმულობ,
მისი ვარ მარად მლოცველი.
თუ ის არ მექნა? გარდაწყდა
ალარ მერქმევა ცხოველი“⁶.

⁴ ა. ყ ა ზ ბ ე გ ი, ტ. III, გვ. 99.

⁵ ვ ა ჯ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, თხ. სრ. კრ. 1964, ტ. IX, გვ. 383.

⁶ ა. ყ ა ზ ბ ე გ ი, ტ. III, გვ. 111.

„სიყვარულის ფატალური, გამოურკვეველი და მიუწვდომელი ძალაც სავსებით გვაგრძობინა ყაზბეგმა“. — წერს კიტა აბაშიძე. „მართლაც არის სამი მოვლენა კაცის ცხოვრებაში, რომლის ძალა უსაზღვროა, რომლის კანონები გამოუცნობელია, რომლის მიმდინარეობა წარმოებს გარეშე ადამიანის ყოველისავე ლოგიკისა. ეს არის სიყვარული (დასაბამი სიცოცხლისა) თვით სიცოცხლე და სიკვდილი (დასასრული სიცოცხლისა)... ნუთუ გგონიათ სიცოცხლეს ნაკლები ძალა ჰქონდეს სიკვდილზე! იგიც იბრძვის, იგიც იმონებს სულიერსა და უსულოს და ჩვენ ზხედავთ, რომ მისი სამეფო ბევრად უფრო ძლიერია და თვალუწვდენელი, ბევრად უფრო უსაზღვრო და მშვენიერი, ვიდრე სამეუფეო სიკვდილისა, ამ სიცოცხლის დაუძინებელი მტრისა“⁷.

სიკვდილ-სიცოცხლის ბრძოლის თემა ყაზბეგთან ერთ-ერთი ცენტრალურია. როგორც კოტეტიშვილი წერს, „ყაზბეგმა ხევის სიკვდილი გადაშალა სქესობრივი სიყვარულის ფონზე და ამით ორი სიმძაფრე შეახალა ერთმანეთს... სულ საბედისწერო ფინალები, სულ დაღუპვა ორივე მხრივ: სიკვდილით და სიყვარულით... ხევს ჰკლავენ და ეს მკვლელობა გააღმასებულია სიყვარულის კალთაზე“⁸. მაგრამ სიკვდილი ყაზბეგთან არ მოასწავებს „დასასრულს“, იგი აქ უფრო ბრძოლის კატეგორიაა, შეუპოვრობისა და მოუდრეკელობის ტრაგიკული გამოხატულება. ყაზბეგის შემოქმედებაში ძნელად შეხვდებით უაზრო სიკვდილს, ყველა მისი გმირი რალაციისათვის კვდება და ეს „რალაცა“ არის თავისუფლება, სიყვარული, თვით სიცოცხლე; სიცოცხლისათვის სიკვდილი — თითქოს პარადოქსია, მაგრამ ყაზბეგის გმირები მართლაც სიცოცხლისათვის კვდებიან, მათი სიკვდილის აზრი სიცოცხლეშია და ესე იგი მათი სიკვდილი სიცოცხლის გამარჯვებას ნიშნავს, „დამარცხებით გამარჯვებას,“ როგორც ამბობდა რომენ როლანი. ყაზბეგი სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემას წყვეტს რუსთაველური პრინციპით — „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი“; „ჰაი, ჰაი, რომ ვაჟკაცს შერცხვენილს სიცოცხლეს სიკვდილი ურჩევნიან, გაწბილებას ცოცხლად მიწაში ჩამარხვა“⁹. „ერთხელ ნაშობი ერთხელ მოკვდების!.. მაგრამ ვაჟკაცად კი მოკვდი... ისე მოკვდი, რომ ხევს შენი დამახრვა არ ეთაკილებოდეს“¹⁰, ეუბნება გოჩა შვილს და ურჩევნია იგი მკვდარი ნახოს, ვიდრე შერცხვენილი. სახელოვანი სიკვდილი გამარჯვებაა, სიცოცხლის

⁷ კ. აბაშიძე, „ეტრულები“, 1962, გვ. 301.

⁸ ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. III, გვ. 37.

⁹ ა. ყაზბეგი, ტ. I, გვ. 278.

¹⁰ ა. ყაზბეგი, ტ. II, გვ. 295.

განგრძობაა, იგივე სიცოცხლეა, ხოლო ნაზრახი სიცოცხლე, პირი-
 ქით, სიკვდილია. „ეგრეც მკვდარი არა ხარ ბეჩაო“, ეუბნებიან დაგ-
 ლახავებულ ონისეს, როდესაც ის თემობისაგან სიკვდილს ითხოვს
 („მოდღვარი“). „წყეულიმც იყავ, ყველასაგან მოძულეებულ. დედ-
 მამის საფლავიდან ამომგდებო! რა სასჯელი არის, რომ შენ გადაგი-
 წყვიტოთ!... კაცს უღვაში ნამუსისათვის გამოუვა... ონისე ეხლავე
 მკვდარია... მაგის სასჯელი ცეცხლში დაწვაა“¹¹. გოჩა გიჟდება იმი-
 ტომ, რომ მან „დაასამარა“ თავისი შვილი ამ სიტყვის ყველაზე უფ-
 რო საშინელი გაგებით. მზალოს „სიკვდილისაც ისე ეშინოდა, რო-
 გორც თვითონ სიცოცხლისა“, წერს ყაზბეგი. აქ სიკვდილისა და სი-
 ცოცხლის შიში შექმნევევით არ არის გაიგივებული (ამაზე ჭერ კიდევ
 ვ. კოტეტიშვილი მიუთითებდა). მზალოს სიკვდილის როგორც გაქ-
 რობის, ანდა სიცოცხლის როგორც ტანჯვის კი არ ეშინია, არამედ
 მას ეშინია შერცხვენილი სიცოცხლისა და შერცხვენილი სიკვდი-
 ლის. მან ვერ შეასრულა თავისი სასიცოცხლო მოვალეობა, ვერ შეი-
 ნახა სიწმინდე, ვერ მოკვდა ნამუსიანად. ხოლო როდესაც სიცოც-
 ხლე შერცხვენილია, ნაზრახია და სახელოვანი სიკვდილიც შეუძლე-
 ბელია, მაშინ სიკვდილიცა და სიცოცხლაც, ორივე ერთნაირად სა-
 შინელია. „ხანჯალი ხომ ხელში ჰქონდა: თავის ძალის დამტანებელი
 ვერ მოჰკლა? თავის თავი როგორღა დაირჩინა ცოცხალი?... ასე
 ფიქრობდა მზალო და ამისათვის იმის სატანჯველი ერთი ორად უმე-
 ტესი იყო, სანამ იმ ხალხისა, რომელიც საიქიოსგან რომელიმე მო-
 სვენებას მაინც მოელის. სხვას სიკვდილის შემდეგ იმედი მაინცა
 ჰქონდა და ამას კი სიკვდილისაც ეშინოდა, სხვას საიქიოს სატრფოს
 ნახვის სიამოვნების იმედი ჰქონდა და ეს საიქიოსაც ისეთ სატან-
 ჯელს მოელოდა, როგორც სააქაოს“¹².

სიკვდილი ყაზბეგისათვის არ არის ამქვეყნიურ სიამოვნებასთან გან-
 თავისუფლების კატეგორია:

რა ვქნა ოა უყო ტიალმა
 სიცოცხლე მეტად ძნელია
 მოვეკვდე თუ დაერჩე? რო დაერჩე
 ასე სიცოცხლე ძნელია!...
 მოვეკვდე და მიწა, უბრალო
 ვისთვის რა საქმის მქმნელია?
 სთელის ღამე მეტად გაგრძელდა
 დღის მომავლობა ნელია?
 მოვეკვდე თუ დაერჩე? რო მოვეკვდე

¹¹ ა. ყ ა ზ ბ ე გ ი, ტ. II, გვ. 313.

¹² ა. ყ ა ზ ბ ე გ ი, ტ. I, გვ. 44.

მიწა რილასი მქმნელია?
 დავრჩე და ჩვენი ცხოვრება
 ავ შავი მეტად ბნელია!
 მტერს დავემონო? ზოგისთვის
 ეგეც არ არის ძნელია
 ასე ვარ ასე ვიქნები.
 მტრისგან არ მოსალხენია,
 სულ ძირით ამოვებრუნებ.
 რაც ჩვენში მოსათბრელია¹³.

ტანჯვა და „ავ შავი“ ცხოვრება ჯერ კიდევ არ არის სიკვდილის პირობა: „ადამიანი ტანჯვისთვის არის გაჩენილიო“ — ეუბნება ხევისბერი თავის შვილს და ადამიანიც ყაზბეგის მოთხრობებში იტანჯება. მაგრამ ცოცხლობს. თუ ადამიანს ოდნავი შესაძლებლობა მაინც აქვს სიცოცხლისა, მაშინ სიკვდილი უაზროა, ეს უკვე სიცოცხლის ღალატია. ყაზბეგთან სიკვდილი სიცოცხლისათვის არის და არა სიცოცხლე სიკვდილისათვის. გავიხსენოთ ვაჟა-ფშაველას ერთი ლექსი „მოგონება“, სადაც მოთხრობილია, თუ როგორ დასტირის ახლად დაქვრივებული ახალგაზრდა ქალი თავის მეუღლეს და მზადაა „საფლავში დაეტანოს“ მას, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ იგი სხვა ხასიათზე დგება, სიცოცხლე მოწყურებული კვლავ გათხოვებაზე ფიქრობს და „სწადია იპოვოს პირველის მსგავსი ვაჟი“. ვაჟა-ფშაველა სავსებით ბუნებრივად მიიჩნევს ამ ამბავს; ამაში ხედავს იგი ადამიანის სასიცოცხლო ძარღვს. ესაა მისი ოპტიმიზმი.

„ღმერთმა გიშველოს სიკვდილო
 სიცოცხლე შეენობს შენითა,
 და შენც სიკვდილო ფასი გქმ
 სიცოცხლის ნაწუგნობითა.
 სიცოცხლე სიყვარულითა
 და სიყვარული სიცოცხლით.
 უერთმანეთოდ ვერც ერთსა
 ვერ ვიცნობთ ვერცროს ვიცნობდით“¹⁴.

ასეთივე სურათია ა. ყაზბეგის მოთხრობაში „ციცია“. მართალია, აქ ვერ ვხედავთ იმ ნათელ, ხალისიან, მხიარულ ფერებს, რომლებიც ეაქვას ოპტიმიზმისათვის არის დამახასიათებელი, მაგრამ აზრის იგივეობა აშკარაა. „წავიდეთ, ცხოვრება კიდევ შესაძლებელიაო“, — ეუბნება სულთი ციციას და ციციაც თანახმაა. და ეს თით-

¹³ აღ. ყ ა ზ ბ ე გ ი, ტ. III, გვ. 20.

¹⁴ ვ ა ჯ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, ტ. I, გვ. 86.

ქოს გასაკვირია, რადგან ჩვენ ვიციტო ყაზბეგის გმირების თავდავიწყებული სიყვარული სამარის კარამდე. და აი, უეცრად, ციცია „ივიწყებს“ ვაჟიას და მზად არის კვლავ გული გაულოს ბედნიერებას ამჯერად სულთისტან ერთად. რა არის ეს, ჰარადოქსი? თუ გამოწკლისი? ან იქნება ექვი სიყვარულის მარადიულობაში? არა, ეს არის სწორედ ის ცხოვრებისეული ოპტიმიზმი, ის პრინციპი სიყვარულისა და მაშასადამე სიცოცხლის უკვდავებისა, რომელიც ვაჟასთან დავინახეთ და, როგორც ვხედავთ, არც ყაზბეგისათვის ყოფილა უცხო. ეს ის პრინციპია, რომელიც რუსთაველმა გამოხატა სიტყვებში: „ერთი წავე და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“¹⁵. ვაჟა ამბობს:

„სოფლისა წესი ასეა
ჩვენ წაელთ სხვანი რჩებიან
მკვდრების მაგივრად მალეღვე
მეორეები ჩნდებიან.
სიცოცხლეს სიცოცხლე უყვარს
ეს მიტომ დაღვა წესადა
სიკედლილი გაუჩენია
მას თავის გასაკვებადა“¹⁶

ხოლო ყაზბეგი კი წერს:

„ყველგან ეგრეა ზეცოდანვე დაწაობილება;
დღეს ერთი კვდება უღონობით თოქოს აკლდება
და ყველას თვალში მის დაკლება ეჩოთირება,
მაგრამ იმისა მაგივრად სხვა იბადება“¹⁷.

სიკედლილი ყაზბეგისათვის არ წარმოადგენს უკვალოდ გაქრობას, გაარაფრების ტრაგიკულ კატეგორიას. აქვე გავიხსენოთ კიდევ ერთი დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „მესაფლავე“, რომელიც უშუალოდ შემოდის აქ წამოჭრილ საკითხთა რკალში: თუმცა სხვა ეპოქას განეკუთვნება და სხვა განწყობილებებითაა ნაკარნახევი.

„მესაფლავე ახლა კი გაქვს
ნება რაც გსურს, კვლავ რგი თქვა..
სამულდამოდ ასამარებს
კაცთა ხსოვნას სამარის ქვა.

¹⁵ საინტერესოა, რომ ყაზბეგს თავის ხელნაწერებში აქვს ამ აფორიზმის თავისებური ვარიანტი: „ერთი თუ წავე სხვა მოვა, სხვა სხვისა საადგილოსა“ (ა. ყაზბეგის სახელ-მუშეუმის ფონდი).

¹⁶ ვ ა ჯ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, თხ. სრ. კ. ტ. 1, გვ. 263.

¹⁷ ა. ყ ა ზ ბ ე გ ი, ტ. III, გვ. 155.

განისვენეთ, განისვენეთ
დავიწყებულ არსთა ძეგლებო
თქვენს ყოფაში არ ერევა
ცოცხალთ ფიქრი საარსებო...¹⁸

ყაზბეგი და ვაჟა ასე არ წყვეტენ ამ საკითხს. ცოცხალთა „გულ-მავიწყობაში“ ისინი სიცოცხლის გამარჯვებას ხედავენ მხოლოდ და არა ცხოვრების ამოცანას, ყველაფრის წარმავლობას და უკვალოდ დასამარებას. ამას გარდა, ყაზბეგს საერთოდ არ მიაჩნია, თითქოს „სამარის ქვა კაცთა ხსოვნას ასამარებს“:

განა ვინც კვდება სუყველა
იქცევა მიწა-შავადა?

კითხულობს ალექსანდრე ყაზბეგი და პასუხობს:

„კარგის ცხოვრება ყოფილა
ღამისა გამნათებელი,
მოკვდეს დარჩება სახელი
ყველასგან საგონებელი“¹⁹.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სიკვდილ-სიცოცხლის მარადიული შენაცვლების პრობლემას, რომელსაც ვაჟა ფართო, კოსმიურ პლანში წყვეტს, ყაზბეგი ცოტა არ იყოს სხვანაირად უდგება, მასთან იგი უმთავრესად ეთიკურ ასპექტშია წარმოდგენილი. ლექსში „მოკვდეს ვინცა თქვას“ ყაზბეგი ამბობს:

იგი არ კვდება ქვეყნისთვის
ვინც კი თავდადებულია.

აქვს მშათათვის თავის გამწირავს
უკვდავთა შორის წილია.
იგი არ კვდება! შეილთათვის
რჩება სატკბუნო ხილია²⁰.

ყაზბეგმა თავის სახელიანი „კაცად სიკვდილი“ სიკვდილი აღარ არის — უკვდავებასთან ზიარებაა:

„ვინც მოკვდება, კაცად მოკვდეს
შმა ეძახის ალავერდი!

¹⁸ გ. ტ ა ბ ი ძ ე, თხ. სრ. კრ. 1966 წ. ტ. I გვ. 141.

¹⁹ ა. ყ ა ზ ბ ე გ ი, ტ. III, გვ. 140.

²⁰ ი ქ ვ ე, გვ. 139.

ვინც კი ძმობას არ ღალატობს
მან იცოცხლოს ალავერდი

.
ვინც სულს დაღვეს, მის კაცობას
გვიმოწმებდეს მისი მკერდი
და მის სახელს საუკუნოდ
ასხენებდნენ — ალავერდი²¹.

სახელიანი, აზრიანი, კაცად სიკვდილი კი არის სიკვდილი სამ-
შობლოსათვის, მამა-პაპეული წმიდათა-წმიდა საფლავებისათვის,
ერის სულიერი სიწმინდისათვის:

„ძმანო გახსოვდეთ ის კაცი
ვინც ყველგან შევარდენია!
ვისაც ქვეყნისთვის მკერდიდან
ჩუხჩუხით სისხლი სდენია!..
ვინც ერთობისთვის ცხოვრებით
დიდებად მოსახდენია.

.
ვინცა თავის თემს, ერობას
ზედ დაეფრქვევა ცვარადა
ვისაც მათთვისე გადმოჩქეფს
მკერდიდან სისხლი ღვარადა“²².

ამგვარად დაღუპული გმირი არ ქრება. იგი ცოცხლობს თავის
ერში; ცოცხლობს მისი სული, ეროვნულ სულში გამოვლენილი:

სანამ ცოცხალ ვარ ასე ეიქ
გზას არ დაუთმობ მოშარეს.
რაც გაეჩნდი იგიე მოკვდები
იგიე ჩავალ სამარეს.
თავგანწირულსა სიკვდილი
მოუჩინეს ყველა იარებს
რას ეკარგავ? ცაში შეუფე
სამოთხეს დამიზიარებს.
იქ თამარ მეფეს შეეხედები
ჩვენში „პირიმზედ“ ხსენებულს,
წმინდა ქეთევან დედოფალს,
ქვეყნისთვის სპარსეთს წამებულს
ერეკლეს ჩენსა სალოცველს
გრძნობით თუ საქმით დიდებულს
და შოთას ნათელს, სპეტაქსა
ქვეყნისთვის ლამპრად აღგზნებულს²³.

²¹ ა. ყ ა ზ ბ ე გ ი, ტ. III, გვ. 96.

²² ი ქ ე ე, გვ. 73.

²³ ი ქ ე ე, გვ. 29.

მართლაც სამაგალითო საზოგადოებაა; მასშია ერის სიმტკიცე, მისი სულიერი ძალა. ესაა ის უკვდავების წყარო, რომელიც ახალ-ახალ სასიცოცხლო ძალებს შთაბერავს დაუძლურებულ, სიმზნე და-კარგულ და თითქოს განწირულ შთამომავლობას:

აბა ეხლაა ბიჭობა
კაცობის გამორჩენაო
ზოგჯერ ხმალი სჭრის ძალზედა
და ზოგჯერ კაცის ენაო
რითაც გაგვივა, იმით ვჭრათ
იმით შევებათ მტერსაო
გზად დაუჩვენოთ ნაწვალებს
და დაღონებულს ერსაო!
გამოვიჩინოთ კაცობა
და ძალა ძალით დავხაროთ
წასულთ გმირთ ზეცას მსუფვეთა
ჩვენი საქმენი ვახაროთ.
რა წარესდგეთ უთხრათ ამაყად
გამოვიჩინეთ თქვენობა,
შვილთაც დაუგლოთ სახელი
არ ითაკილონ ჩვენობა.
რა წინაპართა სახელით
ისინიც გამხნევდებოდნენ
მტერს — მტრულად, მოყვასს — მოყვრულად
ვაქაყანი დაუხვდებოდნენ²¹.

სწორედ წინაპართა ტრადიციების ერთგულებაში ხედავს ყაზბეგი ეროვნული ძალების აღორძინების პერსპექტივებს და მძივე ტრაგიკულ მდგომარეობაშიც კი ინარჩუნებს ოპტიმიზმს:

ვაჭირვებაში ვაქაყასა
სად სცალის ატირებისთვის?
რაც ძალა მეტი დაადგეს
ის მზადობს ახირებისთვის.
დღეს თუ დაგვჩაგრეს, რა უყოთ
მე რა მაქვს შესატირია?
ჩემთა წინაპართ ვაქაყათა
არ შერცხვენიათ პირია.
სიკვდილი ყველას სცოდნია
თუ შეგეხვდის გასაჭირია,
ვიგლოვოთ ზოგი ახალი
ვინც დღეს უსაქმოდ ხირია.

²¹ აღ. ყ ა ზ ბ ე გ ი, ტ. III, გვ. 92.

ვისაც ციურის სიწმინდე
გულში ცეცხლ ჩაუქრობია
და უკვდავების წყარონი
გულიდან ამოშრობია.

ვისაც გულშეყვრებულსა
ბრძოლიდ არ ერჩის გულია,
ვისაც ამგვარი სიცოცხლე
ტკბილს ნერგად ჩაუნერგია“²⁵.

მაშ ვისაც გმირულ ტრადიციებთან სულიერი კავშირი არ გაუწყ-
კვტია, იგი ინარჩუნებს სიცოცხლისა და თავისუფლების პოტენციას,
ხოლო ვინც ეს კავშირები გაწყვიტა, იგი გლოვის ღირსია, რადგან
„უკვდავების წყარონი გულიდან ამოშრობია“ და ბრძოლად არ ერ-
ჩის გულია“. უბრძოლველად, აქტიური მოქმედების გარეშე კი, მათ-
თვის „ვინც დღეს უსაქმოდ ხირია“, არ არსებობს თავისუფლება.
„თავისუფლება ცოცხლებისათვისაა ხელსაყრელი და არა მკვდრები-
სათვის, — წერს ვაჟა, — იგი გამოიხატება ადამიანის ნდომა მის-
წრათებაში; თავისუფლება მოქმედებაა, განხორციელებაა ნებისა,
აზრისა, გრძნობისა და არა განსვენება, უქმად ყოფნა“²⁶. მაშასადამე
უთავისუფლო სიცოცხლე, სიცოცხლე აღარ არის:

ცოცხალი კი ვარ?! სულ მუდამ
შაებნელად ჩაფიქრებული?
მგმინავ მკენესავი უწყვეტოვ
და სულთქმას გაკირვებულო!
რაა სიცოცხლე მონისა,
ცხოვრება ჩაშმორებული,
როცა ქვემძრომად დასცოცავ
მიწასთან გასწორებული!?”²⁷

ა თავისუფლება ყაზბეგისათვის უპირველესი სასიცოცხლო მოთ-
ხოვნილებაა. მაგრამ თავისუფლება ორგვარია: პიროვნული და ერო-
ვნული. ვაჟას აზრით, „თავისუფლება პიროვნებისა და ერისა ერთ-
ნანეთთან მკიდროდ არის დაკავშირებული. სადაც არაა პიროვნება
თავისუფალი, იქ ერი დამონებულია და დამონებულ ერში, რა თქმა
უნდა, პიროვნებაც მონაა უთავისუფლო, სხვის ხელში სათამაშო
ნიეთი“²⁸.

²⁵ ალ. ყაზბეგი, ტ. III, გვ. 101.

²⁶ ვაჟა ფშაველა, ტ. IX, გვ. 410.

²⁷ ალ. ყაზბეგი, ტ. III, გვ. 74.

²⁸ ვაჟა ფშაველა, ტ. IX, გვ. 410.

ყაზბეგისათვისაც ადამიანის შინაგანი თავისუფლება უპირველეს ყოვლისა ეთიკური ხასიათისაა, რადგან იგი მჭიდროდაა გადაჯაჭვული ეროვნულ თავისუფლებასთან, ხოლო ეს უკანასკნელი (პიროვნებისათვის) გარკვეული აუცილებლობის მატარებელია, რადგან იგი პიროვნებას აკისრებს გარკვეულ მოვალეობას და პასუხისმგებლობას. ყაზბეგისათვის არ არსებობს აბსოლუტური შინაგანი თავისუფლება: ეთოსი არ უპირისპირდება ეთიკას.

ჯანტი თავისუფლების წყურვილს ერთ რიგში აყენებდა სქესობრივ სიყვარულთან. „პირველი რიგის ვნებებია თავისუფლების წყურვილი და სქესობრივი ლტოლვა“.²⁹ — წერდა ის. ყაზბეგისთვისაც ეს ორი ცნება ერთი რიგისაა. თუმცა თავისუფლება მთლიანად არ დაიყვანება სქესობრივ სიყვარულზე. სიყვარული ეს მხოლოდ ნდომაა, წყურვილია თავისუფლებისა, ნდომა დაუოკებელი და სასტიკი. ეს პოტენციაა ადამიანისა, იყოს თავისუფალი, მაგრამ პოტენცია იმდენად ძლიერია, რომ მას შეუძლია თავის სწრაფვაში სიცოცხლისა და თავისუფლებისაკენ გადაქელოს ყოველივე, მასთან თვით სიცოცხლეც და თავისუფლებაც. ეს ძალაა, რომელიც თუ ერთხელვე ამოხეტიავს, ადამიანი ვეღარ იოკებს მას, ვეღარ იმორჩილებს და ამდენად იგი მისთვის უკვე არა თავისუფლებად, არამედ ფატალურ აუცილებლობად იქცევა. ამიტომ ყაზბეგი უპირისპირებს მას მეორე აუცილებლობას — ესაა მოვალეობა, პასუხისმგებლობა, მორალი.

ამგვარად, შინაგანი თავისუფლება ყაზბეგთან ორ აუცილებლობას შორისაა მოქცეული. ერთ მხარეს გრძნობითი, ირაციონალური, ხოლო მეორე მხარეს მორალური საწყისი. ადამიანის თავისუფლება მისსავე არჩევანში მდგომარეობს; მაგრამ საქმე ეხება არა იმას, თუ რას აირჩევს ადამიანი, არამედ იმას, აირჩევს თუ არა იგი. ამასთან არჩევანი უნდა იყოს თავისუფალი, სხვანაირად საქმე გვექნება იძულებასთან. თავისუფალი არჩევანი კი იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ მისი არსი ადამიანისათვის არ არის უცხო, გარეგანი. შინაგანის და გარეგანის (სუბიექტურისა და ობიექტურის) დამოკიდებულება საბოლოო ჯამში სხვა არაფერია, თუ არა საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების პრობლემა. თავისუფალი არჩევანის დროს ადამიანი აცნობიერებს თავის გრძნობებს, თავის ნებას და უქვემდებარებს მათ მორალურ კანონს. პიროვნება, ვინც ახერხებს ამ ორი აუცილებლობის — გრძნობისა და მოვალეობის, ინსტიქტისა და მორალის შეთავსებას, მათი ერთი მიმართულებით წარმართავს

²⁹ К а н т, Полное собрание соч., 1964, т. VI, стр. 515.

— მთლიანია, პარმონიული, იგი თავისუფალია, ხოლო თუ არის ოდნავი წინააღმდეგობა ამ ორ საწყისს შორის, პიროვნება გარე-ბულია, ტრაგიკულია, იგი „უთავისუფლოა“.

ყაზბეგის შემოქმედებაში გრძნობიერის გამომხატველი არის სქესობრივი სიყვარული, ხოლო უმაღლესი მორალური კანონის „კატეგორიული იმპერატივის“ გამოხატულება არის თემი. იგი პიროვნების შინაგანი მორალია, მისი ეთოსის კოლექტიური გამოხატულება, მისი აზრი, გონება და სინდისია. მორალი, ზნეობა ადამიანის ვალდებულებებია სხვა ადამიანების მიმართ, რადგან ადამიანი საზოგადოებრივი არსებაა; ყაზბეგი გვაძლევს ზნეობის, შინაგანი მორალის კრებით სახეს. ყაზბეგის თემი არის გამოხატულება სუბიექტიდან გარეთ გატანილი „კატეგორიული იმპერატივისა“, ამავე დროს, იგი თვით პიროვნებაშივეა, მისი ინდივიდუალური სულის კოლექტიური გამოხატულებაა. ყოველგვარი მორალი, ზნეობა გამოხატულებას პოულობს ადამიანის მოვალეობაში. ყაზბეგის გაგებით კი ადამიანის უმაღლესი, უწმინდესი და უპირველესი მოვალეობა მისი შინაგანი მორალის, „კატეგორიული იმპერატივის“ უმაღლესი და უწმინდესი შინაარსი არის მოვალეობა სამშობლოს წინაშე. კიდევ მეტიც, ყაზბეგს აბსოლუტურად ყველა მორალური დანაშაული საბოლოო ჯამში ეროვნულ დანაშაულამდე დაჰყავს, რადგან შინაგანი მორალის შესუსტება ან მისი დაკარგვა იწვევს პიროვნების გახრწნას, მისი მთლიანობის დარღვევას, რაც თავის მხრივ, როგორც უკვე აღინიშნა, უპირველესი ეროვნული ტრაგედიაა. ამდენად თემი ყაზბეგთან ეს არის ეროვნული სული მამა-პაპის ძეგლებში, მისი სისხლით შორწყულ მიწაში და წინაპართა ტრადიციებში გამოვლენილი. პიროვნება და თემი განუყოფელი არიან, პიროვნება თემშია და თემი პიროვნებაში, იგი (თემი) პიროვნულისა და ეროვნულის დიალექტიკური ერთიანობაა.

ვაჟა-ფშაველასთან თემისა და პიროვნების პრობლემა უფრო მრავალფეროვანია და ამდენად უფრო რთულია, ვიდრე ყაზბეგთან. ვაჟა გვაძლევს თემისა და პიროვნების პარმონიული მთლიანობის სურათსაც („ბახტრიონი“). ამ პოემაში კონფლიქტი თემსა და პიროვნებას შორის არ არსებობს. ამ პოემაში, ისევე, როგორც ყაზბეგთან, თემი ადამიანის უმაღლესი ზნეობრივი კანონის გამოხატულებაა. ასეთივეა თემი პიესაში „მოკვეთილი“, ამიტომ ბახა, რომელიც უპირისპირდება თემს, როგორც მორალურ კანონს, განწირულია მორალური დამარცხებისათვის. მაგრამ ისეთ პოემებში, როგორცაა „ალუდა ქეთელაური“ და „სტუმარ მასპინძელი“ კონფლიქტი

ძალზე მწვავეა და წარმოგვიდგება როგორც კონფლიქტი ინდივიდსა და საზოგადოებას შორის (საზოგადოებრივ საერთოდ, რომელიც აღკურვილია რელიგიური, მორალური, სოციალური თუ სხვა სახის შტამპებით. დოგმებით). ვაქას გმირები ალუდა, ჯოყოლა უპირისპირდებიან ამ საზოგადოებას — იბრძვიან თავისი პიროვნული თავისუფლებისათვის ამ საზოგადოების შიგნით, ამავე საზოგადოების წინააღმდეგ. ხოლო თემი ცდილობს ჩაახშოს პიროვნების ამბოხი, ჩაკლას მასში ადამიანური საწყისები, რომლებიც მას ერთგვაროვანი მასიდან გამოარჩევენ.

ყაზბეგთან ამგვარი კონფლიქტი თემსა და პიროვნებას შორის გამორიცხულია, რადგან თემი ყაზბეგთან ყოველთვის არის იდეალური საზოგადოება იდეალური წყობით, ძველბერძნული პოლისის მსგავსი, სადაც, როგორც მარქსი ამბობდა: „პოლიტიკური სახელმწიფო. როგორც ასეთი, წარმოადგენს მოქალაქეთა ცხოვრებისა და ნების კეშმარიტ, ერთადერთ შინაარსს“³⁰. ცნება „იდეალური“ აქ სავსებით პირობითია, თემი იდეალური საზოგადოებაა იმდენად, რამდენადაც იგი აძლევს პიროვნებას თავისუფლების მაქსიმუმს, ან უკეთ, მინიმალურად ზღუდავს მას, ესაა პიროვნულისა და კოლექტიურის შეთავსების, თანაარსებობის შესაძლებლობის შესაძლებელი მაქსიმუმი. თემი და პიროვნება ყაზბეგთან იმდენად ქმნიან ჰარმონიულ მთლიანობას, რამდენადაც შესაძლებელია ჰარმონიული და მთლიანი იყოს თვითონ პიროვნება. პიროვნება გაცილებით მეტია. ვიდრე თემის უბრალო წევრი, ვიდრე მისი შემადგენელი ნაწილი. მისი სწრაფვა ბედნიერებისაკენ და თავისუფლებისაკენ უსაზღვროა, მისი შინაგანი სამყარო უსასრულო, თვალუწვდენელი. ეს კარგად იცის ყაზბეგმა; მან ისიც იცის, რომ პიროვნების ბედნიერება, თავისუფლების მისი უსაზღვრო წყურვილი ვერ დაკმაყოფილდება მხოლოდ ეთიკური, შემოსაზღვრული თავისუფლებით, რომელიც ორი აუცილებლობის ერთიანობას გულისხმობს. პიროვნება ხშირად ვერ ეტევა ამ ჩარჩოებში და ყაზბეგიც დიდი სიმპატიით გვიხატავს ადამიანებს, რომელთაც დაერღვათ შინაგანი ჰარმონია და მძიმე ტვირთად აწევთ შინაგანი მორალის, მოვალეობის შეგრძნება. ყაზბეგი თანაუგრძნობს ასეთ ადამიანებს, იგი ცდილობს ზრმად ჩაწვდეს მათი მშფოთავი, მოუსვენარი, მაძიებელი სულის მღვლეარებას, გაანათოს მათი არაცნობიერი სამყაროს ბნელით მოცული კუნქულე-

³⁰ К. Маркс, Ф. Энгельс, Сочинения, 1955, т. I, стр. 255.

ბი. მაგრამ იძულებულია დაასკვნას, რომ სრული ბედნიერება მიუღწეველია და რომ ადამიანი „ტანჯვისათვის არის გაჩენილი“ და მას სრული ბედნიერება არ უწყერია; და მიუხედავად იმისა, რომ ყაზბეგს ერთგვარი ოპტიმიზმი შეაქვს ამ პესიმისტურ დასკვნაში: პიროვნების ინტერესებს კოლექტივის ინტერესებს უქვემდებარებს და პირად ბედნიერებას საერთო ბედნიერებას სწირავს მსხვერპლად, მის შემოქმედებას მაინც გამსჭვალავს უდიდესი ტრაგიზმი და განუსაზღვრელი სევდა ადამიანის მარად განუხორციელებელი ბედნიერების გამო. ყაზბეგი ყოველნაირად ცდილობს ამ სევდიანი გრძნობის მიჩქმალვას, მოქალაქეობრივი, ეროვნული პათოსით, მებრძოლი ოპტიმიზმით მის გადაფარვას, მაგრამ სევდა და ტრაგიზმი ყოველთვის ეონავს მისი შემოქმედების ზედაპირზე.

ასეთია ყაზბეგის ადამიანური ტრავმის მალალი ქეშმარიტება. ეს დასკვნა თვით ყაზბეგისთვისაც მტკივნეულია და ტრაგიკული და იგი მკითხველსაც განაცდევინებს ბედნიერების მიუღწევლობით გამოწვეულ ტრაგიზმს. ყაზბეგის ეთიკადიდაქტიურ-დემაგოგიური ხასიათისა კი არ არის, იგი მისი ფილოსოფიის ღრმა შინაარსიდან გამომდინარეობს და შედეგია იმ მძაფრი შეტაკებისა, რომელიც ერთი მხრივ, თვით პიროვნების შიგნით მიმდინარეობს, ხოლო მეორე მხრივ კი, პიროვნებასა (თემსა) და ობიექტურ სამყაროს (ახალი ძალა) შორის.

თემი, როგორც აღვნიშნეთ, იგივე პიროვნებაა, მისი კრებითი სახეა და ამდენად კონფლიქტი პიროვნებისა თემთან გულისხმობს კონფლიქტს თვით პიროვნების შიგნით. ხოლო განდგომა თემისაგან, მასთან დაპირისპირება ეს არის უკვე მოწყვეტა მშობლიური ტრადიციებისაგან, ღალატია ეროვნული სულისა. ღალატია ყოველგვარი ზნეობისა და მოვალეობის და ამდენად საკუთარი ადამიანური მრწამსის, ეს არის ადამიანის განსხვავება³¹. ეს ის ცნებაა, რასაც ვ. კოტე-

³¹ ამ დროს ადამიანი უკუაღდებს რა ზნეობრივ კანონს, თავისუფლება მორალური ცენზურისაგან. იგი თავიდან იცილებს ერთ აუცილებლობას და „თავისუფალი ხდება“ (სინამდვილეში მეორე აუცილებლობის კლანკებში ვარდება; იგი საკუთარი ინსტინქტების, ვნებების მონა ხდება). ადამიანი იქცევა ეგოცენტრიკოსად, ინდივიდუალისტად, თუ იგი ძლიერი პიროვნებაა მაშინ იგი უპირისპირდება საზოგადოებას, საშინო ხდება მისთვის, იგი ნიცშეანურ ზეკაცად იქცევა ანდა „მტარვალად“, როგორც ამბობს ვეფ. ვეფასავე თქმით, ამგვარი ადამიანის მოქმედება ავაზაკურია, ვინაიდან ყოველი ავაზაკი თავისუფლად იქცევა მხოლოდ პირადი სარგებლობისათვის“ (ვეფ., ტ. I, გვ. 412). ხოლო თუ ადამიანი სუსტია, უძლურია, მაშინ იგი ითქვეფება საზოგადოებაში, იქცევა პატარა კაცად და ჰქვინს „მარტოხელათა ბრბოს“, ემონება გაბა-
5. ახალი ქართ. ლიტ. საკ., IV

ტიშვილი „მამის მკვლელობას“ უწოდებდა. გაგი, გირგოლა, აპრა-კუნე. კუხიანი, სოფრო, პორფირუშკა, ჩინოვნიკი ელურიძე — აი, არასრული სია „მამის მკვლელებისა“ ანდა უკვე ობოლ, განსხვისებულ ადამიანებისა.

ყაზბეგის ე. წ. ბარის შემოქმედებაში ადამიანის განსხვისება უფრო აშკარაა, რადგან იქ (ბარში) საერთოდ არ არსებობს თემი. ამდენად „გმირებს“ დაკარგული აქვთ საყრდენი წერტილი — ეროვნული სული, წინაპართა ტრადიციები. ისინი ობლები არიან. „აღზრდილს სხვა გვარტომობის ხალხში, იმას დავიწყებოდა სამშობლო ენა.“ — წერს ყაზბეგი ელურიძის შესახებ, რომელიც თავილობს კიდევ ქართველობას და ევროპელობას იჩემებს: „ეჰ! ქართველები რა? აზიელები „ბასურმანები“ არიან, მაგათ რა იციან ესტეტიკური გრძნობისა!... ეგ ჩვენთვის ევროპელი ხალხისათვის უნდა მოვიყვანოთ“³². აი, ეს ევროპელობა არის, რომ სწყვეტს ელურიძესაც და სხვას კიდევ მრავალს მშობლიურ ნიადაგს და ცხოვრების ორომტრიალში გადაისვრის. სადაც მას მარტო უხდება ბრძოლა არსებობისათვის, არავინ ჰყავს ხელის მიმწოდებელი და მხარის მიმცემი. „გაუმარჯოს მეგობრობასა“-ო — დაიძახებს ანტრეპრენიორი, როდესაც ელურიძეს გააბრიყვებს და ეს მართლაც უწმინდესი გრძნობა მის სიტყვებში ბოროტ პაროდიად ისმის. „განსხვისების ცნების ნათელ ილუსტრაციას — წერს ამერიკელი ფილოსოფოსი და ხელოვნებათმცოდნე სიდნი ფინკელსტაინი, — წარმოადგენს დევიდ რიზმანის სოციოლოგიური გამოკვლევების სახელწოდება „მარტოხელათა ბრბო“: „ბრბო“ წარმოადგენს ადამიანთა კრებულს, რომელთა კავშირი ერთმანეთთან აქცევს მას დამოუკიდებელ ორგანიზმად. „მარტოხელათა“ ბრბოში ადამიანები განსხვისებულნი არიან. მათი შემაკავშირებელი ჯაჭვის რგოლები აღიზიანებენ მათ, როგორც ხელბორკილი. ურთიერთობა და ურთიერთგაგება ადგილს უთმობს განსხვისებასა და მტრობას. რაც უფრო მკიდროვდება ჯაჭვი მით უფრო ძლიერდება განსხვისება“³³.

მარტოხელათა ბრბო, ეს მშვენიერი დახასიათებაა ბურჟუაზიული ინდივიდუალიზმისა, რომელიც პირველ პლანზე სწევს არა ინდი-

ტონებულ საზოგადოებრივ კანონს და მორალს, თუმცა საკუთარი შინაგანი მორალისაგან განძარცული, ყოველ წუთს მზადაა გამოაჩინოს კლანჭები და თავის ალერახსნილი ინსტრუქტებს მისცეს გასაქანი.

³² ალ. ყ ა ზ ბ ე გ ი, ტ. I, გვ. 419.

³³ Ф и н к е л ь с т а и н, Экзистенциализм в Американской литературе, 1967, стр. 152.

ვიდის, როგორც საზოგადოების წევრის კეთილდღეობას, არამედ ერთეულის წარმატებას, მისი პირადი ინტერესების წარმატებას. რომლებიც ხშირად უპირისპირდება სხვა ადამიანთა ინტერესებს. ზურჯუაზიული ინდივიდუალიზმისათვის ნიშანდობლივია ვაჭრული საქმოსნობისათვის დამახასიათებელი წესებისა და კანონების გაცრცელება ადამიანთა ურთიერთობაზე:

— „ოცდაათუმნიანი ცოლი!... შეუძლებელია!...“

— რა შეუძლებელია?... ვინ იყო შენზედ უკეთესი ვინც ცოლები შეირთეს?

ეგ ღმერთზედ შევადგოთ, იქნებ უფრო მდიდარიც ვიშოვნოთ, არამც თუ ოცდაათ თუმნიანი“³⁴.

ამგვარ საქმოსნურ დამოკიდებულებას ქორწინებისადმი მივყევართ ოჯახურ განსხვავებამდე: „ანგარებით ქორწინება, ორივე შემთხვევაში, ხშირად იქცევა ხოლმე ყველაზე უხემ პროსტიტუციად“³⁵ — წერდა ენგელსი. ასეთი განსხვავებული ოჯახური მდგომარეობის წინააღმდეგ იბრძვის მარი (განეიცხული), მაყვალა (მოძღვარი). იგივეს ვხედავთ რომანში „თავის მახეში“. ქმარი თუ არ გიყვარს, რილასთვის თხოვდებოდიო, ეკითხება ლევანი მარის. „აბა ჰკითხე გათხოვილებს? ბევრს გამოურჩევიათ თავის გუნებაზედ ქმარი? ბევრი გათხოვილა თავის სურვილით?... მომეტებული წილი ქალებისა სულ ასე თხოვდებიან. არც განსაკუთრებული ბრძოლა, არც მკაცრი უარა. რადგანაც ზოგნი დამონებულნი არიან, ზოგთ ბავშურის გამოუცდელობით მარტო გათხოვება მიაჩნიათ ცხოვრების საგნად“³⁶.

ყაზბეგის „ბარის გმირები“ სუსტნი არიან, უნიათონი, მოწყვეტილნი მშობლიურ ფესვებს, ისინი გადასროლილნი არიან ცხოვრებაში და მიტოვებულნი საკუთარი თავის ანაბარად, მათ არ ჰყავთ არც მამა, არც ძმა, არც მეგობარი, არა ჰყავთ არც დამტირებელი, არც შურის მაძიებელი და არც მომგონებელი სიკვდილის შემდეგ. ისინი პატარა ადამიანები არიან და ისევე შეუმჩნევლად ქრებიან, როგორც შეუმჩნევლადაც ცხოვრობენ ამ ქვეყნად. მათი ყოფნაც და არყოფნაც ერთნაირად უფერულია. მათთვის უცხოა მძლავრი ვნებები და ამადლებული გრძნობები. მათი სიყვარული უსუსურია და ხშირად სასაცილოც: „ელურიძე დააკქერდა, თვალები რაღაცნაირად გაუბრწყინდა. ისეც სმისგან გაწითლებული, ეხლა მოხარშულს კარხალს დაემსგავსა და სულთქმა გაუხშირდა. სიტყვით ამ წუთებში თევ-

³⁴ ალ. ყაზბეგო, ტ. V, გვ. 116.

³⁵ К. Маркс, Ф. Энгельс, Избранные произведения, 1955, т. II, стр. 217.

³⁶ ალ. ყაზბეგო, ტ. II, გვ. 179.

დორე აღარ იცნობოდა! საზოგადოდ ჩუმი, წყნარი, თავდაპირველი ელურიძე ეხლა რაღაც ალტაცებაში იყო და სიცოცხლით სავსე დონე-უქანს წარმოადგენდა, რომლის მოუსვენრობაც თავდავიწყებამდინ მიდიოდა“³⁷. რამდენი მწარე ირონია ამ სიცოცხლით სავსე დონეუქანის დახასიათებაში, რომელიც ცოტა ხნის შემდეგ „პირველში აცუნტრუეებული, ერთბაშად შესდგა, რადგანაც დაინახა, რომ იმის საქმე არ არის აქტრისების პრიმადონების დევნა, რომ ეს სიამოვნება ძნელი მისაღწევიც არის და ძვირადღაცა ჯდება; ამას გარდა შეამცნივა, რომ ყოველთვის სამასხარაოდ . ჰყავთ გახდილი და მიანება თავი“³⁸. საზოგადოებაში, სადაც ინდივიდუალიზმი და ეგოიზმი მეფობს, ძნელია ქეშმარიტი ზიყვარულის არსებობა, ხოლო ადამიანებისათვის, ვინც ამ საზოგადოების მანკიერებითაა შეპყრობილი, ეს ხალასი გრძნობა საერთოდ მიუწვდომელია. მარი ამბობს თავის ქმრის შესახებ: „თუ ხანდისხან მოისურვებს ჩემს მოხვევას, ვგონებ საზიზლარი არ ვიყუე... თუ ეშინიან ჩემი თავის დანებებისა, და უნდა თავის საკუთრებად მიყუროს მანდაც თავის თავის სიყვარულია და არა ჩემი; იმას ეშინია, რომ სხვა არ ვარჩიო იმის თავს და ამის მეტს ის არ ჰგრძნობს... იმას რომ ვუყვარდე, ის რომ პატივის მცემდე, განა ნებას მისცემს ვისმეს, რომ მასხარად ამიგდონ?“

— შენ თვითონ არ ამბობ ჩვილის ხასიათისა არისო.

— დიად და მაგგვარ ხასიათს არც შეუძლიან სიყვარული“³⁹.

არც დადებით გმირებს (ლევანი, თეიმურაზი, მარი, ფათი) გააჩნიათ ის მძლავრი პოტენცია, რითაც ასე გვხიბლავენ ელგუჯა ან იაგო. ეს კი გამოწვეულია ისევ და ისევ იმ სულიერი საყრდენის უქონლობით, იმ მოწყვეტილობით და განმარტოებით, რაც მათთვისაა დამახასიათებელი. ისინი თუმცა კი ვერ ურიგდებიან ობიექტურ სინამდვილეს, მაგრამ არ შესწევთ ბრძოლის, აქტიური წინააღმდეგობის ძალა. მათი ამბოხი პასიურია და უმთავრესად იმაში გამოიხატება, რომ ისინი თავად არ ხდებიან ამ ახალი ურთიერთობის ყურმოკრილი მონები, არ იმსკვალებიან ახალი სენით და სხვას თუ ვერაფერს, ზიზლსა და საკუთარ შეუბღალავ ადამიანობას მაინც უპირისპირებენ მას.

³⁷ აღ. ყ ა ზ ბ ე გ ი, ტ. I, გვ. 418.

³⁸ ი ქ ვ ე, გვ. 420.

³⁹ ი ქ ვ ე, ტ. II გვ. 120.

! მაგრამ ყაზბეგი ვერ ურიგდება პასიურობის, კირთათმენის ან-
და ჩუმი პროტესტის სინამდვილეს:

„ჩემო იღბალო! კაცობა
ვით დაავიწყდა ქულოსანს?
მათ შორის ერთი ლომგმირი
ნუთუ სრულიად არსად სჩანს?
ვით სჩემობს დასამცირებელს
მონობას, მითხარ: ამდენ ხანს
ერთხელ ხმალს ფხიანს ვერა სცდის
მარადის გულის მოსაფხანს?!

.....
ჩემო იღბალო! ესეც სთქვი
რით სჯობს სიციცხლე სიკვდილსა
მით თუ რომ შიში ცოცხალსა
ხურავს დიაცის მანდილსა?!
ან თუ ელიან რევეენნი
აღუსრულებენ წადილსა
უმსხვერპლოდ თავისნებითა
ვაფურთხებ მაგვეარ ქადილსა!“⁴⁰

ყაზბეგი მიისწრაფვის აქტიური ბრძოლის, გმირებისა და შუ-
რისგების სინამდვილისაკენ. ასეთი სინამდვილე კი მას მთაში, მშობ-
ლიურ ხევში ეგულება. ყაზბეგს მთაში იდილიური თავშესაფარი,
გარე სამყაროს მოწყვეტილი მყუდრო ნავსაყუდელი კი არ უძებ-
ნია, იგი არსად გაქცევია არსებულ სინამდვილეს. აქ, მთაში კიდევ
უფრო რელიეფურად იჩენს თავს ბარის კონფლიქტები. ახალი ძალა
აქაც უღმობელად მოიწევს წინ ტრაგიკულ ბედისწერასავით და
აქაც საანზუა იგივე ფეხქვეშ გათელილი ადამიანური უფლებები.
მაგრამ აქ, მთაში ეგულება ყაზბეგს მეზობლი, გმირული სულის
ადამიანები, რომელთა ბრძოლა შეაჯალო დამარცხებისათვის გან-
წირული, მაგრამ თვით ფაქტი ბრძოლისა, შეურიგებლობისა. აქტი-
ვობისა და შურისგებისა ხიბლავს ყაზბეგს და ატყიცებს მასშიც და
მკითხველშიც ადამიანის რწმენას. ყაზბეგმა მიაშურა გმირებს, რომ-
ლებიც არ ურიგდებიან თვით ბედისწერას, თავს არ უხრიან მას. პი-
რიქით, ხმლითა თუ თოფით ხელში ებრძვიან და იღუპებიან. თავი-
სუფლების, ადამიანობისათვის ბრძოლაში სიკვდილი — აი რა გაზო-
ავლენს ადამიანში ქვეშაბრტად ადამიანურს. სვიმონ ჩოფიკაშვილი
ყაზბეგის დადებით გმირთა რიცხვს მიეკუთვნება, ავტორის სიჰაათი-
ები მისადმი აშკარაა, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ სვიმონი არ არის
იკ გმირი, რომელიც ყაზბეგს იდეალურად მიაჩნია — ასეთი გმირი

⁴⁰ ა. ყ ა ზ ბ ე გ ი ტ. III, გვ. 24.

უფრო ელგუჯაა: ყაზბეგისათვის უცხოა თუნდაც ბრძნული, მაგრამ მაინც შემრავებლური პოლიტიკა, რომელსაც სვიმონი ატარებს. ყაზბეგმა კომპრომისები არ იცის, იგი მაქსიმალიზმის მომხრეა. ან ყველაფერი ან არაფერი — ასეთია ყაზბეგის კრედო. ამიტომ მისთვის მბალშემატული ელგუჯა უფრო ძვირფასია, ვიდრე გონებაგამჭირბისი სვიმონი.

„ბარიდან“ ყაზბეგი პასიური, უმოქმედო გმირებს „გამოექცა“. მისთვის ხსნა და გამოსავალი მძლავრ ეროვნულ ფესვებთან დაბრუნებაა. იქ გრძნობს იგი ნამდვილ სასიცოცხლო ძალას. „ამ ხალხში დავიბადე. — წერს იგი, — აქვე ვწოვდი მთიელი დედაკაცის რძეს, რომელიც მთლად იყო შემდგარი მთის დიდებულებით აღსავსე ბუნების ნაწილებისაგან... ვიზრდებოდი მათ შორის და სანექტარო ნიავეთან ერთად სმენასა სწვდებოდა ნანა ჩემის მწოვებელისა, რომელიც იძახდა: ვინ თავიანთს არ სთვისობს, მას აღმზრდელის რძე პირიდან წამოუყვარა... და შემდეგ თუმცა ყოველმა შემთხვევამ, თუნდა ავიღოთ თბილისის ასე წოდებული მოწინავე — მოთავე ხალხში ტრიალმა ვერ დაიმორჩილა ჩემი შემადგენელი ნაწილები, ვერ შეიპყრო და ვერ გარყვნა მათი ძალა და დღემდის ჩემის სისხლის შემადგენელნი არიან მთის ნაკადულში შეკრული რკინა და კლდეთ შორის ნაჩეჩქვი წვეთები“⁴¹. ყაზბეგის იდეალი სწორედ ისეთი ადამიანია, ვისაც „აღმზრდელის რძე“ შერგებია, ვისაც მყარად შეუთვისებია ის წმინდა ადათები და წესები, რომელიც „ხალხის გონივრებამ მიიღო და დაადგინა თავის ერობაში“... რადგან „ოდესმე ყოვლად შეუძლებელია, რომ ჩვენი ცხოვრების პირობათა თავიანთი დასაწყისი ამ წარსულიდან რა მიიღონ“⁴².

ყაზბეგის შემოქმედების ცენტრი, როგორც ვთქვით, ადამიანია, მაგრამ არა განყენებული, აბსტრაქტული, განმარტოებული და მოწყვტილი ყველას და ყველაფერს, ანდა დაპირისპირებული და ანტაგონისტურად განწყობილი გარე სამყაროს მიმართ, არამედ ადამიანი როგორც სოციალური არსება, მატარებელი და გამომხატველი ეროვნული სულისა. ადამიანი ყაზბეგისათვის ესაა ერთის მხრივ თვითმყოფადი ინდივიდუალობა, „სუბსტანცია, რომელსაც აქვს მიჯნა — დაუდებელი ზრახვები და მისწრაფებები“, მიიღტვის უსასრულობისა; იგი, მაგრამ ამავე დროს არის სასრული, მოკვდავი და ამდენად ტრაგიკული; მეორე მხრივ კი ადამიანი ყაზბეგთან არის ნაწილი მთელისა, გვარეობრივი არსება, ეროვნული სულის გამოვლინება და როგორც ასეთი, უკვდავია.

⁴¹ ა. ყ ა ზ ბ ე გ ი, ტ. V, გვ. 172.

⁴² ი ქ ვ ე, გვ. 142.

ეროვნულის და პიროვნულის დიალექტიკური ერთიანობა, არის ყაზბეგისათვის საწინდარი როგორც ერის, ისე პიროვნების თავისუფლებისა, ძლიერებისა და უკვდავებისა. პიროვნება მხოლოდ მაშინ იქცევა პიროვნებად, როდესაც მას ზურგს უმაგრებენ ეროვნული ტრადიციები, ასაზრდოებენ მძლავრი ეროვნული ფესვები. თავის მხრივ, ერის სიმხნე, მისი სიცოცხლე დამოკიდებულია პიროვნებებზე, რომლებსაც აქვთ თავიანთი საკუთარი შინაგანი სასიცოცხლო ძალა და ამ ძალას ახმარენ. ეროვნული სულიერი სიწმინდის შენახვასა და განმტკიცებას.

შალვა რაბიანი

გაზეთი „ტფილისის უწყებანი“

(ნარკვევი)

პირველი ქართული გაზეთის („საქართველოს გაზეთი“) დახურვიდან (1821 წელი) შეიღი წლის შემდეგ როგორც იქნა მოხერხდა ახალი პერიოდული ორგანოს დაარსება. 1828 წელს 4 ივლისს მკითხველმა საზოგადოებამ მიიღო გაზეთ „ტფილისის უწყებანის“ პირველი ნომერი.

„ტფილისის უწყებანი“, ისევე, როგორც მისი წინამორბედი „ქართული გაზეთი“, დამოუკიდებელი გამოცემა არ ყოფილა. იგი იბეჭდებოდა რუსული გაზეთის პარალელურად, „ტფილისის უწყებანი“ არსებითად „ტიფლისკიე ვედომოსტი“-ს ქართულ თარგმანს წარმოადგენდა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „ტიფლისკიე ვედომოსტი“ გაცალებით უფრო ფართო პროგრამით გამოდიოდა და შინაარსითაც უფრო საინტერესო იყო, ვიდრე „გრუზინსკაია გაზეტა“, ამიტომ, ცხადია, მისი ქართული ასლიც ბევრად სჯობდა „ქართულ გაზეთს“. მიუხედავად ამისა, თუ ეროვნული ნიშნის მიხედვით განვსჯით, ვერც „ტფილისის უწყებანი“ დაიპყრს რაიმე განსაკუთრებულ ადგილს ქართული ჟურნალისტიკის განვითარების ისტორიაში.

სრულიად გასაგები მიზეზების გამო „ტფილისის უწყებანმა“ ვერ მოახერხა ეროვნულ ნიადაგზე დგომა, ვერ ჩაიხედა ქართველ მკითხველის სულში, ვერ გაუსწორა თვალი ცოცხალ სინამდვილეს და ბუნებრივია, გასული საუკუნის 20—30-იანი წლების მიჯნაზე სოციალური და ეროვნული ჩაგვრის მარწუხებში გათანგული ერის ვნებათა ღელვა გაზეთის თვალსაწიერის მიღმა დარჩა.

„ტფილისის უწყებანიც“, მსგავსად „ქართული გაზეთისა“, ცარიზმის კოლონიური, დიდმპყრობელური პოლიტიკის პროპაგანდი-

სტი იყო. მის უშუალო მიზანს შეადგენდა, კეთილისმყოფელობის საფარით დაუფლებოდა აბორიგენტა გონებას, რათა დამორჩილებულ სხეულთან ერთად მოთვინიერებული ქართული ეროვნულ-სულიც ყოველისშემძლე იმპერატორის სამსახურში ჩაეყენებინა.

ეს იყო უმათავრესი საზრუნავი, „სარგებელი“, როგორც ერთ საბუთშია ნათქვამი, რასაც ქართული გაზეთიდან მოვლოდნენ.

აი, ეს საბუთიც:

„Хотя предложено было издавать „Тифлисские ведомости“ сначала на одном российском языке, а грузинский перевод прибавить впоследствии, если сие окажется необходимым, и на сем основании впоследствии высочайшее соизволение, но господин тифлиссский военный губернатор, при подробном исследовании предметов, входящих в состав сего периодического сочинения, находя, что нельзя надеяться ожидаемой пользы, если сие ныне же не будет выходить с упомянутым переводом, считает нужным исходатайствовать належащее на сие разрешение“¹.
თუ როგორია ამ „სარგებლის“ კონკრეტული შინაარსი, ან რა აწონდაწონა სამხედრო გუბერნატორმა ასე გულდასმით, ქვემოთ კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდება, აქ კი ხაზი უნდა გავუსვათ ერთ გარემოებას.

ყოველ მოვლენას, როგორც ცნობილია, ორი მხარე გააჩნია. ამ ქვეშარტების უგულებელყოფა კი აგვაცდენდა კვლევა-ძიების სწორი გზიდან. ეს ფაქტორი უთუოდ გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რათა ზოგადად მაინც მართებულად შევაფასოთ გაზეთ „თბილისის უწყებანის“ როლი ქართული ეურნალისტიკის ისტორიაში. მართლაც, თუ ამ პერიოდული გამოცემის არსებობას წმინდა უტილიტარული თვალსაზრისით გავსინჯავთ, იგი ნამდვილად შეიძენს გარკვეულ ფასს და აზრს ქართული ბეჭდვითი სიტყვის განვითარების ასპექტში.

კერ ერთი, არ უნდა დავივიწყოთ, რომ გააუთლი საუკუნის 20-იან წლებში რუსეთის უზარმაზარ იმპერიაში ეურნალ-გაზეთები გამოდიოდა მხოლოდ რუსულ ენაზე:

მცირე ერებთაგან მხოლოდ საქართველოში ქართულ ენაზე ისტამბებოდა ყოველკვირეული გაზეთი „ტფილისის უწყებანი“. შემდეგ: პერიოდული ორგანოს დაარსება რომ იოლი საქმე არ არის, სა-

¹ ცსსა, ფონდი 16, საქ. 3823. ფურ. 6. ვიზუალები მ. გოცაძის წიგნიდან „ქართული ეურნალისტიკის ისტორია“, 1954, გვ. 79.

ყოველთაოდ ცნობილია. იგი უპირველეს ყოვლისა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას მოითხოვს. ამიტომ ქართულ ენაზე გაზეთის გამოცემელს, ნებისთ თუ უნებლიეთ, ქართული სტამბის და შრიფტის გამართვაზეც უნდა ეზრუნა. ეს კი ძალაუნებურად ერის სულიერ ცხოვრებაში ახალ ტრადიციას უყრიდა საფუძველს, რასაც თავის დროზე სასარგებლო ნაყოფი უნდა გამოეღო. ამასთან, მართალია. „ტფილდის უწყებანი“ რუსული „ტიფლისკიე ვედომოსტი“-ს თარგმანი იყო, ინფორმაციული ცოდნის გავრცელების თვალსაზრისით. მაინც დადებით როლს ასრულებდა. მკითხველი ზოგ რამეს მაინც გებულობდა იმპერიის სატახტო ქალაქების თუ ევროპის სახელმწიფოთა ცხოვრებიდან, ან უშუალოდ იმ საბრძოლო ოპერაციების შესახებ, რომლის დროსაც ქართველთა სისხლიც იღვრებოდა. გაზეთის ფურცლებზე აქა-იქ გამოჩნდებოდა ხოლმე ცნობა ბატონისა და ყმის ურთიერთობის შესახებაც, რაც ისტორიული დოკუმენტის მნიშვნელობას იძენს.

აღსანიშნავია ის უთუოდ მნაშენელოვანი გარემოება, რომ რუსული ენიდან გაზეთის ქართულ ენაზე თარგმნის შემთხვევაშიც კი ქართულ სინამდვილეში ფეხს იკიდებდა და ყალიბდებოდა ე. წ. „ვაზეთის, პრესის ენა“, რომელსაც თავისი სპეციფიური ბუნება გააჩნია. ამასთან მთარგმნელი იძულებული იყო, შესაძლებლობის ფარგლებში, ბევრი რუსული გამოთქმის თუ ტერმინის ქართული შესატყვისი მოეძებნა, მკითხველისათვის განემარტა ზოგი ახალი სიტყვა და სხვ. ყოველივე ეს ქართული ენის დიპაზონის ერთგვარი გაფართოების, „პრესის ენის“ დამკვიდრების თუ საერთოდ ბეჭდვითი საქმის წინსვლის ხელშემწყობი ფაქტორები იყო და ბოლოს, როგორც არ უნდა ცდილიყო მეფის ადგილობრივი ხელისუფლება, ქართულ გაზეთთან უშუალო კონტაქტი მაინც ქართველ კაცს ჰქონდა, კაცს, რომელიც დღენიადაც თავისი მამულის აღორძინებისათვის ილწვოდა და მისი განთავისუფლებისათვის უთანასწორო ბრძოლაში დაღლია სული. ეს იყო სოლომონ დოდაშვილი. ს. დოდაშვილი და მისი თანამზრახველები კარგად ხედავდნენ რა იარაღიც იყო გაზეთი ხელისუფალთა ხელში, მაგრამ მათ თვით ფაქტი ქართულ ენაზე პერიოდული ორგანოს არსებობისა, იმ ჯოჯოხეთურ დროში მაინც ღვთის წყალობად მიაჩნდათ. მათ ურყევად სწამდათ, რომ ეს გულცივი ოფიცოზი მუდამ მიუკარებელი ვერ იქნებოდა და ოდესღაც მაინც მის ფურცლებზე აწყობილ სტრიქონებს შორის უსათუოდ ჩაიბუდებდა ქართული ეროვნული სული.

ასე წარმოგვიდგება ჩვენ გაზეთ „ტიფლისის უწყებანის“ ზოგადი პროფილი, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

ახლა კი უფრო კონკრეტულად შევეხებით „ტფილისის უწყებანის“ დაარსებისა და სარედაქციო-ტექნიკური მუშაობის საკითხებს.

გ ა ზ ე თ „ტფილისის უწყებანის“ დაარსება და
სარედაქციო-ტექნიკური მუშაობის საკითხები

დაარსება. 1828 წლის 4 ივლისს გამოვიდა გაზეთ „ტფილისის უწყებანის“ პირველი ნომერი. ამ თავისთავად დიდმნიშვნელოვან მოვლენას წინ უსწრებდა ხანგრძლივი ფიქრისა და განაჯის, პოლიტიკური ანგარიშიანობის და „სარედაქციო“ პრინციპების შემუშავების პერიოდი.

რაზე ფიქრობდნენ და მსჯელობდნენ „ტფ. უწყ.“ მესვეურები? ან ვინ იყვნენ ის ადამიანები, რომელთაც ასე გულთ ეწადათ ქართულ ენაზე გაზეთის გამოცემა?

თავის დროზე ზ. ჭიჭინაძე აღნიშნავდა, რომ ახალი ქართული გაზეთის დაარსების იდეა პეტერბურგსა და მოსკოვში მცხოვრებ ქართველ მამულიშვილებს დაებადათო. ამ იდეით ფრთაშესხმული მოდიოდა ს. დოდაშვილი თბილისში² და სხვ.

მკვლევარი მ. გოცაძე არ იწყნარებს ამ აზრს და დაბეჯითებით მიუთითებს, რომ ქართულ ენაზე გაზეთის არსებობის აზრი ადგილობრივ ოფიციალურ ხელისუფლებას ეკუთვნისო.

„... არ არის მართალი ის, რომ ზ. ჭიჭინაძე ახალი გაზეთის დაარსების შესახებ ცნობებს საქართველოს გარეთ ეძებს. ნამდვილად კი ასეთი ცნობები პირველ ყოვლისა უნდა ვეძიოთ თვით საქართველოში, ვინაიდან საუბარი გაზეთის დაარსების შესახებ ჯერ სწორედ აქ მიმდინარეობდა. „ტფილისის უწყებანზე“ საუბარი პირველად სწორად აქ იყო. 1827 წლის 31 ივლისს საქართველოს მთავარმართებელი თბილისიდან პეტერბურგში სწერდა:“

„Я полагаю бы полезным на предбудущее время, учредить в Тифлисе периодическое издание... Газета сия могла бы издаваться на российском языке. Со временем можно присовокупить к оному и грузинский перевод“³.

მკვლევარი მ. გოცაძე სავსებით მართალია, რომ გაზეთ „ტფ. უწყ.“ ქართულ ენაზე გამოცემის უშუალო ინიციატორი ადგილობრივი ხელისუფლება იყო, მაგრამ საქმე ისაა, რომ ზ. ჭიჭინაძეს არ-

² ზ. ჭიჭინაძე, ს. დოდაშვილი, 1892, გვ. 15, 16.

³ მ. გოცაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, 1954, გვ. 81.

სად არ უთქვამს ქართველი მამულიშვილები და მათ შორის ს. დოდაშვილი მაინცდამაინც „ტფილისის უწყებანის“ გამოცემას აპირებდნენო. ზ. ჭიჭინაძე მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ პეტერბურგის ქართველობა ოცნებობდა თბილისში მშობლიურ ენაზე პერიოდული ორგანო გამოეცაო. ამ აზრით შთაგონებული ბრუნდებოდა ს. დოდაშვილი საქართველოში 1827 წელს. ეს აზრი, რა თქმა უნდა, სწორია და ზ. ჭიჭინაძეს საყვედური არ ეკუთვნის.

ამგვარად, როგორც ზემოთ ციტირებული საბუთიდან ჩანს, ჯერ კიდევ 1827 წელს საქართველოს მთავარმართებელს თხოვნით მიუმართავს უზენაესი ხელისუფლებისათვის თბილისში რუსული გაზეთის დაარსებისა და აგრეთვე მისი ქართული თარგმანის დაბეჭდვის შესახებ. ზემოთ მოტანილი დოკუმენტიდან ისიც შევიტყვეთ, რომ ქართულ ენაზე გამომავალ გაზეთს პირდაპირი „სარგებლობა“ უნდა მოეტანა ხელისუფლებისათვის. მაგრამ კონკრეტულად მაინც როგორი უნდა ყოფილიყო გაზეთის საერთო პროფილი, მისი მიმართულება, ან უშუალოდ რამ შთააგონა საქართველოს მთავარმართებელს, რომ ახალი გაზეთი ეწყალობებინა ქართველთათვის? ამ კითხვებზე, ვფიქრობთ, ამომწურავ პასუხს იძლევა გენერალ პასკევიჩის მიმართვა რუსეთის იმპერიის ბეკდვითი სიტყვის „მეურვის“. სახალხო განათლების მინისტრისადმი, რომელიც დათარიღებულია 1828 წლის 28 აპრილით:

„ირანთან ომის განწავლობაში, — წერს პასკევიჩი, — ხშირად იქმნებოდა აუცილებლობა, რომ მიგვეცა კავკასიის მხარის მცხოვრებთათვის ცნობები იმ ამბების შესახებ, რომელშიაც ისინი ღებულობენ ყველაზე ახლობელ და ცხოველ მონაწილეობას. უკანასკნელმა გარემოებამ შემაძლებინა მე ნებართვა მიმეცა სამხედრო გუბერნატორისათვის, რომ მას გამოეცა ამ ამბების შესახებ ყველასათვის გასაგებად სხვადასხვა სახის განმარტებანი ყველა ადგილობრივ ენაზე (რას გულისხმობს იგი. ქვემოთ ვნახავთ — შ. რ.).

მაგრამ ჩემს მიერ მიღებული ზომები არადაამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა და აგრეთვე მიუღებელი, ვითარცა მომავალშიაც მუდმივად გამოსაყენებელი ღონისძიება. ამ გარემოების შესახებ მე ვაცნობე უმაღლესობის ყურადღებამდე მისივე უმაღლესობის მთავარი შტაბის უფროსის მეოხებით და წარვადგინე თუ რამდენად აუცილებელია და სწავარგებლო, რომ შევუდგეთ ტფილისში პერიოდულ ორგანოს გამოცემას, რომელიც განთავისუფლებული იქნება ყოველგვარი პოლიტიკური მიზნებისაგან და უნდა შეიცავდეს მხოლოდ ოფიციალურ ცნობებს. სხვადასხვა განცხადებებს, უმთავრე-

სად ახალ ამბებს, რომელნიც ამ მხრისათვის უფრო საინტერესოა და საერთოდ ყოველგვარ ცნობებს, რომლებიც ეთანხმებიან მთავრობის შეხედულებებს. მე მხედველობაში მქონდა აგრეთვე ის გარემოება, რომ ეს წამოწყება ხელისუფლებას მისცემს კარგ საშუალებას, რათა ადგილობრივ მცხოვრებთა შორის შეუძინებლად გაავრცელოს ისეთი ცნობები და აზრები, რომლებიც შეჭფერის განათლებულ ხალხების შეგნებას და ამით ხელი შეუწყოს ადგილზე უფრო მისანდობი განათლების გავრცელებას. გაზეთის გამოცემა განსაკუთრებით კიდევ იმ სარგებლობას მოიტანს, რომ გააქარწყლებს იმ ცრუ და არაკეთილსასურველ ცნობებს, რაც ხშირად ვრცელდება აქ ხალხში და იწვევს საზიანო გავლენას“ (ხაზი ყველგან ჩვენია შ. რ.). და კიდევ ერთი ამონაწერი პასკევიჩის მიმართვიდან:

„ომის თეატრის სიახლოვე და ის მონაწილეობა, რომელსაც საქართველოს მოსახლეობა ღებულობს ყოველ სამხედრო ოპერაციებში (ვინაიდან იმათ კარგად ესმით, რომ ჩვენ დაპყრობითი საქმის წარმატებებზეა დამოკიდებული არა მარტო მათი კეთილმდგომარეობა, არამედ მომავალი სეზებიც) უკიდურესად აღვიძებენ ადგილობრივი ხალხის ცნობისმოყვარეობას. თითქმის ყოველგვარი ამბავი, რაც კი ხდება ჩვენს ჯარში, ცნობილი ხდება ტფილისში პარტიკულარულად, ჩვეულებრივ სხვადასხვა დამატებებით და ხშირად კიდევ ცრუ განმარტებებით. რათა ეს თავიდან იქნას აცილებული, მე ჩემთვის წესად დავადგენდი, რომ ყოველ მოქმედებაზე ვაცნობო ადგილობრივ მოსახლეობას, რაც შეიძლება ჩქარა და საფუძვლიანად და რადგანაც ჩემი ცნობები სამხედრო მოქმედებათა შესახებ ყოველთვის შეიცავენ სამხედრო ამბების არსს, ემყარებიან მკაცრ კვშმარიტებას, ამიტომაც, ჩემი აზრით, ისინი არ უნდა დაგვემალა აქაური ხალხისათვის, მეც კიდევ ვუბრძანებდი, რომ იგივე მდგომარეობა, რომელიც აღწერილი იყო ჩემს ხსენებულ მოხსენებაში, მოეთავსებინათ გაზეთ „ტიფლისკიე ვედომოსტ“-ში, მაგრამ თუ ხდებოდა ისეთი ამბები, რომლებიც ეხებოდა პოლიტიკურ გარემოებათ, მაშინ მე ვუბრძანებდი, რათა ეს სავსებით არ მოეხსენებინათ. ამრიგად, ტფილისის გაზეთში არ ყოფილა მოთავსებული ცნობები ირანში ჩვენი ელჩის სიკვდილზე⁴, აგრეთვე საზღვრებზე მომხდარი ამბები“⁵.

⁴ იგულისხმება ა. გრიბოედოვის ვერაჯელად მოკვლის ამბავი.

⁵ იხ. პ. გუგუშვილი, ქართული ჟურნალისტიკა, 1942, გვ. 65—66, 72.

ამონაწერები ასე უხვად იმიტომ მოვიტანეთ, რომ უფრო მკაფიოდ და ნათლად გაგვიჭირდებოდა ჩამოგვეყალიბებინა გაზეთის პროგრამა, მისი მიზანი და იდეური მიმართულება.

განა ცხადი არ არის, რომ ხელისუფლებას მხოლოდ საკუთარი ვერაგული ზრახვების პროპაგანდისათვის ესაჭიროებოდა გაზეთი?! წინასწარ აღებულ გეზს გაზეთი არასოდეს არ ასცდენია! მცირე შენიშვნაც: გენერალ პასკევიჩს, ვიდრე ხელთ საკუთარი გაზეთი არ ჰქონდა, ფრონტიდან თუ სატახტო ქალაქიდან მოსული ე. წ. კორების გაფანტვის, აგრეთვე საჭირო ბრძანებების ან ვიზირებული ინფორმაციის მოსახლეობამდე დაყვანის მიზნით, სამხედრო გუბერნატორისათვის უბრძანებია ყველა ადგილობრივ ენაზე გამოეცა „სხვადასხვა სახის განმარტებანი“, რაზედაც იგი მიუთითებს კიდევ ზემოხსენებულ მიმართვაში. ეს განმარტებანი, უფრო სწორად, „განცხადებანი“ მართლაც იბეჭდებოდა თბილისში 1826—1827 წწ. ცალკე და დიდი ტირაჟით.

„განცხადებანი“ იბეჭდებოდა პატარა ზომის ქალაქებზე და რიგდებოდა უფასოდ. ეს „განცხადებანი“ „ტფილისის უწყებანის“ უშუალო წინამორბედი იყო.

პროგრამა. „ტფილისის უწყებანი“-სათვის ცალკე პროგრამა არავის ჩამოუყალიბებია. ის არსებითად რუსული „ტიფლისკოე ვედომოსტი“-ს ასლი იყო და ცხადია, იგივე მიზანს მოემსახურებოდა და იმავე პროგრამით გამოიცემოდა, როგორც მისი რუსული დედანი. ოღონდ კიდევ უფრო მეტის გულმოდგინებით იქნებოდა გამოშვებული.

და მაინც როგორი უნდა ყოფილიყო მომავალი გაზეთის საერთო პროფილი, მისი მიზანი და ხასიათი? როგორც აღვნიშნეთ, ეს ყველაზე მკაფიოდ განსაზღვრულია გენერალ პასკევიჩის იმ ვრცელ მიმართვაში, რომელიც ზემოთ განვიხილეთ.

ნიკოლოზ I ერთგული გენერლის პასკევიჩის აზრით, გაზეთი განათვისუფლებული უნდა ყოფილიყო ყოველგვარი პოლიტიკური მიზნებისაგან. მაგრამ ეს აშკარად სიცრუეა. კოლონიალიზმის პოლიტიკის ერთგული მსახური გაზეთს ვერ გაათავისუფლებდა პოლიტიკური მიზნებისაგან. პირიქით, იგი სრულიად გარკვეული პოლიტიკით ხელმძღვანელობდა, როდესაც ახალი გაზეთის გამოცემის ნებართვას თხოვდა პეტერბურგს. მიმართვაში პასკევიჩი გულახდილად სწერს: გაზეთი „უნდა შეიცავდეს მხოლოდ ოფიციალურ ცნობებს. საერთოდ ყოველგვარ ცნობებს, რომლებიც უთანხმდებიან მთავრობის შეხედულებებს.

მე მხედველობაში მქონდა აგრეთვე ის გარემოება, რომ ეს წამოწყება ხელისუფლებას მისცემს კარგ საშუალებას, რათა ადგილობრივ მცხოვრებთა შორის შეუმჩნეველად გააერცელოს ისეთი ცნობები და აზრები, რომლებიც შეჭფერის განათლებულ ხალხების შეგნებას და ამით ხელი შეუწყოს ადგილზე უფრო მისანდობი განათლების გავრცელებას“ და სხვ.

განა ეს პოლიტიკა არ არის? ოღონდაც შეფარული და მით უფრო ავის მომასწავებელი?!

პასკევიჩის „მიმართვა“ რომ გაზეთს პროგრამის სახით წამძღვარებოდა, სწორად ზედგამოჭრილი იქნებოდა, მაგრამ მაშინ ხომ ფარდა აეხდებოდა ხელისუფლების კეშმარიტ ზრახვებს! ამიტომ ეს ფაქტიური პროგრამა დამოკლეს მახვილივით ჩამოუკიდეს რედაქტორს, საჯაროდ კი 1828 წლის 24 აპრილს გამოქვეყნებულ „განცხადებაში“ მიუთითებდნენ, რომ „გარემოებანი ირანთან ომისა, რომელიც ასე დიდებულად დამთავრდა რუსეთისათვის, არაერთგზის აიძულებდნენ კავკასიის მთავარ მმართველობას გამოექვეყნებინა, ყველა აქ ხმარებულ აზიურ ენებზე, საყოველთაო ყურადღებისათვის განცხადებები შესახებ რუსეთის ჯარის ბრწყინვალე წარმატებებისა, რაშიაც სამხრეთ კავკასიის მცხოვრებნი ღებულობდნენ მეტად ახლო და ცხოველ მონაწილეობას. აუცილებლობამ, რათა მომავალშიაც ეცნობოს აქაურ მცხოვრებთა ამბები შესახებ მოვლენათა, რომელიც მეტად თუ ნაკლებად ეხება ამ მხარის კეთილმდგომარეობას, მისცა აზრი ხელისუფლებას, რომ მოეკიდა ხელი მუდმივი პერიოდული გამოცემისათვის“. და შემდეგ: „კავკასიის, განსაკუთრებით საქართველოს მცხოვრებთ უკვე დიდი ხანია რაც შეიგრძნეს ევროპული ადათების უპირატესობანი. ურთიერთობა (კავშირგაბმულობა, მიმოსვლა) რუსეთის შიდა გუბერნიებთან და უცხოეთის განათლებულ სახელმწიფოებთან შეუჩერებლად იზრდება, ვაჭრობა და მრეწველობა თანდათან უფრო და უფრო ცოცხლდება და ყოველ წოდებაში იზრდება თანაცხოვრების კმაყოფილებანი. ყოველი, რომელიც დარწმუნებულია ამ ბედნიერ ცვლილებებში, ცდილობს შეეთანხმოს ადათ-ჩვეულებებს, რომლებიც იძლევიან მსგავს საარფიანობათ, შეიძინოს შესაძლებელი ცნობიერება და შეიტანოს აუცილებელი განათლება თავის ოჯახში. ამ პერიოდული გამოცემის მეოხებით იხსნება ახალი საშუალება გაეცნონ და დაუახლოვდნენ აქაური მცხოვრებნი ევროპელთა ცნობიერებას, ადგილობრივნი მკვიდრნი გაეცნონ სასარგებლო აღმოჩენებს, რომელთა წარმატებით გამოყენება შეიძლება ამ მხარეში, გარდა ამისა, აქედან სხვადასხვა ცნობებს მიიღებს ევროპა და პირუკუ, რითაც მიეცემა

უფრო მეტი ცხოველმყოფელობა ურთიერთ შორის კავშირს“. განცხადება ირწმუნებოდა, რომ „ტფილისის უწყებანი“ ხელს შეუწყობდა კავკასიის მცოდნეობით დაინტერესებულ მეცნიერებს, ისტორიკოსებს, არქეოლოგებს და სხვ.

განცხადების თანახმად, გაზეთი გამოიცემოდა რუსულ ენაზე და პარალელურად გამოვიდოდა „ქართული თარგმანი“ იმის მიხედვით, თუ როგორი იქნებოდა მოთხოვნილება.

ამ უაღრესად ზოგადი და მოთაფლული ფრაზების მიღმა ცი დაკვირვებული მკითხველი უთუოდ შეამჩნევდა, რომ გაზეთი ვალად იღებდა, ჯერ ერთი, ადგილობრივი მოსახლეობა დაერწმუნებინა რუსეთის ჯარის ძღვევამოსილებაში, მეორეც, ჩაენერგა მკითხველისათვის, რომ ვაქრობისა და მრეწველობის გამოცოცხლება-განვითარებას თან სდევს სოციალური ხასიათის ძვრები, რაც უპირატესად იმაში გამოიხატება, რომ წოდებათა თანაცხოვრება სცილდება კლასობრივი მტრობის საფუძველს და პარამონიული ხდება.

ასეთია ამ წინარე საპროგრამო განცხადების არსი. ძნელი არ არის შევამჩნიოთ, რომ ეს განცხადება არსებითად პასკევიჩის ზემოხსენებული „მიმართვის“ დედააზრის მოკლე და შეფარული გადმოცემაა.

ახალი გაზეთი, თანახმად 1828 წლის 2 მარტს დამტკიცებული პროექტისა, ძირითადად სამი განყოფილებისაგან უნდა შემდგარიყო: პირველი — ოფიციალური ცნობები და ახალი ამბები, კერძოდ, მეფის და სენატის ბრძანებანი, ცნობები ჯარების მოძრაობის შესახებ. საუბარი კავკასიის მხარის ლირსსახსოვარ შემთხვევებზე, აგრეთვე, ვაქრობის, დღესასწაულებისა და ზეიმების შესახებ, ზოგიერთი ცნობები ინგლისის, საფრანგეთის, ირანის, თურქეთის და სხვ. სახელმწიფოთა ცხოვრებიდან.

მეორე — სხვადასხვა ხასიათის ცნობები და აღწერილობანი. უფრო კონკრეტულად: ცნობები რუსეთის ჯარების ლაშქრობების, ბრძოლების, ალყების, გამირობის, გამოჩენილი სარდლებისა და ომის ტაქტიკის შესახებ. აქვე უნდა მოთავსებულიყო სამხედრო ანეგდოტები, ცნობები ევროპის განათლებაზე და ადგილობრივ მკვიდრთა ზნე-ჩვეულებათა და სიძველეთა შესახებ, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

მესამე განყოფილება შეიცავდა ნარევს.

ამ წინასწარ დადგენილ წესს გაზეთი ძირითადად ყოველთვის იცავდა. ასეთი იყო ახალი გაზეთის პროგრამა და წინასწარ რეკომენდებული მასალის ხასიათი.

ახლა თუ ამ ზოგად მიმოხილვას მთლიანობაში გავიაზრებთ, ნათელი შეიქმნება, რომ გაზეთი „ტფილისის უწყებანი“ სრულიად განზე განუდგა ადგილობრივ მკვიდრთა რეალურ ცხოვრებას, გაზეთს არც უნდა ეფიქრა და არც უფიქრია ეროვნული და სოციალური ჩაგვრით წელში გაწყვეტილი ქართველი კაცის ბედ-იღბალზე. ამიტომ მართალი არ არის მკვლევარი მ. გოცაძე, როცა წერს: „ქართული გაზეთი აღმოცენდა რა თავისებურ ისტორიულ პირობებში, მას პასუხი უნდა გაეცა ეპოქის მოთხოვნილებებისათვის. გაზეთი, რასაკვირველია, თავისი ეპოქის მოთხოვნილებებს გვერდს ვერ აუვლიდა“⁶.

ბარაქალა! მაშ, „ტფილისის უწყებანს“ თავისი ეპოქის მოთხოვნილებებისათვის გვერდი არ აუვლია, მაგრამ რა იყო იმ ეპოქის მოთხოვნილება, მისი შინაარსი? სოციალური და ეროვნული ჩაგვრის არსებობა და ბრძოლა ამ ბოროტების წინააღმდეგ, ამის შესახებ კი გაზეთს კრინტიც არ დაუძრავს. პირიქით, იგი ამ საშინელი ბოროტების თესლს აღვივებდა. გაზეთი მხოლოდ მეფის ხელისუფლების მოთხოვნილებებს გამოხატავდა, რაც, რა თქმა უნდა, იმ ეპოქაში ქართველი ხალხის მოთხოვნილებად ვერ ჩაითვლება.

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი და რ ე დ ა ქ ც ი ა. ქართული გაზეთის „ტფილისის უწყებანის“ რედაქტორი — მისივე მთარგმნელი იყო. ქართულ გაზეთს არც დამოუკიდებელი რედაქტორი ჰყოლია და არც რედაქცია გააჩნდა. ხოლო ვინც გაზეთს რუსული ენიდან ქართულ ენაზე თარგმნიდა, მთლიანად ემორჩილებოდა რუსული „ტიფლისკიე ვედომოსტი“-ს რედაქტორს. თუმცა ეს უკანასკნელიც გარკვეულ ინსტანციებს ემორჩილებოდა. უპირველეს ყოვლისა, ასეთი ინსტანცია იყო ე. წ. „ტიფლისკიე ვედომოსტის საგამომცემლო კომიტეტი“. ეს კომიტეტი დაარსდა 1828 წელს, ხოლო მისი არსებობა ძალაში შევიდა 1828 წლის 2 მარტიდან, როდესაც თბილისში გამოსაცემი გაზეთის შესახებ წინასწარ შემუშავებული პროექტი დამტკიცდა. კომიტეტმა იარსება 1833 წლამდე. გაზეთის გამოცემასთან დაკავშირებული ყველა საქმე (იქნებოდა ეს რუსული თუ ქართული) მიენდო საგამომცემლო კომიტეტს. როგორც გენერალ პასკევიჩის უკვე ჩვენს მიერ არაერთგზის მოხსენიებული „მიმართვიდან“

⁶ მ. გოცაძე, ქართული ჟურნალისტიკა, 1954 წ. გვ. 137.

ჩანს, „ტიფლისის უწყებანის საგამომცემლო კომიტეტი“ უნდა ყოფილიყო თბილისის სამხედრო გუბერნატორის მზრუნველობისა და მეთვალყურეობის ქვეშ, ამასთან მას უნდა ეხელმძღვანელა 1826 წლის 10 ივლისის საცენზურო წესდებით (ეს წესდება ძალაში შევიდა 1828 წლიდან). ამასთან დაკავშირებით პროფ. პ. გუგუშვილი წერდა: „როგორც გრაფ პასკევიჩის წერილიდან ჩანს, „ტიფლისის უწყებანის“ გამოსაცემად დაარსებული კომიტეტის მოვალეობას შეადგენს უწინარეს ყოვლისა გასწიოს ცენზურა ამ გაზეთისა, ამ საქმეშიც მას ზედამხედველობას უწევს ტფილისის სამხედრო გუბერნატორი. ამრიგად გამოდის, რომ ეს „საგამომცემლო კომიტეტი“ უღრიდა, დაახლოებით მაინც, მერმინდელ „კავკასიის საცენზურო კომიტეტს“, რომელიც შედიოდა კავკასიის მთავარმართებლობის გამგეობაში და მეთვალყურეობდა მთელი კავკასიის ბეჭდვით სიტყვას“⁷.

ამ მოსაზრებას არ იწყნარებს მკვლევარი მ. გოცაძე, მას მიაჩნია, რომ საგამომცემლო კომიტეტი არასოდეს არ ასრულებდა საცენზურო კომიტეტის როლს. კავკასიის საცენზურო კომიტეტი აღმოცენდა გაცილებით გვიან, ვიდრე თვით საგამომცემლო კომიტეტი. ამასთან საცენზურო კომიტეტს სულ სხვა მოვალეობა ეკისრებოდა, ვიდრე „ტიფლისკი ვედომოსტის საგამომცემლო კომიტეტს“. „ტიფლისკი ვედომოსტის“ საგამომცემლო კომიტეტის მუშაობას ცენზურას სხვები უწევდნენ“⁸.

კავკასიის საცენზურო კომიტეტი რომ უფრო გვიან აღმოცენდა ვიდრე საგამომცემლო კომიტეტი, ეს ყველამ კარგად იცის. პროფ. პ. გუგუშვილი არ ამბობს საგამომცემლო კომიტეტი მხოლოდ საცენზურო კომიტეტის როლს ასრულებდაო. პროფ. პ. გუგუშვილი არსებითად პასკევიჩის ნათქვამს იმეორებს, როცა მიუთითებს, რომ საგამომცემლო კომიტეტს გაზეთისათვის ცენზურა უნდა გაეწია. მართლაც, საგამომცემლო კომიტეტს სხვა საქმეებთან ერთად, მასალების შერჩევისას მკაცრად უნდა დაეცვა საცენზურო წესდება. თავის მხრივ, საგამომცემლო კომიტეტის მუშაობას ამ სფეროში ფხიზლად ადევნებდა თვალს გუბერნატორი, ფაქტიური ცენზორი. საგამომცემლო კომიტეტი რომ ერთგვარად ცენზურის როლს ასრულებდა, ამას ფაქტიურად მ. გოცაძეც ადასტურებს, როცა საგამომცემლო კომიტეტის უფლება-მოვალეობაზე საუბრობს.

კომიტეტს ევალებოდა დროულად მიეღო ადგილობრივი ხელისუფლებისაგან გაზეთისათვის საჭირო ცნობები და განცხადებუ-

⁷ პ. გუგუშვილი, ქართული ჟურნალისტიკა, 1941, გვ. 66.

⁸ მ. გოცაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტ., 1954, გვ. 98.

ბი. მიღებულ ცნობებს გადაარჩევდნენ და აუცილებელ, სასურველ მასალას მისცემდნენ ვიზას გაზეთისათვის.

შემდეგ, კომიტეტის წევრებს სხვადასხვა გაზეთიდან უნდა ამოეკრიბათ სასარგებლო და საიმედო მასალები, კრიტიკულად განეხილათ ყველაფერი, რაც გაზეთში უნდა დაბეჭდილიყო, შემოეკრიბათ ყოველმხრივ შემოწმებული და საიმედო კორესპონდენტები.

კომიტეტის სხდომა იმართებოდა კვირაში ორჯერ. პირველ სხდომაზე მოისმენდნენ თითოეული წევრისაგან წარმოდგენილ მასალას. ამ მასალიდან თავიანთი გაზეთისათვის შეარჩევდნენ ნაწილს და გასცემდნენ განკარგულებას შერჩეული მასალის ქართულ ენაზე თარგმნისათვის.

მეორე სხდომაზე უკვე გულდასმით იხილებოდა წინარე შერჩეული მასალა. ბეჭითად ამოწმებდნენ, რომ არ გაპარულიყო რაიმე ორაზროვანი, ბუნდოვანი, არაზუსტი გამოთქმა.

ამ პროცედურის შემდეგ კომიტეტის ერთ-ერთი წევრი რედაქტირებულ მასალას წარუდგენდა სამხედრო გუბერნატორს, რომლის დასტურის შემდეგაც იბეჭდებოდა გაზეთი.

როგორც ვხედავთ, საგამომცემლო კომიტეტი ერთგვარად სარედაქციო სამუშაოს ასრულებს, ხოლო მის მოღვაწეობას საბოლოოდ სამხედრო გუბერნატორი ამოწმებს, როგორც ცენზორი, მაგრამ ზემოთქმულიდან ისიც ნათელი უნდა იყოს, რომ კომიტეტი სხვა ფუნქციებთან ერთად ე. წ. შინაცენზორის როლსაც ასრულებდა. ვითარება უფრო ნათელი შეიქმნება თუ გავიხსენებთ, რომ საგამომცემლო კომიტეტის წევრები თავდაპირველად იყვნენ ნიკ. ფალავანდიშვილი, შემდეგში თბილისის სამოქალაქო გუბერნატორი (სხვათა შორის, ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა მეფის ხელისუფლებამ ქართველ კაცს გუბერნიის მმართველობა მიანდო), საქართველოს მთავარმართებლის კანცელარიის მთარგმნელი პოდპოლკოვნიკი თავადი ბებუთოვი, შტაბს-კაპიტანი სუმბათაშვილი, თბილისის სამხედრო გუბერნატორის ადიუტანტი პორუჩიკი ჭილაშვილი და ჟურნალისტი სანკოვსკი.

კომიტეტის არცერთ წევრს, გარდა სანკოვსკისა, არავითარი კავშირი არც მანამდე და არც შემდეგ ჟურნალისტურ საქმიანობასთან არ ჰქონია. სამაგიეროდ ისინი ხელისუფლების ერთგული ადამიანები იყვნენ და ამ ახალ ასპარეზსაც მარჯვედ გამოიყენებდნენ მთავრობისადმი ერთგულების დასამტკიცებლად.

საგამომცემლო კომიტეტის შემადგენლობა ყოველთვის ერთნაირი არ ყოფილა. მაგალითად, ცოტა მოგვიანებით კომიტეტის შემადგენლობაში შეიყვანეს სოლ. დოდაშვილი, გორდევი და სხვ.

სოლ. დოდაშვილის შეყვანა კომიტეტის შემადგენლობაში სრულიად გასაგები გარემოებით იყო ნაკარნახევი. ამ დროს ს. დოდაშვილს იცნობდნენ როგორც ბეჭით, განათლებულ, ბეჭდვითი საქმისა და ქართული ენის შესანიშნავ მცოდნეს. კომიტეტს კი მთარგმნელი უჭირდა. ამ ფუნქციის აღმსრულებლად იმ დროს ხელისუფლება ს. დოდაშვილზე უკეთეს ვერავის ვერ იშოვიდა.

1828 წლის 6 ივლისს იონა ხელაშვილისადმი გაგზავნილ ბარათში ს. დოდაშვილი აცნობებდა თავის მოძღვარს, „დროსა მოსვლისა ჩემისას ტფილისსა დამნიშნა ლუბერნატორმან კომიტეტსა შინა გამოსაცემად ვედომოსტობიჲს ანუ გაზეთებჲსა“.

იმავე წელს 4 ივლისს ს. დოდაშვილი კვლავ აუწყებს იონა ხელაშვილს: „სამხედრო ლუბერნატორმან და მზრუნველმან კომიტეტისაგან მარწმუნა საკუთრად მე გაზეთებისა და ჟურნალების გამოცემა“.

ამ ცნობის საფუძველზე ზოგი მკვლევარი (ზ. ჭიჭინაძე) ამტკიცებდა. თითქოს ს. დოდაშვილი ქართული ჟურნალ-გაზეთების გამომცემელი იყოს. რა თქმა უნდა, ეს სწორი არ არის. ს. დოდაშვილს არც უფლება ჰქონდა, არც სტამბა და სათანადო სახსრები გააჩნდა. რომ ნამდვილად დამოუკიდებელი გამომცემელი ყოფილიყო.

როცა ს. დოდაშვილი წერს, რომ სამხედრო გუბერნატორმა ჟურნალ-გაზეთების გამოცემა „მარწმუნაო“, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ როდესაც კომიტეტის წევრებს შორის ფუნქციები განაწილდა, მას, ქართული ენის კარგ მცოდნეს და განსწავლულ კაცს, დაევალა მთელი მასალის მთარგმნა ქართულ ენაზე, ამასთან, ს. დოდაშვილს უნდა მოეგვარებინა ქართული გაზეთის გამოცემასა და არსებობასთან დაკავშირებული საკითხები. მხოლოდ ამ აზრით ითვლება იგი ქართული ჟურნალ-გაზეთის გამომცემლად, ამ აზრით უწოდებს იგი თავის თავს გამომცემელს.

დაახლოებით ასე დგას რედაქტორობის საკითხიც. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართულ გაზეთს დამოუკიდებელი რედაქტორი არ ჰყოლია. თუმცა ფორმალური თვალსაზრისით, ეს დებულება ერთგვარ დაზუსტებას მოითხოვს.

თავდაპირველად „ტფილისის უწყებანის“ რედაქტორის თანამდებობაც არ არსებობდა. ამიტომ ქართული გამოცემის რედაქტორად ითვლებოდა მთარგმნელი. 1829 წლის 20 თებერვლიდან დაწესდა რედაქტორის თანამდებობა ქართული გაზეთისათვის. რედაქტორად დაინიშნა ს. დოდაშვილი.

ვითარება თითქოს ნათელია. რაკი ქართული გაზეთისათვის რედაქტორის თანამდებობა დაწესდა, ხოლო ამ თანამდებობაზე ს.

დოდაშვილი დანიშნეს, ცხადია, ს. დოდაშვილი „ტფილისის უწყებანის“ რედაქტორად უნდა მივიჩნიოთ. ასეცაა ეს აღიარებული სპეციალურ ლიტერატურაში. მაგრამ რომ მკითხველი შეცდომაში არ შევიყვანოთ, ხაზგასმით უნდა ვთქვათ. რომ ყველაფერი ეს სწორი: მხოლოდ ერთი შეხედვით, მხოლოდ გარეგნულად. არსებითად კი არაფერი არ შეცვლილა. ს. დოდაშვილს საქმე მოემატა და პეტი არაფერი. მისი უფლებები რედაქტორის ტიტულის მიყვებით იოტისოდენადაც არ გაფართოებულა. ესაა საკითხის არსი. ვინც ამტკიცებს, რომ ს. დოდაშვილი 1828 წლის 20 თებერვლიდან ქართული გაზეთის რედაქტორი გახდაო, მან ისიც უნდა დაამტკიცოს, რომ ს. დოდაშვილის, როგორც უკვე რედაქტორის, უფლებები გაფართოვდა, რის დამტკიცებასაც, ვერავინ ვერ შეძლებს. ტიტულს რომ ვენდოთ, მკითხველს ისეთ შთაბეჭდილებას შევექმნით, თითქოს მეფის ხელისუფლება უფრო ჰუმანური გახდა, ამიერიდან ქართულ გაზეთს თავისი რედაქტორი მიუჩინა და ამით ახალი პერსპექტივები გადაუშალა ქართულ ბეჭდვით სიტყვას. ეს კი მტკნარი სიცრუე იქნება. მოხდა პირიქით: იმ ცვლილებებმა, რამაც რედაქტორის თანამდებობის დაწესება გამოიწვია, ფაქტიურად უკუღმა წაიყვანა ქართული გაზეთის საქმე.

ხელისუფლების მანევრი სწორედ იყო გამიზნული და მას გარკვეული შედეგები უნდა მოყოლოდა და მოყვა კიდევ. უფრო კონკრეტულად: როგორც რუსული. ისე ქართული „ტფ. უწყ.“ ოფიციალური მთავრობის გამოცემები იყო და მაშასადამე, ფინანსური მხარეც სახელმწიფოს უნდა უზრუნველყო. მაგრამ, როგორც ჩანს, ხელისუფლებას სულაც არ სურდა სალაროს ზედმეტი ხარჯები გაეღო! განა უმჯობესი არ იყო გაზეთს მოგებაც მიეცა და ბედის ანაბარაც დარჩენილიყო? თუ როძელიძე გაზეთი ვერ შეძლებდა საკუთარი თავის შენახვას, ბუნებრივი სიკვდილით მოკვდებოდა, ხოლო ხელისუფლება მხრებს აიჩიჩავდა — „რა ვქნათ. ბატონებო, გაზეთი მოგეცით, მაგრამ ვერ მოუარეთ, ვერ შეინახეთო. რაკი ასეა, არც საქირო ყოფილა ეგ გაზეთი თქვენთვისო“. მაგრამ თუ სიკვდილი გარდაუვალი შეიქმნებოდა, პირველ რიგში რომლის ხვედრი უნდა ყოფილიყო იგი — რუსული გაზეთისა თუ მისი ქართული თარგმანისა? ადგილობრივმა ხელისუფლებამ მშვენიერად იცოდა, რომ რუსულ გამოცემას ფული საქიროზე მეტიც ექნებოდა, ქართული გაზეთი კი სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. ქვემოთ, როცა გაზეთის ტირაჟსა და გავრცელებაზე გვექნება საუბარი, დავრწმუნდებით, რომ გაანგარიშება და ვარაუდი სწორი იყო.

აი. ამ მუხანათური და შორსგამიზნული მოსაზრებით იყო ნაკარნახევი ის. რომ მთავრობამ დათმო გაზეთის გამოცემა და კერძო გამოცემად აქცია. 1829 წლის დასაწყისში გრაფმა პასკევიჩმა წინადადება მისცა პ. სანკოვსკის ხუთი წლით შეესყიდა გაზეთი და სტამბაც. სანკოვსკის უფლება მიეცა სახელმწიფოსაგან სესხის მიღებისა. სანკოვსკიმ შეისყიდა გაზეთი, სტამბა. ამიერიდან გაზეთის არსებობა საკუთარ შემოსავალს უნდა დაყრდნობოდა... სხვა ყველაფერი კი „ნაღბორიც“, კომიტეტიც და სხვ. ხელისუფლების გამგებლობაში დარჩა. სანკოვსკის მიეცა უფლება რუსული გაზეთის უკეთ მოვლისათვის ამხანაგი გაეჩინა, ხოლო ქართული და თათრული გაზეთებისათვის რედაქტორები დაენიშნა. ქართულ გაზეთს რომ რედაქტორი დაუნიშნეს. ამით თითქოს მის დამოუკიდებლობას გაუსვეს ხაზი, მაგრამ ძნელი მისახვედრი არ არის, სანკოვსკის ურემზე გამობმული ქართველი უუფლებო რედაქტორი, გაზეთის შესანახი ხარჯების მძიმე ტვირთით კისერზე, დიდხანს ვერ გასძლებდა ფეხზე. ასეც მოხდა. ქართული გაზეთი დღენიადაგ სასიკვდილო სარეცელზე იყო გაკრული.

ხელისუფლების ჩანაფიქრს ხორცი ესხმებოდა. ს. დოდაშვილს კი ჯერ გაზეთი უნდა ეთარგმნა, შემდეგ სტამბაზე ეზრუნა, ასოთამწყობი გაეჩინა და ხელისმომწერი სანთლით ეძებნა.

ს. დოდაშვილს, სურდა თუ არა, თავის თავი სანკოვსკის ნების აღმსრულებლად მიაჩნდა⁹. ყოველივე ზემოთქმულიდან ჩვენ ის დასკვნა გამოგვყავს, რომ ქართულ გაზეთს დამოუკიდებელი რედაქტორი არ ჰყოლია. ს. დოდაშვილი უკეთეს შემთხვევაში სანკოვსკის თანარედაქტორად თუ ჩაითვლება. და თუ მაინც ფორმალურად ქართული გაზეთისათვის რედაქტორის თანამდებობა დაწესდა, ეს, როგორც უკვე ვთქვი, შავბნელი ზრახვებით იყო ნაკარნახევი და ობიექტურად, თავისი შინაარსით ხელს უწყობდა ქართული გაზეთის მოსპობას და არა მის კეთილდღეობას. თუ ეს მომენტი არ იქნა გათვალისწინებული, ჩვენთვის გაუგებარი დარჩება გენერალ პასკევიჩის მანევრების ქვეშარითი ბუნება, მეფის მთავრობის ვერაგული პოლიტიკის არსი.

ქართულ გაზეთს ისიც აუკრძალეს, რომ თავისივე დედნიდან ყველაფერი გადმოებეჭდა. რუსულ გაზეთში ბევრი საყურადღებო მასალა იბეჭდებოდა, ქვეყნდებოდა სხვადასხვა ხასიათის ნარკვევები. რუს მწერალთა შემოქმედების ნიმუშები და სხვ. არაფერი ამის მსგავსი ქართულ გაზეთში არ გადაბეჭდილა. ის იყო გამომშრალი,

⁹ დ. ყ ი ვ ი ა ნ ი, მემუარები, 1930, გვ. 140.

გამოფიტული ოფიციაში, რაც მისი მოსპობის ერთი მთავარი მიზეზ-
თავანიც იყო.

პერიოდულა. 1828 წლის 4 ივლისს მკითხველმა მიიღო
გაზეთი რუსულ ენაზე „ტფილისი ვედომოსტი“ და მისი ქართული
თარგმანი, სახელწოდებით „ტფილისის ვედომოსტები“. მე-4 ნომრი-
დან კი გაჩნდა „ვედომოსტების“ ქართული შესატყვისი — „უწყე-
ბანი“ და ამერიიდან გაზეთსაც ეწოდება „ტფილისის უწყებანი“.

საინტერესოა, ვის უნდა ეკუთვნოდეს რუსული „ვედომოსტე-
ბის“ სწორი ქართული შესატყვისი „უწყებანის“ დამკვიდრება? რო-
გორც ვიცით, თავდაპირველად საგამომცემლო კომიტეტში შეყვანი-
ლი იყო საქართველოს მთავარმართებლის კანცელარიის მთარგმნე-
ლი პოდპოლკოვნიკი ბებუთოვი.

რა ხარისხის მთარგმნელიც უნდა ბრძანებულყო თავადი ბებუ-
თოვი, გაზეთის თავდაპირველი სათაურიდანაც („ტფილისის ვედო-
მოსტები“) კარგად ჩანს. საბედნიეროდ, საგამომცემლო კომიტეტის
შემადგენლობაში მალე შეიყვანეს ს. დოდაშვილი. ყოველ შემთხვევა-
ში, დოკუმენტურად დასტურდება, რომ ს. დოდაშვილი 1828 წლის
2 თუ 3 ივლისიდან კომიტეტის მუდმივი წევრია.

მისვლისთანავე ს. დოდაშვილს კომიტეტის ძველ წევრებთან
ცხარე კამათი გაუმართავს „ქართულისა ფრაზისათვის“.

1828 წლის 6 ივლისით დათარიღებულ წერილში ს. დოდაშვი-
ლი წერდა: „...დროსა მოსვლისა ჩემისა ტფილისსა ლუბერნატორ-
მან დაწინა კომიტეტსა შინა გამოსაცემად ვედომოსტებისა ანუ
გაზეთებისა... ჩუენ ვიწყეთ გამოცემა ამ ივლისის თვეში, ომარ ხა-
ნის ომიდვან. გარნა რომელნიმე ძველნი თავნი იმყოფებიან კომი-
ტეტსა შინა და ვერა რაი შემისმენია ქაროლისა ფრაზისათვის“.

ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ს. დოდაშვილი პირველ რიგ-
ში გაზეთის სათაურის გასწორებას მოითხოვდა. მაგრამ ამის საკი-
როება ვერ შეუგნებინებია კომიტეტის წევრებისათვის. საბოლოოდ
კი, როგორც ჩანს, ს. დოდაშვილმა მაინც გატეხა მათი წინააღმდე-
გობა და მეოთხე ნომრიდან გაზეთს „ტფილისის უწყებანი“ აწე-
რია. დავა და კამათი მას იმ უგვანო თარჯიმნებთან სხვა დროსაც ექ-
ნებოდა „ქართული ფრაზისათვის“, მაგრამ პირველი შეტევა სწო-
რედ გაზეთის სახელწოდებიდან უნდა დაწყებულიყო. პირველი შე-
ტევის შთაბეჭდილების ქვეშაა შედგენილი ს. დოდაშვილის ის წე-
რილიც, რომელიც ჩვენ დავიმოწმეთ. ამრიგად, რუსული „ვედო-
მოსტის“ სწორი ქართული შესატყვისის „უწყებანის“ შემომღები
და დამამკვიდრებელი ს. დოდაშვილია.

გაზეთი „ტფილისის უწყებანი“ ერთკვირეული ორგანო იყო. 1828 წელს იგი გამოდიოდა ოთხშაბათობით, 1829 წელს კი ორშაბათობით. ხოლო 1830 და 1832 წელს სამშაბათობით. სხვათაშორის, რამდენადაც შესაძლებელი იყო გაზეთის გამოსვლის დღე შეფარდებული იყო თბილისის ქაფოსტო უწყების მუშაობასთან. ყოველ შემთხვევაში, 1828 წელს გაზეთი იმიტომ გამოდიოდა ოთხშაბათობით, რომ მაშინ თბილისიდან ფოსტა საქართველოს სხვადასხვა მხარეში ხუთშაბათობით გადიოდა და გაზეთის წაღებაც მხოლოდ ამ დღეს შეეძლო... გაზეთ „ტფილისის უწყებანი“ სრული კომპლექტი ჩვენამდე არ მოღწეულა. ამიტომ არც არის დადგენილი სულ რამდენი ნომერი გამოვიდა ან რამდენი გადარჩა ცოცხალი. მიუხედავად ამისა, ქართველი მკვლევარების მიერ დადგენილია, რომ 1828 წელსაც კი „ტფილისის უწყებანი“ წლის ბოლომდე არ გამოდიოდა. 1828 წლის ბოლო ნომერი 28 ნოემბერს დაბეჭდილია. დეკემბერში კი ქართული „უწყებანი“ არ გამოცემულა. 1828 წელს „უწყებანი“ გამოიცა სულ 22 ნომერი, გამოტოვებულა, ე. ი. არ გამოცემულა 23, 24, 25 და 26 ნომრები.

1829 წლის იანვრიდან გაზეთმა რეგულარულად იწყო გამოსვლა, მაგრამ მე-12 ნომრამდე მიაღწია და შეწყვიტა არსებობა.

გაზეთის გამოცემა განახლდა 1830 წლის ივლისში, თანმიმდევრულად გამოვიდა რამდენიმე ნომერი და საქმე ისევ შეფერხდა. 1831 წელს გაზეთს საერთოდ აღარ გამოცემულა. მხოლოდ 1832 წელს იანვრიდან კვლავ მოხერხდა გაზეთის განახლება, ამასთან მკითხველმა მიიღო მისი ლიტერატურული დამატება — „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“. ჟურნალის სულ ხუთი ნომერი გამოვიდა, გაზეთმა კი დიდის ვაივაგლახით. სვენებ-სვენებით სექტემბრამდე იარსება. სექტემბერში კი სამუდამოდ შეწყვიტა არსებობა.

ამდენად, ოფიციალურად „ტფილისის უწყებანი“ 1828—32 წლებში გამოდიოდა, ფაქტიურად კი გაზეთის არსებობის ხანგრძლიობა ერთ წელზე ცოტა მეტია.

ასე ტანჯვითა და წვალებით გამოდიოდა ქართული გაზეთი, მაშინ, როცა მისი რუსული პარალელი მჩქეფარე ცხოვრებით ცხოვრობდა. გავიხსენოთ თუნდაც ერთი დეტალი: „ტიფლ. ვედ.“ 1828—1832 წწ. რეგულარულად გამოდიოდა. მისი ხელის მომწერთა რიცხვი სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ 1829 წლის მე-16 ნომერში გაზეთმა გამოაცხადა: რადგან მიღებულია აუთარებელი მოთხოვნა გასული წლის ნომრებზე, საგამომცემლო კომიტეტმა გადაწყვიტა, წინა წლის ნაშრომების ხელახლად გა-

მოცემის სიძნელის გამო, გამოსცეს კრებული. რომელშიც მოთავსებული იქნება „ტფ. ვედ.“-ს 1828 წლის მთელი მასალა, გარდა სხვა გაზეთებიდან ამოღებული ცნობებისა და ოფიციალურ ბრძანებებისა.

გაზეთი ისე გაძლიერებულა, რომ 1828 წლიდან მის ნომრებს ხშირად ახლავს დამატებითი ფურცელი. ხანდახან თვით გაზეთის ფორმატისა, ე. ი. ხშირად გაზეთი გაორმაგებული ფორმატით გამოდიოდა. გაზეთს პონორარის მიცემის საშუალებაც კი ჰქონია. ქართული გაზეთი კი სულს ლაფავდა, მთავარი მიზეზი, ცხადია, ხელის მომწერთა სიმცირე იყო, მაგრამ ესეც ხომ ობიექტური ვითარების შედეგი იყო, თუმცა ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

ს. დოდაშვილი ბევრს ზრუნავდა. რომ გაზეთი ფეხზე დაეყენებინა, მაგრამ ამაოდ. გაზეთის გამოცემის თაობაზე ბევრს ზრუნავდნენ 1832 წლის შეთქმულების მესვეურებიც, მაგრამ საქმეს წინსვლა არ ეტყობოდა.

ფასი, გავრცელება, ტირაჟი. პერიოდული გამოცემის ფასი თავისთავად სერიოზული ფაქტორია, იგი გამოხატულებაა ამ გამოცემის ფინანსური მდგომარეობისა. ამასთან, მუდმივმოქმედი ფაქტორია გამოცემის გავრცელების თვალსაზრისით. თუ გაზეთის ან ჟურნალის ფასი დიდია, ცხადია. გაკვირდება მოსახლეობაში მისი ჟართოდ გავრცელება, განსაკუთრებით კი ნატურალური მეურნეობის პირობებში.

„ტფილისის უწყებანის“ გაუერცელებლობის ერთი მიზეზთაგანია უთუოდ იყო მისი მაღალი ფასი.

1828 წელს „თბილისის უწყებანის“ ფასი ნახევარი წლით იყო ამიერკავკასიაში მცხოვრებთათვის 3 მანეთი ვერცხლით, ხოლო რუსეთში გაგზავნის შემთხვევაში — 15 მანეთი ასიგნაციით. გაზეთის ფასი იგივე დარჩა 1829 წელს. იგი არც 1830 წელს შეცვლილა. 1832 წელს კი „ტფილისის უწყებანის“ წლიური ფასი „სალიტერატურონი ნაწილთან“ ერთად ამიერკავკასიაში მცხოვრებთათვის იყო 8 მანეთი ვერცხლით. რუსეთში გადაგზავნისას 40 მანეთი ასიგნაციით. ხოლო ნახევარი წლით ხელის მოწერის შემთხვევაში ადგილობრივთათვის ფასი იყო 5 მანეთი ვერცხლით. რუსეთში გაგზავნისას 25 მანეთი ასიგნაციით. როგორც ვხედავთ. ქართული გაზეთის ფასი საქმარისად მაღალია. მით უმეტეს იგი ძვირი იქნებოდა გასული საუკუნის 20-იანი წლების ქართველი მკითხველისათვის. ყოველ შემთხვევაში, ბატონყმური წყობილების პირობებში, როცა ნატურალური მეურნეობა დომინირებს. მშრომელ მასას გულითაც რომ სდომოდა, გაზეთს ვერ გამოიწერდა.

„ტფილისის უწყებანის“. ისე როგორც იმდროინდელი ყველა პერიოდული გამოცემის. გავრცელების არე ხელისმომწერთა რაოდენობაზე იყო დამოკიდებული.

თავდაპირველად საქმეს ცუდი პირი როდი უჩანდა. 1828 წელს ცნობა ქართული გამოცემის თაობაზე სწრაფად გავრცელდა ხალხში. დარიგდა საგანგებო „განცხადებანი“. გაზეთის გამოსვლის შესახებ „განცხადებანი“ დაიგზავნა საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში. დაწესებულებებში, რუსეთში. მიერთვა აგრეთვე კერძო პირებსაც.

გაზეთი სპეციალურ განცხადებაში აუწყებდა მკითხველებს თუ სად და ვისთან შეიძლებოდა „ტფილისის უწყებანის“ როგორც რუსულს, ისე ქართულს გამოწერა. აი, ეს განცხადებაც: „ხელმოწერა მისაღებად ტფილისის უწყებათა მიიღება ტფილისის კომიტეტსა შინა ამის უწყების გამოცემისას, გარეთუბანს სახლსა შინა პოლკოვნიკის ღრაფის სიმონიჩისას, სანკეტერბურლსა და მოსკოვსა. შინა იმპერატორის მოსკოვის უნივერსიტეტის უფალთ კომისიონერთა სმირდინს და შირიაევთან, სხუა ქალაქელნი კეთილ ინებებენ, რათა მოაწერონ კომიტეტსა ამას შინა“¹⁰.

ხელის მომწერი ავსებდა საგანგებო ფურცელს, რომელიც სვეტებად იყო დაყოფილი. აქ აღინიშნებოდა გვარი, სახელი, მისამართი. რამდენი ხნით იწერდა და რამდენ ფულს იხდიდა (ვერცხლით თუ ასიგნაციით).

ხელისმომწერთ კომიტეტი ძალიან უფრთხილდებოდა. გამომცემლობა ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ გაზეთი ღროზე მიეწოდებინა ხელმომწერისათვის, არ სურდა, რომ დაეკარგა იგი.

გატარებულმა ღონისძიებებმა თავისი დადებითი შედეგი გამოიღო. 1828 წლის „ტფილისის უწყებანის“ № 15-ში ვკითხულობთ: „მოკლე დროსა შინა რიცხვმა პრენუმერანტთამან აღაწია ესოდენ, რომა აწ იბეჭდების ათასორასი ეგზემპლარი რუსულს ენაზე და ოთხასი ქართულზედ. აქამომდევთა თხოვანი ტფილისის უწყებაზე განდიდდებიან თითოეულთა ფოჩტითა“.

იმ დროისათვის 400 ხელმოწერა საკმარისად მეტყველი ციფრია. უბედურება მხოლოდ ის არის, რომ გაიარა თუ არა პირველმა ტალღამ ქართული გაზეთის ცაზე შავი ღრუბლები ჩამოწვენენ, მკვეთრად ეკლო ხელისმომწერთა რაოდენობამ. სამაგიეროდ მალლა მიიწევს რუსული გაზეთის სახელი და დიდება. სულ მალე ხელისმომწერთა რიცხვმა 1500 გადააჭარბა. რუსულ გაზეთს ღონე ემატებოდა, მისი

¹⁰ ტფილისის უწყებანი, 1828. № 10.

ქართული ასლი კი სწრაფად მისუსტდა და სიკვდილის პირას მივიდა. ჭერ კიდევე 1828 წელს გაზეთმა ბოლომდე ვერ იარსება. 1829 წლისათვის გაზეთზე ხელი მოუწერია 35 კაცს, აქედან 25-ს ერთი წლით, ხოლო 10-ს ნახევარი წლით¹¹. ჩვენ არ ვიცით რამდენი ხელისმომწერი ჰყავდა გაზეთს 1830 წლის იელისში, როცა მისი გამოცემა განახლდა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ წელსაც მხოლოდ რამდენიმე ნომერი გამოვიდა, გასაგები გახდება, თუ რაოდენ მცირე იქნებოდა ხელისმომწერთა რაოდენობა. 1831 წელს გაზეთი საერთოდ არ გამოსულა, რადგანაც 20-მდე ხელის მომწერიც კი ვერ უშოვიათ.

როგორც ვნახეთ, თავდაპირველად ქართულ გაზეთს 400 ხელმომწერი ჰყოლია, მაგრამ სულ რაღაც 5—6 თვეში ეს რიცხვი ფაქტიურად 25-მდე შემცირდა. რამ განაპირობა ვითარების ესოდენ მკვეთრი შეცვლა? ამის მიზეზი, ჩვენი ღრმა რწმენით, თვით გაზეთის ხასიათში უნდა ვეძიოთ.

ვიდრე ქართველი მკითხველი წინასწარგამოცხადებული პროგრამის მიხედვით იცნობდა მომავალ გაზეთს, ხოლო პრაქტიკულად იგი ჭერ კიდევე არ ენახა, დარწმუნებული იქნებოდა, რომ ეს გაზეთი ახალ მძლავრ ნაკადს შეიტანდა მის სულიერ ცხოვრებაში.

ამიტომაც გამოიწერა იგი. მაგრამ როცა უკვე იგივე მკითხველი გაეცნო გაზეთის არა ერთ, არამედ რამდენიმე ნომერს, დარწმუნდა, რომ ის მის სულიერ სამყაროს არასგზით არ ერწყმოდა. ქართველმა მკითხველმა გაზეთში ვერ ამოიკითხა პასუხი მისთვის საინტერესო კითხვებზე, გაზეთი ოდნავადაც არ შეეხო მისი ქვეყნის ბედ-იღბალს, მისი დაჩაგრული სამშობლოს ყოფას და ბუნებრივია, ზურგი შეაქცია მას.

ფიქრობ, სხვა მიზეზებთან ერთად თუ გათვალისწინებული არ იქნა ეს უმთავრესი მომენტიც. ქართული გამოცემის სავალალო მდგომარეობის არსი ამოუხსნელი დარჩება.

სტამბა. ქართული გაზეთი „ტიფლისის უწყებანი“ იმავე სტამბაში იბეჭდებოდა, სადაც „ტიფლისიკე ვედომოსტი“. ეს იყო პ. სანკოვსკის სტამბა.

როცა თბილისში რუსული და შემდეგ ქართული გაზეთის გამოცემის იდეა ჩაისახა, მაშინვე წამოიჭრა სტამბის პრობლემა. იმ დროს საქართველოში სტამბის გამართვა საკმარისად რთული საქმე

¹¹ ცხადია, სინამდვილეს არ შეეფერება ზ. ჭიჭინაძის ცნობა, თითქოს „ტიფლისის უწყებანს“ 1829 წელს 500-ზე მეტი ხელისმომწერი ჰყავდა (იხ. ზ. ჭიჭინაძე, ს. დოდაშვილი, გვ. 19).

იყო¹². მაგრამ 1828 წლისათვის მანც მოხერხდა სტამბის გამართვა, რისთვისაც ხარჯები მთლიანად მთავრობამ გაიღო და ცხადია, სტამბაც მას ეკუთვნოდა. მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1829 წლის 20 თებერვლიდან „ტფილისის უწყებანი“ კერძო გამოცემად იქცა. ამასთან დაკავშირებით საგანგებო მოლაპარაკების შედეგად სტამბაც სანკოვსკის გადაეცა ხუთი წლის ვადით.

ხელშეკრულების თანახმად, სანკოვსკი მოვალე იყო სტამბა მნიშვნელოვნად გაეუმჯობესებინა, გაემართა ოთხი საბეჭდი დაზგა, გაეზარდა შრიფტის რაოდენობა და სხვ. ხუთი წლის ვადის გასვლის შემდეგ სტამბა მთელი თავისი მოწყობილობით კვლავ უბრუნდებოდა სახელმწიფოს.

სანკოვსკი დიდი გატაცებით შეუდგა მოვალეობის აღსრულებას. მისი ხელი მალე სტამბასაც დაეტყო. 1831—1832 წლებში სტამბის მუშაობა მკვეთრად გაუმჯობესდა. აქ შეიძლებოდა რუსულ, ქართულ, სომხურ, თათრულ, სპარსულ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე დაწერილი ტექსტების ბეჭდვა. ეს მომენტი აღნიშვნის ღირსია, რადგან სხვა ასეთი ძლიერი სტამბა მაშინ არა თუ თბილისში, მთელ ამიერკავკასიაშიც არ ყოფილა. სანკოვსკის სტამბამ გამართულად იმუშავა მის სიკვდილამდე. სანკოვსკის სიკვდილის შემდეგ (1832 წელი) თანდათან მოიშალა და ბოლოს სულაც გაუქმდა.

აქვე საჭიროდ მიგვაჩნია შევეხოთ ერთ აქამდე დაუძლეველ გაუგებრობას. როგორც ცნობილია, ახალგაზრდა, მჩქეფარე ენერჯის ს. დოდაშვილის სანუკვარი ოცნება იყო სტამბის გამართვა და ბიბლიოთეკის დაარსება, ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების ბეჭდვა-გავრცელება. იმ დროისათვის ეს იყო ფანტასტიკური ჩანაფიქრი, რომლის რეალობად ქცევას კოლოსალური ენერჯია და დიდძალი ფული ესაჭიროებოდა. ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით, ს. დოდაშვილს სტამბის გასამართავ ფულს „ბატონიშვილები და იონა ბერი შეჰპირდნენო“. მისივე თქმით, ამ საქმის მოგვარებისათვის ს. დოდაშვილს 300 მანეთი იონა ბერმა-ხელაშვილმა მისცა.

მკვლევარი მ. გოცაძე არ იწყნარებს ზ. ჭიჭინაძის ცნობას და მიუთითებს, რომ ი. ხელაშვილს არავითარი ფული არ მიუცია ს. დოდაშვილისათვის, მით უმეტეს სტამბის გასამართავად. არცერთი საბუთი ამას არ ადასტურებსო და სხვ.

¹² სტამბის გამართვის ისტორია ვრცლადაა გადმოცემული მ. გოცაძის წიგნში „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია“, 1954 წ. ჩვენ მხოლოდ ზოგიერთ მომენტს შევეხებით.

თუკი, შეიძინავს მკვლევარი, იოანე ხელაშვილმა 1827 წელს პეტერბურგიდან ფული გამოატანა ს. დოდაშვილს, მაშინ რადღა დასჯირდა ამ უკანასკნელს, რომ მოსკოვში ქართველებისაგან ესესხებია სამგზავრო ფული და რის ვაი-ვაგლახით ჩამოსულიყო თბილისშიო. თუ მას ჯბეში 3000 მანეთი ჰქონდა, არხეინად ჩამოვიდოდა სამშობლოში და სხვ. თითქოს მსჯელობა საბუთიანია, მაგრამ ფაქტიურად ამ კონკრეტული ფაქტის დადგენაში სცდება ზ. ჭიჭინაძეც და მ. გოცაძეც. ამასთან ზ. ჭიჭინაძის ცნობა მხოლოდ დაზუსტებას მოითხოვს, მ. გოცაძის თავგამოდებული მტკიცება კი უარყოფას.

საქმე ის გახლავთ, რომ იონა ხელაშვილმა მართლაც მისცა ფული ს. დოდაშვილს, მაგრამ არა სტამბის გასამართავად, როგორც ზ. ჭიჭინაძე ფიქრობს, არამედ ქართულ სტამბაში მისი „ქართული ლექსიკონის“ დაბეჭდვის ხარჯებისათვის. ეს გარკვევით სჩანს იოანე ხელაშვილის თხზულებიდან „რონინი“¹³. მ. გოცაძეს არასწორად წაუეითხავს ზ. ჭიჭინაძის ტექსტი. ზ. ჭიჭინაძე არ წერს, რომ ბერძან ხელაშვილმა ს. დოდაშვილს ფული პეტერბურგიდან გამოატანაო. ნარკვევში „სოლომონ დოდაშვილი“ ზ. ჭიჭინაძე წერს: „ს. დოდაშვილი საქართველოში როგორც იქნა მოვიდა და 1827 წლის ბოლოსვე თხოვნა მისცა კავკასიის მთავარმართებელს სტამბის გახსნაზე. სტამბის გახსნის იმედი მისცეს. ეს ამბავი მაშინვე ბერს აცნობა და ბერმაც მას მალე გამოუგზავნა სამასი თუმანი ამ საქმეებისათვის. 1828 წელს უკვე სტამბა გახსნა და წიგნების ბეჭდვა დაიწყო“¹⁴.

მაშასადამე, იონა ბერს ს. დოდაშვილისათვის ფული პეტერბურგიდან კი არ გამოუტანებია, არამედ გადმოუგზავნია შემდეგ, როცა სტამბის გამართვის იმედი ჩაისახა. ეს კი სავსებით სწორია¹⁵.

ტ ე ქ ი კ უ რ ი გ ა ფ ო რ მ ე ბ ა — გაზეთი „ივერია“ 1887 წელს (№ 97) „ტფილისის უწყებანის“ გარეგნობის შესახებ წერდა: „გორიდანვე გვატყობინებენ, რომ აქ აღმოჩნდა ქართული გაზეთი: „ტფილისის უწყებანი“ 1828 (გაზეთში შეცდომით 1829 წელია მითითებული) წლისა. გაზეთის რედაქტორ-გამომცემელი არ ჩანს, რადგან არა სწერია ზედა... გაზეთის სათაურს სიტყვებს შუა არის აღბეჭდილი წმინდა გიორგი, გარს უვლია ყვავილებით შემოჭედული არშია, ზემოდან დახატულია გვირგვინი და ქვემოდ ზის რუსუ-

¹³ ნ. მახათაძე, იონა ხელაშვილის „რონინი“ (დაბეჭდილია აკად კორნელი კეკელიძის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულში), 1959, გვ. 189.

¹⁴ ზ. ჭიჭინაძე, სოლომონ დოდაშვილი, 1893, გვ. 16.

¹⁵ სამწუხაროდ, ამჟამად არ გვაქვს საშუალება, რომ ვრცელად გავაშუქოთ ს. დოდაშვილის ღვაწლი ქართული სტამბის გამართვის საქმეში.

ლი ასო H. რომელიც ნიშნავს, რომ ნიკოლოზ პირველის დროს გამოდიოდა. ეს ნომერი თითქმის „დროების“ ოდენაა, ცოტა რამ ნაკლები. თითო გვერდი გაყოფილია ორ სვეტად“.

გაზეთის გარეგნული სახე 1829 წელსაც ასეთივე იყო. 1830 წელს კი გაზეთის ჩუქურთმას გამოაქვდა ორი დეტალი — წმინდა გიორგი და გვირგვინი. გაზეთის საერთო სახე 1832 წელსაც შეიცვალა. კერძოდ, შემცირდა ზოგიერთი ნომრის ფორმატი. გაზეთის ყოველ ნომერს ბოლოში ცენზორის ვიზა ჰქონდა. „ტფილისის უწყებანი“ 1828, 1829 და 1832 წლებში ოთხგვერდიანი გამოცემა იყო, ხოლო 1830 წელს 8 გვერდიანი, რაც პირველი შემთხვევაა ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში.

„ტფილისის უწყებანს“ ნომრების აღმნიშვნელ ციფრებად 1828 წელს ქართული ასო (სათვალავი) ჰქონდა, ხოლო 1829 წლიდან მის ადგილს არაბული ციფრი იკავებს.

რაც შეეხება მასალების ბეჭდვისა და თარგმანის ხარისხს, შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივაც ყოველთვის ყველაფერი რიგზე ვერ იყო. თავი რომ დავანებოთ სტამბის მიზეზით გამოწვეულ ხარვეზებს და კორექტურულ შეცდომებს, თვით თარგმანი ხშირად ბუნდოვანი, გაუმართავი და არაზუსტი იყო.

ამას თვითონ გაზეთის მესვეურებიც გრძნობდნენ და 1828 წლის სექტემბრის ნომერში ბოდიშსაც კი იხდიდნენ მკითხველის წინაშე. გაზეთის ენობრივი, სტილისტური და კორექტურული ხარვეზები მართოდენ ტექნიკური ბაზის სისუსტით როდი აიხსნება. მთავარი ის არის, რომ გაზეთის ნომრის ყველა მასალას რუსული ენიდან თარგმნიდა ერთი კაცი. ამავე დროს ტრადიციის უქონლობის გამო „პრესის ენის“ სპეციფიკის ათვისება ასე სასწრაფოდ შეუძლებელი იყო. არ იყო მონახული ბევრი რუსული სიტყვის შესატყვისი გამოთქმა. მაგალითად ქართულ გაზეთს პირდაპირ გადმოაქვს სიტყვები „შტურმი“, „ოტრიადი“ და სხვ. თავისთავად ძნელი იყო ზუსტი თარგმანის დროს სტილის სიწმინდის დაცვა და სხვ.

ყველა ამ სიძნელეების გადალახვა ერთბაშად შეუძლებელი იყო. ისე კი გზადაგზა თარგმნილი მასალის ხარისხი უმჯობესდებოდა, სტილი უფრო ნათელი და გამჭვირვალე ხდებოდა. იგრძნობოდა მეტი ზრუნვა ფრაზის გამართვისათვის, წინადადებისათვის ქართული ბუნების შენარჩუნებისათვის და სხვ.

ც ე ნ ზ უ რ ა . დ ა ხ უ რ ვ ი ს მ ი ზ ე ზ ე ბ ი . ცენზურასა და გაზეთის დახურვის მიზეზებზე ნაწილობრივ ზემოთაც გვქონდა საუბარი, მაგრამ ინტერესმოკლებული არ იქნება უფრო ახლოს გავე-

ცნოთ ცენზურის ხასიათსა და „ტფილისის უწყებანის“ დახურვის მიზეზებსაც.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართულ გაზეთს, ისე როგორც რუსულ გამოცემას, თავისებურ ცენზურას პირველ რიგში თვით საგამომცემლო კომიტეტი უწევდა. თუმცა მას ოფიციალურად თითქოს ეს ფუნქცია არც ეკისრებოდა. კომიტეტი ზემდგომი ორგანოების მითითების საფუძველზე, განსაკუთრებულ სიმკაცრეს იჩენდა ქართული გაზეთის მიმართ. ქართული გაზეთი რუსული გაზეთის თარგმანი იყო, მაგრამ არა სრული თარგმანი. ქართულ გაზეთს უფლება არ ჰქონდა ყველაფერი გადმოებეჭდა თავისი რუსული დედანიდან. მაშასადამე, პირველი წინაღობა იმთავითვე ცხვირწინ აეტრუხა ქართულ გამოცემას. ეს საზოგადოდ. უფრო კონკრეტულად, ვინ იყო „ტფილისის უწყებანის“ ცენზორი, ე. ი. ვის ხელშია 1828—1832 წლებში ქართული პრესის ბედი?

ერთხანს იმასაც ფიქრობდნენ, რომ იმ დროს ცენზორად ვ. სანკოვსკი იყო. ეს იყო გაუგებრობა, რომელიც დღეს უარყოფილია. ვ. სანკოვსკი ცენზორად არასოდეს არ ყოფილა. თუმცა სანკოვსკი, როგორც საგამომცემლო კომიტეტის ერთ-ერთი წამყვანი პირი, „ტიფლისიკი ვედომოსტების“ რედაქტორი, ხოლო 1829 წლიდან მისი კერძო გამომცემელი, ბუნებრივია, მკაცრად იცავდა ოფიციალურ საცენზურო წესდებას. და მინც ოფიციალური ცენზორი სანკოვსკი არასოდეს არ ყოფილა.

მრავალი დოკუმენტი არსებობს იმის გამოსარკვევად, თუ ვინ იყო იმ დროს ცენზორად. ცენზურა თბილისის გამოცემებზე ევალებოდა სამხედრო გუბერნატორს, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში, სამოქალაქო გუბერნატორს.

ამ წესმა ოდნავ სახეცვლილება განიცადა 1832 წელს თათრულ ენაზე გაზეთის გამოცემასთან დაკავშირებით. თათრული გაზეთის გამოცემის გამო შემოიღეს წესი, რომლის თანახმადაც თათრული გაზეთი გამოიცემოდა საქართველოს მთავარმართებლის დიპლომატიური კანცელარიის გამგებლობით და ცენზურაც დამოკიდებული იქნებოდა იმ პირზე, ვის გამგებლობაშიც ხსენებული კანცელარია იქნებოდა.

რაკი დადგენილია, რომ ცენზურობას თბილისის სამხედრო გუბერნატორი ეწეოდა, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში თბილისის სამოქალაქო გუბერნატორი, ადვილი დასადგენია ცენზორის ვინაობაც. ვინ იყო ჩვენთვის საინტერესო დროის მონაკვეთში თბილისის სამხედრო ან სამოქალაქო გუბერნატორი?

თბილისის სამხედრო გუბერნატორი 1827—1829 წლებში სიპიაგინი იყო, 1828—1831 წლებში სტრეკალოვი. სტრეკალოვი თბილი-

სიდან წავიდა 1831 წელს. ხოლო იმავე წლის 19 მაისს პასკევიჩმა გენერალ-ლეიტენანტს პანკრატიევს აუწყა, რომ „ვაჯალებ თქვენს მაღალ კეთილშობილებას მიიღოს თავისთავზე ამ გაზეთების (ე. ი. „ტიფ. ვედ.“ — შ. რ.) როგორც წინასწარი მიყურადლება, ისე საერთო ზედამხედველობა“. მაშასადამე სტრეკალოვის მემკვიდრე ცენზორობის ოვალსაზრისით. პანკრატიევი ყოფილა.

სამოქალაქო გუბერნატორი გაზეთის დაარსებიდან 1829 წლამდე იყო ხოვენი. იგი შეცვალა ზავეილისკიმ, ხოლო ეს უკანასკნელი კი 1832 წლის დასაწყისიდან ნ. ფალავანდიშვილმა. მაშასადამე, ქართულ გაზეთის 1828—1832 წლებში ცენზურას უწევდნენ: სიპიაგინი, შემდეგ სტრეკალოვი, ბოლოს პანკრატიევი, მათი არყოფნის შემთხვევაში კი სამოქალაქო გუბერნატორები — ხოვენი, შემდეგ ზავეილისკი, ბოლოს ნ. ფალავანდიშვილი.

სხვათა შორის, სამხედრო გუბერნატორები ქალაქიდან გასვლის წინ მკაცრად იცავდნენ იმ წესს, რომ საქმის კურსში შეეყვანათ სამოქალაქო გუბერნატორები. რათა ცენზორის ფუნქციები გადაეცათ.

ფუნქციათა ურთიერთგაცვლის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინებდნენ გაზეთის რედაქტორს და ამით მიახვედრებდნენ თუ რედაქტორს ვისთვის უნდა წარედგინა სათანადო მასალები.

ახლა ენახათ რა ვეალებოდა ცენზორს და რას ნიშნავდა იმეამინდელა ცენზურა.

ცენზურა არასოდეს არ ყოფილა ისე ჯოჯოხეთური, როგორც ნიკოლოზ I ეპოქაში.

1828 წელს ძალაში შევიდა ახალი საცენზურო წესდება, რომელიც ნაცვლად წინანდელი წესდების 47 მუხლისა, 230 მუხლს შეიცავდა და რომელიც იმდროინდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროს ითვალისწინებდა. საკმარისია ითქვას, ახალი საცენზურო წესდება შეიქმნა განათლების მინისტრის — განათლებისა და პროგრესის დაუძინებელი მტრის შიშკოვისა და უკიდურესი რეაქციონერის, მესამე განყოფილების მეთაურის გრაფ ბენკენდორფის უშუალო მონაწილეობით, რომ ნათელი გახდეს ამ წესდების ხასიათი.

იეზუიტების სემინარიის კურსდამთავრებული, გაქნილი მამულარა, ბოროტების თესლი და დესპოტი ბენკენდორფი რეგულარულად ესწრებოდა კომიტეტის სხდომებს, სადაც ახალი წესდება განიხილებოდა. მაგრამ იგი მარტო კონტროლით არ კმაყოფილდებოდა და აქტიურად ერეოდა კომიტეტის მუშაობაში.

მისი კარნახით, მაგალითად, წესდებაში შეიტანეს ორი ასეთი მუხლი: 1. ყველა დრამატული ნაწარმოები, რომელიც დასადგმელად

მზადდებოდა, ცენზურის ქვეშ გაეტარებინა მხოლოდ მესამე განყოფილებას, 2. გამომცემლობათა პატრონებს ევალებოდათ, რომ მესამე განყოფილებაში წარედგინათ თითო ეგზემპლარი ყველა იმ გაზეთის, ჟურნალის თუ ალმანახის, რომელიც მათ გამომცემლობებში იბეჭდებოდა. ხოლო რას ნიშნავდა მე-3 განყოფილებაში მოხვედრა, დღეს საყოველთაოდ ცნობილია.

ახალი საცენზურო წესდება სულს უხუთავდა მწერლობას, შიშის აჩრდილი მუდამ თვალწინ უტრიალებდა შემოქმედს და სიტყვა პირზე აშრებოდა.

ასე იყო იმპერიის სატახტო ქალაქებში, ასე იყო მთელ რუსეთში და იოლი წარმოსადგენია, რა დღეში იქნებოდა იმპერიის განაპირა გუბერნიების, განსაკუთრებით „ტუზემცების“ მწერლობა, ლეგალური პრესა!

ახალი საცენზურო წესდება 1828 წლის 23 აპრილიდან ძალაში შევიდა თბილისშიც.

ნიკოლოზ I ცენზორად ყველაზე ერთგულ და უსულგულო ადამიანებს ნიშნავდა. ცენზურა მკაცრი და აუტანელი იყო, მაგრამ კიდევ უფრო საშინელი შეიქმნა იგი მას შემდეგ, რაც საცენზურო საქმეს ხელი მოჰკიდა მე-3 განყოფილებამ. მე-3 განყოფილება ფაქტიურად იმპერიის უმაღლეს ცენზორად იქცა.

რუსეთის იმპერიაში გამომავალი ყველა გაზეთის, ჟურნალის, ალმანახის თუ წიგნის თითო ეგზემპლარი დაუყოვნებლივ უნდა გადაგზავნილიყო მე-3 განყოფილებაში, სადაც დაბეჭდილ მასალას ერთხელ კიდევ გულდასმით შეამოწმებდნენ და თუ კი ოდნავ მაინც საეჭვოს შენიშნავდნენ, იმპერატორისა და მისი ერთგული ლაქის — ბენკენდორფის რისხვა არ ასცდებოდა ავტორს, გამომცემელს, ცენზორს. ეს ბრძანება დაუყოვნებლივ მიიღეს თბილისშიც.

ამიერიდან, ფერმიხდილი ქართული გაზეთი მე-3 განყოფილება-საც უნდა გამოეშვივნა.

ასეთ მძიმე პირობებში მოუხდა არსებობა ახალ ქართულ გაზეთს. განა ცხადი არ არის, რომ ქართულ გაზეთს, რომელიც თავისთავად რუსულ დედანთანაც კი შეზღუდული უფლებებით სარგებლობდა, არ შეეძლო ხელფეხის გარყევა, არ შეეძლო სუნთქვა?

ამგვარად, უმკაცრესი ცენზურა შერწყმული სრულ უუფლებობასთან! ძნელი არ არის წარმოვიდგინოთ ასეთ ბედქვეშ მყოფი გაზეთის ხვედრი! და მაინც ქართული გაზეთის უსიცოცხლობისა და შემდეგ მისი სიკვდილის უშუალო მიზეზი ცენზურა არ ყოფილა. ს. დოდაშვილი ამბობდა: „თუმცა მე დავიწყე გაზეთის გამოცემა, მაგრამ დავინახე რა, რომ არ იყვნენ ხელისმომწერნი, შევწყვიტე მისი

გამოცემაო“. დიახ! ქართული გაზეთის თანამდევი უბედურება ხელის მოწერათა სიმცირე იყო.

მაგრამ რით იყო გამოწვეული ხელისმომწერთა ესოდენ მცირე რაოდენობა?

გასული საუკუნის 20-იანი წლების საქართველოში ბევრი განათლებული ადამიანი ცხოვრობდა, მაგრამ ისინი მეტწილად ძალალო საზოგადოების შვილები იყვნენ. ხოლო ქვეყნის ძირითადი ნაწილი გლეხობა მასობრივად წერა-კითხვის უცოდინარი იყო. ამიტომ მას, ცხადია, არც გაზეთი აინტერესებდა. ეს კიდევ არაფერი. უბედურება ისაა, რომ იმ განათლებული საზოგადოების ერთ ნაწილს მამის სული გაეშვა და მამინაცვლის მზეს იფიცებდა, ქართული ენა მაინცდამაინც არაფერში ეპიტნავენოდა და თუ გაზეთის კითხვას მოისურვებდა, იქვე ჰქონდა რუსული გაზეთები, სადაც ინფორმაცია და საერთო მასალები უფრო ცოცხალი და საინტერესო იყო.

რჩებოდა ინტელიგენციის მცირერიცხოვანი ჯგუფი, კეშმარბტ მამულიშვილთა პატარა რაზმი, რომელიც ოცნებობდა საკუთარ პერიოდულ გამოცემაზე, მაგრამ ზურგი შეაქცია „ტფილისის უწყებანს“, ვინაიდან, როგორც ზემოთ ვთქვით, ამ გაზეთში ვერ ამოიკითხა მან პასუხი მისთვის საინტერესო საკითხებზე, გაზეთმა ვერ მიაწოდა მას სულიერი საზრდო, ვერ დაანახა, რომ გაზეთს ოდნავ მაინც აწუხებდა მისი დაჩაგრული ქვეყნის სვე-ბედი.

შალვა გოჯალიშვილი

სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი
„კვალი“ (1893—1904)

„კვალის“ დაარსება და მისი მნიშვნელობა

XIX საუკუნის უკანასკნელი ათეული წლების ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და პუბლიცისტურ-ლიტერატურული აზროვნების ისტორიაში ღირსშესანიშნავი თარიღია 1893 წლის 3 იანვარი. ამ დღეს ქართველმა მკითხველმა საზოგადოებამ მიიღო სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი ყოველკვირეული გაზეთი „კვალის“ პირველი ნომერი.

„კვალი“ თავისი მოცულობითა და ფორმით ფაქტიურად ყურნალს წარმოადგენდა, მაგრამ ოფიციალურად გაზეთად იხსენიებოდა, რადგან საცენზურო ორგანოებიდან მხოლოდ გაზეთის სახელწოდებით შეიძლებოდა მისი დაარსებისათვის ნებართვის მიღება. ამიტომ „კვალი“ ყოველკვირეულად გამოდიოდა როგორც საყმაწვილო ნახატებიანი ყოველთვიური ყურნალ „ჭეჯილის“ დამატება. ფაქტიური დანიშნულებით „კვალი“ თავიდანვე საზოგადოების მიერ ყურნალად იქნა აღიარებული და ასეც შევიდა ქართული პრესის ისტორიაში¹. თუმცა სათაურშივე (სატიტულო ფურცელზე) იგი გარკვევით იხსენიება, როგორც სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი.

¹ ქართული ყურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ნაკვეთი III (1893—1905), თბილისი, 1944.

„კვალის“ ოფიციალური რედაქტორ-გამომცემელი და ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი, ისევე როგორც საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალ „ჭეჯილისა“ (1890—1920, 1922—1923), არის ლეაწლმოსილი საბავშვო მწერალი და საზოგადო მოღვაწე ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლისა (1893—1903 წლის 9 მარტამდე (№ 11) და არა 22 მარტამდე). აქვე ისიც გარკვევით უნდა აღინიშნოს, რომ „კვალის“ ფაქტიური რედაქტორი და სულისჩამდგმელი (დამფუძნებელთაგანი), გარდაცვალებამდე, იყო მწერალი — საზოგადო მოღვაწე გიორგი წერეთელი (1893—1900).

1903 წლის 16 მარტიდან (და არა 22 მარტიდან), № 12-დან 1904 წლის 1 თებერვლამდე, „კვალის“ აკრძალვამდე, მისი დროებითი რედაქტორია (და არა რედაქტორ-გამომცემელი) ნ. ი. ალექსიევ-მესხიევი (მესხიშვილი), ხოლო გამომცემელად ბოლომდის (1904 წლის 1 თებერვლამდე) ნ. თუმანიშვილ-წერეთლისა იმყოფებოდა.

ამ უკანასკნელ ცნობებს არასიზუსტით (შეცდომით) აღნიშნავს ბიბლიოგრაფი გ. ბაქრაძე თავის წიგნში². ამასთან ერთად, პროფ. აბელ კიკვიძე არასწორად მიუთითებს, რომ თითქოს „კვალს“ ბოლომდე — 1904 წლის თებერვლამდე ხელს აწერდა „რედაქტორ-გამომცემელი ან. თ. წერეთლისა“³ და სულაც არ იხსენიებს ნ. ი. ალექსიევ-მესხიშვილს.

პროფესორ ა. კიკვიძეს მხედველობიდან გამორჩა, რომ „კვალს“, როგორც რედაქტორი, 1903 წლის 16 მარტიდან (№ 12-დან) ბოლომდე ხელს აწერს „ნ. ი. ალექსიევ-მესხიევი“⁴, ხოლო ამავე პერიოდში ან. თუმანიშვილ-წერეთლისა ხელს აწერს როგორც მხოლოდ გამომცემელი.

როგორც აღინიშნა, „კვალი“ 1893 წლის 3 იანვრიდან — 1904 წლის 1 თებერვლამდე, ყოველკვირეულად, უმთავრესად კვირადღეს გამოდიოდა. სულ გამოვიდა: 1893 წელს — №№ 1—52 (3. 1—21

² გ. ბ ა ქ რ ა ძ ე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია. 1815—1945, თბილისი, 1947, გვ. 13.

³ ა ბ ე ლ კ ი კ ვ ი ძ ე, გაზეთი „კვალი“. 1893—1904 წწ., თბილისი, 1969, გვ. 5.

⁴ „კვალის“ რედაქტორ-გამომცემლობის ოფიციალური ფუნქციების განაწილებაში მომხდარი ცვლილებების შემდეგ, დასაწყისიდან — 1903 წლის 16 მარტიდან, მხოლოდ № 12-ს ხელს აწერს—„დრ. რედ. ნ. იაკ. ალექსიევ-მესხიშვილი“, დანარჩენ შემთხვევაში, № 13-დან ბოლომდე—„დრ. რედაქტორი ნ. ი. ალექსიევ-მესხიევი“, იხ. ა. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ქართული პერიოდიკა. 1819—1917. თბილისი, 1968, გვ. 57—58.

XII), 1894 წელს №№ 1—52 (1. I—18. XII), 1895 წელს — №№ 1—53 1. I—23. XII), 1896 წელს — №№ 1—53 (1. I—23. XII), 1897 წელს — №№ 1—53 (1. I—25. XII), 1898 წელს — №№ 1—52 (1. I—25. XII), 1899 წელს — №№ 1—52 (1. I—26. XII), 1900 წელს — №№ 1—52 (2. I—24. XII), 1901 წელს — №№ 1—52 (1— I—23. XII), 1902 წელს — №№ 1—52 (1. I—25. XII), 1903 წელს — №№ 1—34 (1. I—21. XII), 1904 წელს — № 1 (1. I.)—№ 5 (1. II.).

„კვალი“ თავისი პირველივე ნომრის ბოლოში დართულ განცხადებაში საზოგადოებას აუწყებდა ხელის მოწერის პირობებს. წლიური ხელისმოწერის ფასი ღირდა: თბილისში — 7 მანეთი, თბილისის გარეთ რაიონებში — 8 მანეთი, ნახევარი წლით — 4 მან, სამი თვით — 3 მან. თითო ნომერი ღირდა 20 კაპ.

რედაქციასთან შეთანხმებით ხელისმომწერლებს შეეძლოთ აგრეთვე წლიური ფასი ნაწილ-ნაწილ შეეტანათ.

„კვალის“ გამოწერა შეიძლებოდა თბილისში არწრუნისეული ქარვასლის ქართულ სახალხო სამკითხველოში, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ კანცელარიაში (თბილისი, ბანკის ქარვასლა), ჟურნალ „ჯეჯილის“ რედაქციაში (ფოსტის მისამართი: თბილისი, რედაქცია „ჯეჯილი“ და „კვალი“).

ვინც „ჯეჯილს“ და „კვალს“ ერთად გამოიწერდა, მათთვის წლიურად ღირდა გაუგზავნელად 10 მანეთი, ხოლო გაგზავნით 12 მანეთი.



არსებობს შესედულება, რომლის თანახმად, ქართული პრესის ისტორიაში „კვალი“ არის „ლიბერალურ-ნაციონალისტური მიმართულების ორგანო. 1893—1897 წლების პერიოდში თავის ფურცლებს უთმობდა დამწყებ ლიტერატორებს „მესამე დასიდან“. 1897 წლის დამლევს გაზეთი გადავიდა „მესამე დასის“ უმრავლესობის ხელში და „ლევალური მარქსიზმის“ საყვირი გახდა. ოსდმპ შიგნით ბოლშევიკთა და მენშევიკთა ფრაქციების გაჩენის შემდეგ „კვალი“ გახდა ქართველი მენშევიკების ორგანო. გაზეთი დაქურა მთავრობამ 1904 წელს“⁵.

საქართველოს ისტორიულ ცხოვრებაში როგორადაც არ უნდა შეფასდეს „კვალის“ დამსახურება ქართული საზოგადოებრივი აზ-

⁵ ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზულებანი, ტომი I, 1947, გვ. 374, შენიშვნა, 22.

როვნების განვითარებაში, ერთი რამ მაინც ცხადია, რომ იგი 11 წლის მანძილზე ღირსეულად აგრძელებდა ქართული პრესის მიერ დანერგილ პროგრესულ ტრადიციებს, შეძლების მიხედვით აქტიურად ეხმარებოდა დროის მიერ წამოყენებული საკითხების განხილვა-პოლემიკასა და გადაჭრაში.

„კვალმა“ ღირსშესანიშნავ ეპოქაში — XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო გამოსვლა, როდესაც საქართველოსა და მთელ ამიერკავკასიაში, ძველი რუსეთის იმპერიაში შემავალ დამონებულ ხალხებთან ერთად, რუსეთის მუშათა კლასის ხელმძღვანელობით საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე გამოდის მშრომელთა ფართო მასა, ჩაღდება კლასობრივი ბრძოლა სოციალური, ეროვნული და პოლიტიკური თავისუფლების მოპოვებისათვის.

ეს იყო ნამდვილად ღირსშესანიშნავი ეპოქა, როდესაც საქართველოშიც ვითარდება რევოლუციური მოძრაობა, გავრცელებას იწყებს მუშათა კლასის იდეოლოგია — მარქსიზმის მოძღვრება, ყალიბდება ზირველი მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია „მესამე დასი“, ფართო გასაქანი ეძლევა მშრომელთა უფლებებისა და საჭიროებისათვის წამოჭრილი საკითხების პოლემიკას და სხვ.

„კვალი“, როგორც პროგრესული ორგანო, თავისთავად ცხადია, ბიზნად ისახავდა ხალხისა და ქვეყნის საჭიროებისათვის სამსახურს. ამიტომაც იყო, რომ დროისა და ეპოქისათვის დამახასიათებელმა საზოგადოებრივ-პუბლიცისტურმა, კულტურულ-ლიტერატურულმა, ეროვნულ-სოციალურმა და ეკონომიურ-პოლიტიკურმა ვითარებამ ფართო ასახვა ჰპოვა „კვალის“ ფურცლებზე მისი არსებობის მთელ პერიოდში.

ქართული პრესის ამ მოწინავე ორგანოს წინაშე დასმული საპროგრამო ამოცანის, მოვალეობისა და დანიშნულების შესახებ „კვალი“ გარკვევით ამცნობს საზოგადოებას თავის პირველსავე ნომერში დაბეჭდილ მოწინავეში: „ჩვენი გულის პასუხი“, რომელიც გ. წერეთლის კალამს უნდა ეკუთვნოდეს.

ახალი წლის დასაწყისს, 1893 წლის 3 იანვარს „კვალი“ თავის მკითხველ საზოგადოებას პირდაპირ აუწყებდა, რომ „ძველმა წელიწადმა, მრავალგვარად საბედშაომ, მრავალფერად ავად სახსენებელმა, მოიჭამა თავისი დღენი და გზა ახალს დაულოცა. რას მოგვიტანს ეს ახალი, რითი გაგვახარებს, ან სამწუხაროს რას გვიქადის, — ჯერ ვერას ვიტყვით, ეს კია, რომ ჩვენ საზოგადოებას, დიდის

ზნიდანვე გონებით დამშეულს. ახალი წელიწადი აწვდენს ახალს გონებრივს საზრდოს, წინ უშლის ფურცლებს ახალი გაზეთისას“⁶.

გასული წლის მიხედვით, წარსულში „კვალი“ საკეთილოს ვერაფერს ხელავს, ხოლო თუ რას მოუტანს საზოგადოებას მომავალს. ვერც ამის შესახებ ამბობს რამეს გარკვევით. მხოლოდ ერთი კი აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია, რომ „საზოგადოებას, დიდი ზნიდანვე გონებით დამშეულს“, ნამდვილად უნდა ჰქონდეს „დრო-გამოშვებითი გამოცემა, რომელიც მარგებელს და საამო საკითხავს თავ-თავის დროზედ აწვდენდეს და კვალდაკვალ მისდევდეს ყოველსავე მოვლენას, რომელიც კი საზოგადოების ყურადღების ღირსი შეიქმნება“⁷.

ხალხისა და ქვეყნის სასიკეთოდ მოწოდებული „კვალი“ ღრმად არის დარწმუნებული, რომ დასახული მიზნის განხორციელებისათვის მომავალში მრავალი დაბრკოლება შეხვდება, რადგან განვლილ პერიოდში, როგორც მომხდარმა ამბებმა ცხადყო, ადრე არსებული ბევრი დროგამოშვებითი გამოცემა ყოფილა აკრძალული და გაუქმებული. ცხადია, არც მომავალშია დაბრკოლებების გარეშე შესაძლებელი საზოგადოებისათვის სასარგებლო მოღვაწეობა, მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ „გულმაგრად, ხელმარჯვედ, მხნეობით სავსე“ არ ვიყვეთ და ხელი ავიღოთ მუშაობაზე და არ ვიფიქროთ მომავალზე? — ასე აყენებს „კვალი“ საკითხს.

„ცხადია ყველასათვის, ვინც კი ჩვენს აუკარგიანობას აკვირდება. — წერს „კვალი“, — რომ უგაზეთოდ, საჭაროდ ხმის ამოუღებლად და აზრის შეუჯიბრებლად ცხოვრება არამც თუ ძნელია, შეუძლებელია“⁸.

მას აუცილებლად საჭიროდ მიაჩნია საზოგადოებრივი ცხოვრების მსვლელობასა და განვითარებას ფეხდაფეხ მიჰყვეს, უმოქმედობას და მცონარეობას თავი დააღწიოს და შესაძლებლობის მიხედვით იმოქმედოს ისე, როგორც ამას დროის კარნახით საზოგადოება მოითხოვს.

„კვალი“ კარგად გრძნობს, რომ ცხოვრება თანდათან რთულდება, მრავალფერდება და მის საჭიროებას ველარ პასუხობს არსებული მდგომარეობა. ეს გამოიხატება იმაში, რომ საზოგადოება ჩამორჩენილია, ხალხს არა აქვს ქიანება (სიმდიდრე) და სიღარიბისაგან შევიწროებულია. ამას ზედ ერთვის სწავლა-განათლების უქონ-

⁶ „კვალი“, 1893, № 1, გვ. 2.

⁷ იქვე.

⁸ იქვე.

ლობა. ეს ორი რამ აწუხებს ხალხს და ამ მხრივ მოითხოვს იგი პირველ რიგში დახმარებასა და შევლას.

„ამ ორგვარ სენს“ სპირდება წამალი, „მალამოს წაცხება“ და „კვალი“ ხედავს, რომ ცხოვრებაში მაინც ადგილი აქვს წინსვლას: დღითიდღე მატულობს და მრავლდება წიგნები ხალხში გასავრცელებლად, არის ცდა თავადაზნაურობის მიერ „სწავლის საქმის უკეთესად მოწყობისათვის“, ხიზნების საქმეზე ზრუნვა, ვენახების წამლობა. ხოლერასთან ბრძოლა, კახეთში რკინის გზის გაყვანა და სხვ.

„ყველა ეს უბრალო ცოდვილობა როდია, — წერს „კვალი“, — ყველა ეს ამტკიცებს, რომ საზოგადოება დღითი დღე ცდილობს წარმატების გზაზე დადგომას და ჩვენი გაზეთიც ამ საზოგადოების წადილს კვალში ჩაუდგება, მხარს მისცემს და ცხოვრების წინსვლას ემსახურება, როგორც კი დრო და გარემოება ხელს შეუწყობს“⁹.

თავისთავად ცხადია, თუ რა ნათლად, პირდაპირი გულწრფელობით თავიდანვე აღიარა თავის წინაშე დასახული კეთილშობილური მიზანი და ამოცანა „კვალმა“ — ემსახუროს საზოგადოებას და ხალხს, იზრუნოს მის საკურობაზე, წინსვლასა და განვითარებაზე თავისი შესაძლებლობის კვალობაზე.

თავისი მრწამსი და დაპირება მკითხველი საზოგადოებისადმი „კვალმა“ ასე გამოხატა: „ჩვენ ვეცდებით ჩვენსა და ჩვენს მკითხველს შორის მგრძნობიარე სიმები გავაბათ, იმის სიხარულით გავიხაროთ, იმის მწუხარებით შევსწუხდეთ. ჩვენ ვეცდებით ყოველსავე მოვლენაზედ უტყუარი და საფუძვლიანი სიტყვა წარმოვსთქვათ, სამართლიანი აზრი დავადგინოთ. ცხოვრებას მეცნიერება გვერდში ამოვუყენოთ და მეცნიერების ყურით ვისმინოთ, მეცნიერების თვალი ვადევნოთ ქვეყნის ჩარხის წალმა-უკულმა ტრიალს“¹⁰.

როდესაც „კვალმა“ უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით კისრად იღო დიდი მოვალეობა მშობელი ერისა და ხალხის წინაშე. ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მუშაობის პროცესში, გზადაგზა, შეიძლება არ ჰყოფნოდა ძალა და შესაძლებლობა, შეუმცდარად გადაეჭრა ესა თუ ის საკურობო საკითხი, როგორც ამას მოითხოვდა ქემშარიტება და დროის მოთხოვნილებანი. ასეთ შემთხვევაში იგი ცდილობდა ყოველთვის პირნათლად ყოფილიყო მკითხველის წინაშე და თავისი შეცდომა, თუ ამას საკურობა მოითხოვდა, გულწრფელად ელიარებინა.

⁹ „კვალი“, 1893, № 1, გვ. 2.

¹⁰ იქვე.

„შეუმცდარი არავინ არის, — წერდა „კვალი“ დასასრულ, — ჩვენც შეიძლება ბევრში შევცდეთ, მაგრამ როდესაც კი ჩვენს შეცდომას დაგვიმტკიცებენ, ახლავ აღსარებას ვღებთ, ამ შეცდომას გულწრფელად აღვიარებთ, მაგრამ ნურც ჩვენი მკითხველები დაივიწყებენ, რომ შეუმცდარად საქმე არასოდეს არ გაკეთებულა და აზრთა შეუცილებლად, შეუკამათებლად ჭეშმარიტება არ გამოჩვენებულა“¹¹.

1893 წლის 3 იანვარს „კვალი“, მომავლის იმედებით აღსავსე, თამამად გამოვიდა ქართული პრესის საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე და თავის მკითხველებს მიულოცა მომავალი ახალი და ბედნიერი წელიწადი. ამავე დროს თავისთავისათვისაც ინატრა ჰქონოდა სიმსხვე და საზოგადოების თანაგრძნობა, რომ ახალ დაწესებულ საქრეს „კეთილი შედეგი“ მოჰყოლოდა, საზოგადოების ნდობა გაემართლებინა და მის წინაშე ყოველთვის პირნათელი სამსახურით ღრმა კვალი გაეელო, სიკეთის თესლი ეთესა და მოსავალიც ღირსეული და ნაყოფიერი მოემკო.

და მართლაც, თუ რა დიდმნიშვნელოვანი და მრავალმხრივი „კვალის“ დამსახურება თერთმეტი წლის (1893—1904) განმავლობაში ქართული აზროვნების (საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ლიტერატურულ-პუბლიცისტურ, ეკონომიურ-სამეურნეო და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის) განვითარების ისტორიაში, ამას ნათლად წარმოგვიდგენს მასში გამოქვეყნებული ლიტერატურული მემკვიდრეობის ის დიდი, ზღვა მასალა, რომელიც ჯეროვან შესწავლას, განხილვასა და დაფასებას მოითხოვს.

„კვალის“ პირველი ნომერი და მისი თანამშრომლები

ყოველ საკეთილო საქმეს, იქნება ეს საზოგადოებრივი თუ საპირადო, თავისი წამომწყები, მოთავე და დამფუძნებელი ჰყავს. ეს მით უმეტეს ითქმის რევოლუციამდელ პრესაზე, როდესაც არცერთი საგამომცემლო პერიოდული ორგანო არ დაარსებულა საზოგადოებრივი თუ პირადი-კერძო ინიციატივის გარეშე. ეს ასე იყო თვით „კვალის“ პირველი ნომრის გამოსვლის დროსაც, რომლის დამაარსებლად და მუდმივ თანამშრომლებად ითვლებოდნენ ხალხისათვის საყვარელი ცნობილი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი: აკაკი წერეთელი, ივანე მაჩაბელი, გიორგი წერეთელი და თვით მი-

¹¹ „კვალი“. 1893, № 1, გვ. 2.

სი ოფიციალური რედაქტორ-გამომცემელი ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა.

თავისთავად ცხადია, ისეთ მოზრდილ საგამომცემლო ორგანოს. როგორც „კვალი“ იყო, უეჭველად გაუძნელდებოდა არსებობა მხოლოდ დასახელებულ მცირერიცხოვან მუდმივ თანამშრომელთა მუშაობით.

უეჭველად საჭირო იყო ქართველ მწერალთა გარსშემოკრება. რომ მათი თანამშრომლობით „კვალს“ ადვილად შესძლებოდა მკითხველთა წინაშე თავისი დაპირება პირნათლად შეესრულებინა.

„კვალი“ თავის პირველსავე ნომერში დართული განცხადებით იტყობინებოდა, რომ მას ჯერ-ჯერობით თანამშრომლობა აღუუაქვს: იაკობ გოგებაშვილმა, ეკატერინე გაბაშვილმა, სოფ. მგალობლიშვილმა, ნიკო ხიზანაშვილმა (ურბნელმა), ი. ბახტაძემ (ხონელმა), ნიკო ლომოურმა, ანტ. ფურცელაძემ. პეტრე უმიკაშვილმა, ალ. ჭიჭინაძემ. გ. იოსელიანმა, ექ. თაყაიშვილმა, ი. ბაქრაძემ და ალ. გარსევანიშვილმა.

თუ თვალს გადავაგლებთ „კვალის“ პირველ ნომერს, რომელიც საახალწლოდ 1893 წლის 3 იანვარს გამოვიდა, დავინახავთ, რომ მასში წარმოდგენილია მხოლოდ ოთხიოდე ავტორი.

„კვალის“ ილუსტრირებულ პირველ გვერდზე ნახატისა და ხელისმოწერის პირობების გარდა, სხვა არაფერია დაბეჭდილი. მეორე გვერდი იხსნება აკაკის ხელმოწერით დამშვენებული ლექსით: „მიკნელივა“ (გვ. 2), მას მიჰყვება ხელმოუწერავე მოწინავე — „ჩვენი გულის პაუხი“, რომელიც ზემოთ უკვე განვიხილეთ და აღვნიშნეთ, რომ იგი გ. წერეთლის კალამს უნდა ეკუთვნოდეს, აქვეა დაბეჭდილი „მიმოხილვა“ გ. წერეთლისა (გვ. 3—5), მეორე ლექსი აკაკისა — „სტუმრები“ (გვ. 5), ისტორიული ნარკვევი „ბაგრატ დიდი (1360—1395 წ. ქრ. აქეთ)“ გ. წერეთელისა (გვ. 6—11), აქვე მეშვიდე გვერდზე მთლიანად ჩართულია ბაგრატ დიდის მხატვრული სურათი, მის შემდეგ დაბეჭდილია აკაკის ცნობილი ბრწყინვალე ლექსი „განთიადი“ (გვ. 11—12), ხელმოუწერელი „მოსწრებული სიტყვა“ (გვ. 12), მეცამეტე გვერდი მთლიანად უკავია მხატვარ მოსე თოიძის მიერ შესრულებულ ნახატს — „საახალწლო მილოცვა „ხონჩით“ „კვალისა“ (გვ. 13), მკითხველი აქვე ეცნობა აკაკის ფელეტონს — „ცხელ-ცხელი ამბები“ (გვ. 14—15), შემდეგ დაბეჭდილია „მეკვლე (საახალწლო ამბავი)“ — ს. მგალობლიშვილისა (გვ. 15—18).

ამით მთავრდება ამ ნომრის ლიტერატურული მასალა. ბოლოში დართული აქვს ხელმოწერის პირობების შესახებ განცხადებები „კვალის“, „ჯეჯილის“, „ივერიისა“ და სხვათა შესახებ (გვ. 18—20).

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ „კვალის“ პირველ ნომერში დაიბეჭდა აკაკის სამი ლექსი და ერთიც ფელეტონი. ლექსით — „მიკვლევა“¹² აკაკი მიესალმა „კვალის“ გამოსვლას:

... მოედივართ მოსალოცავად,
მოგვაქვს სამკვლევე და „კვალი“.
ღმერთმა მრავალ წელს დავასწროსო
და გავითენოსთ ახალი!
... ამ ძველებურსა ნატერასა
ჩვენც დავამატებთ ახალსა:
„ამდენი თანამგრძნობელი
და წამკითხველი ჩვენ“ „კვალსა“!..

მეტად საყურადღებოა აგრეთვე აკაკის ფელეტონიც — „ცხელ-ცხელი ამბები“, რომელიც წარმოადგენს მკითხველი საზოგადოებისადმი მილოცვას „კვალის“ პირველი ნომრის გამოსვლის გამო. საგულისხმოა, რომ ფელეტონს წინ უძღვის მხატვარ მ. თოიძის ნახატი — „საახალწლო მილოცვა ხონჩით“, რომელზედაც გამოსახულია „კვალი“. პოეტი ამიტომაც მიმართავს მკითხველს: „შემოვდგი ფეხი — გწყალობდეს ღმერთი! ფეხი ჩემი და კვალი ანგელოზისა!“ ამ სიტყვებით იწყებოდა ჩვენში საახალწლო მილოცვა და ჩვენც ამ სიტყვებითვე მოვდივართ მოსამკვლევად და მამაპაპურის ხონჩით მოგიძღვნით „კვალს“.

...ჩვენც, რასაკვირველია, ჩვენს ახალ გაზეთზე, „კვალზე“ ჩამოვადგებთ სიტყვას! ჭერ ფეხი არ აუღვამს და ახლავე სალაყბოზე ეპატიუებიან. ერთი ჩვენი მეგობართაგანი გვწერს: „დიდათ გავიხარე, რომ გავიგე თქვენი გაზეთის გამოცემა, მაგრამ სახელი კი არ მომეწონა! აბა, რა დასარქმევი იყო „კვალი“? პირველი ასო რომ გამოაჯლო, „კ“-ნი რომ მოაცილო, „ვალი“ დარჩებაო“.

საგულისხმოა, რომ მოწინავე წერილში — „ჩვენი გულის პასუხი“ ავტორი პუბლიცისტურად მსჯელობს „კვალის“ მომავალ ამოცანებზე. ხოლო აკაკი თავის ფელეტონში მოსწრებულად, სხარტად და მხატვრულად ხატავს მის როლსა და ღანიშნულებას და მკითხველის დიდ ინტერესს იწვევს:

„სწორედ მართალი შენიშვნა არის: „კვალს“ რომ კანი გავაძროთ, „კვალს“ დარჩება, — განაგრძობს აკაკი, — მაგრამ მაგით, იმედია, „კვალს“ არა დაუშავდება-რა!.. ზოგს აენებს და ზოგს კიდევ არგებს კანის გაცლა-გაძრობა.

¹² „კვალი“, 1893, № 1, გვ. 2.

...არა, ყველასათვის არ არის საშიში კანის გაცილება და ჩვენი „კვალის“ იმათ რიცხვშია. — ამას კიდევ ისიც ზედ უნდა დავამატოთ, რომ „კვალის“ „ვალის“ სესხსა და ვალს კი არ ნიშნავს — საზოგადო მოვალეობასა და ვალდებულებას, რომელიც კარგად უნდა ესმოდეს ყველას“¹³.

პოეტი მეტად მიმზიდველად ხატავს ფელეტონში „კვალის“ მომავალ პროგრამას, მის მიზანსა და დანიშნულებას. ამავე დროს იგი დასძენს, რომ „შეიძლება ზოგჯერ ჩვენც შევცდეთ და მაშინ ყველას უფლება ექნება, მტერსაც და მოყვარესაც, რომ გვაძხილოს და შეცდომა გაგვასწორებოს... მაშინ როდესაც რაც კი ქვეყნის მოსახდენი და სასარგებლოა, ის ჩვენი სანატრელი და საძებარია... რაც მავნებელი და საზარალოა, ის კი საგმობი და სადევნელი, რომ ორივეს კვალში ჩავუდგეთ და იარაღიც შესაფერი ვიხმართ“. — ასე წარმოუდგენს აკაკი წერეთელი მკითხველ საზოგადოებას სახალწლო მილოცვის დროს „კვალს“ — იმ დიდი მოვალეობის შეგნებით, რაც მას ეკისრებოდა სამოქმედოდ ქვეყნისა და ხალხის სამსახურში.



აკაკი წერეთელმა თავიდანვე ნაყოფიერად დაიწყო „კვალში“ თანამშრომლობა. შემდეგ მოხდა ისე, რომ მან ერთხანს „კვალი“ მიატოვა, მაგრამ როცა ისევ მალე განაახლა თანამშრომლობა, საზოგადოება დიდი სიხარულით შეხვდა მის გამოჩენას.

ამასთან დაკავშირებით მეტად საინტერესოა ეგნატე ნინოშვილის ბარათი „კვალის“ ფაქტიური რედაქტორის გ. წერეთლისადმი. ამ ბარათში, 1894 წლის 1 მარტს ეგ. ნინოშვილი გ. წერეთელს სწერდა: „პატივცემულო ბატონო გაორგი ექვთიმეს ძე! ძლიერ მესიამოვნა, რომ დიდებული პოეტი აკაკი ხელახლავ დაუბრუნდა „კვალს“ თანამშრომლად. იქვი არ არის, ეს გარემოება დიდძალ ხელისმომწერს შექმატებს რედაქციას. აკაკი ხალხის საყვარელი პოეტია და რომელ ორგანოშიც ის თანამშრომლობს, ზალხი იმას მიეტანება“¹⁴.

აკაკი წერეთელი „კვალის“ ერთ-ერთი დამაარსებელთაგანია. იგი მეტად ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა მის სასარგებლოდ. ქართველი ხალხი ყოველთვის დიდი გატაცებით კითხულობდა „კვალის“ ფურცლებზე პირველად დაბეჭდილ პოეტის შემოქმედებით შედევრებს.

¹³ „კვალი“, 1893, № 1, გვ. 14—15.

¹⁴ „მნათობი“, 1940, № 5—6, გვ. 162.

„კვალის“ დამაარსებელთა სასახელოდ შეიძლება ითქვას, რომ ამ ორგანომ თავისი არსებობის მანძილზე ღირსეულად შესძლო თანდათანობით გარს შემოეკრიბა არა მარტო ის მცირე რიცხვი მწერლებისა, რომლებიც თავის განცხადებაში მოიხსენია და რომელთაც თავიდანვე აღუთქვეს თანამშრომლობა, არამედ ბევრი სხვაც, ვინც იმ დროისთვის, ცოტად თუ ბევრად, მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა. ამით აიხსნება სწორედ ის შედეგი, რამაც „კვალი“ ქართული პრესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან, მრავალმხრივ და იმ დროისათვის უჩვეულოდ დიდად ნაყოფიერ ორგანოდ აქცია.

ზემოთ დასახელებულ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა გარდა, „კვალში“ სხვადასხვა დროს თანამშრომლობდნენ: ეგ. ნინოშვილი, სილ. ჯიბლაძე, ლ. ახმეტელაშვილი, ლ. დარჩიაშვილი, ალ. წულუკიძე, მ. ცხაკაია, ფ. მანზარაძე, სეგ. ჯულელი, ალ. ხახანაშვილი, მ. ჯანაშვილი, ივ. გომართელი, ფ. გოგიჩაიშვილი, ვაჟა ფშაველა, დ. კლდიაშვილი, შ. არაგვისპირელი, ირ. ევდოშვილი, ჭოლა ლომთათიძე, ვ. ბარნოვი, გრ. აბაშიძე, ილია ნაკაშიძე, ბაჩანა, თ. რაზიკაშვილი, ლ. იაშვილი (ლასინი), დ. თომაშვილი, შიო მღვიმელი, ვ. რუხაძე, სილოვან ხუნდაძე, ლალიონი (არსენ მამულაიშვილი), დ. მაჩხანელი, დუტუ მეგრელი (ხომტარია), რ. ფანცხავა (ხომლელი), ი. ფანცხავა (ფხა), ია ეკალაძე (ცინცაძე), ან. დეკანოზიშვილი, ნინო ორბელიანი, ელ. წერეთელი, რუს-იმერელი (იურკვეიჩი), ნინოწმინდელი (დავით როსტომაშვილი), ცახელი (პ. თვალჭრელიძე), ბ. ჯორჯაძე, კ. თათარიშვილი (კოდრა პატრია), თ. ხუსკივაძე, პ. ჭარაია, ალ. მიქაბერიძე (პელაგიაშვილი), ი. ფერაძე (ჩხერიმელისპირელი), კაბ. გოგოლაძე, გ. ბოკერია, ბ. ახოსპირელი, ლ. ახობაძე, კ. დოდაშვილი, თ. კიკვაძე (ჭალარა), ლ. ბოცვაძე (ჯახაბერი), შ. დადიანი (ქუჯი), მალ. ბოლქვაძე, სტ. ძიმისტარაშვილი (კორტოხა) და სხვა მრავალი, რომელთა სრულად ჩამოთვლა, ცალკე ბიბლიოგრაფიის გარეშე, შეუძლებელია.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მეტნაკლები დახმარებითა და თანამშრომლობით, გვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიურ ცხოვრებაში არ მომხდარა რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა — სოციალურ-პოლიტიკური, ისტორიულ-ლიტერატურული და კულტურულ-საგანმანათლებლო თვალსაზრისით, რომ „კვალს“ მხედველობიდან გამორჩინოდეს, ან გვერდი აეჭციოს და თავის ფურცლებზე მსჯელობის საგნად არ გაეხადოს, და ამრიგად, ავად თუ კარგად თავისი სიტყვა არ ეთქვას.

როგორც ცნობილია, მუშათა რევოლუციური მოძრაობის პერიოდი XIX საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან იწყება, როდესაც გაჩნდა პირველი მარქსისტული ორგანიზაცია „მესამე დასი“ სახით. მისი პირველი დამაარსებელი და ხელმძღვანელები იყვნენ: ეგ. ნინოშვილი, სილ. ჯიბლაძე, მახა ცხაკაია, ფ. მახარაძე და სხვ.

„მესამე დასი“ არ წარმოადგენდა ერთგვაროვან ორგანიზაციას. მასში სქარბობდა ოპორტუნიზმი ნ. ჟორდანიას მეთაურობით.

შემდეგში, 1898 წლიდან „მესამე დასის“ შიგნით ყალიბდება რევოლუციური უმცირესობა მ. ცხაკაიას, ალ. წულუკიძის (1896 წ.), ლ. კეცხოველის (1897 წ.), ი. სტალინის (1898 წ.) შემადგენლობით, რომელიც შემდეგ მტკიცედ დგება ლენინურ პლატფორმაზე და ეწევა შეუპოვარ იდეურ ბრძოლას ნ. ჟორდანიას ჯგუფის წინააღმდეგ.

ამ პერიოდში რევოლუციურ ლიტერატურას ტონს აძლევდა ალ. წულუკიძე, რომელიც იბრძოდა ქართველი ლეგალური მარქსისტების წინააღმდეგ.

90-იანი წლებიდან სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ზრდასა და მუშათა მოძრაობის თანდათანობით განვითარებასთან დაკავშირებით მოხდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პროგრესული ტრადიციების გამოცოცხლება. ამის თვალსაჩინო წამომადგენელი გ. წერეთელია, რომელმაც „კვალში“ დიდი ადგილი დაუთმო ახალგაზრდა დამწყებ ლიტერატორებს „მესამე დასიდან“. ბურჟუაზიული ბერალური და პროგრესული შინაარსის წერილებთან ერთად, ხშირად იბეჭდებოდა რევოლუციურად განწყობილი ქართველი ახალგაზრდობის წერილებიც.

„კვალის“ ფურცლებზე გამოჩნდა და აისახა რევოლუციური მოძრაობის დასაწყისი, მისი ხასიათი, მარქსისტული მოძღვრების ჩასახვა და გავრცელება საქართველოში. „კვალმა“ პირველმა აუწყა საზოგადოებას სამოღვაწეო ასპარეზზე „მესამე დასის“ გამოსვლა. ამ მხრივ აღსანიშნავია პირველი მარქსისტული ორგანიზაციის „მესამე დასის“ ერთ-ერთი დამაარსებლის, ცნობილი მწერლის ეგ. ნინოშვილის დაკრძალვა 1894 წლის 12 მაისს, როდესაც სილ. ჯიბლაძემ თავის სიტყვაში ვრცლად დაახასიათა მწერლის მოღვაწეობის მნიშვნელობა და მოგვცა „მესამე დასის“ პროგრამა¹⁵.

¹⁵ „კვალი“, 1894, № 22, გვ. 14—16.

ამის შემდეგ სულ მალე (1895 წ.) დაიბეჭდა აგრეთვე ს. ჯიბლაძის წერილი — „კვალი“ და „მესამე დასის“ მწერლები (ჩვენი ლიტერატურული ილიუზია)“: აქ მან გავარჩია და შეფასება მისცა „ივერიას“ და „მოამბეს“, როგორც ძველი თაობის წარმომადგენელთა ორგანოებს, დაგვანახვა პოლემიკის ხასიათი ლალთან (გ. ლასხი-შვილთან) საქართველოში კაპიტალიზმის შემოჭრის, პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის ურთიერთობისა და კლასობრივი ბრძოლის საკითხებზე. ამასთან ერთად, ავტორმა უფრო ნათლად ვრცლად დაახასიათა ეგ. ნინოშვილის ღვაწლი და აღნიშნა „მესამე დასის“ გამოცვლა, მისი მნიშვნელობა ქართულ ლიტერატურაში.

ქართულ საზოგადოებრივ-ისტორიულ ცხოვრებაში ეს იყო მარქსისტული ახალგაზრდობის — სილ. ჯიბლაძისა და სხვათა პირველი საჯარო საპროგრამო გამოსვლა¹⁶.

ალ. წულუკიძემ „გრძნობით სავსე და გონიერი“ გამოსვლა უწოდა სილ. ჯიბლაძის საპროგრამო სიტყვას. ამის შესახებ იგი წერდა: „ინგოროყვას საფლავზედ გრძნობით სავსე და გონიერი სიტყვა წარმოსთქვა ს. ჯიბლაძემ. მან დიდი ხელოვნებით აღნიშნა ჩვენი ცხოვრების ახალი ვითარება და შესაფერი მოქმედების პროგრამაც მოკლეთ გამოხატა. მას მერმე განვლო თითქმის ათმა წელმა და ამ ხნის განმავლობაში არა ერთი და ორი სალიტერატურო ისარი გადაატყდა ამ „პროგრამას“ და ჩვენს ცხოვრებას. ეს იყო ხანა მწერლობის განცხოველებისა, ზრდისა და ვითარებისა“.

„კვალის“ ფურცლებიდან ყურადღებას იქცევს აგრეთვე იმ დროს გამართულ პოლემიკაზე ქუთათური მკითხველის ფსევდონიმით გამოქვეყნებული წერილი — „მცირე შენიშვნა და ერთი საკითხი ბ. ხომლეღს“. ამ უკანასკნელს ავტორი ეკამათება „მესამე დასის“ შესახებ, — თუ რატომ უწოდა მან „უტოპისტთა დასი“¹⁷.

მარქსისტული მოძღვრების ჩასახვისა და გავრცელების შესახებ „კვალში“ სხვადასხვა დროს დაიბეჭდა საყურადღებო წერილები: ქართველი მკითხველის (ჩხეიძე ნიკოლოზ) — „შენიშვნა შენიშვნის ავტორს“ (1895 წ.), რომელაც ეხება ი: ფანცხავასა და ს-ნ-ის წერილებს. ისტორიული მატერიალიზმის შესა-

¹⁶ „კვალი“, 1895, № 8, გვ. 12—15, № 9, გვ. 12—13, № 10, გვ. 15—16, № 13, გვ. 10—14, № 14, გვ. 11—15.

¹⁷ იქვე, 1895, № 42, გვ. 18—19.

ბებ, ს ი ძ ე ს — „გამოკვრით“ (1898 წ.), გუსტავ ლებონის წერილზე, რომელიც ქართულად უთარგმნია ი. ფანცხავას და მცდარი აზრები გაუფრცვლებია, ს. ჯულელის — „ბ-ნს — არც მტერს და არც მოყვარეს“ (1900 წ.), ლ. ახმეტელაშვილის — „ვილქელმ ლიბკნეხტი“ (ბიოგრაფია) (1900 წ.), აქვე გამოქვეყნებულია ხელმოუწერელი ნეკროლოგი (1900 წ.) ვილქელმ ლიბკნეხტის გარდაცვალების გამო, ფ. მახარაძის — „ისტორიული მატერიალიზმი“ (1901 წ.) და „საუბარი სხვადასხვა საგნებზე“ (1901 წ.), კამათი არჩილ ჯორჯაძესთან სოციალური მეცნიერების ზოგიერთი საკითხის შესახებ, მ. შარილაძის — „ი. ს. ფანცხავას „თხზულებანი“ (1904 წ.), დიალექტური მატერიალიზმის შესახებ და სხვ.

„კვალის“¹⁸ ფურცლებიდან 1899 წელს ქართველი საზოგადოება პირველად ეცნობა ივანე ლეონინის რეცენზიის (ზ-ის ხელმოწერით) საშუალებით ვ. ი. ლენინის გენიალურ ნაშრომს „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“, ასევე საყურადღებო და მნიშვნელოვანია 1901 წლის „კვალში“ გამოქვეყნებული გ. პლენხანოვის წერილი — „ისტორიული მეცნიერებიდან“, — Ami-ს ხელმოწერით¹⁹.

განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა „კვალში“ დაბეჭდილი ალ. წულუკიძის წერილების სერია — „საუბარი მკითხველთან“²⁰. „ოცნება და სინამდვილე“²¹, „ჩვენი უთანხმოება“ (ბ. ვ. წ-ის საპასუხოდ)²², „ეკონომიური მეცნიერების ისტორიიდან“²³, „ახირებული პრეტენზია“²⁴, „სხვაგან და ჩვენში“ (გაკვრით)²⁵, „ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან“ (საუბარი მკითხველთან)²⁶.

„კვალში“ გამოქვეყნებული წერილების ეს სერია, ალ. წულუკიძის სხვა ნაშრომებთან ერთად, ქართული საზოგადოებრივ-პო-

¹⁸ „კვალი“, 1899, № 30, გვ. 511—512.

¹⁹ ი ქ ვ ე, 1901, №№ 4, 5, 8, 11, 12, 16, 25.

²⁰ ი ქ ვ ე, 1899, №№ 19, 22, 23.

²¹ ი ქ ვ ე, 1899, №№ 42, 43.

²² ი ქ ვ ე, 1900, № 15.

²³ ი ქ ვ ე, 1899, №№ 46, 47, 48, 49.

²⁴ ი ქ ვ ე, 1900, № 33.

²⁵ ი ქ ვ ე, 1902, № 52.

²⁶ ი ქ ვ ე, 1903, №№ 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 1904, №№ 1, 2, 3 (იხ. ალ. წულუკიძე, თხზულებანი, თბილისი, 1967).

ლიტიკური აზროვნების ისტორიის საუკეთესო ფურცლებს განეკუთვნება.

„კვალის“ ფურცლებიდან ავტორი თანმიმდევრულად ავითარებდა და იცავდა მარქსისტულ-ლენინურ შეხედულებებს პროლეტარიატის როლისა და ჰეგემონიის, კლასობრივი ბრძოლის, ისტორიის მატერიალისტური გაგების საკითხებზე. ამავე დროს იგი შეუწელებელ ბრძოლას ეწეოდა ოპორტუნისტულ, ანტიმარქსისტულ, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ მიმდინარეობათა და პარტიების წინააღმდეგ.

* * *

900-იანი წლების დასაწყისიდანვე, „კვალის“ ფურცლებზე თუნცა მკრთალად, მაგრამ მაინც ერთგვარი გამოხმაურება და თავისი ასახვა ჰპოვა რევოლუციურმა მოძრაობამ საქართველოში. პირველი ცნობა თბილისის რკინიგზის მუშების გაფიცვის შესახებ „კვალში“ — „სხვადასხვა ამბავში“ 1900 წელს (№ 2) გამოაქვეყნა. 1901 წელს „კვალი“ (№ 43) საზოგადოებას ატყობინებდა, რომ საპირველმისო მუშათა დემონსტრაციის დროს მომხდარ შეტაკებისას დაშავებული პოლიციელები მთავრობას დაუჭილდოვებია. მომდევნო 1902 წლის „კვალი“ (№ 5) ბექდავს კავკასიის მთავარმართებლის მიერ 18 იანვარს გამოცემულ სავალდებულო დადგენილებას, რომლითაც სასტიკად იკრძალებოდა მუშათა ყოველგვარი შეკრება ქუჩებსა და მოედნებზე, „კვალის“ მომდევნო ნომერში (№ 33) იბეჭდებოდა სასამართლო პროცესის შინაარსი, — იმ მუშების შესახებ, რომელთაც ბრალდებოდათ მონაწილეობის მიღება ბათუმში მომხდარ მუშათა არეულობაში.

აღსანიშნავია, რომ 1903 წელს „კვალის“ (№№ 10, 13, 19, 25, 30 და სხვ.) ფურცლებზე ხშირად იბეჭდებოდა მთავრობის ორგანოების ოფიციალური განცხადებები და სხვადასხვა ცნობები თბილისში, ბათუმში, ბაქოში, საღ. მიხაილოვოში (ხაშურში) და სხვა ადგილებში მომხდარ მუშათა გამოსვლების, არეულობების, დემონსტრაციების, მათი მეთაურების დაპატიმრების, ჯარსა და მუშებს შორის შეტაკებებისა და სხვა ამბების შესახებ.

ამასთან ერთად „კვალი“ თავის ფურცლებზე აქვეყნებდა აგრეთვე მნიშვნელოვან ცნობებს და წერილებს რუსეთის ცენტრალურ ქალაქებსა (მოსკოვის, პეტერბურგის, კიევის, ხარკოვის, როსტოვის და სხვ.) და საზღვარგარეთის ქვეყნებში (ინგლისში, საფრანგეთში, ბელგიაში, გერმანიაში, ესპანეთში, პორტუგალიაში, ამერიკაში, ავ-

სტრო-უნგრეთში. იტალიაში, პოლანდიაში, სპარსეთში, ავსტრალიაში, სერბიაში) მუშათა, გლეხთა და სტუდენტთა რევოლუციური მოძრაობის მიმდინარეობის შესახებ.

ქართველი საზოგადოებრიობა „კვალის“ საშუალებით ეცნობოდა აღნიშნული ქალაქებისა და ქვეყნების ქარხნებსა და ფაბრიკებში, უმაღლეს სასწავლებლებში მომხდარი გაფიცვების, დემონსტრაციების, ქუჩებისა და მოედნებზე ერთად თავმოყრისა და არეულობათა შესახებ. მთავრობის მიერ სასტიკი ზომების — დაპატიმრებების, დასჯის, გაფიცულთა და დემონსტრანტებთან ჯარისა და პოლიციის შეტაკებებისა და სხვა ამბების შესახებ²⁷.

„კვალში“ ეხვდებით აგრეთვე ზოგიერთ ცნობას სოციალ-დემოკრატიული პარტიული ორგანიზაციების მოქმედებისა და ზრდის შესახებ გერმანიაში²⁸, ბულგარეთში²⁹, სერბიაში³⁰ და სხვაგან. მაგალითად, ერთგან „კვალი“ იტყობინებოდა ქ. ჰანოვერში (გერმანიაში) 1899 წელს სოციალ-დემოკრატიული პარტიის კონგრესის მოწვევის შესახებ. მეორეგან წერდა 1903 წელს გერმანიაში ამ პარტიის გავლენის ზრდის შესახებ სხვა პარტიების შემცირების ხარჯზე, მისი რეისტრაციის არჩევნების გამარჯვებაზე, მუშა ქალთა შრომის პირობების, სამუშაო დღის ხანგრძლიობისა და სხვათა შესახებ.

ამრიგად, როგორც ჩანს, „კვალში“ თავისი ასახვა ჰპოვა მუშათა რევოლუციურმა მოძრაობამ არა მარტო საქართველოსა და რუსეთში, არამედ საერთაშორისო მასშტაბით, რასაც იმ დროისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ მხრივ ქართული საზოგადოებრივი აზრისა და შეხედულების განვითარებისათვის.

ისტორიულ-კულტურულ-საბანგანათლებლო საკითხები „კვალში“

დაარსების პირველ წლებიდანვე „კვალში“ დაიბეჭდა მეტად საყურადღებო მასალები — სტატიები და წერილები საქართველოს ისტორიის, ეკონომიკის, სახალხო განათლების (სკოლების, ბიბლიო-

²⁷ „კვალი“, 1896, № 52, 1898, №№ 39, 41, 42, 44, 45, 52, 1899, №№ 15, 21, 22, 1900, № 10, 22, 1901, №№ 4, 7, 8, 9, 10, 11, 13, 15, 20, 30—33, 40, 46, 1902, №№ 7, 8, 10, 11, 12, 13, 15, 22, 25, 27, 30, 40, 41, 46, 48, 49, 1903, №№ 6, 13, 14, 15, 18, 19, 20, 21, 27.

²⁸ იქვე, 1899, № 42, 1900, № 10, 1903, №№ 21, 23.

²⁹ იქვე, 1902, № 9.

³⁰ იქვე, 1903, № 25, და სხვ.

თეკების და სხვ.), კულტურულ-საყოფაცხოვრებო, სასოფლო-სამეურნეო, ბუნებისმეტყველებისა და სხვა დარგებიდან.

საერთოდ ამ პერიოდის ქართულ-გაზეთებში დიდი ადგილი ეთნობოდა ისტორიულ საკითხებზე მასალების ბეჭდვას. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა საქართველოს მდიდარი ისტორიული წარსულის შესწავლას. იბეჭდებოდა ახალი მასალები, მეცნიერულ-ზოპულარული წერილები, სტატიები, რეცენზიები ცალკეულ გამოცემულ ნაშრომებზე. ამ მიმართულებით „კვალში“ გამოქვეყნებული წერილები და სტატიები შეეხება სწორედ საქართველოს ისტორიის მრავალმხრივ საკითხებს: ბატონყმობას, სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლას, წარსულის სიძველეთა აღმნიშვნელი მასალების — ხელნაწერთა ტექსტების შესწავლას, მათი მნიშვნელობის გარკვევას, მატერიალური კულტურის ძეგლების აღწერას, მოვლას, დაცვას და მრავალ სხვას. ამ მხრივ გაცხოველებულ მუშაობას ეწეოდნენ: ალ. ხახანაშვილი, მ. ჯანაშვილი, ექვთ. თაყაიშვილი, დ. კარიჭაშვილი, თედო ჟორდანი, გ. წერეთელი. მათი წერილები მდიდარ მასალას შეიცავენ როგორც საქართველოს ისტორიის, ისე მისი მონათესავე დარგების შესწავლისათვის.

ისტორიის ზოგადი საკითხებისადმი მიძღვნილი „კვალში“ გამოქვეყნებული წერილები: მაზაკვალის (გ. წერეთელი) — „სამეცნიერო საუბარი“³¹, რომელშიც ავტორი იძლევა მეცნიერების მოკლე მიმოხილვას განვილ 1897 წელს; ფ. მახარაძის — „მწერლობის განვითარება“³² და სხვ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ კერძოდ საქართველოს ისტორიის ცალკეულ საკითხებს „კვალმა“ თავიდანვე დიდი ინტერესით მიუძღვნა სხვადასხვა ავტორთა მეტად საყურადღებო წერილების, სტატიებისა და რეცენზიების მთელი სერია.

აქ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ხელმოუწერელი წერილების სერია: „თოფისა და თოფის წამლის შემოღება, საქართველოში“ (1893, № 4), „საქართველოს წმინდანი ელიზბარ, შალვა და ბიძინა“ (1895, № 41), რომელშიც გადმოცემულია მათი ცხოვრებისა და ბრძოლის ისტორია; „იმერეთის დედოფალი ანნა და ძე მისი კონსტანტინე“ (1895, № 41); „თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის საგანგებო კრება“ (1900, № 48), — საქართველოს რუსეთთან

³¹ „კვალი“, 1898, №№ 15, 16.

³² იქვე, 1898, № 15.

შეერთების ასი წლის დღესასწაულის ჩატარების პროექტი; „პატარა წერილი“ (1900, № 49) ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების 100 წლისთავის შესახებ; „საქართველოს რუსეთთან შეერთება“ (1901, № 38); „საქართველოს რუსეთთან შეერთების იუბილე“ (1901, № 40) და სხვ.³³

საქართველოს ისტორიის საკითხებისადმი მიძღვნილი წერილებიდან ყურადღებას იქცევს აქაი წერეთლის სამი წერილი. პირველ წერილში: „მცირე რამ“ (1895, № 22) ავტორი ეხება საქართველოში არსებულ წოდებებს და მათი ურთიერთმიმართების შესახებ გამოთქვამს თავის თვალსაზრისს.

მეორე წერილში — „ბ-ნი იონა მეუნარგია და მისი დიპლომატია“ (1895, № 4) აქაი ეკამათება კრწანისის ბრძოლაში იმერლების მონაწილეობის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებას, ამასთანავე აქაის მოჰყავს იმავე ბრძოლის მონაწილის — სვიმონ წერეთლის ნაამბობი სოლომონ მეორეზე. ამავე საკითხს ეხება ვინმე უსახელო ავტორისადმი მიმართული მისი მესამე წერილი — „საპასუხოთ“ (1895, № 46).

ზემოთ როგორც უკვე აღინიშნა, მრავალმხრივ ნაყოფიერი იყო წერეთლის მოღვაწეობა „კვალში“³⁴. კერძოდ, მას ბევრი უწერია საქართველოს ისტორიის საკითხებზე. ეს წერილები, რიცხობრივ სიმრავლესთან ერთად, მკითხველის ინტერესს იწვევს საკითხების მრავალფეროვანებითა და მეცნიერულ-პოპულარული ენით დაწერილი შინაარსით. ამის ნათელსაყოფად საკმარისია მათი დასახელება: „ბაგრატ დიდი“ (1360—1395) (1893, № 1), „ბათუმის მხარე“ (1893, № 7), „გიორგი მე-8, მეფე საქართველოსი. 1445—1469“ (1893, № 11), „მეფე ალექსანდრე იმერეთისა და მეუღლე მისი ნესტანდარეჯანი“ (1893, № 24), „ვამეყ შაბური და მეუღლე მისი დულარდუხტი“ (1893, № 25), „მეფე გიორგი ლაშა“ (1893, № 27), „მეფე ერეკლე II“ (1893, № 29), „წმინდა მოწამენი დავით და კონსტანტინე“ (1893, № 45), „წმინდა მოწამე გობრონ“ (1893, № 47), „წმინდა მოწამე აბო“ (1893, № 50), „წმინდა მეფე არჩილი (668—719 წლებს შორის ქ. შ. ვახუშტის ქრონოლოგიით)“ (1894, №№ 9, 10 11), „წმინდა ესტატე მცხეთელი“ (1894—№ 44), „წმინდა შუშანიკი, დედოფალი რანისა“ (1894, № 45), „წმინდა ნინო“ (1895, № 4), „მეორე ხანა ირაკლი მეფის ცხოვრებისა“ (ბუტკოვის წერილების მი-

³³ „კვალი“, 1901, № 3.

³⁴ შ. ვ ა შ ა ე მ ა ძ ე, გიორგი წერეთელი და ქურნალი „კვალი“. — იხ. „მაცნე“, 1964, № 5, გვ. 906—925.

ხედვით შედგენილი) (1895, № 30), „თეკლე ბატონიშვილი“ (1897, № 5) და სხვ.

პროფ. ალ. ხახანაშვილი თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე დაუღალავ, დიდ მეცნიერულ მუშაობასთან ერთად, ნაყოფიერად მოღვაწეობდა ქართულ და რუსულ პრესაში³⁵. მას ეკუთვნის მრავალი წერილი, სტატია, გამოკვლევა და რეკენზია საქართველოს ისტორიის, ლიტერატურის, განათლების, ეთნოგრაფიისა და მატერიალური კულტურის მნიშვნელოვან საკითხებზე. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი უაღრესად ნაყოფიერი თანამშრომლობა „კვალში“.

საქართველოს ისტორიის საკითხებზე „კვალში“ გამოქვეყნებული მასალებიდან კერძოდ ალ. ხახანაშვილის კალამს ეკუთვნის: „ქართველთა რაოდენობის გამოსაანგარიშებლად“ (1893, № 12), „როგორ ვიდღესასწაულოთ ასის წლის დღე საქართველოს რუსეთთან შეერთებისა“ (1898, № 40), „წოდებათა ისტორია საქართველოში. თავადაზნაურობა“ (1899, №№ 40, 41), „სამსახურის დაწყობილება იმერეთის მეფე სოლომონ II-დროს“ (1900, № 24), „მიწათმფლობელობის წესი საქართველოს სამეფოში“ (1902, № 1) და სხვ.

ამავე სერიის სხვა ავტორების წერილებიდან უნდა აღინიშნოს: დ. კარიჭაშვილის — „ყვარყვარე III ათაბაგი (ისტორიული სურათი)“ (1893, № 3); ს. მგალობლიშვილის — „ქართველების კვალი პოლტავაში“ (1894, № 5); ვინმე მესხის (ივ. გვარამაძის) — „მეფე ერეკლე მეორის დროს მომხდარი კრება“ (სამღვდელოებისა) (1894, № 37); ალ. გარსევანიშვილის „ქართლ-კახეთის შეერთების ისტორიიდან“ (1895, №№ 5, 6, 8, 17, 19, 49, 50, 51, 52, 53); გ. იაკობაშვილის — „ღია წერილი ბ-ნ ინფარისადმი“, დიდი მოურავის გიორგი სააკაძის შესახებ (1895, № 32); ინ-ფარის — „მოკლე პასუხი ბ. გ. იაკობაშვილს“, დიდი მოურავის გიორგი სააკაძის შესახებ (1895, № 36). ალ. ჭამბაკურიან-ორბელიანის — „ირაკლი II“, — შვილიშვილის თ. ალ. ჭამბაკურ-ორბელიანის დღიურიდან. ალა-მამკმად-ხანის მიერ თბილისის აღების შესახებ (1896, № 39); ზ. კვიციანიძის — „ჩვენი „ვალტერ სკოტები“, — საქართველოს ისტორიის შემსწავლელთა და განსაკუთრებით გრ. ყიფშიძის წინააღმდეგ მიმართული (1896, № 27); ფ. მახარაძის — „საქართველოს შინაური ცხოვ-

³⁵ მისი მოღვაწეობის შესახებ იხ. ჩვენი ნაშრომი — ალექსანდრე სოლომონის ძე ხახანაშვილი (ცხოვრება და მოღვაწეობა). ახალი ქართული ლიტერატურის საკითხები, 1, თბილისი, 1969, გვ. 194—228.

რება მეცხრამეტე საუკუნეში“ (1900, №№ 2, 5); ა. ჩხენკელის — „მეფე ვახტანგ მე-6-ე. კანონები და ქართველი ქალი“ (1902, №№ 36, 37, 38, 39, 40, 42, 43, 44) და სხვ.

საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის მნიშვნელოვანი იყო ავრეთვე ნათარგმნი ლიტერატურაც. ამ მხრივ აღსანიშნავია: ს. ბარათაშვილის — საქართველოს ისტორია. პირველი რვეული, თარგმანი ს. ხუნდაძის; მარი ბროსეს — საქართველოს ისტორია, ნაწ. II. მეფეთა და მთავართა გენეალოგიით და ქრონოლოგიით. ნათარგმნი და განმარტებული სიმ. ლოლობერიძის მიერ. გამოცემული ნიკ. ლოლობერიძის მიერ; ამ ორივე გამოცემის შესახებ „კვალში“ დაიბეჭდა დადებითი რეცენზიები³⁶ და აღიარებულ იქნა ამ შრომების დიდი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში.

საქართველოს ისტორიის შემდეგ, „კვალში“ მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი თვით ისტორიულ სიძველეთა მასალების, ხელნაწერების, მატერიალური კულტურის ძეგლების, სიძველეთა საცავების. მუზეუმების დაარსების საკითხებისადმი მიძღვნილ წერილებს, სტატიებსა და ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებს.

ისტორიულ სიძველეთა მასალების სერიაში ყურადღებას იქცევს: გ. წერეთლის — „მთიულნი“ (1893, № 3), „საჩხერის ციხე „მოდინახე“ (1893, 83), გადმოცემა ციხის შესახებ, „ბაგრატ III იმერეთისა თუ ბაგრატ მე-5 დიდია გელათის ვედრების ღვთისმშობლის ხატზე დახატული“ (1893, №№ 30, 31), „ისტორიულ-ფილოლოგიური გამოკვლევა“ (1893, №№ 38, 39, 40, 42) — სიტყვების: „ლაშა“ და „ქორეპისკოპოსის“ ისტორიული განმარტება, „კახაბერიძე რატი და მეუღლე მისი რუსუდან. მღვიმის მონასტრის ერთ კედელზე დახატული სურათის შესახებ“ (1895, № 16) და სხვ.;

აღ. ხახანაშვილის — „ბ-ნი ჟორდანია და მისი ქრონიკები“ (1894, № 36), „საქართველოს წარსულის სასტატისტიკო და საეკონომიო შესასწავლათ“ (1898, № 11) — მოსკოვის არქივში დაცული 1770 წლის საბუთის შესახებ, „საქართველოს კანონმდებლობის გამოცემაზე“ (1901, № 43) და სხვ.;

ზ. კიკინაძის — „ქართველები ოსმალეთში“ (1895, № 49) — ადგილები. სადაც ისინი მოსახლეობენ. მოსახლეობის რიცხვი; „საქართველოს ისტორიის მასალა“ (1897, № 20) — სოფელი სამურზაყანოს შესახებ; დ. ალბანელის — „თუშების ორი გუჯარი და როგორ უყურებდა ბარის ქართველი თუშს მე-13 საუკუნის დამლევს“ (1897, №№ 50, 51, 52); (სიკო კანდელაკის) — „მეფე სოლომონ იმე-

³⁶ „კვალი“, 1895, № 53, გვ. 17, 1901, № 1, გვ. 18.

რეთისა, დიდ სოლომონად წოდებული“ (1895, №№ 23, 24, 25, 26, 27, 28, 29). ამას გარდა მრავლად არის წარმოდგენილი უავტორო (ხელმოუწერელი) მეტად საყურადღებო მასალები. მაგალითად: „წერილები ირაკლი მეფისა“ (1897, № 5) „რამდენიმე ცნობა ალექსანდრე ბატონიშვილის ჩამომავლობაზე“ (1895, 811), „საისტორიო მასალა“, — წერილობითი საბუთი იმერეთში სტამბის დაარსების შესახებ სოლომონ II მიერ (1896, № 27) და სხვა მრავალი, რომელთა, არამც თუ განხილვა და გარჩევა, აქ ამ შემთხვევაში სათაურებით ჩამოთვლაც შეუძლებელია.

საქართველოს ისტორიულ სიძველეთა — მატერიალური ძეგლების. ეკლესია-მონასტრების აღწერის, მათი დაცვისა და მოვლა-პატრონობისადმი მრავალი წერილობითი მასალაა წარმოდგენილი „კვალის“ ფურცლებზე. მათი ბიბლიოგრაფიული სისრულით ჩამოთვლის მაგიერ შეიძლება მხოლოდ ზოგიერთის დასახელება, რომ ნათელი გახდეს, თუ რა დიდი ეროვნული სიყვარული და გატაცება ამოძრავებდა „კვალის“ ხელმძღვანელობას ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის არა მარტო შესწავლისა და აღწერის, არამედ მათი დაცვისა და შთამომავლობისათვის შემონახვის კეთილშობილურ საქმიანობაში.

აღ. ხახანაშვილის ორი წერილი ეხება ჭუმათის სიძველეებისა და შიო მღვიმის მონასტრის ისტორიულ მნიშვნელობას (1896, №№ 42, 51).

ღირსშესანიშნავია არქეოლოგიური ექსკურსიების შედეგად მოპოვებული მასალები: გ. წერეთლის — „მოქვის ტაძარი“ (1893, № 16), „კაცხის მონასტერი“ (1895, № 15), „ეხვევის ღვთისმშობლის ტაძრის ნანგრევი“ (1895, № 29); „ქალის წმინდის გიორგის ეკლესია“ (1895, № 21), ყვირილის ხეობაში „სავანის ეკლესია“ (1895 № 27), „ღვიმის ტაძარი და მისი კარები“ (1895, № 28) — ყვირილის ხეობაში, „კაცხის სვეტი“ (1895, № 40). „ღვიმის მონასტრის სამლოცველო“ (1895, № 40) და სხვ.

მეტად საჭირო მასალას შეიცავს აგრეთვე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ისტორიული ძეგლების შესახებ დაბეჭდილი წერილები: ვ. ჯარის — „აფხაზეთიდან“ (1895, № 5); გორელის (ნ. ლომოურის) — „ქ. გორი“ (1896, № 6) — ოქონის ხატის ეკლესიის შესახებ; ა. ქუთათელაძის — „არხეოლოგიური მოგზაურობა. ატენი 16 ივნისს 1896 წ.“ (1897, № 5), „სოფ. მარტყოფი და „ხელთუქმნელი“ ღვთაების ეკლესია“ (1897, № 31); იასონ ციციშვილის „საციციანოს იმთა და მისი არხეოლოგიური ნაშთები“ (1897, № 8); დ. ალბანელის — „ალვანის ნაშთები (საეკლესიო ისტორიის მასალა)“

(1897. №№ 6, 7); ვ. მერაბიშვილის — „ისტორიული და არხეოლო-
გიური აღწერა სოფ. უდისა“ (ახალციხის მაზრა) (1897. №№ 38, 39)
და სხვ.

აღნიშნული მასალების გარდა, „კვალში“ სხვადასხვა დროს და-
იბეჭდა აგრეთვე ხელმოუწერელი (უავტორო) წერილები: „გეგუთის
სამეფო სასახლე ციხე-დარბაზი“ (1893, № 5), „ალავერდის ტაძარი“
(1893, № 6), „დრანდის ტაძარი“ (1893, № 13), „საფარის მონასტე-
რი“ (1894, № 18); „ქუთაისის სემინარია და ქუთაისის ციხის ნაწ-
გრევები“ (1894, № 39), „ბოდბის ტაძარი“ (1895, № 4), „სპეტის მაც-
ხოვრის ტაძრის კანკელი“ (1895, № 6), „ბოდბის მონასტერი (1900,
№ 2) და სხვ.

„კვალში“ გამოქვეყნებულ მასალებს უმთავრესად თან ერთვო-
და ისტორიულ-გამოჩენილ ჰირთა და ქართული კულტურის შესანი-
შნავი ძეგლების მხატვრულად შესრულებული ფოტო-ილუსტრაც-
ციები, რაც უფრო მეტად საინტერესოს და მიმზიდველს ხდიდა
მკითხველისათვის. ამრიგად, შეიძლება თამამად ითქვას, რომ „კვალს“
ყურადღების გარეშე არ დაუტოვებია საქართველოში არსებული
ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ძეგლი, რომ მათი შესახებ მზრუ-
ნველობით აღსავე თავისი სიტყვა არ ეთქვას. „კვალის“ რედაქცია
დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა აგრეთვე ქართული ხელნაწერების
კვლევას, გამოვლინებას, ერთად თავმოყრას, დაცვასა და შესწავ-
ლას. ამ მხრივ დიდ კვლევით მუშაობას ეწეოდნენ თ. ჟორდანიას, ალ.
ხახანაშვილი და სხვები.

ქართული ისტორიული საბუთებისა და ხელნაწერების შესა-
ხებ „კვალში“ გამოქვეყნდა წერილები, კორესპონდენციები საყუ-
რადღებო ცნობები: ს. ნ. წერეთლის — „საგულისხმო“ (1893, № 13)
— თ. ჟორდანიას მიერ შეგროვილი სიგელ-გუჯრებისა და სხვა მასა-
ლების შესახებ; თ. ჟორდანიას — „პასუხად ბ-ნს სვიმონ ნიკოლო-
ზის ძეს წერეთელს“ (1893, № 17), — ძველი ხელნაწერებისა და სი-
გელ-გუჯრების შესახებ; უცნობი ავტორის თ. ს. — „სვენეთის ამბე-
ბი“ (1894, № 27) — ეკლესიებიდან ძველი ხელნაწერების დაკარგვის
შესახებ; „სხვადასხვა ამბები“ (1895, № 27) საზოგადოებას აცნობებ-
და, რომ ხახულ, ნიკოლოზ და ივანე გოდაბრელიძეებმა წიგნთსაცავს
შეწირეს ზურაბ წერეთლის არქივი. ასევე დიმიტრი, ანტონ და ეკა-
ტერინე აბაშიძეებმა შემოსწირეს ხელნაწერი წიგნები იმავე წიგნ-
თსაცავს; მოსე ჭორბენაძე რედაქციის მიმართ წერილში (1897, №
19) იტყობინებოდა ძველი ქართული ხელნაწერების არსებობის შე-
სახებ და სხვ.

აღ. ხახანაშვილი საქართველოს შესახებ ისტორიულ ცნობებს და საარქივო მასალებს ეძებდა და აგროვებდა აგრეთვე საზღვარგარეთის სიძველეთსაცავებში. 1900 წლის ზაფხულს იგი იყო რუმში და ვატიკანის არქივში მუშაობის დროს მრავალი მასალა შეაგროვა. ამის შესახებ „კვალმა“ საზოგადოებას აუწყა: „ლაზარევის აღმოსავლეთ ენათა ინსტიტუტის პროფესორი ალ. ხახანაშვილი ამ ზაფხულს სამეცნიერო მიზნით იტალიაში იყო წასული იქაურ არხივეების გასაშინჯად, ხახანაშვილს უკვე დაუმთავრებია ვატიკანის (რომში) არხივის დათვალიერება და დიდძალი მასალა შეუგროვებია საქართველოს ისტორიისათვის. ხახანაშვილს იქვე აღმოუჩენია ერთი ფრანგული წიგნი, რომელშიაც საქართველოს რუსეთთან შეერთების ტრაქტატია თურმე მოყვანილი. ამ ტრაქტატებში დღემდე ორი უცნობი მუხლიც აღმოუჩენია“³⁷.

ალ. ხახანაშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა აგრეთვე „კაზმული სიტყვიერების ნაშთების“ მნიშვნელობას ერის ისტორიული წარსულის შესწავლაში. მას აუცილებლად მიაჩნდა წერილობითი ძეგლების შესწავლა-გამოკვლევა და მათი გამოცემა. „ამგვარი ნაშთები კი, — წერდა „კვალში“ ალ. ხახანაშვილი. — არანაკლებ მემკვიდრის მოთხოვრებისა, ნათელსა ჰფენენ ერის წარსულს. პოეზიის ნაშთი იგივე მატიანეა ახლა ჩვენთვის; იმაში გამოიხატება ერის შეხედულება, გულის წადილი და იდეალი. ერთის მხრივ აპოკრიფული ლიტერატურა, ნათარგმნი ანუ ორიგინალური, მეორეს მხრივ კაზმული სიტყვიერება, ჩაგვახედებს ერის გულში და გავვითვალისწინებს მის სულიერს ავლადიდებას, ამ ორ წყაროზე დამყარდება ჩვენი კულტურის შესწავლა. ნათელ-მოფენილი არქიტექტურის, მხატვრობის და სხვა ხელოვნებითი ნაშთების გამოკვლევა“³⁸.

ალ. ხახანაშვილს დიდი მუშაობა აქვს გაწეული წერილობითი ძეგლების შესწავლის, გამოკვლევის. გამოცემისა და დაცვის საქმეშიც. „კვალის“ ფურცლებიდან 1895 წელს მან პირველად დასვა საკითხი საქართველოში (თბილისში) მუზეუმის დაარსების შესახებ. იგი თავის წერილში — „მომავალი „საერთო სახლი“ ანუ მუზეუმი თბილისში“ მოუწოდებდა საზოგადოებას. აეგოთ მუზეუმი ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად. „ამგვარი მუზეუმის აგებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს მთელმა ერმა, — წერდა ალ. ხახანაშვილი, — რადგან იგი იქნება საუნჯე ნაშთთა, რომელნიც მოწმობენ წარსულს გვიღვიძებენ მომავლის იმედს და აწმყოში იქნება

³⁷ „კვალი“, 1900, № 31, გვ. 488.

³⁸ „კვალი“, 1893, № 20, გვ. 15—16.

ჩვენი გაკამხნევებელი და უცხოთათვის პატივსადები დაწესებულე-
ბა. ეს დღესასწაული იქნება მშვიდობიანი, წყნარი და კულტუროსა-
ნი ნიშნებით აღნიშნული“³⁹.

საქართველოს ისტორიის მრავალრიცხოვან მასალების გარდა,
„კვალი“ დაიბეჭდა აგრეთვე მოძმე სომხეთის ისტორიის საკითხებ-
ზე მუდმივი თანამშრომლის დ. ტერ-დავითიანის საყურადღებო წე-
რილები: „პარტიები სომხებში (ისტორიული ესკიზი)“, „ოსმალეთის
სომხების საერო წესდება (ისტორიული ესკიზი)“, „სომხების საერო
მოძრაობა და ბრძოლა ამირანების წინააღმდეგ“, მოკლე ისტორიუ-
ლი მიმოხილვა, „ოსმალეთის სომხეთის საერო გამგეობის წესდე-
ბის (კონსტიტუციის) შედგენა“. „ზეითუნის განდგომა და თავგან-
წირული ბრძოლა ოსმალეთის მთავრობასთან (1862—1863)“, სომ-
ხეთის ისტორიიდან — „ოსმალეთის მთავრობისაგან სომხის ეროვნუ-
ლი კონსტიტუციის დამტკიცება 1863 წელს“⁴⁰ და სხვ.; ამავე ავტო-
რის კალამს ეკუთვნის სომხურიდან თარგმნილი რაფფის — „ბატო-
ნიშვილის ალექსანდრეს ცხოვრება“⁴¹.

ამავე პერიოდში დაიბეჭდა ხელმოუწერელი წერილი: „სომხე-
ბის მოძრაობა ოსმალეთში“⁴², რომელიც, ჩვენი აზრით, დ. ტერ-და-
ვითიანს უნდა ეკუთვნოდეს.

„კვალის“ ფურცლებზე თავისი ასახვა ჰპოვა აგრეთვე, მთელი
რიგი ისტორიულ-მიმოხილვითი ხასიათის წერილების გამოქვეყნე-
ბით, რუსეთისა და სხვადასხვა ქვეყნის (აბისინიის, ავსტრიის, გერ-
მანიის, ინგლისის, იტალიის, თურქეთის, საბერძნეთის, საფრანგე-
თის, სპარსეთის, ჩინეთის და სხვ.) ისტორიულ-საზოგადოებრივ-
პოლიტიკურმა ცხოვრებამ⁴³. ამასაც თავისი გარკვეული შემეცნები-

³⁹ „კვალი“, 1895, № 47, გვ. 2.

⁴⁰ ი ქ ე ე, 1893, № 31, გვ. 13—16; 1894, № 40, გვ. 6—7, № 41, გვ. 5—6;
№ 42, გვ. 13—15; № 43, გვ. 10; № 46, გვ. 15—16.

⁴¹ ი ქ ე ე, 1893, № 41, გვ. 8—19, პორტრეტით.

⁴² ი ქ ე ე, 1894, № 40, გვ. 1—2.

⁴³ „კვალი“, 1893, №№ 4, 9, 10, 12, 15, 18, 24, 32, 51, 52, და სხვ.

1894: №№ 8, 12, 18, 19, 29, 43, 45 და სხვ.

1895: №№ 2, 6, 14, 16, 21, 37, 47, 53 და სხვ.

1896: №№ 10, 19, 22, 24, 25, 27, 23, 29, 38, 39, 42, 43, 48, და სხვ.

1897: №№ 1, 2, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 16, 17, 18, 19, 20, 21, 23, 26, 28,
29, 32, 33, 38, 42 და სხვ.

1898: №№ 4, 10, 11, 12, 14, 15, 16, 17, 18, 21, 28, 29, 30, 38, 39, 40,
41, 45, 47, 50 და სხვ.

1899: №№ 7, 8, 9, 19, 20, 35, 36, 37, 38, 42, 47, 49, 52 და სხვ.

1900: №№ 5, 6, 7, 8, 22, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 35, 39, 41, 46 და სხვ.

1901: №№ 3, 4, 5, 6, 7, 8, 10, 11, 12, 13, 15, 17, 18, 24, 27, 32,
41, 44, 45, 49 და სხვ.

თი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი მკითხველის გათვითცნობიერებისა და განვითარების თვალსაზრისით.

„კვალის“ ფურცლებზე ხშირად იბეჭდებოდა როგორც ქართველ, ისე სხვა ხალხთა — სომეხ, რუს და საზღვარგარეთელი ქვეყნების საზოგადო მოღვაწეთა და ცნობილ პირთა ბიოგრაფიები, პორტრეტები, ნეკროლოგები, საინტერესო ცნობები და სხვ.

მოცემულ პერიოდში ქართული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ენათმეცნიერების საკითხებს. გაცხოველებულ მსჯელობას, აზრთა გაცვლა-გამოცვლას, კამათს ჰქონდა ადგილი ქართული ენის გრამატიკის, ტერმინოლოგიის, ლექსიკონების შემუშავებისა და დადგენის სხვადასხვა საკითხებზე. ამ კამათში მონაწილეობდნენ: ი. გოგებაშვილი, პ. ჭარაია, სილ. ხუნდაძე, გ. წერეთელი, კ. დოდაშვილი და სხვები. ამან თავისი გამოძახილი ჰპოვა „კვალის“ ფურცლებზედაც. ენათმეცნიერება, ქართული ენის დიალექტები, ქართული ენის გრამატიკა, ქართული ენის ლექსიკონები და ტერმინოლოგია, კავკასიური ენები, ენათმეცნიერთა კონგრესი უენევაში და სხვ. — აი რა იყო ძირითადი თემა ამ მიმართულებით „კვალში“ გამოქვეყნებული წერილებისა“⁴⁴.

ასევე, მეტად მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანია საქართველოს ეთნოგრაფია, რომლის შესწავლისადმი ინტერესი ძლიერდება. ამ პერიოდში, 1895 წლის „კვალში“ დაიბეჭდა სწორედ ალ. ხახანაშვილის პროგრამა ეთნოგრაფიული ცნობების შესაკრებად. შემდეგ თვით „აკაკის კრებულში“ გამოქვეყნდა ამავე მეცნიერის ვრცელი ნაშრომი წერილების სახით — „პროგრამა ეთნოგრაფიული და იურიდიული ცნობების შესაკრებად“⁴⁵.

მნიშვნელოვან ეთნოგრაფიული ბასიათის მასალას წარმოადგენს გ. წერეთლის, ან. თუმანიშვილ-წერეთლის, ბაკურაძის („ქართველი ოსებში“), პეტრე ჭარაიას, მ. ჯანაშვილის, სევ. ჯუღელის, ე.

1902: №№ 4, 5, 8, 9, 12—15, 17—19, 22, 23, 24, 25, 29, 32, 47 და სხვ.

1903: №№ 31, 33, 34, და სხვ.

1904: №№ 1, 2, 4.

⁴⁴ „კვალი“, 1893: №№ 13, 15, 49; 1894, №№ 2, 29, 39, 32, 35, 36, 37, 38, 39, 42—45, 47, 48, 49, 50, 1895: №№ 8, 15, 17, 25, 30, 42; 1896: №№ 19, 21, 34—37, 50; 1897: №№ 25, 51; 1898: №№ 4—9, 11—14, 18, 20, 22, 23; 1899: №№ 5, 7, 9, 10, 29; 1900: №№ 26, 42; 1901: №№ 28, 35, 1902: №№ 18, 29;

⁴⁵ აკაკის კრებული, 1899, № 7, განყ. 1, გვ. 17—32; № 8, განყ. 1, გვ. 71—87; № 9, განყ. 1, გვ. 122—134, № 11, განყ. 1, გვ. 63—81; 1900, № 2, განყ. 1, გვ. 81—110.

კიკინაძის და სხვათა წერილები და კორესპონდენციები, რაც, სხვა ქართულ ეურნალ-გაზეთებთან ერთად, „კვალში“ გამოქვეყნდა⁴⁶.

ისტორიულ-ეთნოგრაფიული წარსულის შესწავლასთან ერთად, იმ დროის ქართული მოწინავე პრესა და მისი მესვეურები საზოგადოებრივი ცხოვრების, ხალხის თვითშეგნების ამაღლებისა და თვითცნობიერებისათვის კულტურულ-საგანმანათლებლო — სახალხო განათლების, ხელოვნებისა და ამგვარ საკითხებს პირველ რიგში აყენებდნენ და მათ გადასაჭრელად ზრუნავდნენ. დიდი ხნის განმავლობაში იმ დროინდელ პირობებში ხალხის განათლების დონე ძალიან დაბალი იყო. არსებული პირველ-დაწყებითი სკოლები, სამრევლო, სასულიერო და სამოქალაქო პასწავლებელი, სკოლის გარეშე განათლება, ბიბლიოთეკები და სხვა, ვერ უპასუხებდნენ ეპოქის მიერ აღძრულ გაზრდილ მოთხოვნილებასა და ხალხის მისწრაფებას. ამიტომ სრულიად გასაგებია, რომ მაშინდელი ქართული პრესა განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა აღნიშნული გადაუჭრელი საკითხების მოგვარებისათვის.

უმადლესი სასწავლებლის დაარსების საკითხი საქართველოში, ჭერ ისევ ადრე ერთ-ერთმა პირველთაგანმა გ. წერეთელმა დასვა⁴⁷. ამ საკითხზე გამოქვეყნდა წერილები ქართულ პრესაში. ამ პერიოდშია დაბეჭდილი სტატია — „პოლიტეხნიკუმისათვის ქუთაისში“⁴⁸; „რა გვარი ცოდნა უფრო გვეჭირვება ქართველებს“⁴⁹. აქ აღძრულია საკითხი სასოფლო-სამეურნეო განათლების გავრცელების აუცილებლობის შესახებ. ამ საკითხზე გამოქვეყნდა სხვა წერილებიც: მ. ზაალიშვილის — „ბ. რედაქტორო!“ — ს. ქვარიაშვილის წერილის საპასუხოდ — „რაგვარი ცოდნა უფრო გვეჭირვება ქართველებს“⁵⁰; ნ. კურნალის — „შესახებ სტატიისა „რაგვარი ცოდნა უფრო გვეჭირვება ქართველებს““⁵¹ — უმადლესი სასოფლო-სამეურნეო განათლების მიღება რუსეთში თუ ევროპაში.

სად უფრო ჯობია უმადლესი განათლების მიღება — რუსეთში თუ საზღვარგარეთ. ამის შესახებ გამოთქვამს თავის მოსაზრებას „კვალში“ ალ. ხახანაშვილი — „როგორ გავეცნოთ ევროპას“⁵² —

⁴⁶ „კვალი“, 1893, №№ 5, 6, 12, 15, 44, 46, 51; 1894, №№ 5, 12, 37; 1895, 1, 16, 18, 21, 26, 28; 1896, №№ 26, 30; 1901, №№ 44, 45, 46.

⁴⁷ „კრებული“, 1871, № 5.

⁴⁸ ეურნ. „მეურნე“, 1898, № 6, გვ. 1; № 7, გვ. 1.

⁴⁹ ი ქ ე ე, 1897, № 10—11, გვ. 1—8.

⁵⁰ ი ქ ე ე, 1897, № 14—15—16, გვ. 4—5.

⁵¹ ი ქ ე ე, 1897, № 14—15—16 გვ. 3—4.

⁵² „კვალი“, 1894, № 43, გვ. 2.

სწავლის გასაგრძელებლად ახალგაზრდების გაგზავნის შესახებ საზღვარგარეთ: ნიკო გურული (ნ. სიხარულიძე) წერილში — „უცხოეთიდან ფიქრი და შენიშვნები“⁶³ აღნიშნავს ქართველების ჩამორჩენას განათლების მხრივ და ევროპაში ახალგაზრდების სასწავლებლად გაგზავნის აუცილებლობის შესახებ.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, „კვალის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული ნაბეჭდი პროდუქციის მიხედვით, ყურადღების ცენტრშია მოქცეული სახალხო განათლების ამდღებზე ზრუნვა.

„კვალში“ წარმოდგენილია საკითხთა მთელი წყება: პირველდწყებითი სკოლისა და სკოლის გარეშე განათლების, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების, სპეციალური განათლების — სასოფლო-სამეურნეო სკოლის, კომერციული და ტექნიკური სკოლის, სამრეწლო, სასულიერო სასწავლებლებისა და სემინარიის, კერძო სასწავლებლების — სათავადაზნაურო სკოლის, მასწავლებელ ქალთა საზოგადოების სკოლის, კერძო სკოლების, სკოლის გარეშე განათლების — საკვირაო სკოლის, სახალხო კითხვების მოწყობის, ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების სკოლების, სახალხო მასწავლებლების. მოსწავლე ახალგაზრდების, სტუდენტების, სახელმძღვანელოების შექმნის. პედაგოგიკის, აღზრდის, სასკოლო (ბავშვთა) ჰიგიენის, საქართველოს, რუსეთისა და უცხოეთში განათლების ისტორიისა და სხვა, რომელთა სისრულით დასახელებაც შორს წაგვიყვანდა.

ამრიგად, სახალხო განათლების საკითხებზე „კვალში“ დაგროვილი მასალა სპეციალური კვლევის საგანია. შესანიშნავი ნაბეჭდი წერილები, სტატიები, კორესპონდენციები მკვლევარს უხვსა და ამოუწურავ მასალას უშლის საქართველოში სახალხო განათლებისა და კულტურის განვითარების ისტორიისათვის.

ასევე მდიდარი და უხვია „კვალი“ ქართული ხელოვნებისა და თეატრის ისტორიისათვის. აქ თქვენ ეცნობით მდიდარ და საინტერესო მასალას ქართული დრამატიული საზოგადოების, თბილისის, ქუთაისის, პროვინციის თეატრების საქმიანობას, ქართული თეატრის გამოჩენილ მსახიობებს, მათ მიღწევებს; ქართული თეატრის წარმოდგენებზე განცხადებებს, რეცენზიებს, წერილებს; ეცნობით სხვადასხვა დროს გამართული ქართული ლიტერატურულ-მუსიკალური „დილა-საღამოების“ შესახებ მასალებს; მხატვრობას — ქართველ მხატვართა სურათებს (ა. ბერიძის, გ. გაბაშვილის, ა. გოგიაშვილის, მ. თოიძის, ალ. მრეველიშვილის და სხვ.), რაც ნათლად არის წარმოდგენილი „კვალში“ დაბეჭდილი რეპროდუქციებით.

⁶³ „კვალში“, 1895, №№ 30, 31.

შსახიობებმა გარდა ქართული თეატრის მოამაგე-მზრუნველთა შორის ვხედავთ აკაკის და გ. წერეთელს, რომლებიც „კვალში“ აქვეყნებდნენ პიესებს, რეცენზიებს, შენიშვნებს⁵⁴.

ასეთია ზოგადად „კვალში“ წარმოდგენილი ქართული ხელოვნებისა და თეატრის ისტორიის საკითხები, რაც სპეციალური კვლევის მაღლიან ღირსშესანიშნავ თემას წარმოადგენს, აქ კი მხოლოდ ამის აღნიშვნით დავეყვარებით.

ამრიგად, საქართველოს მდიდარი ისტორიული წარსულის, განათლების, ხელოვნების (თეატრის, მხატვრობის, მუსიკის) და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ჩვენებითა და ასახვით „კვალმა“, სრულიად შეგნებულად, მიზანსწრაფულად, ხელი შეუწყო, რომ მკითხველის გულში უფრო მეტად გაეცხოველებინა ეროვნული გრძობა, აემალლებინა სამშობლოსა და მისი დიდი კულტურული მემკვიდრეობის ღრმა შეგნება, მოწიწება და სიყვარული. ეს თავისთავად დადადებს იმ გარემოებაზე, თუ რამდენად ხელს უწყობდა და აღვივებდა „კვალი“ ეპოქის მიერ წამოყენებულ ეროვნული და სოციალური თავისუფლების მოპოვებისათვის მებრძოლი იდეებს ორი საუკუნის მიჯნაზე — მე-19 საუკუნის უკანასკნელი ათეული წლებისა და მე-20 საუკუნის დასაწყისში, რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარების გარიჟრაჟზე.

სოციალურ-პოლიტიკური საკითხები და კუბლიციზმია „კვალში“

„კვალი“ თავისი მრავალრიცხოვანი ადგილობრივი თანამშრომლებისა და კორესპონდენტების გარდა, სამშობლოდან სასწავლებლად წასული ახალგაზრდებიდანაც ღებულობდა მეტად შინაარსიან, საინტერესო წერილებს, კორესპონდენციებსა და სხვადასხვა ამბებს. ეთნოგრაფიულ-გეოგრაფიული, სამეურნეო და ეკონომიური, სოციალური და პოლიტიკურ-პუბლიცისტური შინაარსის შემკველი მასალები ფართო ინტერესს იწვევდა მკითხველ საზოგადოებაში.

ეკონომიურ, სოციალურ და პოლიტიკურ-საზოგადოებრივ საკითხებს ეხება ვლ. დარჩიაშვილის, ფ. გოგიჩაიშვილისა და სხვათა წერილები.

ამ მხრივ აღსანიშნავია: ვლ. დარჩიაშვილის — „მეოცე საუკუნის გარიჟრაჟებზე (წერილი ბრიუსელიდან)“, — მუშათა საერთაშორისო ბიუროს მიერ ბრიუსელში გამართული დღესასწაული მე-XX

⁵⁴ „კვალი“, 1893, №№ 3, 11, 51; 1895, № 51; 1897, №№ 45, 47; 1898, № 2, და სხვ.

საუკუნის შესახვედრად; „წერილი საფრანგეთიდან. მუშათა პარტია დემოკრატიული რეფორმების მომხრე, ადგილობრივი თვითმართველობა. მუშათა პარტია მუნიციპალიტეტში. მაისის არჩევნები“⁵⁵; ფ. პატრიშვილის (გოგიჩაიშვილის) — „მგზავრის შენიშვნები (ევროპაში)“⁵⁶ და სხვ.

ეს ის პერიოდია, როდესაც სოციალ-ეკონომიურ და პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში დიდი გარდატეხა ხდებდა. ამ დარგში ყოველ მტკივნეულ საკითხზე კამათი გაცხოველებულ ხასიათს ღებულობს, რაც თავისთავად გამოძახილს პოევებს ქართულ პრესაში. ამ მხრივ დამახასიათებელია „კვალი“, რომლის ფურცლებზედაც სისტემატიურად იბეჭდებოდა ეკონომიურ-პოლიტიკური ხასიათის წერილები. ამის საუკუთესო მაგალითია მოსაუბრის (ფ. მანარაძის) კამათი ლალთან (ლასხიშვილთან) და არჩ. ჯორჯაძესთან. გავიხსენოთ ფ. მანარაძის წერილები: „გაკვირთ პასუხი“⁵⁷ ლალსა (ლასხიშვილს) და ვ. წ-ს (ვასილ წერეთელს) საქართველოში კაპიტალისტური წარმოების შესახებ; „საუბარი სხვადასხვა საგნებზე“⁵⁸ — არჩ. ჯორჯაძის წერილის — „სოფელი და ქალაქი“-ს წინააღმდეგ; „საუბარი სხვადასხვა საგნებზე“⁵⁹ — კამათი არჩ. ჯორჯაძესთან ინგლისისა და საერთოდ ევროპის ეკონომიკის შესახებ: ამასთანავე დაკავშირებული მეოთხე წერილი: „საუბარი სხვადასხვა საგნებზე“⁶⁰ — ქალაქი და სოფელი, გლეხები, სასოფლო-სამეურნეო იარაღების გაუმჯობესება, გლეხების გადასახლება ქალაქში და სხვ.

სოციალური და პოლიტიკური ეკონომიის საკითხები, შრომა და მშრომელები საქართველოში, შრომა და მშრომელები რუსეთში, უცხოეთში; მუშათა არტელი და ამხანაგობა, პროფესიონალური კავშირი დასავლეთ ევროპაში; საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა, ბუნებრივი სიმდიდრენი, შავი-ქვის მრეწველობა ჭიათურაში და მისი მდგომარეობა, ფაბრიკა-ქარხნები, ხელოსნობა-შინამრეწველობა, ბანკები საქართველოში და მათი მნიშვნელობა, თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი; ქუთაისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი; კოოპერაციული საზოგადოება და სავაჭრო ამხანაგობა ჩვენში და უცხოეთში: მიწათმფლობელობა, გადასა-

⁵⁵ „კვალი“, 1901, № 3; 1900, №№ 23, 24, 27.

⁵⁶ ი ქ ე ე, 1897, №№ 39—41, 44, 45, 47—50; 1898, №№ 3—5, 22—26, 28, 32, 34, 36, 37.

⁵⁷ ი ქ ე ე, 1895, №№ 20, 21, 22, 23.

⁵⁸ ი ქ ე ე, 1901, № 36.

⁵⁹ ი ქ ე ე, 1901, №№ 39, 41.

⁶⁰ ი ქ ე ე, 1901, № 46.

ხადები. ვაქრობა; ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა: კახეთის რკინიგზა, ქიათურის რკინიგზა, ამიერ-კავკასიის რკინიგზა, სასოფლო ვზები და ხიდები. ფოსტა და ტელეგრაფი: რუსეთისა და საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიური მდგომარეობა და სხვა. — აი მთელი წყება საკითხებისა დროისა და ეპოქის დაჩქარებული საკიროებისათვის წამოყენებული, რომლის გარშემო გაცხოველებული განსჯა და კამათი მიმდინარეობდა. ამ მიმართულებით „კვალში“, მრავალრიცხოვან ავტორთა და კორესპონდენტთა საშუალებით. უამრავი წერილები, შინაური მიმოხილვები, სტატიები, კორესპონდენციები დაიბეჭდა, რაც ნათლად გვისახავს იმ დროის სოციალურსა და ეკონომიურ მდგომარეობას.

იმ დროისათვის მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა „კვალის“ ფურცლებზე დაბეჭდილი ალ. წულუყიძის — „ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან (საუბარი მკითხველთან)“⁶¹.

აქვე უნდა აღინიშოს ი. ფანცხავას (ფხა) — „ფაქტორები ისტორიის პროცესისა“⁶², ფ. გოგიჩაიშვილის — „ეკონომიური წერილები. შაქარი და შაქრის საექსპორტო პრემიები“⁶³.

საქართველოს ეკონომიური მდგომარეობის შესახებ „კვალში“ მისი დაარსების პირველსავე წელს დაიბეჭდა ეგ. ნინოშვილის — „უებარი საშუალება საქართველოს გამდიდრებისათვის“⁶⁴, კაპიტალიზმის განვითარების შესახებ საქართველოში. აქ საგულისხმოა, რომ მშობლიური ქვეყნის უკეთესი მერმისისათვის მეგრძოლმა მწერალმა თავის ამ სტატიას ეპიგრაფად წაუმიძღვარა ილიას ცნობილი სტრიქონები:

„ჩემო კარგო ქვეყანავ, რისთვის მოგიწყენია?
აწყო თუ არა გწალობს, მომავალი შენია!“

ჩვენი ქვეყნის მრეწველობის განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოყენება-დამუშავებას. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ქიათურის შავი ქვის მრეწველობაზე გამოქვეყნებული წერილები. ამის შესახებ წერდნენ როგორც თვით შავი ქვის აღმომჩენი აკაკი წერეთელი⁶⁵, ისე

⁶¹ „კვალი“, 1903, №№ 28, 29, 30, 31, 32, 33, 34; 1904, №№ 1, 2, 3.

⁶² ი ქ ვ ე, 1894, №№ 49, 50, 51, 52.

⁶³ ი ქ ვ ე, 1902, № 27.

⁶⁴ ი ქ ვ ე, 1893, №№ 39, 40.

⁶⁵ ი ქ ვ ე, 1893, № 34; 1902, № 50.

ალ. წულუკიძე⁶⁶, გ. წერეთელი⁶⁷, თ. კიკვაძე (ქალარა)⁶⁸, ძველი სემინარიელი და სხვები. აქ უნდა გავიხსენოთ ძველი სემინარიელის — „მცირე მოგონება შავი ქვის მრეწველობის ისტორიიდან (ვუძღვნი აკაკის)“⁶⁹; ამის საპასუხოდ აკაკიმ გამოაქვეყნა „მცირე შენიშვნა“ — ძველი სემინარიელის წერილის გამო „ჭიათურის შავი ქვის მრეწველობის ისტორიის“ შესახებ. ამაზე აღრე, მან 1893 წელს დაბეჭდა „მოგონება მარგანეცის გამო“.

ქართულ პრესაში თავიდანვე დიდ ყურადღებას და კამათს იწვევდა თბილისისა და ქუთაისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკების მდგომარეობა და საქმიანობა. ამის შესახებაც „კვალში“ დაიბეჭდა ალ. წულუკიძის⁷⁰, გ. წერეთლისა⁷¹ და სხვათა წერილები.

არ შეიძლება არ აღინიშნოს აგრეთვე მიწათმფლობელობის საკითხი, რითაც მეტად დაინტერესებული იყო „კვალი“. აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა სანადელო მიწების გამოყიდვისა და ხიზანთა საქმის მოწესრიგება; ასევე მტკივნეული იყო შავი ზღვის სანაპიროებზე კოლონიზაციის საკითხი და სხვ. ამ საკითხებზე „კვალში“ დაიბეჭდა ფ. მახარაძის — „ზოგიერთი კითხვები. მიწათმფლობელობის შესახებ ჩვენში“⁷²; ივ. გ-რის (ივ. გომელაურის) — „ქიზიუი“⁷³ — საერთო მიწის მფლობელობის შესახებ და სხვ.; დროებით გარეჯელის — „სოფ. საგარეჯო (ტფილისის მაზრა)“⁷⁴. — უკმაყოფილება მეზობელ სოფლებთან სადავო მიწისა და მიწის მზომლების შესახებ; პ. კ-ას (პეტრე ქარაიას) — „მიწათმფლობელობა აფხაზეთში“⁷⁵ და სხვ.

ამას გარდა, „კვალი“ აშუქებდა აგრეთვე რუსეთისა და უცხოეთის ეკონომიურ პირობებს და ამასთან ერთად აღნიშნავდა კანონებისტურ მეურნეობასთან დაკავშირებით ჩაგრული მშრომელი ხალხის მდგომარეობის თანდათანობით გაუარესებას. ამის შესახებ საინტერესოა ფ. მახარაძის — „რუსეთის შინაგანი ქრონიკა“⁷⁶, რომელ-

⁶⁶ „კვალი“, 1903, № 5.

⁶⁷ ი ქ ე ე, 1896, № 19; 1897, №№ 41, 42.

⁶⁸ ი ქ ე ე, 1895, № 15; 1897, № 11.

⁶⁹ ი ქ ე ე, 1902, № 49.

⁷⁰ ი ქ ე ე, 1899, № 16.

⁷¹ ი ქ ე ე, 1894, № 23; 1895, № 10, 12; 1899, №№ 11—13, 17, 19.

⁷² ი ქ ე ე, 1902, № 20, 23, 24, 26, 32.

⁷³ ი ქ ე ე, 1896, № 36; 1897, № 31.

⁷⁴ ი ქ ე ე, 1899, № 16.

⁷⁵ ი ქ ე ე, 1897, №№ 11—14.

⁷⁶ ი ქ ე ე, 1896, №№ 45, 47, 53.

შიც აღნიშნულია კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში, კაპიტალის წარმომადგენლების ყრილობა ნიჟნინოვგოროდის გამოფენაზე, პროტექციონიზმი, პურის კრიზისი, ყრილობა პურის ტარიფების შესახებ, შრომა და სამუშაო დროის გაწესრიგება და სხვ. ფ. პატრიშვილის (ფ. გოგიჩაიშვილის) — „მგზავრის შენიშვნები (ევროპაში)“ და „ევროპის ძველი და ახალი მეურნეობა“⁷⁷ და სხვა მრავალი.

⁷⁷ „ქვალი“, 1897, №№ 39—41, 44, 45, 47—50; 1899, №№ 27—31, 33, 34.

შალვა სააკაძე

ნიკო ნიკოლაძე და ქართული რომანტიზმი

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში ნ. ნიკოლაძეს ცენტრალური ადგილი უჭირავს. თუ სამოციანი წლების ქართულ ესთეტიკურ აზროვნებასა და სალიტერატურო კრიტიკას დასაბამი ი. ჰავჭავაძის სტატიებმა მისცა, სამოცდაათიანი წლების ლიტერატურულ-კრიტიკული აზროვნება შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ნ. ნიკოლაძის გარეშე. ჯერ „დროებასა“ და „კრებულში“, ხოლო შემდეგ რუსულ გაზეთებში — „ტიფლისსკი ვესტნიკაში“, „ობზორსა“ და „ნოვოე ობოზრენიეში“ დაბეჭდილი სტატიებით ნ. ნიკოლაძე, ერთი მხრით, აგრძელებს და აღრმავებს 60-იან წლებში დაწყებულ ბრძოლას რეალიზმისა და ლიტერატურის ხალხურობისათვის, ხოლო, მეორე მხრით, მთელ რიგ ახალ მოსაზრებებს გამოთქვამს ლიტერატურის თეორიისა და მხატვრული შემოქმედების კონკრეტულ საკითხებზე.

ნ. ნიკოლაძის, როგორც ლიტერატურის კრიტიკოსის მოღვაწეობის საფუძველს მატერიალისტური ესთეტიკა წარმოადგენდა. ნ. ნიკოლაძე სხვა ქართველ სამოციანელებთან ერთად და მათზე უფრო მეტადაც დავალებული იყო რუსი რევოლუციონერი დემოკრატების, განსაკუთრებით ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის ნააზრევით.

რუსი რევოლუციონერი დემოკრატების ესთეტიკურ შეხედულებათა სისტემა მარქსამდელი ესთეტიკური აზროვნების უმაღლეს მწვერვალს წარმოადგენდა. ამ სისტემის ცენტრში ხლოვნებისა და სინამდვილის ურთიერთობის მატერიალისტური გაგება იმყოფებო-

და, რომელიც, თავის მხრივ, ფილოსოფიის ძირითადი საკითხის — ცნობიერებისა და ყოფიერების ურთიერთობის მატერიალისტური გააზრებიდან გამომდინარეობდა.

ხელოვნებისა და სინამდვილის ურთიერთობის აღნიშნულ პრინციპს იზიარებდნენ 60-იანი წლების ქართული ლიტერატურის გამოჩენილი წარმომადგენლები ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი და სხვები. მათ ორგანულად შეისისხლბორცეს ეს პრინციპი და გამომდინარეობდნენ რა ქართული ლიტერატურის განვითარების პერსპექტივიდან, გახდნენ რევოლუციურ-დემოკრატიული ესთეტიკის მხურვალე პროპაგანდისტები, კონკრეტულად და შემოქმედებითად შეუფარდეს ისინი მშობლიური ლიტერატურის განვითარების მოთხოვნილებებს. ქართველმა სამოციანელებმა საქვეყნოდ განაცხადეს, რომ ისინი ბრძოლას უცხადებენ „წმინდა ხელოვნების“ თეორიას და მის დამცველებს, რომ ხელოვნებას და ლიტერატურას ისინი უყურებენ არა როგორც უსაქმური ხალხის გასართობს, არამედ, როგორც „ცხოვრების გასაუმჯობესებელ ღონისძიებათა“.

ცნობილია, რომ ესთეტიკის ძირითად საკითხს ხელოვნების სინამდვილესთან დამოკიდებულების საკითხი წარმოადგენს და იმის მიხედვით, თუ როგორ ესმით ეს საკითხი, მოაზროვნეები იყოფიან მატერიალისტური თუ იდეალისტური ესთეტიკის წარმომადგენლებად. ნ. ნიკოლაძე მატერიალისტურად წყვეტდა ხელოვნების სინამდვილესთან დამოკიდებულების საკითხს. მისი აზრით ხელოვნებისათვის გარდა სინამდვილისა სხვა ობიექტი არ არსებობს და, მაშასადამე, ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ სწორი, ობიექტური, მართებული იყოს ხელოვანის მიერ შექმნილი სურათი. ასეთად კი მხოლოდ რეალისტური ხელოვნება გვევლინება. სტატიაში: „კრიტიკა და მისი მნიშვნელობა ლიტერატურაში“ ნ. ნიკოლაძე წერდა: „ლიტერატურის, საზოგადოთ მწერლობის დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ ნამდვილათ, სწორეთ და გონიერათ გამოხატოს ხალხის ყოფა-ცხოვრება, ხასიათი, ზნე, მოთხოვნილება და აზრი“.¹

წერილში — „გლახის ნაამბობი“, მოთხრობა ილ. ჭავჭავაძისა“ ზემოაღნიშნულ მოსაზრებას კიდევ უფრო აზუსტებს ავტორი: „ხელოვნური მწერლობის დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ დაუხატოს მკითხველ საზოგადოებას ხალხის, საზოგადოების და კერძო პირის ნამდვილი მდგომარეობა, ხასიათი, საჭიროება, დაუხატოს ისე,

¹ ნ. ნიკოლაძე, თბზულებანი, ტ. II, 1960, გვ. 411.

რომ მკითხველი ამ მდგომარეობის, ხასიათის და საჭიროებების ნამდვილ გარემოებებს და თვისებებს ხედავდეს, კარგსა და ავს მხარეს სცნობდეს და თან იმ მიზეზების გაგებაც ჰქონდეს, რომელთაც ესეები დაუბადნია... გონიერმა მკითხველმა მწერლობიდან იმის ცოდნა უნდა გამოიტანოს, თუ როგორია ნამდვილი ცხოვრება, რა თვისება აქვს თანამედროვე ხალხს და საზოგადოებას, რა საჭიროება ადგია, რას ეძებს და თხოულობს ეხლანდელი კაცობრიობა და რა გზით, რა საშუალებით, რა იარაღით შეიძლება როგორც ამ საზოგადო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ისე თვითეული ხეირიანი კაცის სარგებლიანი მოქმედება თანამედროვე საზოგადოებაში, თანამედროვე გარემოებებში“².

ამავე დროს ნ. ნიკოლაძეს კარგად ესმოდა, თუ რას ნიშნავს ცხოვრების რეალისტური ასახვა და იგი გარკვეულ ზღვარს ავლებდა რეალისტურ ასახვასა და ნატურალისტურ სურათს შორის.

ნ. ნიკოლაძე გარკვეულად უსვამს ხაზს ხელოვნების სპეციფიკას, მან კარგად იცის, რომ ხელოვნებას სპეციფიკური ნიშნები გააჩნია, რომელთა საშუალებითაც იგი იძენს უნარს ხალხზე ზემოქმედებისას: „პოეტი ნიადაგ იმას უნდა ცდილობდეს, რომ მისი აზრი ცხოველ სურათათ ჩაიჭრას მკითხველის ტვინში. აი ამ მიზეზით პოეტები ნიადაგ სურათებს (ინჟანჟი) ხმარობენ, ყოველთვის იმას ცდილობენ, რომ მათი აზრი მკლეთ და უხორციელოთ კი არა, შედარებით და სურათით გაცხოველებული და ახსნილი გამოვიდეს. პოეტური სურათი, პოეტური „ფერი“ იმაში მდგომარეობს, რომ სიტყვით გამოხატული სურათი თითქმის უნებურად შეეთვისოს მკითხველის გონებას და აღარ მოსცილდეს მის ტვინს, ისე, რომ ყოველთვის, როცა მკითხველი იმისთანა საგანს ან შემთხვევას გაიხსენებს, რომელსაც რაიმე მსგავსება ან დამოკიდებულება აქვს პოეტისგან გამოთქმულ აზრთან ან გამოხატულ საგანთან, პოეტის სურათი და შედარება, მისი მსწრაფლი სჯა და ძლიერი სიტყვები თვალს წინ დაუდგენ და გაახსენდენ“³.

ნ. ნიკოლაძეს კარგად ესმის, რომ შემოქმედებითი პროცესი ურთულესი პროცესია, რომელიც მწერლისაგან, გარდა ცხოვრების ცოდნისა, უდიდეს ნიჭსა და მგრძნობიარე გულს მოითხოვს. ნიკოლაძის გამოთქმით, ნამდვილი მწერალი „კაცი გულის მცნობი მეცნიერია“. „მაღალი და პატიოსანი გრძნობა, — წერს იგი, — კეთილი სუ-

² ნ. ნიკოლაძე, თხზ. ტ. III, გვ. 378—379.

³ იქვე, გვ. 263.

ლის მოძრაობა. მშვენიერი ლტოლვილება და გულის სიმალლე თითქმის ნიადაგ მხედრად რგებიან უმჯობეს პოეტებს და უგონიერეს კაცის გულის მცნობელებს. პოეტის დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ ზემოქმედება მოახდინოს საზოგადოებაზე, აამაღლოს მკითხველი და მის გულში ის წმინდა ალი და გრძნობა ჩანერგოს. ამ დანიშნულებას კი ლიტერატურა მხოლოდ მაშინ შეასრულებს, როცა კარგად იცნობს პოეტი ადამიანის გულსა და გრძნობას“. ნ. ნიკოლაძის მართებული გამოთქმით, „პოეტი ნიადაგ დაკვირვებულ უნდა იყოს თავისი ხალხისა და საზოგადოების გულის ფეთქებაზე, ნიადაგ მის გულის წადილს უნდა იცნობდეს, უპასუხებდეს...“, მაგრამ ჩვენს კრიტიკოსს ისიც კარგად ესმის, რომ პოეტი იმ საზოგადოების შვილია, რომელშიაც უხდება ცხოვრება და მის მოქმედებას საზოგადოებრივი ცხოვრება განაპირობებს.

რეალიზმის თეორიის შუქზე წყვეტს ნ. ნიკოლაძე ლიტერატურაში ტიპიურობის პრობლემასაც. იგი ხაზს უსვამს, რომ თითქმის ყოველთვის ის ცხოვრება, რომელიც თხზულებაში გამოსახული იყო, მკითხველს ნაცნობ საგნათ ეჩვენება. როგორი მოვლენები უნდა შეარჩიოს მწერალმა ნაწარმოებში აღსაწერად? რომელიც გავრცელებულია და რომელსაც საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ ი. ჭავჭავაძის სტატიებში რეალიზმის თეორიის თითქმის ყველა საკითხი იყო განხილული და განმარტებული ქართული ლიტერატურის ფონზე, ჩვენი მწერლობა მაინც საკუთრივ ლიტერატურულ-კრიტიკული სტატიების დიდ ნაკლებობას განიცდიდა, სალიტერატურო კრიტიკა სერიოზულად ჩამორჩებოდა მხატვრული ლიტერატურის განვითარებას. „ჩვენი ეხლანდელი ლიტერატურა. — წერდა გაზეთ „დროების“ რედაქტორი ს. მესხი, — არაფერში არ გრძნობს ისეთს ნაკლოვანებას, როგორც კრიტიკაში. როგორს მწერალსაც გინდა ნახავთ, — მაგრამ კრიტიკოსი კი, რიგიანი კრიტიკოსი, ჯერჯერობით ერთიც არ მოიპოვება, როცა ეხლა კი არაფერი და არავინ არ გვექირვება, როგორც ხეირიანი კრიტიკოსი. ჩვენც მეფე რიჩარდით შეგვიძლია დავიყვიროთ: „კრიტიკოსი, კრიტიკოსი“. — ნახევარ მწერლებს მიცემთ, ვინც ერთს კარგს კრიტიკოსს გვიპოვის“⁴.

ასეთი იყო ვითარება 70-ანი წლებისათვის, როცა, საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ ნ. ნიკოლაძემ ინტენსიურად დაიწყო მოღვაწეობა ლიტერატურული კრიტიკის სფეროში.

⁴ „დროება“, 1873, № 14.

ეურნალ „კრებულის“ ფურცლებზე ნ. ნიკოლაძემ წამოაყენა ლიტერატურული კრიტიკის დანიშნულების საკუთარი გაგება. მან სპეციალური სტატიაც კი დაბეჭდა ამ საკითხზე: „კრიტიკა და მისი მნიშვნელობა ლიტერატურაში“⁵. ნ. ნიკოლაძე მართებულად შენიშნავს, რომ კრიტიკა ლიტერატურის ნაწილი, მისი ერთი დარგია, „რომელიც თვალს ადევნებს დანარჩენი ნაწილების მოქმედებას და მოძრაობას, ნიშნავს მათ ხასიათს, ჰკრეფს მათი ნაშრომის ყვა-ვლებს. აფასებს მათ მნიშვნელობას და არდგენს საბოლოო სჯას, გადაწყვეტილებას ამ საზოგადო შრომაზე და მოქმედებაზე“.

კრიტიკის დანიშნულება იმაში კი არ მდგომარეობს, რომ მწერლის შემოქმედებით ლაბორატორიაში უხეშად ჩაერიოს და ნაწარმოების წერა ასწავლოს მას, არც იმაში, რომ „მწერლებისა და პოეტებისათვის წერის იარაღი ამაღლოს ან მათ სურათების ხატვა ასწავლოს. კრიტიკა მწერალს ეუბნება: იხმარე ის საშუალება, რომელიც ნიქს შენთვის მოუცია. დაადექ იმ გზას, რომელიც შენ გონებას და ხასიათს მოუზღებდა. სთქვი, როგორც გინდა, და რაც გინდა, ოღონდ შენი ნათქვამი ნათლად გასაგები და დასამახსოვრებელი იყოს, და შენი გრძნობა და აზრი შემცდარი და ხალხისათვის სავნებელი არ იქნეს“. მაშასადამე, ნ. ნიკოლაძის აზრით, კრიტიკა, უპირველეს ყოვლისა, ლიტერატურის საზოგადოებრივი ფუნქციის გაგებიდან უნდა გამომდინარეობდეს. ამ შემთხვევაში გადაამწყვეტი კი ისაა, თუ რამდენად შეეფერება სინამდვილეს ლიტერატურაში ასახული სურათი, რამდენად რეალისტურია იგი. „როცა კრიტიკა მახინჯ თხზულებას სინჯავს, ის თავდაპირველათ იმ ცხოვრების ნაწილს იღებს, რომელიც უნდა გამოეხატა მწერალს და მის აწერილობას ადარებს. კრიტიკა ამბობს: აი, რას წარმოადგენდა ჩვენი ნამდვილი ცხოვრება, აი, რა და რა მხარეზე უნდა მიექცია ყურადღება მწერალს, აი, რა და რა უმთავრესი საფუძველი და ნაყოფი აქვს ამ ცხოვრებას, და აი, მესამე მხრით. რა ნაირათ, რა სუსტათ გამოუხატავს ეს საგანი მწერალს, რა დაბნეულათ და შეუფერებლათ აუწერია იმას ცხოვრება“. ყოველივე ამას კრიტიკა აკეთებს დამაჯერებლად. დინჯად და არა აჩქარებით და ლანძღვა-გინებით. ხოლო თუ ნაწარმოები კარგია, „ამ შემთხვევაში კრიტიკა პირდაპირ ამბობს, ცხოვრება სწორეთ და ჩინებულად გამოხატულია ამ თხზულებაში, და აი. რასა და რას წარმოგვიდგენს ჩვენ იმ საგნების, ხასიათების და მდგომარეობის გასინჯვა, რა და რა აზრს სძრავს და რა გრძნობას ბადებს ჩვენში ეს თხზულება“.

⁵ „კრებული“, 1871, № 3.

როგორც ვხედავთ. ნ. ნიკოლაძის მოსაზრებანი კრიტიკის დანიშნულების შესახებ მეტად საყურადღებოა. ექვს გარეშეა, რომ ისინი არაა ავტორის ფანტაზიის ნაყოფი, არამედ, როგორც ქართული, ისე რუსული და მსოფლიო კრიტიკული აზრის გამოცდილებათა დამყარებული. განსაკუთრებით კი ბელინსკისა და დობროლუბოვის კრიტიკული ნააზრევის განზოგადობათაზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 60-იან წლებში ი. ჰავჭავაძემ განსაზღვრა კრიტიკის დანიშნულება. ეს განსაზღვრა სწორი, მაგრამ მოკლე და ზოგადი იყო, და აი ათი წლის შემდეგ მეორე თერგდალელმა ნიკო ნიკოლაძემ ვრცლად და გასაგებად ჩამოაყალიბა თავისი შეხედულებანი ლიტერატურული კრიტიკის ამოცანებზე.

ზემოაღნიშნული პრინციპებიდან გამომდინარე ნ. ნიკოლაძე თავის ხანგრძლივ ლიტერატურულ-კრიტიკულ საქმიანობაში.

თავისი მოსაზრებანი ქართული მწერლობის შესახებ ნ. ნიკოლაძემ ძირითადად უჩრნალ „კრებულის“ არსებობის პერიოდში ჩამოაყალიბა. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვა გამოცემებში მას არაფერი დაუბეჭდია, მაგრამ როგორც „დროება“, ასევე „ტიფლისსკი ვესტნიკი“, „ობზორი“ და „ნოვოე ობოზრენიე“ გაზეთები იყო და ვრცელი ლიტერატურულ-კრიტიკული განსჯის საშუალებას არ იძლეოდა.

უჩრნალ „კრებულში“ დაიბეჭდა ნ. ნიკოლაძის ვრცელი სტატია „გრიგოლ ორბელიანი“ (1873 წ. № 3). სტატიის საბაზი გახდა გ. ორბელიანის ლექსების კრებულის გამოცემა პ. უმიკაშვილის მიერ, მაგრამ ნ. ნიკოლაძის „გრიგოლ ორბელიანი“ არაა ჩვეულებრივი ბიბლიოგრაფიული ხასიათის წერილი, იგი სერიოზულ მოსაზრებებს შეიცავს როგორც ქართველი პოეტის შემოქმედებაზე, ასევე ქართული რომანტიზმისა და კრიტიკული რეალიზმის შესახებაც.

ნ. ნიკოლაძეს ჩვენი მწერლობის „სიგლაჯავედ“ მიაჩნია ის, რომ „ორმოცი წლის განმავლობაში გრ. ორბელიანისთანა მგრძნობიერი ნიჭი ფარდაფარებული იყო“. კრიტიკოსი დაწვრილებით იხილავს გრ. ორბელიანის ლექსებს და მათი ავტორის შემოქმედებას გარკვეულ პერიოდებად ჰყოფს. მას მიაჩნია, რომ გრ. ორბელიანის შემოქმედების პირველ პერიოდს, რომელიც მას 1832 წლამდე მოჰყავს, „უწინდელი მწერლობის და ძველებური პოეტების გავლენა ატყვიან“. ამ პერიოდის გრ. ორბელიანს იგი „გრძნობების პოეტს“ უწოდებს და მიაჩნია, რომ პოეტი მოხდენილად გამოხატავს თავის სათქმელს. აქ ნახმარი არაა სიტყვა „რომანტიზმი“. ცნობილია, რომ მე-19 საუკუნის 60—70-ანი წლების მოღვაწეები ამ ტერმინს ჯერ

კიდევ არ ხმარობენ, მაგრამ ნ. ნიკოლაძის გაგებით „გრძნობების პოეტი“ სხვა არაფერია, თუ არა რომანტიკოსი.

კრიტიკოსი იხილავს გრ. ორბელიანის ამ პერიოდის ორ ლექსს „მ-დმი“ და „ღამე“, და აღნიშნავს, რომ ამ ლექსების შემდეგ პოეტის კილო ორიგინალურ იერს იძენს და თავისუფლდება ძველი მწერლობის გავლენისაგან, „ლექსი მსუბუქი და ადვილი ხდება, სურათი კეკლუცათ და მარდათ იხატება ორიოდ კალმის გასმა გამოსმით“. მაგალითისათვის მას მოაქვს ადგილები ლექსიდან „იარალის“, რომელიც გადასახლების დროსაა დაწერილი.

განსაკუთრებული ყურადღება ნ. ნიკოლაძეს მაინც იმ ლექსებისთვის მიუქცევია, რომლებშიაც პოეტის რეალისტური ხედვაა საგრძნობი. რომანტიკული ლექსები კრიტიკოსის ყურადღებას იპყრობს მხოლოდ როგორც დასაწყისი დიდი პოეტის შემოქმედებისა. მას მიაჩნია, რომ დაიწყო რა პოეტმა საკუთარი გრძნობების გამოხატვა, მან შესძლო სხვისი ცხოვრებაც აესახა, „ის სხვის გულშიაც გამჭრიახად იცქირება. იმას სხვის კანშიაც შესვლა სცოდნია და სხვის მაგიერ გრძნობაც“. მაგალითისათვის ასახელებს „მუხამბაზს“ (არავისთვის მე დღეს არა მცალიან), „სალომეს“, „ონიკოვის დარღებს“. „მუხამბაზს“ (გიინდ მეძინოს) — თბილისის მოქალაქეთა და ხელოსნების ყოფის ამსახველ რეალისტურ ლექსებს და დაასკვნის: „ეს თვისება მეტის მეტად შესანიშნავია მწერლობაში, როცა პოეტი იმოღენად სწორათ და ნამდვილად მოახერხებს სხვისი გრძნობის და ზასიათის გაგებას, ისე ჩაძვრება მის გულში და კანში; რომ არა თუ მისი გრძნობა გამოხატოს. მისი ჩვეულებრივი ენაც იხმაროს, ისე რომ მკითხველს დაავიწყდეს. რომ მის წინ პოეტი მღერის და სწერს, და ეგონოს ნამდვილად გამოხატული პირის ხმა მესმის, მის გრძნობას ვხედავ, მის სხეულს ხელს ვკიდებო, ეს იმის ნიშანია, რომ პოეტს ხელოვნებაში უზენაეს სიმალლემდე მიუღწევია“⁶ როგორც მოტანილი სიტყვებიდანს სჩანს. ნ. ნიკოლაძეს უმაღლეს ხელოვნებად რეალისტური ხელოვნება მიაჩნია და სიამოვნებით მოაქვს ადგილები „ონიკოვის დარღებიდან“.

„ეუხისგან გონება — გამოცლალა,
მზე ჰბრწყინავს, თუ თოელი მოდის, არ მესმის!
„ჯანა ღამით ძილი არისღა საღმე,
ანუ დღისით განსვენება გულსა?
„ანუ ვისღა აგონდება სადილი,
ანუ ღამით აბანოში ღებინებო...“

⁶ ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 271.

„ნაბად გახვეულ ქვეყნარ ქეჩაში;
 ეოხვრავ, შავრამ ჩუკა დარდა ვის ესმას?
 - ვინც გაივლის მკობხაჯს: აქ რას აკეთებ?
 „შენ რას ნაღვლობ. მე რას ვიწლო, რა გინდა?
 „მითილი ხარ, თორემ არა მკითხავდი.
 ნოღი ამ ვირს ეძხზე ელაპარაკე!
 „ჩემი დარდა, თვალის ჩინი აქ არის;
 ერთი მითხარ მე საღ უნდა წაეიდღ..“

ნ. ნიკოლაძეს გრ. ორბელიანის პოეზიის მწვერვალად „სად-
 ლეგრძელო“ მიაჩნია. ნაწარმოების განხილვას იგი იწყებს ციტატირით.
 სადაც მოცემულია პოეტის შეხედულება სიყვარულზე და დასძინს:
 „ჩვენი პოეტები ისე ხშირად ლაპარაკობენ სიყვარულზე, ტრფო-
 ბის ეშხზე და ქალებზე, და ისეთი მატერიალური მხარით შეეხებოდენ
 ამ გრძნობას და საგანს, რომ მკითხველი ძალა-უნებურად ეჩვეოდა
 ამ აღმტაცი გრძნობისა და ძალის გაბინძურებას“. მსგავსად რუსო
 რევოლუციონერი-დემოკრატებისა, განსაკუთრებით დობროლუბოვი-
 სა, მწერლის შემოქმედების განხილვა მხოლოდ საბაბია ქართველი
 კრიტიკოსისათვის, მაღალი ზნეობრივი და ეთიკური ნორმების პრო-
 პაგანდისათვის. ისე როგორც მხატვრული ნაწარმოები, კრიტიკული
 ატატიაც ხომ ხალხის აღზრდას, მის გათვითცნობიერებას უნდა ისა-
 ხავდეა მიზნად და ნ. ნიკოლაძეც დაწვრილებით ჩერდება სიყვარუ-
 ლის საკითხზე. კრიტიკოსი აღნიშნავს, რომ ჩვენ საზოგადოებაში სი-
 ყვარული გადაიქცა ისეთ უბრალო „შემთხვევად“, როგორც ლოთო-
 ბა, ან პრაქტიკულ ანგარიშად, როგორც ბანქოს თამაში და ეს ახ-
 ლანდელი ცხოვრების ბრალია, რადგან „ყოველი კერძო პირის ცხოვ-
 რებაში და თითქმის ყოველი ხალხის წარსულში მოიპოვება ერთი
 წუთი, ხანდინან ხანგრძლივი, როცა შრომის უნაყოფობა, ან ოცნე-
 ბითი იმედის დაკარგვა დროებით აღტაცებას ჰკლავს და მაშინ ამ
 უბედურს მდგომარეობაში ჩავარდნილი პირი ან საზოგადოება, ყო-
 ველ თავის მოქმედებას და გრძნობას წუთიერს, შემცირებულ მნიშ-
 ვნელობას და ხასიათს აძლევს, ისეთ ხასიათს, რომელიც ამ გრძნო-
 ბას აბინძურებს და ამ მოქმედებას სწამლავს. ის მაშინ თითქო სა-
 განგებოთ უარყოფს და ივიწყებს ყოველ მაღალ და კეთილშობი-
 ლურ გრძნობას, დასცინის ყოველ აღმტაც გულის მოძრაობას და
 თითოეულ მოქმედებაში, სურვილში, ლტოლვილებაში ყველაზე
 უწინ და ყველაზე უფრო დამეფულად მდებარე, ბინძურ, უიშვლო და
 უხემ მხარეს ეძებს და ნიშნავს“. ქართველი ხალხის ცხოვრება ყო-
 ველთვის ასეთი როდი იყო, მაგალითისათვის კრიტიკოსს „ვეფხის-
 ტყაოსანი“ მოჰყავს, რომელშიაც სიყვარულის გრძნობა იდეალამდე

აყვანილი და ამ მაგალითზე უჩვენებს თუ როგორ უნდა იზრუნოს თანამედროვე ლიტერატურამ ხალხის გაკეთილშობილებაზე. გრ. ორბელიანის დამსახურებადაც კრიტიკოსს სწორედ ის მიაჩნია, რომ სიყვარული მან წარმოუდგინა მკითხველს როგორც უნაზესი გრძნობა, რომელიც საგმირო საქმეებისათვის ალაგრძნებს ადამიანებს:

„სიყვარულისა ალითა ვის ჩვენში გული ეწოდეს
და სატრფოს სახე მარად ვის სულსა აღბეჭდვით თან ჰსდევდეს,
ამა სოფელსა მას რაი წინა საბრკელად აღედგეს?
გულს სიყვარულით, ხელს ხმალით, რას არა აღასრულებდეს“

„სადღეგრძელოში“ კრიტიკოსს იზიდავს აგრეთვე პატრიოტიზმის ის გრძნობა, რომელიც ათქმევინებს პოეტს:

„სხვა საქართველო სად არს, რომელი კუთხე ქვეყნისა.
ერი გულადი, პურადი, მებრძოლი შაჟის ბედისა?!

ასეთ მაღალ შეფასებას აძლევს ნ. ნიკოლაძე გრ. ორბელიანის შემოქმედებას, მაგრამ ამავე დროს აღნიშნავს, რომ მის პოეზიას ქართველ ხალხზე მაინც არ მოუხდენია სათანადო გავლენა:

„რისთვის ყოფილა ის თითქოს ხმადაკარგული და ენაჩავარდნილი მაშინ, როცა მის ნიჭსა და გრძნობას სულ სხვაგვარი დამსახური უნდა გამოეჩინა და უფრო ხეავიანი სარგებლობა უნდა მოეტანა ჩვენი ხალხისათვის. რათ დაკარგულა, თითქმის უსარგებლოთ, ეს ძლიერი პოეტური და ზნეობითი ძალა ისე, რომ თავისი ერის გონებაზე და მომავალზე იმას საკმაო და შესაფერი გავლენა არ შეუძენია, თავისი ბეჭედი არ დაუსვია? როგორ მომხდარა, რომ მის ნაწერში ძლიერ ცოტათი ისმის ხალხის გულის წადილის ხმა, ან მისი პასუხი: ძლიერ იშვიათად ჩანს პოეტის თანამედროვე საზოგადოებას რაც კითხვები და ფიქრები აღუღებდა, იმის ან გამოსახვა ან პასუხის გაცემა“. ამის მიზეზს კრიტიკოსი იმაში ხედავდა, რომ გრ. ორბელიანი ცხოვრებაში მოუშზადებელი გამოვიდა. იგი მოელოდა მხოლოდ სიხარულს და სიყვარულს. ოცნებობდა თავიანი მამულის ბედზე და ყველაფერი ეს „გრიგალმა უბედობის“ დაამსხვრია და ამ მდგომარეობაში იგი მარტო აღმოჩნდა. ამიტომ მიეცა იგი უიმედობას, იმედი დაჰკარგა მომავალზე. საზოგადოებრივი ცხოვრება „დახშული და დახვესიანებულა“ იყო. პოეტი გაექცა ამ ცხოვრებას.

გრ. ორბელიანის პოეზიის სუსტ მხარეს ნ. ნიკოლაძე იმაში ხედავს, რომ ეს არაა ცხოვრებასთან შებმის, შერკინების, ბრძოლის პოეზია. ამიტომ ვერ მოახდინა მან შესაფერი გავლენა თანამედროვე საზოგადოებაზე.

ასეთია ნ. ნიკოლაძის აზრით, გრ. ორბელიანის შემოქმედების ძლიერი და სუსტი მხარეები. როგორც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ კრიტიკოსი სათანადოს მიუზღავს გრ. ორბელიანის შემოქმედებას, მაინც შენიშნავს, რომ მასში სუსტად შეინიშნება ცხოვრებისადმი წინააღმდეგობის, მისი გარდაქმნის ცდის მოტივები.

ნ. ნიკოლაძე ქართველი რომანტიკოსებიდან მართო გრ. ორბელიანის შემოქმედებით არ დაინტერესებულა. 1876 წელს, როცა ლექსთა კრებული გამოსვლასთან დაკავშირებით რეალური შესაძლებლობანი შეიქმნა დიდი ქართველი პოეტის ნ. ბარათაშვილის შემოქმედების პოპულარიზაციისათვის, ნ. ნიკოლაძე, რომელიც ამ დროს „ტიფლისსკი ვესტნიკში“ თანამშრომლობს, ვრცელ სტატიას აქვეყნებს ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაზე (1876 წ. 22 იანვარი). ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო სტატია დამთავრებული არაა. ყურადღებას იქცევს, რომ სტატიას ბოლოს მიწერილი აქვს არა „დასასრული იქნება“, არამედ „გაგრძელება იქნება“ და ეს გვაფიქრებინებს, რომ კრიტიკოსს განზრახული ჰქონდა დაეწერა საკმაოდ ვრცელი სტატია, რომელიც რამდენიმე ფელეტონად იქნებოდა დაბეჭდილი. მიუხედავად აღნიშნულისა, თვით ის ნაწილიც კი, რომელიც დაბეჭდილი იყო „ტიფლისსკი ვესტნიკში“ წარმოადგენს ერთ-ერთ პირველ ცდას ნ. ბარათაშვილის შემოქმედების გააზრებისა და საკმაოდ წარმატებულ ცდასაც.

ნ. ნიკოლაძის სტატიას წითელი ზოლივით გასდევს ავტორის ძირითადი თემა — ნ. ბარათაშვილის შემოქმედების მნიშვნელობა მის ნოვატორულ ხასიათშიო. ნ. ნიკოლაძე აღნიშნავს, რომ ბარათაშვილის უკმაყოფილება საკუთარი ბედით, სწრაფვა უკეთესი მომავლისადმი წარმოადგენდა იმ სიახლეს, რომელსაც „სასიამოვნო დისპარმონია შეჰქონდა წინა წლების ქართული პოეზიის საერთო ტონში, რომელიც სიყვარულისა და სილამაზისადმი მიძღვნილ სიმღერას წარმოადგენდა. ძალა ლექსისა, აზრისა, გრძნობისა და ვნებებისა წარმოადგენდა განმასხვავებელ ნიშანს მისი თხზულებებისას, რომელნიც მკითხველზე ღრმა შთაბეჭდილებებს ახდენენ“. ამავე დროს ნ. ნიკოლაძე აღნიშნავს, რომ პოეტის შემოქმედება იმდენად უცნობი იყო, რომ თვით ქართული კრიტიკაც ვერ ბედავდა რაიმე გარკვეული ეთქვა, რადგან ეშინოდა არ შემცდარიყო. მხოლოდ ახლა დადგა დრო ასეთი მსჯელობისაო.

ამავე დროს ნ. ნიკოლაძე გულისტკივილით აღნიშნავს, რომ არავითარი ცნობები პოეტის ცხოვრების შესახებ გამოქვეყნებული არ არის, თვით გრ. ორბელიანი და ლ. მელიქიშვილიც კი სდუმან, მა-

შინ, როცა ისინი ახლოს იყვნენ პრეტთან და მრავალი საყურად-
ღებო ცნობის მოცემა შეეძლოთ.

არკვევს რა ბარათაშვილის ადგილს თანამქედროვე პოეტთა შო-
რის ნ. ნიკოლაძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მისი პოეზია ნოვატორ-
ული ხასიათისა იყო და ეს ნოვატორობა იმაშია მდგომარეობდა,
რომ ბარათაშვილი პირველი პოეტი იყო, რომელმაც ზურგი შეაქცია
ღვინოსა და სიყვარულს. „სრულყოფილი ხდებოდა ლექსის ფორმა,
იცვლებოდა ჰანგები, ლექსის ტონი გადადიოდა ცრემლიანიდან მხი-
არულში, აღფრთოვანებულიდან ვედრებაში, მაგრამ არსი და შინა-
სრსი იგივე რჩებოდა... შესაძლებელია არავის, გარდა ერთად ერთი
დ. გურამიშვილისა არ უცდია შეხებოდა ცოცხალ, საქირბოროტო
საკითხებს“.

ნ. ნიკოლაძის აზრით, დაწყებული რუსთაველიდან, ბარათაშვი-
ლამდე, როცა საქართველო აწარმოებდა სამკვდრო-სასიცოცხლო
ომებს დამოუკიდებლობისათვისა და სარწმუნოებისათვის, როცა
ხალხის ცხოვრება გავსებული იყო გმირული და ტრაგიკული მომენ-
ტებით, ლიტერატურა ღარიბი იყო ეპიკური და ლირიკული მოტი-
ვებით. ლიტერატურის მიხედვით რომ ვიმსჯელოთ ხალხის ცხოვრე-
ბაზე, ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩება, რომ თითქოს ქართველი
ხალხი ცხოვრობდა უღარდელად და განცხრომით. ამ ფონზე, ნ. ნიკო-
ლაძის აზრით, ბარათაშვილის პოეზია, რომელშიც პირველად გამო-
იხატა თავისი დროის ცხოვრებისეული მოტივები და უკეთეს ადა-
მიანთა ფიქრები და მისწრაფებანი, მნიშვნელოვან მოვლენას წარ-
მოადგენს.

ნ. ნიკოლაძე ხაზს უსვამს, რომ არა მარტო შინაარსისა და მო-
ტივების თვალსაზრისით წარმოადგენს ბარათაშვილის პოეზია სრუ-
ლიად ახალ მოვლენას ქართულ ლიტერატურაში, არამედ ფორმის
თვალსაზრისითაც: „ლექსის გარეგანი მოპირკეთებისა და ფაქტურის
თვალსაზრისითაც ბარათაშვილი თვითმყოფია. მის ლექსს... ქარ-
თულ ლიტერატურაში შეაქვს მანამდე არნახული ენერჯია და ჟღე-
რადობა... მკითხველზე ამ ლექსებით გამოწვეული საერთო შთაბე-
ჭდილება სავსებით შეესაბამება იმას, რასაც რუსულ ლიტერატურა-
ში ლერმონტოვის კითხვა იწვევს. აქ ჩვენ ვამჩნევთ ლექსის ისეთივე
ძალას და ფერთა ისეთივე სიმახვილეს, ცხადყოფას, გვესმის ისეთი-
ვე ფოლადისებური ხმა“.

ნ. ბარათაშვილის შემოქმედების დიდი მნიშვნელობა მანამდეც
იყო აღნიშნული ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში, მაგრამ რუ-
სულ ენაზე და თავისი დროისათვის საკმაოდ პოპულარულ გაზეთში

კი ეს საკითხი პირველად იყო გაშუქებული. ასევე, ნ. ბარათაშვილი მ. ლერმონტოვთან მანამდეც შეუდარებიათ, მაგრამ ნ. ნიკოლაძის დამსახურებას წარმოადგენდა ამ შედარებისათვის კონკრეტული ანალოგიების ხაზგასმა.

ხაზს უსვამდა რა ნ. ბარათაშვილის დიდ პოეტურ ნიქს, ნ. ნიკოლაძეს ამის საუკეთესო დადასტურებად მიაჩნდა პოეტის პოპულარობა ხალხში, კერძოდ ის, რომ პოეტის ბევრმა გამოთქმამ უკვე მოასწრო ქართულ სასაუბრო ენაში გადასულიყო ანდაზების, აფორიზმებისა და სენტენციების სახით.

მხატვრული ოსტატობის თვალსაზრისით კრიტიკოსს სრულყოფილად მიაჩნია ლექსი „მადლი შენ გამჩენს“... ნ. ნიკოლაძის აზრით, „აქ პირველად ქართულ ლიტერატურაში მიგნებულია ხალხური კილო, საგანთა ხალხური მოხატვა, ხალხური ლექსი, — ერთი სიტყვით, ქართულმა ხალხურმა პოეზიამ ამ ლექსში ჰპოვა თავისი კემ-მარიტი გამოძახილი“.

საინტერესოა, რომ ნ. ნიკოლაძე პირველი კრიტიკოსი არ ყოფილა ქართულ ლიტერატურაში, რომელმაც ყურადღება მიაქცია ბარათაშვილის ამ ლექსს. ჯერ კიდევ ნიკოლაძემდე მასზე შეჩერდა ა. ფურცელაძე და იგი ყოველგვარ საზოგადოებრივ მნიშვნელობას მოკლებულად ჩათვალა. ნ. ნიკოლაძის მოსაზრება, როგორც ვხედავთ, სრულიად საწინააღმდეგო ხასიათისა იყო და ძირითადად ამ ლექსის დემოკრატიული ხასიათიდან გამომდინარეობდა. თვით ნ. ბარათაშვილიც ამ ლექსს „მდაბიურულად“, „მე ვარ და ჩემი ნაბადის“ ხმაზე დაწერილად მიიჩნევდა (იხ. წერილი მაიკო ორბელიანისადმი).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბარათაშვილის ლექსების განხილვისას ნ. ნიკოლაძემ დაუშვა ერთი სერიოზული შეცდომაც. ნ. ნიკოლაძეს მიაჩნდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სიყვარულის თემაზე ბარათაშვილმა ცოტა დაწერა, ფორმისა და მხატვრული სიძლიერის მხრივ სწორედ ამ ლექსებში მიაღწია ავტორმა სრულყოფას, რაც შეეხება ლექსებს, „სადაც ის ცხოვრების ფილოსოფიურ ან სულიერ მხარეებს ეხება, ის მკრთალდება და ჰკნება — რასაც ვირველია, თავის სხვა ნაწარმოებებთან შედარებით“. ჩვენთვის, რა თქმა უნდა, ეს შეხედულება მიუღებელია. „მერანისა“ და „სულო ბორბოს“ ავტორს მხატვრულ სისუსტეს ვერ დავწამებთ. ვფიქრობთ, ეს შეცდომა იმით იყო გამოწვეული, რომ კრიტიკის განვითარების იმ სტადიაზე ბარათ-

თაშვილის შემოქმედების შესახებ ჯერ კიდევ ცოტა რამ იყო ცნობილი.

ყოველ შემთხვევაში, აღნიშნული შეცდომის მიუხედავად, ნ. ნიკოლაძის სტატიას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბარათაშვილის შემოქმედების გაგება-შეფასების საქმეში, ამაზე მიუთითებს, სხვათა შორის, ის ფაქტიც, რომ 1893 წელს, ბარათაშვილის ნემტის გადმოსვენების დღეებში ი. ჭავჭავაძემ „ივერიაში“ კვლავ დაბეჭდა აღნიშნული სტატია სათაურით: „ბ-ნ ნ. ი. ნიკოლაძის აზრი პოეტ ნიკოლოზ ბარათაშვილისა და იმის პოეზიაზე“ და ქართველ ხალხს კიდევ ერთხელ გაახსენა ნ. ნიკოლაძის მოსაზრებანი. 1904 წელს ნ. ნიკოლაძის აღნიშნული სტატია კიდევ ერთხელ დაიბეჭდა პოეტის ლექსების მეექვსე გამოცემის წინასიტყვაობის სახით.

როგორც უკვე იყო ნათქვამი, აღნიშნულ სტატიას ბოლოში ჰქონდა მინაწერი — „გაგრძელება იქნება“, ხოლო უკანასკნელი სიტყვებით ავტორი გვპირდებოდა, რომ შემდგომ ფელეტონში ბარათაშვილის ლექსების კონკრეტულ ანალიზზე გადავიდოდა. ეს დაპირება არ შესრულებულა ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, მაგრამ სულ მალე, 1877 წელს „დროების“ ფურცლებზე ნ. ნიკოლაძე კვლავ შეეხო ნ. ბარათაშვილის შემოქმედებას სტატიაში „სირაჯ-პოეტი“ (1877 № 18). ამ სტატიაში ასე მიმართავს ნ. ნიკოლაძე დიდ ქართველ პოეტს:

„არც კაცი ვარგაო, ფიქრობდი, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფელს კი არა რა არგოსო. გამოუდექი შენ ამ „სოფლის რგებას“, დაფიქრდი „საქართველოს ბედზე“, და ქვეყანას მიეცა ფიქრი შენი შავად მღელვარი... შენი განწირული სულის კვეთებას ჩვენს მამულში ბევრის გული აუფართქალებია, ბევრისთვის გაუმხელია, რომ ისიც ადამიანია, ადამიანური ცხოვრების ღირსი“. ამ სიტყვებში მოკლედ, მაგრამ სწორად არის მოცემული ნ. ბარათაშვილის პოეზიის მნიშვნელობა ქართველი ხალხისათვის.

ამრიგად, ნ. ნიკოლაძეს მოუხდა აზრის გამოთქმა, რომელი ქართველი რომანტიკოსი პოეტის გრ. ორბელიანისა და ნ. ბარათაშვილის შემოქმედებათა შესახებ. ნ. ნიკოლაძის სტატიებიდან, გარდა კონკრეტული საკითხებისა, ყურადღებას იქცევს ზოგერთი საერთო, ზოგადი მოსაზრება, რომელიც საშუალებას გვაძლევს გავიზაროთ, თუ რა დამოკიდებულებაში იყო ქართველი კრიტიკოსი რომანტიზმთან, როგორც ლიტერატურულ მიმდინარეობასთან.

საერთოდ, ქართული ლიტერატურის განვითარების თავისებური გზით, ქართული რომანტიზმისა და რეალიზმის სპეციფიკური ნიშნებით უნდა აიხსნას ის მდგომარეობა, რომ კრიტიკული რეალიზმის დამკვიდრება-განვითარებისათვის ბრძოლა ჩვენში რომანტიზმთან სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებით არ წარმართულა. რეალიზმი საქართველოში ეროვნული ლიტერატურის ლოგიკური განვითარების შედეგი იყო და არა ჩრდილოეთიდან ან დასავლეთიდან შემოტანილი უცხო ნერგი. ეს იმას ნიშნავდა, რომ რეალიზმმა მემკვიდრეობით მიიღო რომანტიზმისაგან ყველაფერი უკეთესი და შემდგომი განვითარება მისცა. ეს პროცესი ცოტად თუ ბევრად სხვა ქვეყნებშიაც მსგავსად მიმდინარეობდა, მაგრამ ქართულ ლიტერატურაში რეალიზმს რომანტიზმთან ისეთი სპეციფიური მხარეც აკავშირებდა, რაც სხვა ქვეყნებისათვის დამახასიათებელი არ ყოფილა — პატრიოტული მოტივი, გულისტკივილი სამშობლოს უბედური ხვედრის გამო, რაც ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვისა და რუსეთის ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის შედეგი იყო. საგულისხმოა, რომ ქართული კრიტიკული რეალიზმის ამ მემკვიდრეობით კავშირს რომანტიზმთან თვით ი. ჭავჭავაძეც აღნიშნავდა. „წერილებში ქართულ ლიტერატურაზე“, იხილავდა რა ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებას, ილია საგანგებოდ გამოჰყოფდა პოეტის გულისტკივილს სამშობლოს ბედის გამო, მოჰყავდა სათანადო ადგილები მისი ლექსებიდან და წერდა: „თუ ეს მაგალითები მოვიყვანეთ მამულის-შვილურ გულის-ტკივილისა, მარტო იმისათვის, რომ ვნახოთ, — მაგისტანა გულის-ტკივილს, მერე სამოციან წლებში ეგრე გაძლიერებულს ჩვენს მწერლობაში, სათავე სადა ჰქონია და მცირე ნაკადულად გამონაწერი მერე როგორ გაზრდილა და უმატნია“⁷. ამ თვალთახედვით განიხილა ი. ჭავჭავაძემ გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილისა და ვ. ორბელიანის შემოქმედებაც. ასე, მაგალითად, გრ. ორბელიანის ლიტერატურული ნემკვიდრეობიდან ი. ჭავჭავაძე ხაზს უსვამდა იმ ლექსებს, სადაც წარსულ დროთა გმირობის მოგონებებია მოცემული და პოეტის დამსახურებას იმაში ხედავდა, რომ მან მიგვახედა ჩვენ მიერ დაეიწყებულის წაჩულისაკენ, „თითქო იგრძნო, რომ უწარსულოდ აწყობ უფესვო ნერგია, თავგაუტანელი, ფეხ-მოუკიდებელი“⁸.

თერგდალეულებმა პატრიოტულ მოტივს, რომელიც მემკვიდრეობით მიიღეს ქართველი რომანტიკოსებიდან, შემდგომი, ეპოქისათ-

⁷ ი. ჭავჭავაძე, თბ. სრ. კრ., ტ. III, 1953, გვ. 208—209.

⁸ იქვე, გვ. 209.

ვის შესაფერი განვითარება მისცეს. სამშობლოს სიყვარული მათ წარსულზე მოთქმა-გოდების ნაცვლად მომავლისათვის ბრძოლის იდეას დაუკავშირეს, მაგრამ არც ქართული რევოლუციური რომანტიზმის ბრწყინვალე წარმომადგენლის ნ. ბარათაშვილის პოეზიისათვის იყო უცხო, უკეთესი, თუმცა ჯერ კიდევ გაურკვეველი მერმისისაკენ სწრაფვა.

გარდა ამისა, რომანტიკული ნაკადი დამახასიათებელი იყო თერგდალეულთა საუკეთესო წარმომადგენლების ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის შემოქმედებისთვისაც. „კაცია ადამიანის“ ავტორის კალამს ეკუთვნოდა ისეთი ნაწარმოებიც, როგორც „მეფე დიმიტრი თავდადებული“ იყო, ხოლო ა. წერეთელმა „მუშურისა“ და „იმერული ნანას“ გვერდით „ნათელა“ და „გამზრდელიც“ შექმნა. ისეთი მებრძოლი კრიტიკოსისათვის, როგორიც ნ. ნიკოლაძეა, რა თქმა უნდა, ნათელი იყო რომანტიზმის პოეზიის სუსტი მხარეები, მაგრამ რომანტიზმი მას ლიტერატურის განვითარების იმ განვლილ ეტაპად მიაჩნდა, რომელშიაც მთავარი ის მაღალი გრძნობები და იდეალები იყო, გრ. ორბელიანისა და ნ. ბარათაშვილის პოეზიას რომ უკვდავყოფდა.

შოთა შავაშაძე

სერგეი მესხი და ქართული რეალისტური კრიტიკა

სერგეი მესხი სახელოვან ქართველ სამოციანელთა ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწეა. იგი თავის დიდ თანამემამულეებთან ერთად (ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი და სხვ.) სათავეში ჩაუდგა ქართული მწერლობის განვითარებას და მანვილი ლიტერატურულ-პუბლიცისტური წერილებით ამდიდრებდა ეროვნულ ლიტერატურას, ამკვიდრებდა რეალისტურ კრიტიკას. სერგეი მესხის ჟურნალისტური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა წვდებოდა თავისი დროის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების აკველას ფეროს. ისე, როგორც ქართველ სამოციანელთა ედუკაციური ბელადის ილია ჭავჭავაძის, ასევე სერგეი მესხის მოღვაწეობის უპირველესი ამოცანა ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების გაღვიძება, „მიძინებელი, გონება-გაუხსნელი ხალხისათვის იავის უბედურების, ჭირ-ვარამის ახსნა-გარკვევა“ იყო.

ვინ აუხელდა გაუნათლებელ ხალხს თვალს? ვინ გამოიყვანდა მათ უმეცრებიდან? ვინ გაათავისუფლებდა ბატონყმობის მძიმე უღლისაგან? „სწავლა, განათლება, პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოების წევრები“, — პასუხობდა სერგეი მესხი აღნიშნულ კითხვაზე საგანგებოდ დაწერილ სტატიაში „ჩვენებური განათლებულები“.

განმანათლებლური და უტოპიური სოციალიზმით შეზავებული რევოლუციურ-დემოკრატიული იდეალები, შერწყმული ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან ასაზრდოებდა სერგეი მესხის მთელ შემოქმედებას და კრიტიკულ აზროვნებას. როგორც რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების იდეებზე აღზრდილს, ს. მესხსაც

ლიტერატურის ასპარეზი მიაჩნდა ერთადერთ ტრიბუნად, საიდანაც უფრო შეიძლებოდა საზოგადოების გარდამქმნელი მართალი სიტყვის თქმა და ხალხამდე მიტანა. მისი თქმით, განათლებულ პიროვნებას „ყოველთვის უფრო უკეთ შეუძლიან უჩვენოს საზოგადოებას იმის ნაკლულევეანება და სახსრები ამ ნაკლულევეანების მოსპობისათვის და საზოგადოთ ყოველი ახალი საშუალება, რომელიც ცოტა თუ ბევრად ეხმარება ხალხის კეთილდღეობას და იმის ცხოვრების გაუმჯობესებას. განათლებულსა და გონება გახსნილს კაცს ყოველთვის შეუძლია თავისი ცხოვრებით და სიტყვით დიდი და კეთილი გავლენა იქონიოს საზოგადოთ გაუნათლებელ საზოგადოებაზე“¹.

სერგეი მესხს, კაპიტალიზმის განვითარება, მუშათა კლასის ექსპლოატაცია და ამის შედეგად წარმოშობილი კლასთა ბრძოლა თანმიმდევრულ მოვლენად მიაჩნია საზოგადოთ, მაგრამ ქართულ სინამდვილეში, მისი აზრით, ბრძოლის მთავარი მიმართულება შინაგანი არეულობის ხაზით კი არ უნდა წარიმართოს, არამედ რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული იდეალების შესაბამისად ვეძებოთ ცარიზმისაგან თავის დახსნის გზები, ეროვნული და სოციალური თავისუფლების მოპოვების საშუალებები. ასეთ კონკრეტულ ვითარებაში, როცა ერს ჯერ კიდევ მოსპობილი აქვს თავისუფლება, ს. მესხს ძველი და ახალი თაობის ანტაგონისტური დამოკიდებულებაც საზიანოდ მიაჩნდა. მისი თქმით, „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლა უკიდურესობამდე არ უნდა მივიყვანოთ, თორემ იგი ხელს შეუშლის ერის საერთო საქმეს. „ჩვენი ქვეყანა ახლა ისეთ მდგომარეობაშია, — აღნიშნავდა სერგეი მესხი, — რომ იმისთვის აუცილებლად საჭიროა ყველა ქართველი უწყობდეს ხელს საზოგადო საქმეებს და ეხმარებოდეს ამ საზოგადო საქმეების სწორ გზაზე დადგომას. ყოველი საზოგადოების წევრი თავის შეძლებისდაგვარად უნდა ცდილობდეს რაიმე სარგებლობა და დახმარება უძღვნას თავის საზოგადოებას. ვინ არ იცის, რომ ეს დახმარება და სიკეთე მხოლოდ მაშინ იქნება შესამჩნეველი და საგარდობელი, როდესაც ყველანი (მამებიც და შვილებიც — შ. ვ.) ერთად იმოქმედებენ“². რასაკვირველია, ს. მესხი შორსაა იმ აზრისაგან, რომ საზოგადოების წინსვლელობა, ძველისა და ახლის შეჯახების გარეშე მოხდება. მას ღრმად სწამდა, რომ ამ ბრძოლაში „მომავალი ყოველთვის ახალგაზრდობას ეკუთვნის“, მაგრამ ქართული სინამდვილის შესაბამისად იგი მაინც

¹ ვაზ. „დროება“, „ჩვენებური განათლებულები“, 1870 წ., № 13, 14.

² ი კ ვ ე, „ჩვენი მამები და შვილები“, 1872 წ., № 7.

წოდებათა ერთობლივ მოქმედებასა და „მოსისხლე“ თაობათა მორიგებას ქადაგებდა³.

გარდა სოციალური პრობლემებისა, სერგეი მესხისთვის „თავი და თავი“ საკითხი ქართველი ხალხის ეროვნული ტყვეობის შემამსუბუქებელ საშუალებათა ძიება იყო. ამიტომ იგი თავის მოღვაწეობაში დიდ ადგილს უთმობდა ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის მხილებას, ქართული ენის — ჩვენი ხალხის „უმთავრეს-თაგანი საუნჯის“ დაცვას.

ქართველი სამოციანელების მსგავსად ს. მესხი მტკიცედ იდგა ეპოქის მოთხოვნილებათა დონეზე, იგი ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ცხოვრებას და როგორც მოაზროვნე ხშირ შემთხვევაში წინ იხედებოდა. მას ლიტერატურა და ხელოვნება ცხოვრების გარდამქმნელ საშუალებად ესახებოდა, ამიტომ დღენიადგ მის გამშვენიერებაზე, დასახულობაზე და წინმსვლელობაზე ზრუნავდა. მისთვის ლიტერატურა, პრესა, იყო საშუალება, რომელიც პრაქტიკულად მოემსახურებოდა ხალხს ცხოვრების გამაუმჯობესებელ საშუალებათა დადგენასა და გავრცელებაში.

ბუნებრივია, ასეთი პრაქტიკული საზომით ხელმძღვანელობდა სერგეი მესხი გაზეთ „დროებას“, რომლის ტვირთი მან მეტად მძიმე პირობებში 14 წელი ატარა. იგი 1869 წლიდან ხელმძღვანელობდა ერთადერთი ქართული გაზეთის გამოცემას, ამ გაზეთს დაუკავშირა სერგეი მესხმა თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები.

ს. მესხის პირველი პუბლიცისტური წერილი „დროებაში“ გ. წერეთელმა დაბეჭდა 1868 წელს, „დროების კორესპოდენტის“ სათაურით, სადაც ახალგაზრდა ჟურნალისტი შესანიშნავი სიმახვილით აღწერდა ქუთაისის კულტურულ-საზოგადოებრივ ცხოვრებას. ამ სტატიაში მოთხრობილია ქალაქის სასამართლო და განათლების დაწესებულებათა ბიუროკრატიულ მუშაობაზე. ახალგაზრდა პუბლიცისტი პროფესიულად მსჯელობს თბილისიდან გასტროლებზე ჩამოსულ იაბლოჩინის თეატრალურ დადგმაზე, რომელთაც რამდენიმე ვოდვეილი და სცენები სხვადასხვა კომედიიდან წარმოუდგენიათ.

ამ პატარა წერილში უკვე გამოჩნდა ახალგაზრდა პუბლიცისტის კრიტიკული თვალი. ამ დასის გასტროლების გამო ს. მესხი შენიშნავდა, რომ ქუთაისში ჩამოსული აქტიორები გვანან ისეთებს, „რომელთაც სატახტო ქალაქში ვერ იხეირეს და დაიარებთან პროვინ-

³ გაზ. „დროება“, „ჩვენი მამები და შვილები“, 1872 წ., № 7.

ციების ქალაქებში. როგორც იყო ისევ უ. იაბლოჩკინს და უ. მუზილას ეტყობოდათ, რომ სცენა უნახავთ, სხვები კი ღმერთმა შეინახოს“⁴.

ზემოთ მოტანილ წერილს ხელს აწერს ლაზარე მესხიშვილი. საერთოდ, ს. მესხი „დროებაში“ წერდა შემდეგი ფსევდონიმებით: ლაზარე მესხის შვილი, ლაზარე მესხიშვილი, ლაზ. მესხიშვილი, სოლოლაკელი, მეკენჭე, ს. წიკბლაძე, კოლო-ბუჩი, ს. წ. კ.⁵

1868 წლის მაისის „დროებაში“ (№ 25) კვლავ გამოჩნდა ს. მესხის წერილი „კორესპონდენცია ქუთაისიდან“. სტატია გამოირჩევა მტკივნეული საკითხების წინწამოწვევით. კრიტიკოსს კარგად ესმის ქართული ყოფა, მისი საჭიროებანი. იგი ირონიულად შენიშნავს ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების მდორე მიმდინარეობაზე, მაშინ, როცა „ფრანგებს სულ პირზე აკერიათ: პრესის თავისუფლება, პროგრესი, რევოლუცია, განახლებისაკენ ლტოლვა. ჩვენ კი, — წერდა ს. მესხი, — ვცხოვრობთ წყნარად, შეუშფოთელად. ჩვენ დამდგარი ხალხი ვართ... ბექდვაზე, პროგრესზედ და სხვა ამისთანებზედ ჩვენ არ გვჭირდება ლაპარაკი, რადგან ჩვენი მზრუნველი გვყავს და ჩვენს საჭიროებას და მოთხოვნილებას ის უკეთ მიხვდება, ვიდრე ჩვენ. ბევრი მიზეზების გამო ჩემო მკითხველო, ჩვენში ძვირად მოხდება რაიმე შესანიშნავი საჩენი საქმეო“. ამიტომ მეც წვრილმანზე უნდა ვილაპარაკო. ამ სტრიქონებში აშკარად მინიშნებულია მეფის თვითმპყრობელური პოლიტიკის „მფარველობაზე“. ქართველს კი თავისი ბედის გადაწყვეტის არამც თუ უფლება, ფიქრიც კი წართმეული ჰქონდა. „ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეუფლნოსო“, — ლელთ ლუნიას ილიასეული სიტყვების აზრი ამოიკითხება სერგეი მესხის ამ პუბლიცისტურ წერილში, რომ ქართველის საქმე ქართველს აღარ ეკუთვნის გადასაწყვეტადო. სამაგიეროდ. ირონიულად შენიშნავდა სერგეი მესხი: „ჩვენი მზრუნველი გვყავს და ჩვენ საჭიროებას და მოთხოვნილებას იგი უკეთ მიხვდებაო“.

ამავე წერილში სერგეი მესხი არა მარტო აღწერს ქუთაისის სასწავლებლებში ქართული ენის სწავლების არაპედაგოგიურ მეთოდებს, არამედ იძლევა ამ საკითხის მართებულ გადაწყვეტას. იგი მოაგონებს სქოლასტიკოს პედაგოგს, რომ მარტო ძველი გრამატიკული ნორმებით არ შეიძლება მოსწავლეთა ცოდნის გაღრმავება. საჭიროა პედაგოგებმა მოსწავლეებს შეასწავლონ თანამედროვე

⁴ „გაზ. „დროება“, 1868 წ. № 18.

⁵ ს. მესხი, თხზ., ტ. 1, გვ. 8, ი. ზოცაძის შესავალი წერილი.

ენა და დამწერლობა. „მარტო გრამატიკული ფორმები და ძველი უშინაარსო წიგნები, თუ შეაძლებენ, თორემ არ შეაყვარებენ მოწაფეებს ენას“.

ჩვენ საგანგებოდ შევიჩერდით ს. მესხის ამ ორ პირველ პუბლიცისტურ წერილზე, რათა უფრო გასაგები გაგვეხადა ახალგაზრდა კრიტიკოსის პუბლიცისტური სიღრმე, მტკივნეული საკითხების წვდომისა და ახლის წინწამოწევის უნარი.

1869 წლის „დროების“ თებერვალ-მარტის ნომრებში იბეჭდება ს. მესხის სტატიები: „ამერიკის შკოლები“ და „წიგნი ქუთაისელ მეგობართან“. ამავე წლის 17 აპრილს გაზეთი აცხადებდა, რომ „რადგან „დროების“ რედაქტორი თავის საპირობებისათვის მიდის პეტერბურგს, იმის მაგივრად დროებით რედაქტორობა გაზეთისა იკისრა უფ. მესხმა“. მართლაც, „დროების“ მეთექვსმეტე ნომერს (17 (29) აპრილიდან) ხელს აწერს ს. მესხი. ამის შემდეგ გაზეთში ზედიზედ გამოჩნდა სერგეი მესხის კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილები: „თბილნი 8 მაისს“, „რედაქციისაგან“ „ფელეტონი“, „განცხადება გაზეთ „დროების“ გამოცემაზე 1876 წელსა“, „სიტყვა თქმული თ. ა. ჯამბაკურ-ორბელიანის გარდაცვალებაზე“ და სხვ. ამ წერილებს შორის საინტერესოა ს. მესხის პატარა სტატია „რედაქციისაგან“. აქ გაზეთის ახალგაზრდა რედაქტორმა თავისი აზრი კორესპოდენტების ბეჭდვის შესახებ აცნობა მკითხველ საზოგადოებას. ეს განცხადება მართალია ზოგადია, მაგრამ კონკრეტულად იგი ს. მესხს დაუწერია. პეტერბურგის სტუდენტის მიხეილ ბეთანიშვილის წერილის პასუხად.

„დროების“ ახალი რედაქტორი აცხადებდა, „რომ „არცერთი რედაქცია ვალდებული არ არის დაბეჭდოს თავის გაზეთში, ან ყურნალში... ხეპრული სტატია“. ამის შემდეგ „დროება“ განუმარტავდა მკითხველ საზოგადოებას იმ სიძინელებზე, რომელშიც მუშაობა უხდება რედაქციას: „თუ გნებავთ, რომ თქვენ სტატიაში ერთი წერილიც არ მოემატოს და არ დააკლდეს... მიიღეთ ყურადღებაში... ჩვენი ლიტერატურის მდგომარეობა, ცენზურის კანონები და რედაქციის მიმართულება. უიმისოდაც გვეუბნებიან ჩვენ, რომ ენა გააფუჭეთო, გააპრელეთო, კონსტრუქცია სულ ქართული არ არისო და სხვ. ეს ერთის მხრივ ტყუილიც არ არის, ჩვენდა სამწუხაროდ, მაგრამ ამას თავისი მიზეზები აქვს“.

როგორც ვხედავთ, „დროების“ ახალი რედაქტორი ს. მესხი, გაზეთის შესახებ მსჯელობს რეალისტურად და ისე როგორც გამოცდილ, კუყადამჯდარ მოღვაწეს შეეფერება. იგი „დროების“ ყოფილი

რედაქტორის გ. წერეთლის ღირსეული ცვლაა. ასეთ ვითარებაში მხოლოდ სამშობლოს მოსიყვარულე ს. მესხს შეეძლო ასეთი მსხვერპლის გაღება, მოწამებრივი სისხლის წვეთ-წვეთებად მიცემა თავისი ქვეყნისათვის.

არ დარჩენილა ქართული საზოგადოებრივი სოციალურ-ეკონომიური თუ ეროვნული ცხოვრების არცერთი მხარე, რომ მასზე თავისი სიტყვა არ ეთქვას გაზეთ „დროებას“ და მის რედაქტორს ს. მესხს. უამრავ პუბლიცისტურ წერილებში გაბნეულია მისი კრიტიკული შეხედულებანი ლიტერატურაზე, ჟურნალ-გაზეთებზე, თეატრებზე და ცალკეულ მწერლებსა თუ საზოგადო მოღვაწეებზე, გარდა ამისა, მას აქვს შესანიშნავი კრიტიკული ხასიათის პოლემიკური წერილები, რომლებმაც თავის დროზე ხელი შეუწყო ქართული მწერლობის წინმსვლელობას, კრიტიკული აზროვნების განვითარებას.

მიუხედავად გაზეთის ერთგვარი წარმატებისა და მის ხელმძღვანელთა მეცადინეობისა, რომ „დროება“ სრულყოფილი გაზეთი გამხდარიყო, შექმნილი ობიექტური მდგომარეობის გამო ამას მაინც ვერ აღწევდნენ, რაც კარგად ესმოდა თავის დროზე, არა მარტო გაზეთის მუშაებს, არამედ ფართო საზოგადოებასაც. ამ თვალსაზრისით საინტერესოა 1869 წლის 5 ივნისის „დროებაში“ (№ 23) დაბეჭდილი ს. მესხის განცხადება — „რედაქციისაგან“. „დროება“ აცნობებს საზოგადოებას, რომ მას ხშირად მისდის ავტორთა საყვედურები, რომ მათი წერილები შემოკლებით. შესწორებებით და „დამახინჯებით“ იბეჭდებოდა. ამ საქმეში, მიუთითებდა ს. მესხი, რედაქციას ბრალი არ აქვს. კორესპოდენციის ავტორებმა უნდა გაითვალისწინონ გაზეთის მიმართულება და საერთო შექმნილი მდგომარეობა. „მიიღეთ ყურადღებაში და კარგად ასწონეთ ჩვენი ლიტერატურის მდგომარეობა, ცენზურის კანონები და რედაქციის მიმართულება“.

1869 წლის „მნათობში“ (№ 2) მოთავსებული წერილის ავტორი ინგილო ჩანაშვილი (დიმიტრი ჩანაშვილი) აკრიტიკებდა „დროებას“ და უსაყვედურებდა, რომ გაზეთის მიმართულება საკმარისად არ გამოხატავს ჩვენს სურვილებს და სჭირია მისი გაფართოება.

„მნათობის“ საპასუხოდ 1859 წლის 10 (22) ივლისის „დროებაში“ დაბეჭდილია „ლაზ მესხ. — შვილი“-ის (სერგეი მესხი) „ფელეტონი“, რომელიც მოაგონებდა „მნათობს“, რომ ის გულუბრყვილო აზრებს გამოსთქვამდა თავის წერილში „დროების“ მისამართით. ჩანაშვილს სურს, რომ „დროება“ იყოს გაზეთი პოლიტიკური. სალიტერატურო და ეკონომიური, რადგან ჩვენთვის ამ სამი რამეს ცოდნა ძრიელ საჭიროაო“.

ს. მესხი გულსტიკივლით შენიშნავს სტატიის ავტორს, რომ ყველაფერი ის, რასაც თქვენ წერთ და გვისურვებთ, ჩვენზე არ არის დამოკიდებული. „მე მსურს, — წერდა ს. მესხი, — რომ „დროება“ იყოს გაზეთი პოლიტიკური, სალიტერატურო, ეკონომიური, სამეურნეო, პედაგოგიური, სტატისტიკური, ისტორიული და სხვა ათასნაირი, რადგან ამ ათასი რამეს ცოდნა ჩვენთვის ძლიერ საჭიროა, მაგრამ რატომ არ არის გაზეთი „დროება“ ამისთანა — თუ მოიფიქრებთ, თქვენც მიხვდებით“. ამ პასუხით ს. მესხი ხაზს უსვამდა არა მარტო რედაქციის ძალების შეუძლებლობაზე, რომ გაზეთი ასეთი ვრცელი პროგრამით გამოსულიყო, არამედ მიუთითებდა მთავრობის შემზღუდველ ცენზორულ რეჟიმზეც.

თუ მარტო სურვილზეა საკმე, განაგრძობდა სერგეი მესხი, „მე მსურს, რომ უ. კერესელიძის „ცისკარი“ კარგი იყოს, მაგრამ რატომ არ არის?! მე მსურს, რომ ის ყურნალი, რომელშიაც თქვენ სწერთ, იყოს ბევრად უკეთესი ეხლანდელზე, მაგრამ, რატომ არ არის ის უკეთესი, თუ მოიფიქრებთ, შეიძლება მიხვდეთ, შეიძლება ვერა“.

მე მსურს, განაგრძობდა ს. მესხი, ჩვენს გაზეთებსა და ყურნალებში ისეთი სტატიები იბეჭდებოდეს, რომლებიც წაახალისებს საზოგადოებას კითხვაზე, მოქმედებაზე, მეტ სარგებლობას მოუტანს მათ. მაგრამ ყველაფერი ეს არ იწერება იმიტომ, რომ აღემატება ჩვენს შესაძლებლობასო.

ასეთია ამ წერილში გამოთქმული ს. მესხის აზრები თავის დროის ყურნალ-გაზეთების დანიშნულებასა და ამოცანებზე, რის განხორციელებაც საზოგადოების იმ დონეზე, ცარიზმის რეჟიმის პირობებში შეუძლებელი იყო.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ჩვენი სახელოვანი წინაპრების თავდადებული და უანგარო მუშაობა საზოგადო საქმისათვის. „დროების“ რედაქტორები გიორგი წერეთელი და სერგეი მესხი თითქმის უსასყიდლოდ მუშაობდნენ. ს. მესხს თვეში 30 მანეთი ეძლეოდა გაზეთის რედაქტორობისათვის. ეს მაშინ, როცა გაზეთის მთელი სიმძიმე მხოლოდ რედაქტორების კისერზე გადადიოდა. მხოლოდ ორი-ოდე თავგამოდებული ლიტერატორი შრომობდა მაშინ რედაქციაში და გაზეთის თითქმის ყოველი სტრიქონი რედაქციაშივე იწერებოდა. არსაიდან კორესპონდენციები, არსაიდან ახალი ამბები, პოლიტიკის წყაროდ მხოლოდ ოფიციალური გაზეთი „კავკაზი“ რჩებოდა: მკითხველი საზოგადოებაც გულცივად ეპყრობოდა გაზეთს. რა „დროება“, რის „დროება“, ქართული გაზეთი ვისთვისაა რა საჭი-

როა! — ჯადაგებდა არა ერთი და ორი, ჯადაგებდნენ მრავალნი და ამ ფულცივობით გულს უკლავდნენ „ქართლის ჰერისათვის“ თავგადადებულ მამულიშვილებს. მაგრამ საზოგადო საქმისადმი თავდადებამ, ერის სიყვარულმა თავისი გაიტანა. ქართული პრესის საქმე თანდათან უმჯობესდებოდა.

1869 წ. 17 აპრილიდან ს. მესხი სიკვდილამდე, თითქმის უცვლელად, ხელმძღვანელობდა „დროებას“. სერგეი მესხს გაზეთის რედაქტორობაში ენაცვლებოდა კირილე ლორთქიფანიძე. სერგეი მესხის გარდაცვალების შემდეგ 1883—1885 წლებში გაზეთს რედაქტორობდა ივანე მაჩაბელი. 1866—1874 წლებში გაზეთი „დროება“ გამოდიოდა კვირაში ერთხელ, პარასკეობით, 1875—1877 წლებში — კვირაში სამჯერ (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით), 1877 წლის პირველ იანვრიდან 1885 წლამდე „დროება“ გამოდიოდა ყოველდღე.

1869 წლის „დროების“ ბოლო ნომრებში სერგეი მესხი ათავსებს განცხადებას ახალი წლიდან გაზეთის გამოცემის თაობაზე. „მომავალი 1870 წლიდან დაიწყება მეხუთე წელიწადი „დროების“ არსებობისა. მგონი ვერაფერ ვერ იტყვის, რომ ამ პირველი ქართული გაზეთის ოთხი წლის არსებობას უნაყოფოდ ჩაეგლოს ჩვენი საზოგადოებისათვის... მართალია, „დროება“ ვერ აკმაყოფილებდა ხანდახან საზოგადოების მოთხოვნილებას, მაგრამ ამაში მარტო „დროების“ რედაქცია არ არის დამნაშავე.

ჩვენდა სამწუხაროდ, ჯერ კიდევ იქამდის არ მიგვიღწევია, რომ ვგრძნობდეთ განათლების საპროგრესოს. მაშ საიდან უნდა გაჩნდეს ჩვენში რიგიანი ლიტერატურა? თუ საზოგადოებაში არ არის კითხვისა და სწავლის ხალისი? ლიტერატურა ყოველთვის ცხოვრების სარკეა, ეს ისეთი გაცვეთილი კვებარითებაა, რომელსაც დამტკიცება არ უნდა. თუ საზოგადოებაში არ არსებობს სიცოცხლე და ცნობის ინტერესი, ლიტერატურაში საიდან უნდა გამოხატონ ისინი?“.

სხვა ხელისშემშლელ მიზეზებზე — აღნიშნავდა „დროება“ თავის განცხადებაში, — აქ არ ვილაპარაკებთ. რაც არ უნდა იყოს — განაგრძობს „დროების“ რედაქტორი, — ოთხი წლის სიცოცხლე ამტკიცებს, რომ ჩვენი საზოგადოება ცოტაოდნით მაინც ადევნებს თვალყურს ლიტერატურის ნაწარმოებსა..., ახალი რედაქცია პირდება მკითხველებს შეძლებისდაგვარად გარდაქმნას, გაახალისოს მუშაობა, მისცეს გაზეთს ჯეროვანი მიმართულება.

გაზეთის პროგრამა კი ისევ ძველი დარჩება. აი ესეც:

1. „მმართველობის განკარგულებანი, 2. შინაგანი ცნობები, 3. ცნობები რუსეთზე. 4. კორესპონდენციები, 5. პოლიტიკა, 6. სამოსამართლო ქრონიკები, 7. მოკლე მოთხრობები, სცენები, ლექსები. 8. პედაგოგიური სტატიები, 9. ბიბლიოგრაფია, 10. ფელეტონი, 11. სხვადასხვა. 12. ისტორიული თემა“.

„დროება“ აცხადებდა, რომ რედაქცია გადავიდა ახალ ადგილზე, ზონის ქუჩაზეო.

ს. მესხი აკრიტიკებდა ჟურნალ „ცისკარს“ ჩამორჩენილობისათვის. „უკანასკნელი ნომერი „ცისკარისა“ სწორედ მაკვირვებს. ყველაფერი თვისება ძველი... სტატიები, რომელთაც ძალუძთ ტკილად დაძინება და დასვენება მოხუცებულის დაღალული ტვინისა, — მიმტვრეული და გაღესილი ასოები, რომლებიც დიდი ხანია თხოულობენ გადადნობას... გრძელი, კოჭამდის კაბა და სხვ. ყველა ეს თვისებები ამტკიცებენ, რომ „ცისკარი“ მოხუცებულია“⁶.

სამაგიეროდ, ს. მესხი სიხარულით შეხვდა ახალი ჟურნალის „მნათობის“ დაბადებას. კრიტიკოსი „დროების“ ფურცლებიდან ამხნეებდა ჟურნალის რედაქტორს ნიკ. ავალიშვილს და მის გამომცემელ ივ. ელიოზაშვილს, რომ ხელიხელჩაკიდებული ემუშავათ, ყური არ ეგდოთ ზოგიერთებისათვის, რომლებიც „მნათობს“ „საქართველოს მოამბის“ ბედს უწინასწარმეტყველებდა. შემდეგ ს. მესხი კონკრეტულად ჩერდება ჟურნალში დაბეჭდილ მასალებზე და თავისი მსჯავრი გამოაქვს:

„პირველ ნომერზე ჩვენ ვერაფერს ცუდს ვერ ვიტყვი (თუმცა რედაქცია თვითონ უნდა გრძნობდეს ამას). იმას არა აქვს ისეთი სიცოცხლე და ისეთი ჟურნალის ხასიათი, როგორიც ჰქონდა პირველ „საქართველოს მოამბის“ ნომერსა. საზოგადოთ პირველ ნომერში კარგი სტატიები არიან; მაგ. „საკვიროა თუ არა ქართული რიგიანი ჟურნალი“ უ. ინაშვილისა — ძლიერ ცოცხალი სტატიაა; უ. ინგილო ჯანაშვილის გაუთავებელი სტატიაა, იმედია კარგი იქმნება; აგრეთვე თ. ჯამბაკურ-ორბელიანისა ისტორიული სტატია — „ასპინძის ომი“, 1770 წ. და სხვ. განსაკუთრებით გვეამა ჩვენ, რომ უ. ავალიშვილს მიუღია თავის თავზე შრომა „დონ-კიხოტის“ გადათარგმნისა. ჩვენ ვვგონია, ამისთანა ქმნილებები რომ ხშირად თარგმნოს რედაქციამ, ჟურნალი იშოვნის ბევრ მკითხველს. კეთილი და სასარგებლო საქმეა აგრეთვე მასესი — „ლუკმა პურის“ გარდაკეთება.

⁶ გაზ. „დროება“, 1870, № 36.

ჩვენთვის ძლიერ სასიამოვნო იქნება, ახლად დაბადებულ ჟურნალსა „საქართველოს მოამბესთანა“ ბოლო არ ექნებოდეს, რომ ის წინდახედვით წაიყვანდეს თავის საქმესა და არავის მისცემდეს იმის თქმის მიზეზსა, რომ ახალი თაობა ვერაფერს საქმეს ხეირიანად წაიყვანსო.

ჩვენის მხრით ვისურვებთ ახლი ჟურნალისათვის ყოველ კეთილდღეობას“.

1870 წლის „დროებაში“ მოთავსებული წერილით — „დროების აღსარება“ ს. მესხი მოაგონებდა საზოგადოებას, რომ გაზეთს დიდი ვალი აქვს ხალხის წინაშე, მაგრამ მას ფაქტიურად რედაქცია არ გააჩნია. სხვა ქვეყნების გაზეთებს რამდენი განყოფილებაც აქვს — იმდენივე თანამშრომელი, კორესპოდენტები და სხვ., „დროების“ რედაქცია კი მხოლოდ ორი კაცისაგან შესდგებოდა. გაზეთი უჩივის ხელისმომწერთა რაოდენობას (სულ 300, რომელთაგან 100-ს ფული არ გადაუხდიათ), რაც გაზეთის თანამშრომელთა მატერიალურ პირობებს ვერ აკმაყოფილებს, ამის გამო ეს ორი კაციც იძულებულია „სხვა პურის მომცემ საქმესაც მოჰკიდოს ხელი“.

1870 წლის 28 სექტემბრის ჩათვლით („დროება“ № 38) „დროებას“ ს. მესხი რედაქტორობდა.

1870 წლის 8 ოქტომბრიდან („დროება“ № 39) გაზეთის დროებითი რედაქტორია კირილე ლორთქიფანიძე.

ამ წლის ბოლო ნომერში ს. მესხი წერს მეტად საჭირო სტატიას — „დროების ახსარება“, სადაც რედაქციის მუშაობის მეტად გაძნელებულ პირობებზეა ლაპარაკი. ს. მესხი განსაკუთრებით ხაზს უსვამდა კორესპოდენტთა ქსელის სიმცირეზე. „დროების“ 1871 წლის პირველ ნომერში დაბეჭდილი წერილი: „ჩვენ კორესპოდენტებს“, კვლავ პრესის მუშაკთა საკითხებზეა ლაპარაკი, მათი მუშაობის პროგრამას აყალიბებს იმ თავისებურებათა გათვალისწინებით, რაც ქართულ სინამდვილეს გააჩნდა.

1871 წლიდან „დროებაში“ გაჩნდა ბიბლიოგრაფიული განყოფილება. ამ წლის „დროების“ მეათე ნომერში იბეჭდება ს. მესხის რეცენზია „კრებულის“ მეორე წიგნზე, ქართულ სახელმძღვანელოებზე, ძველ ქართულ წიგნებზე, ქართულ ლიტერატურაზე. ხოლო „დროების“ 39 ნომერში კვლავ „კრებულის“ მეხუთე წიგნია მიმოხილული.

„კრებულის“ მეორე წიგნში მოთავსებულ „ჯიბრს“, ს. მესხი დადებით შეფასებას აძლევდა. ავტორი ჯერ კომედიის საერთო თეორიულ დახასიათებას იძლევა, მის დანიშნულებაზე ლაპარაკობს, ხო-

ლო შემდეგ მის შინაარსს გადმოგვცემს. ამის შემდეგ ს. მესხი ეხება კომედია „ჯიბრის“ სცენიურ სახეს. აქ იგი პროფესიონალი თეატრმცოდნის ალღოს ამჟღავნებს. ს. მესხი შენიშნავდა, რომ „გაყრას“ და „მზის დაბნელებას“ უფრო მეტი სცენიური კომიზმი გააჩნია, ვიდრე „ჯიბრს“. ამიტომ სცენაზე „ჯიბრი“ ვერ გაიმარჯვებო.

„კრებულის“ მეხუთე წიგნში დაბეჭდილი ი. ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებს“ განსაკუთრებულ ადგილს უთმობს კრიტიკოსი. იგი ს. მესხს მიაჩნია ქართული პროზის მონაპოვრად. არჩევს აგრეთვე ნ. ნიკოლაძის სტატიას „ერობა“, რომელიც ჟურნალის სამეცნიერო ნაწილშია მოთავსებული.

1871 წლის „დროების“ № 18-ში დაიბეჭდა ს. მესხის წერილი „ვის რა ესიზმრება“, სადაც საყურადღებო მოსაზრებაა გამოთქმული „ცისკრისა“ და „მნათობის“ მუშაობის შესახებ.

წინათ „ცისკარს“ ესიზმრებოდა, — აღნიშნავდა ს. მესხი, — რაც საქართველოში ახალგაზრდობა იყო, განსაკუთრებით იმერლობა — ყველა მისი მტრები იყვნენ და საშველად კახელებს უხმობდნენ. ახლა კი სიზმარი აღარ ჰქირდება, ცხადშიაც დალეულა და ღღეს თუ ხვალ მოკვდებაო.

„მნათობის“ რედაქციას კი თურმე ჯერ ბევრი ეჭვები აქვს და ამიტომ მისი სიზმრებიც დაუღვევლია. პირველად მას დაესიზმრა, რომ ერთი წლის შესვენების შემდეგ „მკვდრეთიდან აღდგა“. ვითომ ჩვენს ლიტერატურაში კერპთ-თაყვანისმცემლობა, ბანკები და ბელადები გაჩენილან; „დროება“ მუშტი-კრივში აპირებს „მნათობის“ ჯაჭვებს, ამიტომ 12 თანამშრომლისაგან ბანკი შეადგინა და საკრივოდ ემზადებო და სხვ.

ეს წერილი მანიშნებელია იმ დიდი პოლემიკისა, რომელიც გაჩაღდა 1870—1874 წლებში, „დროება“ — „კრებულსა“ და „მნათობს“ შორის. „მნათობის“ ამ უპრინციპო გამოხდომების შედეგი იყო ჩვენთვის ცნობილი წერილი ნიკ. ნიკოლაძისა „მშვიდობით! მშვიდობით!“.

70-იან წლებიდან „დროებაში“ სისტემატურად იბეჭდებოდა სერგეი მესხის წერილები ქართული ყოფის სხვადასხვა საკითხებზე.

1872 წლის „დროებაში“ (№ 6) მოთავსებულია ცნობა არსენა ოძელაშვილის ლექსზე, მის პოპულარობაზე. „არსენას“ წიგნის 1200 ცალი სულ რამდენიმე დღეში დაუტაცნია ხალხს. ამ სახალხო ლექსის შემდეგ, ბროშურაში დაბეჭდილი ყოფილა ი. ჭავჭავაძის მოთხრობის „კაკოს“ ნაწყვეტი. სერგეი მესხი — ყველაზე პირველად ქართულ კრიტიკაში, — მართებულად მიუთითებდა კაკოსა და არსენას მსგავსებაზე.

„დროების“ მომდევნო ნომერში (№ 7) მოთავსებული წერილი სერგეი მესხისა „მამებისა“ და „შვილების“ ბრძოლას შეეხებოდა. სტატიას წინ უძღვის გრ. ორბელიანისა და ილია ჭავჭავაძის ერთმანეთისადმი მიწერილ ლექსებიდან ამოღებული სტრიქონები. ს. მესხს ძველსა და ახალს შორის წარმოებული ბრძოლა აუცილებლად მიაჩნია და გამარჯვებას ახალგაზდრობას უწინასწარმეტყველებდა, თუმცა ამ ორი დიდი ადამიანის დაპირისპირება ქართულ სინამდვილეში არ მიაჩნია სასარგებლო მოვლენად ერის ინტერესებისათვის.

1872 წლის „დროების“ მეოთხემეტე ნომერში სერგეი მესხი განიხილავდა „კრებულის“ მეექვსე და მეშვიდე წიგნებს. მისი აზრით, ყურნალის მეექვსე წიგნის ბელეტრისტულ ნაწილში ყურადღების ღირსია ფაზელისაგან (მამია გურიელი) შესრულებული ლერმონტოვის „დემონის“ თარგმანი. ს. მესხი იწონებდა თარგმანს, მაგრამ გამოსთქვამდა თავის კრიტიკულ დამოკიდებულებასაც. მ. გურიელმა ამავე წლის „დროებაში“ (№ 20) მადლობა უძღვნა რეცენზენტს ქებისათვის და დაიცვა თავისი თარგმანის პრინციპები.

„კრებულში“ დაბეჭდილი აკაკი წერეთლის პატარა მოთხრობა „საუბარი ორთა შუა“, აღნიშნავდა ს. მესხი, არ დგას აკაკის სხვა ნაწარმოებთა დონეზე. სამაგიეროდ, აკაკის ბრწყინვალე ტალანტი „საპატიმროს სცენაში“ გამოჩნდაო. ს. მესხი მაღალ შეფასებას აძლევდა, აგრეთვე, რ. ერისთავის „სცენებს“ და დრამატიულ ნაწარმოებებს.

სერგეი მესხი მართებულ მოსაზრებას გამოთქვამდა გორისელის (გ. წერეთლის) „საქართველოს ისტორიის სურათებზე“ და გ. წერეთლის აღნიშნულ წერილს, თავისი ღირსებით დიმ. ბაქრაძის ისტორიულ თხზულებებზე მალა აყენებდა. ს. მესხს მოყავს შედარება, რომ „ინგლისის საზოგადოებამ ვალტერ სკოტის ისტორიული რომანებიდან უფრო მომეტებულად გაიცნო საშუალო საუკუნეების ისტორია, ვიდრე ნამდვილი ისტორიკოსებიდან“⁷. სერგეი მესხის ეს მართებული დებულება ეხმაურება მარქსის ცნობილ სიტყვებს ბალზაკის რეალიზმის შესახებ.

თავისი ობიექტურობით გამოირჩევა ს. მესხის რეცენზია მიძღვნილი 1872 წელს გამოცემულ წიგნზე — „თარგმანნი საამო საკითხავთა თხზულებათა“, რომლის თარგმანები სამმა ქართველმა ქალმა — ეკატერინე გაბაშვილმა, ეკატერინე მელიქიშვილმა და ელ. ყიფიანმა შეასრულა⁸.

⁷ გაზ. „დროება“, 1872, № 19.

⁸ იქვე, 1872, № 44.

1873 წლიდან ს. მესხის „დროება“ უკვე საკმაოდ ორგანიზებულია, გაფართოებულია კორესპოდენტთა ქსელი. გაზეთის ღირებულება 7 მანეთიდან 6 მანეთზე ჩამოვიდა წელიწადში. საგანგებოთაა მითითებული „დროების“ გამოსაწერი ადგილები: „თბილისში — „დროების“ რედაქციის კანტორაში, ხანის ქაჩაზე, გ. წერეთლის და ამხანაგობის სტამბაში, ქუთაისში — გერასიმე კალანდარიშვილთან და სიმონ მესხთან, ყვარელს და ლაგოდეხს — ალექსანდრე მარჯანიშვილთან, ახალსენაკს — ნიკ. დგებუაძესთან, ონს — კ. კლდიაშვილთან, ფოთს — ზ. არუსცოვთან, ყვირილას — დ. ლამბაშიძესთან, ხონს — გ. ჩიქოვანთან და ოზურგეთს — მელიტონ ლოღობერიძესთან“.

ამ წლის „დროების“ პირველ ნომერში მოთავსებულია ცნობა — „კრებული“ 1873 წელს“. რედაქცია აცნობებდა მკითხველებს, რომ აქამდე „პატივსადები“ მიზეზების გამო არ ხერხდებოდა ჟურნალის თავ-თავის დროზე გამოცემა, ვინაიდან ყველაფერი თითქმის ერთ კაცზე იყო მიგდებული. ახლა კი, — აღნიშნავდა „დროება“ — „კრებულს“ დაუგროვდა წერილები, მოთხრობები, ლექსები და 1873 წლიდან სხვა შინაარსითაც გამოვა, ვიდრე იგი გასულ წელს გამოდიოდა. მაგალითად, „ხელოვნების ნაწარმოებების გარდა, ყურადღება მიექცევა „ჟურნალის საზოგადოებრივ მხარესაც... დაიბეჭდება „თანამედროვე ისტორიის, კრიტიკის და საზოგადოებრივი ცხოვრების მიმოხილვითი ნაწილები“. რედაქცია პირდება მკითხველ საზოგადოებას: „კრებულის“ სარედაქციო შრომაში მონაწილეობას მიიღებს კირ. ლორთქიფანიძე, ხოლო მუდმივი თანამშრომლობა იკისრეს: სკანდელმა, აკ. წერეთელმა, გ. წერეთელმა და ილ. ჭავჭავაძემ. დრო და დრო თანამშრომლობა აღგვითქვეს დ. ერისთავმა, რ. ერისთავმა, ს. მესხმა, პეტრე უმიკაშვილმა, მამია გურიელმა, ნ. ცხვედაძემ, კალადიდელმა, ბ. ჯაფარიძემ და სხვ.

„ამჟამად კი, — აცხადებდა ჟურნალის რედაქცია, — მათ ხელთა აქვთ ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის რამდენიმე მოთხრობა“. აგრეთვე „კრებულის“ რედაქციას მიუკვლევია „ჩვენი ლიტერატურისათვის ძვირფასი“ ხელნაწერები ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებისაო.

1873 წლის დროების 13 და 14 ნომერში დაბეჭდილია „კრებულის“ მეათე, მეთერთმეტე და მეთორმეტე ნომრების რეცენზია სერგეი მესხისა. წერილი უმთავრესად თარგმანის საკითხებს შეეხება და ნ. სკანდელს ეკამათება. ამავე წლის „დროებაში“ (№ 19) განხილულია „კრებულის“ პირველ წიგნში დაბეჭდილი ნაწარმოებები.

განსაკუთრებით გამახვილებულია ყურადღება ნიკოლოზ ბარათა-
შვილის წერილებზე გრ. ორბელიანისადმი.

1873 წელს საზღვარგარეთ წასული სერგეი მესხი, 1874 წლის
ოქტომბერში ბრუნდება სამშობლოში. „სალამი მკითხველს“, —
ასე იწყება 1874 წლის 4 ოქტომბრის „დროებაში“ (№ 443) დაბე-
ჭდილი სერგეი მესხის წერილი. „დროებაში“ იბეჭდებოდა სერგეი
მესხის სტატიები თეატრზე და დრამატურგიაზე. ამ მიმართულებით
საინტერესოა მის მიერ რაფიელ ერისთავის პიესების შეფასება. აგ-
რეთვე სუნდუქიანცის „პეპოს“ ქართულ სცენაზე დადგმის გამო
დაწერილი რეცენზია⁹.

ს. მესხი ეხება საქართველოს საზოგადო ცხოვრებას და აღნი-
შნავს, რომ ის თითქმის ისევე მიძინებულა, როგორც ამ ერთი წლის
წინ დაეტოვეო. ისევ შური და ჯიბრი, გაუტანლობა და შეუთანხმებ-
ლობა ასუსტებს ჩვენს საზოგადო საქმიანობასო. მაგრამ, რაც უნდა
იყოს, დღეს მე სიხარულით და სიამოვნებით ვბრუნდები ჩვენს სამ-
შობლო ქვეყანაში და ვდგები იმ პოსტზე („დროების“ რედაქტო-
რის, — შ. ვ.), რომელიც ერთი წლის წინათ მექირაო.

„უცხო ქვეყნების დანახვამ ჩემი ქვეყანა და ხალხი უფრო მე-
ტად შემაყვარა... მომავლის იმედი და მომეტებული ენერგია აღძ-
რა ჩემში. ეს იმედი იქნება ჩემი წინამძღოლი და ენერგია ჩემი
საქმის წინ წამწევი“. აქედან მოკიდებული სიცოცხლის უკანასკნელ
დრომდე სერგეი მესხი „დროების“ უცვლელი რედაქტორი იყო.

1875 წლის „დროების“ პირველი ნომრის „საახალწლო“ მი-
მართვაში ს. მესხი იტყობინებოდა, რომ გაზეთის რედაქციას მოსალო-
ცი საგანი აქვს: „დღევანდელი დღიდან იწყებს დიდი ხნის ნატვრის
აღსრულებაში მოყვანას: რომ გაზეთი კვირაში სამჯერ გამოიცემა“. ამ
წლიდან „დროებამ“ დაიწყო გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრების გა-
შუქება გაზეთში. „დროება“ იძლევა ასეთი ხასიათის წერილების
მართებულ განმარტებას.

„კრებულში“, აღნიშნავდა სერგეი მესხი, დაბეჭდილია „მგზავ-
რის წერილებიდან“ ამოღებული სამი პატარა თავი, სულ რვა თავა-
ხი: მაგრამ, რამდენი მშვენიერი ალაგებია ამ ნაბეჭდში, რამდენ პო-
ეტურ ნიქსა და კჰუას გვიჩვენებს იმის ავტორი! წაიკითხეთ ეს ლამი-
სა და დღის შედარება და დარწმუნდებით; რომ ილია ქავკავაძეს
მართლა პოეტური ნიჭი და ხელოვნური კალამი აქვს“¹⁰. ამის შემ-

⁹ გაზ. „დროება“, 1875 წ., № 136—137.

¹⁰ ს. მესხი, თხზ., ტ. I, გვ. 161.

დედ კრიტიკოსს მოჰყავს დამახასიათებელი ვრცელი ადგილი ი. ჭავჭავაძის მოთხრობიდან.

ს. მესხი საგანგებოდ ჩერდება ილიასა და მოხევის ცნობილ დილოგზე. კრიტიკოსი ი. ჭავჭავაძის ამ მოთხრობას ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების პროპაგანდის თვალსაზრისით იხილავს და თავის დროისათვის მეტად საყურადღებო დასკვნებიც გამოაქვს. „ეს საუბარი. — აღნიშნავდა სერგეი მესხი, — ეს სჯა და თვით ენა უბრალო მოხევისა ისეთის ხელოვნებითაა გადმოღებული, ისეთი ავრიგინალური და შესანიშნავია, რომ არ შეგვიძლია აქედანაც ორიოდღე სტირქონი არ გადმოვწეროთ... მაგრამ ამნაირი ნაწყვეტ-ნაწყვეტების წაკითხვით მკითხველი ვერ გაიგებს ამ მშვენიერი ნაწარმოების ღირსებას, თუ კი თვითონ მთლად არ წაიკითხავს“¹¹.

„კრებულში“ დაბეჭდილ ლექსებიდან ს. მესხი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ი. ჭავჭავაძის ლექსზე „ბედნიერი ხალხი“. — „რამდენი კმაყოფილება და თან რამდენი მწარე ღიმილი მოგვეგვარა ჩვენ * * * -ის (ი. ჭავჭავაძის, — შ. ვ.) მშვენიერმა და გესლიანმა „ბედნიერმა ხალხმა“¹². ასევე კარგ და მიმზიდველ ნაწარმოებებად მიაჩნდა სერგეი მესხს „კრებულში“ დაბეჭდილი ალ. ჭავჭავაძის მშვენიერი ლექსი — „ვაი, სოფელს ამას და მისთა მდგმურთა“, მ. ფაზელის პოეტური და აზრიანი ლექსი — „ჩემს ძმას და მეგობარს“, აკაკი წერეთლის „ნადირობა“ და სხვ.

ს. მესხი „დროების“ ფურცელზე ეწევა ილიასა და აკაკის ნაწარმოებთა ფართო პროპაგანდას — სისტემატურად ბეჭდავს მათ ნაწარმოებთა შესახებ რეცენზიებს, ეპიგრაფად წარუძღვრებს ხოლმე მათ ნააზრევს თავის სტატიებს („საუბარი ორთაშუა“, „საპატიმროს სცენები“ და სხვ.).

მაღალ შეფასებას აძლევდა ს. მესხი გ. ერისთავის „დავას“ და ლერმონტოვის „დემონს“, რაფიელ ერისთავის „სცენებს“, გ. წერეთლის მოთხრობებს. ამავე დროს დაუღალავად იბრძვის მრვალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის ნიმუშების გამოცემისათვის.

სერგეი მესხს არ მოსწონდა ანტ. ფურცელაძის „მაცი ხვითი“. გაუთავებელი მკვლევლობებისა და ქურდობის სცენების გაჭიანურებული თხრობის გამო. მაგრამ, რაც მთავარია, იგი აღშფოთებულია მოთხრობის იმ ადგილების გამო, სადაც ანტ. ფურცელაძე სოციალ-

¹¹ ს. მესხი, თხ. ტ. I; გვ. 162.

¹² იქვე, გვ. 165.

ბიოლოგიურ ფილოსოფიაზე მსჯელობს (ბოკლისა და დნერის ფილოსოფია)¹³.

ს. მესხი სამართლიანად უსაყვედურებდა ანტონ ფურცელაძეს ასეთი აბლაუბდისათვის. ა. ფურცელაძის გაზვიადებულ ფრაზეოლოგიას ს. მესხი ასე კიცხავდა: ანტონ ფურცელაძის ნაწარმოებთა კითხვის დროს, „მე მუდამ კრილოვის ერთი არაკი მაგონდება ხოლმე, ის არაკი, რომელსაც სახელად ჰქვია „ბაყაყი და ხარი“. თავმოყვარე ბაყაყს შეშურდა ხარის სიდიდე და ხარის ოდენა გაბერვა მოინდომა. იბერა, იბერა და ბოლოს იმდენი იბერა, რომ კიდეც გასკდა შუაზე“.

1871 წელს, საქართველოში იმპერატორის ჩამოსვლასთან დაკავშირებით ქართველ თავადაზნაურთა ყრილობამ დაადგინა მეფისათვის ეთხოვათ უნივერსიტეტის გახსნის უფლება. მაგრამ ადრესის გადაცემის პროცედურისას თავადაზნაურობის მარშალმა რევაზ ანდრონიკაშვილმა რეაქციონერ თავადაზნაურთა მხარდაჭერით ადრესის ტექსტი შეცვალა და მეფეს კადეტთა კორპუსის დაარსების ნებართვა თხოვა. ამ ფაქტის გამო ილია ჭავჭავაძემ მეფის მამამებელ თავადაზნაურთა გასაკიცხად დაწერა „გამოცანები“. ამას მოჰყვა გრიგოლ ორბელიანის „პასუხი შვილთა“. ეს ცნობილი პოლემიკა მამათა და შვილთა შორის 60-იან წლებში დაწყებული ბრძოლის განახლებას მოასწავებდა.

დღემდე დაბეჭდილ ყველა გამოცემაში, რომელიც კი 60-იანი წლების მამათა და შვილთა ბრძოლის საკითხებს შეხებია, ნათქვამია, რომ „ილიას „გამოცანები“, გრიგოლ ორბელიანის „პასუხი შვილთა“, ამ უკანასკნელის გამო დაწერილი ილიას „პასუხის-პასუხი“, აკაკის „ხარაბუზა გენერალს“ არ დაბეჭდილა იმდროინდელ საცენზურო პირობების გამო, მაგრამ იგი ფართოდ ვრცელდებოდა საზოგადოებაში ხელნაწერის სახითო“. მაგრამ საქმის ვითარება მთლად ასე არ არის. ამ ლექსების ფრაგმენტები ადრე დაბეჭდილი ყოფილა.

1872 წლის თებერვლის „დროებაში“ სერგეი მესხი აქვეყნებს საყურადღებო წერილს ძველსა და ახალ თაობას შორის გაშლილ პოლემიკის თაობაზე სათაურით: „ჩვენი მამები და შვილები“. გაზეთში დაბეჭდილ სტატიას წამძღვარებული აქვს გრიგოლ ორბელიანის — „პასუხი შვილთას“ პირველი ვარიანტისა და ილია ჭავჭავაძის

¹³ „დროება“, 1872 წ., № 9 (1871 წ. იანვრის „მნათობში“ დაიბეჭდა „მაიკი ხეიტია“).

ვძირს „პასუხის-პასუხის“ ხელნაწერად გავრცელებული ლექსების შემდეგი ფრაგმენტები:

თქვენ უსწავლელნო,
ცრუ რუსთაველნო!
რათ წაგვიბილწეთ ენა მდიდარი?
მტრობა ენის
არს მტრობა ქვეყნის...
ჩირქი რათ მოსცხეთ ტაძარსა წმინდას?

„პასუხი“

დღესა თუ ხვალე,
გვიან თუ მალე,
რაც ენას ვცოდეთ, ის გასწორდება;
მაგრამ კი თქვენი
მრუდე საქმენი
ისევ ისევე მრუდეთ დარჩება!“¹⁴

გრიგოლ ორბელიანისა და ილია ჭავჭავაძის ამ სტრიქონების პირველი პუბლიკაცია გაცხარებული პოლემიკის დღეებში სერგეი მესხის დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს. აგრეთვე ეს ფაქტი ამ ლექსების გავრცელების მასშტაბზეც მიუთითებს. სერგეი მესხის მოღვაწეობის ამ პატარა დეტალზე, ჩვენის აზრით, დღემდე არ შეჩერებულა მკვლევართა ყურადღება. ზემოთ მოტანილი ლექსები დაბეჭდილა ორი წლით ადრე გრ. ორბელიანის, „პასუხი შვილთა“, ხოლო ი. ჭავჭავაძის „გამოცანები“ საბჭოთა პერიოდში დაიბეჭდა. სერგეი მესხი, როგორც „დროების“ რედაქტორი, საგანგებოდ ადევნებდა თვალყურს ორი თაობის ბრძოლას. ამის შესახებ 1872 წლის 2 იანვარს კირილე ლორთქიფანიძეს სწერდა:

„თბილისში ჰყვავის ლიტერატურა, ორი ისეთი ხელნაწერი წერილი გამოვიდა აქ, ამ დღეებში, რომელმაც მთელი ქალაქი შესძრა. ერთი გამოცანები, რომელშიაც აწერილი არიან, ანუ უკეთ ვთქვათ: გალანძღული არიან კარგა ლაზათიანად გრ. ორბელიანი, გ. და კ. მუხრანსკები, რევაზ ანდრონიკაშვილი, პლატონ იოსელიანი, დიმიტრი ჯორჯაძე, ბესარიონ ღოღობერიძე და სხვები“¹⁵.

სტატიამ „ჩვენი მამები და შვილები“ სერგეი მესხი მართებულ მოსაზრებას გამოთქვამდა ორ თაობას შორის წარმოებულ პოლემიკის თაობაზე. საზოგადოების ორი ნაწილის განსხვავებული პო-

¹⁴ „დროება“, 1872 წ., 18 თებერვალი, № 7 („მრუდე“ ცენზორის მრავალწერტილთ შეუცვლია).

¹⁵ უქრ. „მნათობი“, 1932 წ., № 8—9, გვ. 202.

ზიცია სერგეი მესხს კანონზომიერ მოვლენად მიაჩნია. ეს ბრძოლა, აღნიშნავდა სერგეი მესხი, „ეს სჯისა და აზრების განსხვავება და შეტაკება რომ არ იყოს... არც წარმატება იქნებოდა... ქეშმარიტება მხოლოდ მაშინ აღმოჩნდება, როდესაც ორი ან მეტი, ერთმანეთის მოპირდაპირე აზრი შეებშიან და დაეტაკებიან ერთმანეთს... ეს განსხვავება აზრისა და შეხედულებისა ყველაზე უფრო ცხადად იხატება და მოსჩანს ორ თაობას შუა“¹⁶.

დაპირისპირებულთა ბრძოლამ ქართულ საზოგადოებაში იქამდე მიაღწია, რომ ეს ორი ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა (ძველი და ახალი) „ხშირად ერთმანეთს სხედასხვა ლამაზი სიტყვებით ამკობსო“.

მაგრამ დასკვნებში სერგეი მესხი განმანათლებლის ჰუმანური პოზიციებიდან აშუქებდა ძველსა და ახალ თაობას შორის წარმოებულ ბრძოლას. გამორიცხავდა რა კლასთა ბრძოლის ფაქტს ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში, ასკვნია: „სიმართლე ყოველთვის ახალი თაობის მხარეზეა, მაგრამ ასეთ კონკრეტულ ვითარებაში, როცა უფრო დიდი საკითხებია გადასაპკრელი, — აღნიშნავდა კრიტიკოსი, — თავი უნდა გავანებოთ იმაზე გაუთავებელ ლაპარაკს, თუ რომელმა თაობამ რა სარგებლობა მოუტანა საზოგადოებას. კარგად რომ დაეფიქრდეთ და გულზე ხელი დავიდვათ, უნდა გავტყდეთ, რომ ჭერჭერობით დიდი სიკეთე არც ერთ მხარეს არ მოუტანია თავის საზოგადოებისათვის“.

„ჩვენი ქვეყანა ახლა ისეთ მდგომარეობაშია, რომ იმისათვის აუცილებლად საჭიროა ყველა ქართველი უწყობდეს ხელს საზოგადო საქმეებს და ეხმარებოდეს ამ საზოგადო საქმეების სწორ გზაზე დადგომას. ყოველი საზოგადოების წევრი თავის შეძლებისდაგვარად უნდა სცდილობდეს რაიმე სარგებლობა და დახმარება უძღვნას თავის საზოგადოებას. ვინ არ იცის, რომ ეს დახმარება და სიკეთე მხოლოდ მაშინ იქნება შესამჩიველი და საგრძნობელი, როდესაც ყველანი ერთად იმოქმედებენ? მაშასადამე ამ ურთი-ერთობის განხეთქილებისაგან, ამ მამებისა და შვილების, მოხუცებულებისა და ახალგაზრდობის უკმაყოფილებისა და დაუნდობლობისაგან რა სიკეთეს უნდა მოელოდეს ჩვენი საზოგადოება?! ჩვენი მტრები არის: უმეცრება, სიღარიბე და სხვა ათასი და, თუ ერთმანეთში შური და დაუდევრობა არ მოვსპვთ, უეჭველია ეს მტრები სრულიად დაგვიმორჩილებენ და დაგვჩაგრავენ ჩვენა“¹⁷.

¹⁶ ს. მესხი, თხზ., ტ. I, გვ. 189.

¹⁷ იქვე, გვ. 192.

სერგეი მესხი ამ ბრძოლაში გამარჯვებას ახალგაზრდობას უწინაწარმეტყველებდა. მაგრამ ერის ამ ორი თაობის დაპირისპირება მიაჩნდა ქართული სინამდვილისათვის ცუდ მოვლენად.

ამ თვალსაზრისით სერგეი მესხი წარმოგვიდგება, როგორც ტიპური ქართველი სამოციანელი, რომელიც ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის მსგავსად უარყოფდა შინაური შფოთვის საჭიროებას და ყველა სასიცოცხლო ძალებს ერთიანი ერის გაძლიერებისათვის წარმართავდა, რათა შემდეგში ხალხთა საერთო აჯანყება დაწყებულყო ცარიზმის წინააღმდეგ. მანამდე კი, მისი აზრით, განათლებას, გაზეთს უნდა გაეჩაღებია რევოლუციური პროპაგანდა, მოემზადებია ხალხი ცარიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ასეთი მოსაშზადებელი მუშაობისათვის ს. მესხი დიდ როლს ანიჭებდა „დროებას“. ამ გაზეთს მთელ მოწინავე ქართველ ხალხთან ერთად უნდა დაეცვა ეროვნება „გარუსებისაგან“, გამუდმებით ეთესა რწმენა მომავალი გათავისუფლებისა.

მომავალი რევოლუციისათვის ხალხის მოსაშზადებლად, გარდა ისტორიული და ეკონომიური მეცნიერებისა, სერგეი მესხი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მხატვრულ ლიტერატურას. მისი მართებული დასკვნით, ლიტერატურა ყველაზე უფრო გასაგებად უხსნიდა ხალხს თავის მდგომარეობას, უჩვენებდა თავის ნაკლოვანებას და მის გამოსწორების საშუალებებს. სერგეი მესხს ლიტერატურა „ცხოვრების სარკედ“ მიაჩნია, რომელშიც მკაფიოდ ჩანს მისი ჭირვარამი. საჭიროა ლიტერატურამ გასაგებ ენაზე მიაწოდოს სულიერი საზრდო ხალხს. ეს მაშინ მოხერხდება, აღნიშნავდა ს. მესხი, თუ ჩვენი ლიტერატურის და დრამის ნიმუშები არ დაცილდებიან ეროვნულ ძირებს. ამიტომ იგი გაბედულად ილაშქრებდა ისეთი პიესების დადგმის წინააღმდეგ, სადაც „ქართველი თავის ნაციონალურ სახეს ვერ დაინახავდა“ და მარტო „საფრანგეთის, რუსეთის ან ინგლისის“ ცხოვრებაზე იქნებოდა ლაპარაკი¹⁸.

ამ ნაკლოვანებების გამოსწორებას სერგეი მესხი კრიტიკას ავალელებდა. მისი აზრით, კრიტიკა უნდა დაეხმაროს ლიტერატურას სწორად ასახოს ცხოვრება; რეალისტური და მალა-იდეური ნაწარმოებები მიაწოდოს ხალხს. იგი ვერ ურიგდებოდა ქართული კრიტიკული აზროვნების ჩამორჩენილობას. მას მხედველობაში ჰქონდა „რიგიანი კრიტიკოსთა“ კადრების გამრავლება. იგი წუხნდა, რომ ქართულ მწერლობაში ჯერჯერობით არ გამოჩენილა „ხეირიანი კრიტიკოსი“.

¹⁸ ს. მესხი, ტ. II, გვ. 109. ქართული თეატრი სოფელში.

„ჩვენი ეხლანდელი ლიტერატურა არაფერში არ გრძნობს ისეთ ნაკლულოვანებას, როგორც კრიტიკაში. რა გვარი მწერალიც გნებავთ, მონახავთ ჩვენში: მოთხრობისა და რომანების მწერლები, მოლექსეები და პოეტები, დრამატურგები და უბრალო სცენების მწერლები და სხვა ყოველგვარი მწერლები არიან; მაგრამ კრიტიკოსი კი, რივიანი კრიტიკოსი ჯერჯერობით არცერთი არ მოიპოვება, აზავინ არ გამოჩენილა. ეს მოვლენა ძლიერ სამწუხარო მოვლენაა, მით უფრო, რომ ჩვენს ლიტერატურას ეხლა, მგონი, ისე არაფერი და არავინ ეკირვება, როგორც ხეირიანი კრიტიკოსი. როგორც მეფე რიჩარდი ჰყვირის ფაჰირვების დროს: „ცხენი, ცხენი! ნახევარ სამეფოს მიეცემ, ვინც ერთ ცხენს მიშოვნისო“, ისე სრულის საფუძვლით ჩვენც შეგვიძლია დავიყვიროთ: „კრიტიკოსი! კრიტიკოსი! ნახევარ მწერლებს მივსცემთ, ვინც ერთ კარგ კრიტიკოსს გვიპოვისო“¹⁹.

ს. მესხს ასეთ რივიან კრიტიკოსად ნ. ნიკოლაძე მიაჩნდა, თუმცა ბევრ შემთხვევაში მკაცრად აკრიტიკებდა მას.

სხვა ადგილზე სერგეი მესხმა კიდევ უფრო ნათლად ჩამოაყალიბა თავისი მკაცრი მოთხოვნილება ლიტერატურული კრიტიკისადმი, რომ კრიტიკას არა მარტო უნდა დაენახა ცხოვრების ნაკლოვანებები, არამედ დაესახა კიდევ გზები მისი გამოსწორებისათვის. ამ მიმართებით საინტერესოა ს. მესხის მოსაზრება, გ. წერეთლის კომედია „ჯიბრის“ „კრებულში“ დაბეჭდვის გამო. „კომედიას“, როგორც საზოგადოდ ყოველ ლიტერატურულ ქმნილებას, უნდა „ჰქონდეს სახეში, გამოხატოს კაცის ნამდვილი ცხოვრება, იმის ხასიათი და გრძნობა: ყოველ ლიტერატურულ თხზულებაში უთუოდ უნდა იყოს გამოხატული კაცი თავისი ღირსებით და ნაკლოვანებები, თავისი საქმეებით და გასაკიცხავი ხასიათით, თავის სასარგებლო ან ბოროტი მოქმედებით. საზოგადოდ ლიტერატურის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ სარკესავით უჩვენოს ხალხს იმის ცხოვრების საქმეები ან გასაკიცხი მხარეები. რასაკვირველია, ამასთანავე ლიტერატურამ არ უნდა დაივიწყოს, რომ, თუ კაცის ცხოვრებაში ცუდს და გასაკიცხს მხარეებს მონახავს, იმის ვალი ის არის, რომ უჩვენოს ისეთი ახალი გზა, რომელზედაც ამ ხალხმა უნდა გაიაროს, უჩვენოს ისეთი საშუალება, რომელმაც ესა თუ ის კირი ან ნაკლოვანება საზოგადოებისა უნდა მოსპოს. თუ რომელიმე ლიტერატურა არც ერთს ამ დანიშნულებათაგან არ ასრულებს, თუ ის არ განიხილავს აწმყო ცხოვრებას და არ უჩვენებს მომავალი საუკეთესო ცხოვრების გზას, მა-

¹⁹ გაზ. „დროება“, 1873 წ., № 13, 14.

შინ შეგვიძლია დარწმუნებითა ვთქვათ, ამნაირ ლიტერატურას არაფერი სარგებლობა არ მოაქვს, ის ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას“²⁰. სერგეი მესხის ვრცელი ამონაწერი მწერლობის დანიშნულებაზე ჩვენ მოვიტანეთ იმისათვის, რომ ნათელი გახდეს სერგეი მესხის კრიტიკული აზროვნებისა და ქართული კრიტიკული რეალიზმის მოთხოვნათა იდენტურობა. სერგეი მესხის ასეთი მკაცრი, მაგრამ უტილიტარული მოთხოვნილება მწერლობისადმი, ზოგ მკვლევართან გაგებულა, როგორც სერგეი მესხის განსაკუთრებული მეთოდი, მისი რეალიზმის თავისებურება, რომელიც თითქოს გიორგი წერეთლის შეუფერავი რეალიზმის თეორიას ეხმაურება და ნიკო ნიკოლაძის შეუფერავ რეალიზმთან ერთად ილია ჭავჭავაძის კრიტიკული რეალიზმის განვითარებას წარმოადგენს.

„ამ ამონაწერში, — აღნიშნავს ისტორიკოსი მ. გაფრინდაშვილი, — გადმოცემულია ხელოვნების რეალისტური მეთოდის ის გაგება, რომელიც ქართულ ლიტერატურაში ი. ჭავჭავაძის კრიტიკული რეალიზმის შემდგომი განვითარების საფუძველზე წარმოიშვა და, რომელსაც გ. წერეთელი ნ. ნიკოლაძისთან ერთად შეუფერავი რეალიზმის სახელწოდებით იცავდა“²¹.

„შეუფერავ რეალიზმს“ ხედავს მკვლევარი, აგრეთვე, სერგეი მესხის კრიტიკულ სტატიაში, სადაც ი. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობია“ შეფასებული. აი, ეს ადგილიც: „გლახის ნაამბობი“ ტყვილად არ მოგწონებია შენ, — წერდა ს. მესხი ეკატერინე მელიქიშვილს, — მართალია, მთელი მოთხრობა ერთობ იდეალურია, არც ის მღვდელი და არც ის თვითონ გლახა არ ჩამოგვანან იმ მღვდლებსა და გლეხებს, რომელთაც ჩვენ ჩვენში ვხედავთ, და ერთობ ფანტაზიურია, მაგრამ რაც უნდა იყოს, მოთხრობაში მშვენიერი ტენდენციებია და კიდევ უფრო მშვენიერი ენაო“²².

ი. ჭავჭავაძის ამ რეალისტური და გენიალური ნაწარმოების დამკვირება იქნებოდა, რომ ზუსტად ისეთი მღვდელი და გლეხი ენახათ ცხოვრებაში, როგორიც ილიას ყავს დახატული, მაგრამ მხატვრის სიძლიერე სწორედ იმაშია, რომ მისი ტიპები კიდევ გვანან და კიდევ არა „ნამღვილ ადამიანებს“. ასეთი მოთხოვნის წაყენება ი. ჭავჭავაძის გმირთა ტიპებისადმი უმართებულოა. შეიძლება ამ „კაპრიზებს“ თავის დროზე მართლაც ჰქონდა თავისი გამართლება, როცა ნაწილი ჩვენი კრიტიკოსებისა ლიტერატურას წმინდა უტილიტარული მნიშ-

²⁰ ს. მესხი, თხზ., ტ. I, გვ. 111; „დროება“, 1871 წ., № 10.

²¹ მ. გაფრინდაშვილი, ქართული განმანათლებლობა, გვ. 205—206.

²² იქვე, გვ. 206.

ენელობით განიხილავდნენ. ასეთი კატეგორიული მოთხოვნა ლიტერატურისადმი არ აქვს სერგეი მესხს. მისი შეხედულებანი მწერლობაზე და კრიტიკაზე ქართული კრიტიკული რეალიზმის ფარგლებში თავსდება. მაგრამ, თუ ასეთი რამ მაინც ამოიკითხება სერგეი მესხის კრიტიკულ მემკვიდრეობაში, მაშინ იგი ილიას კრიტიკული რეალიზმის განვითარება კი არა, ამ რეალიზმისაგან უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება.

ქართულ პრესაში ხშირად ქვეყნდებოდა მწერლის კრიტიკულ-პუბლიცისტური სტატიები, რომელთაც ახასიათებს საზოგადოებრივი ცხოვრების საპირბოროტო საკითხების უფრო ღრმა წვდომა და ლიტერატურული მოვლენების პროფესიული ანალიზი. სერგეი მესხის უამრავ პუბლიცისტურ წერილებში გაბნეულია მისი კრიტიკული შეხედულებანი ლიტერატურაზე, პრესაზე, განათლებაზე, თეატრზე, ცალკეულ მწერლებსა თუ საზოგადო მოღვაწეებზე.

სერგეი მესხმა მძიმე ავადმყოფობის გამო ჯერ კიდევ ახალგაზრდამ დატოვა გაზეთი. მისი უკანასკნელი სტატია „დროებაში“ — „ჩემს მკითხველს“ არის სისხლითა და ცრემლით დაწერილი მხურვალე სტრიქონები იმ სათაყვანებელი კერპისადმი, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა, მაგრამ უხლა სამუდამოდ უნდა დატოვოს იგი. სერგეი მესხის აღნიშნული წერილი, რომელსაც იგი აღსარებას უწოდებდა, ისე კარგად გადმოსცემს ს. მესხის მოღვაწეობის ხასიათს „დროებაში“, რომ ჩვენ საპიროდ დავინახეთ უცვლელად გადმოგვებეჭდა იგი „დროებიდან“: „თოთხმეტი წელიწადი განვაგებდი, ვმწყვესავდი მე გაზეთ „დროებას“, თოთხმეტი წელიწადი განუწყვეტლივ, ჯერ კვირაში თითოჯერ, მერე სამჯერ და ბოლოს თითქმის მუდამ დღე მე და ჩემი მკითხველი შევხვდებოდით ერთმანეთს და სხვადასხვა ათასგვარ საგნებზე, ჩვენს ჭირსა და ლხინზე გეჟონდა ლაპარაკი და მასლაათი.

ბევრი გაჭირვება გამოვიარეთ მე და ჩემმა გაზეთმა ამ ხნის განმავლობაში; ბევრი დაბრკოლება გვიხდებოდა წინ; ბევრი განსაცდელი ვნახეთ; ახლანდელს დროში ყოველ გაზეთსა და ჟურნალს, განსაკუთრებით ჩვენში, ბევრი დაბრკოლება ხვდება.

ამგვარ დაბრკოლების წინააღმდეგ მწერალს არაფერი არ შეუძლიან. მაგრამ ხშირად ისეთის მხრიდან დაგვეხდომია დაბრკოლება, რომლიდანაც სრულიადაც არ იყო მოსალოდნელი.

ავად თუ კარგად, ყველა ამ დაბრკოლებას გადავრჩით და, როგორც იყო დღევანდლამდის მოვატანეთ.

და დღეს, ამის თქმა თამამად შემიძლიან, რომ მე ულაქო, შეუმწიკველეს, პატიოსანს გაზეთს ვაბარებ ახალ რედაქციას.

ჩემი დამსახურება აქ ბევრი არაფერია: მე ვხედავდი, რომ ჩვენ ვაჭირვების დროს ვცხოვრობდით, ისეთ დროს, როდესაც ჩვენს ხალხსა და ქვეყანას კეთილ-წარმატება ეჭირებოდა — და მე, რამდენადაც სუსტი ღონე და ათასგვარი გარეშე და შინაური დაბრკოლება ნებას მაძლევდა, ვცდილობდი სწორი გზა ჩვენის საზოგადო ცხოვრებისა გამეკვლია და, ერთის სიტყვით, რამდენადაც შემეძლო, კეთილი დამსახური და ერთგულება არ მომეკლო ჩვენის ქვეყნისათვის.

ჩემი საქმე არ არის განვსაჯო — თუ რამდენად შევასრულე მე ეს ჩემი განზრახვა; რამდენად სასარგებლოდ დარჩა ქართველ საზოგადოებისათვის გაზეთებისაგან კეთილი გზების ჩვენება. თუ რა ნაყოფი მოიტანა ჩემმა ერთგულმა დამსახურებამ და სხვ. ამის თქმა და გარდაწყვეტა თვითონ საზოგადოების საქმეა.

შეიძლება, რომ 14 წლის განმავლობაში ჩემს ხელში ბევრი რამ შესცოდა გაზეთმა, იქნება მრუდე გზაზედაც გადაუხვია, იქნება ჯეროვნად ვერ შეასრულა ის, რაც უნდა შეესრულებინა, რაც იმის მოვალეობას შეადგენდა. მაგრამ ორი რაიმეს თქმა კი თამამად შემიძლიან. და ამის თქმას მე, თავდაბალ კაცს, კვებნად ვერ ჩამომართმევთ.

პირველი, რომ ერთგული ვიყავი იმ დიდ საქმის აღსრულებაში, რომელიც ვიკისრე და მეორე, რომ ბოროტ განზრახვას, კერძო, პიროვნულ რაიმე მიზანს ჩემს სალიტერატურო მოღვაწეობაში არასოდეს არ ჰქონია ადგილი და ამ განზრახვით არასოდეს არ გარდამიხვევია იმ გზიდან, რომელიც მე, ჩემი სინიღისით და გაგებით, სწორ და ნამდვილ გზად მიმაჩნდა.

ეს არის ჩემი აღსარება. არასოდეს არ მიყვარდა ჩემს თავზე, ჩემს პიროვნებაზე ლაპარაკი, მაგრამ დღეს, როდესაც ველაპარაკები და ვეთხოვები ჩემს მკითხველს, იძულებული შევიქნენი — ეს ორიოდ სიტყვა კერძოდ ჩემზედ, ჩემს პიროვნებაზედაც მეთქვა. მაგრამ, როდესაც გაზეთ „დროებაზედ“ არის ლაპარაკი, არ შეიძლება არ მოიხსენიოს კაცმა ზოგიერთი სხვა პირებიც, რომელთაც ჩემზე მომეტებული თუ არა, ნაკლები დამსახური არ გაუწევიათ გაზეთებისათვის: რომელთა უსასყიდლო, უანგარო შრომის წყალობით გაზეთს და იმის რედაქციასაც სული ედგა. ამ თანამშრომლებში მე დავასახელებ აქ, მხოლოდ უმთავრესთ: თ. აკ. წერეთელი, პ. უმიკაშვილი, ალ. ყაზბეგი, თ. რაფ. ერისთავი, ი. მეუნარგია და ბევრი სხვანი.

უამათოდ მე და ჩემს „დროებას“ ცხოვრება არ შეგვეძლო, მე ვიყავი ლალა ჩვენის ახალგაზრდა გაზეთისა; ყოველთვის ვაჭირვების დროს ესენი, ჩემ გვერდით მდგომნი, მამხნევებდნენ, ხელს მიწვდიდნენ და ამნაირად ერთად, ძმურად ვასრულებდით ჩვენს სასიამოვნ-

ნოს. თუმცა მძიმე, ხშირად უმადურს და ათას გვარს დაბრკოლებით აღჭურვილ მოვალეობას.

ამათ რომ ჩემგან მადლობა ექირებოდეს, დარწმუნებული რო არ ვიყო, რომ ესენი მხოლოდ საზოგადო საქმის ინტერესით მუშაობდნენ გაზეთებში, — რასაკვირველია, აქ, ამ გაზეთში, ჩემს უკანასკნელ სიტყვაში პირველი სიტყვა იქნებოდა ამათი გულითადი მადლობის გადახდა, მაგრამ ვიცი, ამათთვის თავის ამხანაგისაგან მადლობა და სიყვარულის გამოცხადება არ არის საჭირო, — ამათი ხელმძღვანელი საზოგადო სარგებლობის მოტანაა, და აქ კერძო პირის მადლობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს; ამათთვის ისიც კმარა, როდესაც ყოველის მხრით ხედვენ და ყოველ ნაბიჯზე გრძნობენ, რომ ამათ შრომას, ამათ ლიტერატურულ მოღვაწეობას უნაყოფოდ არ ჩაუვლია ჩვენს საზოგადოებაში, ამათი შემწეობით ბევრი რიგიანი აზრი დათესა გაზეთმა ჩვენს ხალხში და ეს დათესილი აზრები ერთს დროს თავის ნაყოფს მოუტანენ ჩვენს ქვეყანას.

დღეს, ავადმყოფობის, დაუძლურების გამო, საუბედუროდ, იძულებული ვარ გაზეთი მივატოვო და გამოვესალმო ჩემს 14 წლის ნამაგევ, საყვარელ გაზეთსა და იმის მკითხველს.

ყველა გაიგებს, თუ რა გულით, რა გრძნობით უნდა ვეთხოვებოდე მე გაზეთს, რომელსაც ჩემი ყმაწვილ-კაცობის ძალ-ღონე, ჩემი ჰკუა-გონება და, ერთის სიტყვით ჩემი არსება შევიწირე...

ერთი რამ მანუგეშებს: ისეთის სანდო კაცების ხელში გადადის გაზეთი. რომელნიც, იმედია, ჩემზე უკეთ თუ არა, უარესად არ წაიყვანენ იმას, რომელნიც უკეთესს პირობებსა და გარემოებაში ჰკიდებენ გაზეთს ხელს და, მამსადამე, უფრო გაუადვილდებათ იმის რიგიანად და მართებულად წაყვანა²³.

„დროების“ გარშემო თავს იყრიდა ეპოქის მოწინავე ქართული ინტელიგენცია. გაზეთის ფურცლებზე იბეჭდებოდა ი. ჰავჭავაძის, აკაკი წერეთლის, რაფ. ერისთავის, გ. წერეთლის, ნ. ნიკოლაძის, ანტონ ფურცელაძის, სერგეი მესხის, იაკობ გოგებაშვილის, პეტრე უმიკაშვილის, ალექსანდრე ცაგარელის, ალექსანდრე ყაზბეგის, ივანე მაჩაბლის და სხვა მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების პოეტური, ბელეტრისტული, კრიტიკულ-პუბლიცისტური ნაწარმოებები.

„დროება“ თავიდანვე მტკიცედ განსაზღვრული პროგრამით მუშაობდა. „დროების“ რედაქტორის ს. მესხის აზრით, „ყოველ გაზეთს ერთი მტკიცე გარკვეული მიმართულება უნდა ჰქონდეს და მუდამ ამაზე ადგეს. რასაკვირველია, რედაქცია თავის აზრსა და მიმარ-

²³ გაზ. „დროება“, 1883 წ.

თულებას ყველას ძალდატანებით ვერ მიაჩეჩებს, ვერ მოითხოვს, რომ ყველამ იმ გზაზე გაიაროს. თანახმა ვარ, რომ ჩვენში, მაგალითად. სადაც თითქმის ერთად ერთი გაზეთია აზრების გამოსათქმელად. რედაქცია თითქმის ვალდებულიც არის, რომ თავისი აზრებით მკითხველებს სხვადასხვა მხარეები უჩვენოს რომელიმე საგნისა და რა აზრიც უნდა, ის მიიღოს. აზრთა ბრძოლაში აღმოჩნდება ქეშმარიტება. მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს შრომა, ეს გამორჩევა საუკეთესო და უფრო ქეშმარიტი აზრებისა შეეძლოს. რაც უფრო ნაკლები სხვადასხვა აზრები იქნება ერთსა და იმავე საგანზე ჩვენი მკითხველებისათვის ისა სჯობია, უფრო ადვილად შეეთვისება ერთ შეხედულებას, ბევრში ერთ საუკეთესოს ვერ ამოარჩევს. ამით ვხელმძღვანელობ მე, რომ გაზეთში დესპოტურად ვიქცევი, ერთ გზას ვადგავართ. ერთსა და იმავე აზრს ხშირად ვიმეორებთ და ამით იმედი მაქვს, პროპაგანდის საქმე უკეთ მიდის, ვიდრე გაზეთის აქრელებით და სხვადასხვაგვარი იმიმართულების სტატიების ბეჭდვით“.

* * *

„დროებაში“ იბეჭდებოდა იმ დროის ქართული მწერლობის საუკეთესო ნაწარმოებები, კრიტიკული წერილები. ეს გაზეთი იყო ქართული კრიტიკული აზრის წარმმართველი საქართველოში „საქართველოს მოამბიდან“ „ივერიის“ დაბადებამდე. „დროება“ და მისი პირმშოები — „მნათობი“, „კრებული“ გამოხატავდა თავისი დროის მოწინავე, რეალისტურ ტენდენციებს. ს. მესხის რედაქტორობით გამოსული „დროების“ კრიტიკული აზრი გზას უკაფავდა და სწორ მიმართულებას აძლევდა ქართულ მწერლობას.

ასეთია ს. მესხის დამსახურება ქართული რეალისტური კრიტიკის განმტკიცებისათვის ბრძოლაში. მის თეორიულ მემკვიდრეობას ახლაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

გიორგი აბაშიძე

არჩილ ჯორჯაძის ლიტერატურულ-მსთებიკაური ნააზრემიდან

ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში არჩილ ჯორჯაძეს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. შეიძლება თამამად ითქვას, რომ მეცხრამეტე საუკუნის დამლევისა და მეოცე საუკუნის დამდეგის საქართველოს კულტურულ და ინტელექტუალურ ცხოვრებაში არჩილ ჯორჯაძე ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო ფიგურას წარმოადგენდა. არჩილ ჯორჯაძის თანამედროვენი — განურჩევლად ყველა, მისი თანამოაზრენი თუ მოწინააღმდეგენი, — დიდად აფასებდნენ ამ ახალგაზრდა, მაგრამ უაღრესად სერიოზული მოაზროვნის პიროვნებას და აღიარებდნენ მის უდავო ნიჭიერებასა და მაღალ შესაძლებლობებს.

არჩილ ჯორჯაძის ინტერესთა სფერო ვრცელი იყო და მრავალმხრივი, მისი აზროვნება — ღრმა და ორიგინალური ხასიათისა. არჩილ ჯორჯაძის მრავალრიცხოვან ნაწერებში არაერთი საყურადღებო მოსაზრებაა გამოთქმული როგორც საკუთრივ მეცხრამეტე საუკუნის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ, ასევე, საზოგადოდ, ფილოსოფიის, სოციოლოგიის, ესთეტიკისა და რელიგიის ისტორიის ზოგად პრობლემებსა თუ ცალკეულ კონკრეტულ საკითხებზე.

არჩილ ჯორჯაძის მოღვაწეობა და მისი თეორიული ნააზრევი ჯერ კიდევ არ გამხდარა მონოგრაფიული კვლევის საგნად, თუმცა, ჩვენი აზრით, სრულიად აშკარაა ასეთი კვლევა-ძიების მნიშვნელობა და აუცილებლობა, რამდენადაც ვიდრე ამომწურავად არ იქნება შეს-

წავლილი XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და ჩვენი საუკუნის დასაწყისის თითოეული მეტ-ნაკლებად თვალსაჩინო ქართველი მწერლისა თუ საზოგადო მოღვაწის ნააზრევნი, შეუძლებელია მთლიანი, დასრულებული წარმოდგენის შემუშავება აღნიშნული პერიოდის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ფაქტიურად არსებულ დონესა და შესაძლებლობებზე, მის საზღვრებსა და მასშტაბებზე. ამრიგად, არჩილ ჯორჯაძის მემკვიდრეობის შესწავლა და სათანადო შეფასება აუცილებელია ქართული საზოგადოებრივი აზროვნების მეცნიერული ისტორიის შესაქმნელად, — მისი ძირითადი ტენდენციების დასადგენად, მისი შინაგანი სირთულისა და თავისებურებების, მისი განვითარების ხასიათის ნათელსაყოფად.

ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში, არჩილ ჯორჯაძის თეორიული მემკვიდრეობიდან, მეტ-ნაკლებად სრულად, ჯერჯერობით, მხოლოდ მისი ფილოსოფიური ნააზრევია შესწავლილი. კერძოდ, პროფ. ვ. ვაგოძის ვრცელ გამოკვლევაში — „ფილოსოფიური აზრის ძირითადი მიმდინარეობანი XIX საუკუნის საქართველოში“, — არჩილ ჯორჯაძის ფილოსოფიური კონცეფციის კრიტიკულ განხილვას სპეციალური ყურადღება ეთმობა და შეფასებულია მისი მნიშვნელობა აღნიშნული პერიოდის ქართული ფილოსოფიური აზრის განვითარების ისტორიაში.

ქართველ მკვლევართა ნაშრომებში, ვაკვრით, საუბარია ზოლმე, აგრეთვე, არჩილ ჯორჯაძის პოლიტიკურ შეხედულებებზეც, კერძოდ, მის მცდარ და ანტიმეცნიერულ სოციალ-ფედერალისტურ მიმართულებაზე, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არჩილ ჯორჯაძის მოღვაწეობის საერთო შეფასებისათვის.

ცალკეულ შემთხვევებში, — XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხებზე მსჯელობის დროს, — არჩილ ჯორჯაძის მიერ გამოთქმული მოსაზრებანი (მაგ., გასული საუკუნის 60-იანი წლების საქართველოს იდეურ-საზოგადოებრივ ვითარებასთან დაკავშირებით), დამოწმებულია ზოლმე ქართული ლიტერატურის ისტორიკოსთა ნაშრომებშიც, მაგრამ არჩილ ჯორჯაძის საკუთრივ ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხედულებების ირგვლივ დღემდე არავითარი სამეცნიერო ლიტერატურა არ არსებობს, თუმცა აღნიშნული შეხედულებები, ჩვენი აზრით, უდავოდ საყურადღებო მასალას წარმოადგენს ქართული ესთეტიკური აზროვნების განვითარების ისტორიის თვალსაზრისით.

ბუნებრივია, რომ ქართული ესთეტიკური აზროვნება და სალიტერატურო კრიტიკა XIX საუკუნის მანძილზე არ ვითარდებოდა სწორხაზოვნად, გარკვეული გადახვევებისა თუ ზიგზაგების გარეშე.

მისი განვითარების ტემპებიც, გასული საუკუნის სხვადასხვა მონაკვეთებზე — ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ხასიათის შესაბამისად, — არ იყო მუდამ ერთგვაროვანი: სწრაფი აღმავლობის პერიოდებთან ერთად, მას, უთუოდ, გარკვეული ხარვეზებიც ახასიათებდა, მაგრამ თუკი გასული საუკუნის ქართულ ლიტერატურულ-ესთეტიკური აზროვნების ძირითად გეზზე, მის წამყვან ტენდენციებზე გავამახვილებთ ყურადღებას, სავსებით დავრწმუნდებით იმაში, რომ მას — ილია ჭავჭავაძის სიტყვით რომ ვთქვათ, — წარმატებით „უვლია თავის განვითარების გზაზე, თანდათან გაუფართოვებია თავისი მოედანი, გაშლილა, შეფოთლილა, გამოუღია თავისი ნაყოფი, მერე თესლიც დაუყრია შემდეგისათვის და აგრე მოდენილა“ მეოცე საუკუნის კარიბჭემდე. XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების ხასიათზე მსჯელობისას, ილია ჭავჭავაძე სამართლიანად მიუთითებდა იმის შესახებ, რომ „ჩვენს ცხოვრებას ამ საუკუნეში რომ გულამდე თვალი გავუბნოთ, ვნახავთ, რომ იგი წარმოგვიდგენს აზრთა და მიმართულებათა წინსვლას, წარმატებას, მერე ისე, რომ შემდეგი წინაზე უფრო სრულია, უფრო სავსე, უფრო ვრცელი და უკეთესი. აქ ზრდაა, მატებაა აზრისა. გონების თვალთახედვის გაგანიერება, განდიდება, გაძლიერება“¹. XIX საუკუნის საქართველოს „აზრთა და მიმართულებათა“ ილიასეული ეს დახასიათება კარგად გამოხატავს საკუთრივ ქართული ესთეტიკური აზროვნების განვითარების ხასიათსაც, რამდენადაც, ქართული სალიტერატურო კრიტიკის განვითარების კვალდაკვალ, სულ უფრო იზრდებოდა არა მხოლოდ დ ა ი ნ ტ ე რ ე ს ე ბ ა ლიტერატურისა და ხელოვნების ზოგადთეორიულ პრობლემებით, არამედ თანდათან მატულობდა, აგრეთვე, აღნიშნულ პრობლემათა მეცნიერული კვლევა-ძიების მასშტაბებიცა და სიღრმეც.

გასული საუკუნის მანძილზე ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში ლიტერატურისა და ხელოვნების ზოგადთეორიული პრობლემებით დაინტერესებასა და მისი კვლევის დონეზე მსჯელობის დროს, აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას შემდეგი გარემოება: მართალია, ლიტერატურისა და ხელოვნების თეორიული პრობლემებისადმი ყურადღების გამახვილება ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში არა მხოლოდ XIX საუკუნის დამლევს ხდება, არამედ ქართული კრიტიკის განვითარების პირველსავე ეტაპებზე, მაგრამ აღნიშნული პრობლემებისადმი ქართველ კრიტიკოსთა დამოკიდებულებაში,

¹ ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, ტ. III, 1953, გვ. 201—202.

XIX საუკუნის მიწურულისათვის, ჩვენი აზრით, უთუოდ შეიმჩნევა გარკვეული თვისობრივი ხასიათის ცვლილება: 60—70-იან წლებში ქართული კრიტიკის უპირველეს ამოცანას — ლიტერატურულ მოვლენათა კრიტიკული შეფასების ამოსავალი საფუძვლების, მისი ძირითადი პრინციპების დამკვიდრება წარმოადგენდა, და ამ ამოცანის შესაბამისად, ესა თუ ის თეორიული დებულება, აღნიშნული პერიოდის კრიტიკულ წერილთა უმეტესობაში, ძირითადად, აქსიომური ხასიათის წანამძღვრის სახითაა წარმოდგენილი: აღნიშნულ დებულებათა სამართლიანობა და უექველობა კრიტიკოსთათვის თავისთავად ცხადია და, ამდენად, მათ მიზანს წარმოადგენს არა აღნიშნულ თეორიულ წანამძღვართა კვლევა, არამედ მათი პრაქტიკული გამოყენება კონკრეტული ლიტერატურული მასალის დახასიათებისა და შეფასებისათვის.

ქართული კრიტიკის განვითარების შემდგომ ეტაპებზე, განსაკუთრებით კი გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან, სულ უფრო და უფრო ძლიერდება დაინტერესება ლიტერატურისა და ხელოვნების საკუთრივ თეორიული საკითხებით; აღნიშნული საკითხები თანდათან უკვე სპეციალური კვლევის საგანი ხდება, და მათი შესწავლისა და დამუშავების დონეც, ბუნებრივია, თანდათან მაღლდება და იზრდება. ასეთი ვითარება არ არის მოულოდნელი, და ლიტერატურისა და ხელოვნების თეორიული პრობლემების კვლევის გარკვეული შემოფარგულობა XIX საუკუნის ქართული კრიტიკის განვითარების პირველ ეტაპებზე — არ უნდა მოგვეჩვენოს მის ნაკლად, ან მისი ჩამორჩენილობის დამადასტურებლად, რადგან აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ, როგორც არჩილ ჯორჯაძეც მიუთითებდა, „კონკრეტული აზროვნება და აზროვნება კონკრეტული საგნების შესახებ ყველგან წინ უსწრებდა აზროვნებას განყენებულს და განყენებულ საგანთა შესახებ“², და, ამ მხრივ, როგორც აღვნიშნეთ, არც ქართული სალიტერატურო კრიტიკა წარმოადგენდა გამონაკლისს.

უთუოდ ანგარიშგასაწევია ისიც, რომ მეცხრამეტე საუკუნის 60—70-იანი წლების ქართველი მკითხველი საზოგადოება ჯერ კიდევ არ იყო სათანადოდ მომზადებული იმ ფართო თეორიული ხასიათის განზოგადოებებისათვის, რომელთა აუცილებლობა, გასული საუკუნის მიწურულში უკვე აშკარად შეიმჩნევა, და, ამდენად, ლიტერატუ-

² არჩილ ჯორჯაძე, თხზულებანი, წიგნი მესამე: ნააზრევი (ხელოვნება, ფილოსოფია, რელიგია), ტფილისი, 1911, გვ. V.

რულ-კრიტიკულ წერილთა პოპულარულ ხასიათს და თეორიულ საკითხთა კვლევა-ძიების განსაზღვრულ დონეს, ქართული კრიტიკის განვითარების პირველ ეტაპებზე, მეტ-ნაკლებად, უთუოდ, მკითხველი საზოგადოების მომზადების საერთო დონეც განაპირობებდა.

დაბოლოს, მხედველობაშია მისაღები ის სრულიად განსაკუთრებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება, რომლის გარემოცვაშიც ხდებოდა ქართული სალიტერატურო კრიტიკის განვითარება. ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრების პირობები ქართული მწერლობისა და, კერძოდ, სალიტერატურო კრიტიკისაგანაც, პირველყოვლისა, პრაქტიკული მიზნების განხორციელებისათვის ბრძოლას მოითხოვდა, ხოლო „იმგვარ წეს-წყობილებაში, სადაც ურეგლამენტოდ სული ვერ დაგიბერაფს... სადაც პოლიტიკური ფორმები იმ ბარბაროსულ ხანას ვერ გადასცილებიან, როცა ერთი თავაშვებული ვიგინდარა და მისი ამაღლა, რამოდენიმე ათიოდე კაცისაგან შემდგარი, ფეხქვეშ სთელავს მთელის საზოგადოების ყოველგვარ უფლებასა... სადაც მოქალაქეთა ძილი და მოსვენება ყოველ წუთში განსაცდელშია, — ასეთ მხარეში დაწყნარებული მსჯელობა და მშვიდად იგანხილვა ამა თუ იმ საგნისა (და, კერძოდ, ლიტერატურისა და ხელოვნების თეორიული საკითხებისა), ყოველად მოუხერხებელია. აქ ყოველი ფიქრი, ზრახვა, წადილი და მისწრაფება ადამიანისა ერთის რისამესკენ მიილტვის: შექმნას ისეთი სოციალური და პოლიტიკური პირობები, რომ თავისუფლად შეეძლოს ჰაერის სუნთქვა; დაამსხვრიოს საუკუნეთაგან გაქედლი რკინის ბორკილები და ხელები განითავისუფლოს ლუკმა-პურის პირში ჩასადებად“³. და, რაღა თქმა უნდა, რომ აღნიშნული ვითარება მეტად მნიშვნელოვან შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენდა „განყენებულ საგანთა“ შესახებ „დაწყნარებული მსჯელობისათვის“ — როგორც ქართული კრიტიკის განვითარების პირველ ხანებში, ასევე მის მომდევნო ეტაპებზეც.

მაგრამ ქართული კრიტიკის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მიუხედავად არაერთი დამაბრკოლებელი გარემოებისა, მან მაინც შესძლო „წარმატებით ეარა თავის განვითარების გზაზე“ და თანდათან სულ უფრო მნიშვნელოვანი მიღწევები მოეპოვებინა როგორც კონკრეტული ლიტერატურული მასალის კრიტიკული შესწავლის საქმეში, ასევე ლიტერატურისა და ხელოვნების თეორიული პრობლე-

³ კ ი ტ ა ა ბ ა შ ი ძ ე, ცხოვრება და ხელოვნება, „სახალხო გაზეთი“, 1910, № 66, გვ. 2.

მების ღრმა და საფუძვლიანი დამუშავების მხრივაც. და თუკი ამ თვალსაზრისით მივუდგებით ქართული სალიტერატურო კრიტიკისა და, კერძოდ, ესთეტიკური აზროვნების განვითარების ისტორიას (სალიტერატურო კრიტიკა და ესთეტიკა — როგორც მეცნიერების დამოუკიდებელი დარგები, აღნიშნულ პერიოდში საქართველოში ჯერ კიდევ არაა დიფერენცირებულნი), ჩვენი აზრით, ცხადად დავრწმუნდებით იმ დებულების სამართლიანობაში, რომ XIX საუკუნის დამლევისა და XX საუკუნის დამდგის ლიტერატურულ-კრიტიკული და ესთეტიკური აზროვნება საქართველოში თუ ერთი მხრივ, უთუოდ, 60-იანი წლების ეპოქის პროგრესული იდეებითაა ნასაზრდოები და მისი ტრადიციების გამგრძელებლად გვევლინება, მეორე მხრივ, — ილია ჭავჭავაძის სიტყვები რომ გამოვიყენოთ, — იგი „უფრო დასრულებულია, უფრო ტანადოვანია, თუ ასე ითქმის, უფრო განწმენდილი და გაფაქიზებული“.

ამ მოსაზრების სამართლიანობას ადასტურებს როგორც გასული საუკუნის დამლევისა და მეოცე საუკუნის დამდგის სხვა ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა ლიტერატურულ-კრიტიკული მემკვიდრეობა, ასევე, საკუთრივ არჩილ ჭორჭაძის ესთეტიკური ნააზრევებიც, რომელიც, ჩვენი აზრით, ნათლად მოწმობს ქართული ესთეტიკური აზროვნების „თვალთახედვის გაგანიერებასა და გაძლიერებას“.

როგორც აღვნიშნეთ, არჩილ ჭორჭაძის ნაწერების თემატური ფარგლები ვრცელია და მრავალმხრივი; არჩილ ჭორჭაძის ინტერესთა სფერო მეცნიერების არაერთ დარგს მოიცავდა და ესთეტიკის საკითხებიც ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია მისი მრავალფეროვანი მემკვიდრეობისა. უდავოა, რომ ეს მემკვიდრეობა არაა თანაბარი ღირებულებისა და არჩილ ჭორჭაძის რიგი შეხედულებები მნიშვნელოვნად ჩამორჩება მეცნიერების განვითარების დღევანდელ დონეს. არჩილ ჭორჭაძის თვალსაზრისში ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ და, ასევე, მის ფილოსოფიურ და სოციოლოგიურ შეხედულებებში არაერთი მნიშვნელოვანი ნაკლოვანება და ხარვეზი შეინიშნება, მაგრამ, ჩვენი აზრით, ისიც უდავოა, რომ არჩილ ჭორჭაძის ნააზრევს დადებითი მხარეებიც გააჩნია, ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის კი ეს მხარე მისი მემკვიდრეობისა არანაკლებ მნიშვნელოვანია და საყურადღებო, რამდენადაც არჩილ ჭორჭაძის ადგილს XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის დამდგის ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა შორის განსაზღვრავს არა მხოლოდ ის აშკარა შეცდომები, რომლებიც დაშვებული აქვს თავისი ხანმოკლე ცხოვრებისა და საზოგადოებრი-

ვი მოღვაწეობის მანძილზე, არამედ, აგრეთვე, ის რაციონალური და ღირებულებით, რომელსაც უთუოდ შეიცავს მისი მემკვიდრეობა და, კერძოდ, მისი ესთეტიკური ნააზრევნი.

როგორც ცნობილია, საკითხი ხელოვნების საზოგადოებრივი დანიშნულების შესახებ XIX საუკუნის ქართული სალიტერატურო კრიტიკის ცენტრალურ საკითხთა რიგს განეკუთვნებოდა. ქართველი კრიტიკოსები ხელოვნების აზრს და გამართლებას საზოგადოების. მშობელი ხალხის, მშობელი ქვეყნის უმწიკვლო სამსახურში ხედავდნენ, „ცხოვრების განკარგებისათვის“ ბრძოლის ერთ-ერთ ქმედით საშუალებად და იარაღად სახავდნენ. არჩილ ჯორჯაძის თვალსაზრისით ხელოვნების მოწოდებასა და დანიშნულებაზე არსებითად ამ შეხედულების ანალოგიურია, შეხედულებისა, რომელიც ქართველ 60-იანელთა მიერ იქნა დამკვიდრებული ქართულ სინამდვილეში. და ისევე, როგორც 60-იანი წლების ქართველი მოღვაწენი ლიტერატურულ ნაწარმოებთა ღირებულების შეფასებისას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ იმას, თუ რამდენად ცხოვრებისეულია ესა თუ ის მხატვრული ნაწარმოები თუ, საერთოდ, მწერლის შემოქმედება, რამდენად „ასხია მას ქართული ხორცი, უდგია ქართული სული, სტირის და ჰკენესის ქართველობის კვნესით“⁴, — არჩილ ჯორჯაძისათვისაც, ქართული ხელოვნება, ქართული მწერლობა, პირველ ყოვლისა, ქართველი ხალხის ინტერესების სამსახურს უნდა ისახავდეს მიზნად — „მწერლობამ უნდა დაასახელოს საზოგადოების თვითეული საჭიროება“, იგი უნდა იყოს „სადგური ქართველის სულისა“, იგი უნდა შეიცავდეს „ყოველივეს“, რაც ქართველი ადამიანის „სახეს, მის ხატებას, მის ეროვნებას, მის ქართველობას შეადგენს“.

ქართული ხელოვნების თითოეული დარგი. არჩილ ჯორჯაძის რწმენით, ხელს უნდა უწყობდეს „საზოგადოებრივ თვით-ცნობიერების გაღვიძებას“⁵, ხოლო ამას კი იგი მხოლოდ მაშინ მიაღწევს. თუკი უმჭიდროესად იქნება დაკავშირებული ეროვნულ სინამდვილესთან, თუკი თავისი ფესვებით იგი ეროვნული ნიადაგიდან იქნება ამოზრდილი, ამ ნიადაგით ნასაზრდოები და განსაზღვრული: „ქართულ ხელოვნებას „ქართული“ ხასიათი უნდა ჰქონდეს, — წერდა არჩილ ჯორჯაძე, — თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ დასაწერად უცხო სიუჟეტი, მაგრამ მანერა, უნარი და კილო წერისა ქართველური უნდა გქონდეთ. გამოჩენილ საფრანგეთის მხატვრებს შემუშავე-

⁴ აკაკი წერეთელი, რამდენიმე სიტყვა „ჩანგურის“ შესახებ, ვურ. „სისკარი“, 1865, № 9.

⁵ არჩილ ჯორჯაძე, ქართული თეატრი, — თხზულებანი, ტ. მესამე, 1911, გვ. 195, 197.

ბული აქვთ თავიანთი ქვეყნის ტიპი და, რა სიუჟეტებიც არ [უნდა] მისცეთ გასარკვევად, თავის ერის ტიპიურ თვისებებს ვერ ასცდებიან. ამგვარია ძალა ეროვნული ხელოვნებისა. იგი, ერთის მხრივ, ავიწროვებს ადამიანის მისწრაფებას, მეორეს მხრით. ამ მისწრაფებას ანაყოფიერებს, ასულდგმულებს, რადგან ძარღვებში [ეროვნული] სისხლი უდგას და ხელოვნების ჩონჩხს ხორცს აძლევს. ამაშია ადამიანური ხასიათი ეროვნულ ხელოვნებისა“⁶.

ციტირებულ სტრიქონებში არჩილ ჯორჯაძის მიერ გამოთქმული, შეხედულება ხელოვნების ეროვნული ხასიათის შესახებ არ გულისხმობს ხელოვნების შინაარსის შემოფარგლულობას, მისი ზოგადკაცობრიული მნიშვნელობისა და საკაცობრიო მისწრაფებათა თანაზიარობის უგულვებელყოფას. მაგრამ არჩილ ჯორჯაძის აზრით, ეროვნულობა ის აუცილებელი პირობაა, რომლის გარეშეც მიუღწეველია ქვეყნის ხელოვნების ნიმუშების შექმნა; თუ ხელოვნების ნაწარმოები, პირველ ყოვლისა, ეროვნული ხასიათის მატარებელი არაა, შეუძლებელია მან საერთო-საკაცობრიო ღირებულება მოიპოვოს, ხოლო თუკი მხატვრული ნაწარმოების შინაარსი „საზოგადოა“, „საკაცობრიოა“, ეს აუცილებლად მოწმობს იმასაც, რომ იგი, ამავე დროს, ღრმად ეროვნული მოვლენა ყოფილა, რამდენადაც, თუ, ერთი მხრივ, ხელოვნების „ეროვნულობა“ არ არის საკმარისი პირობა „საყოველთაო“, „საზოგადო“, „მსოფლიო“ მნიშვნელობის მისაღწევად, მეორე მხრივ, ხელოვნების „საკაცობრიო“ ხასიათი თავისთავად გულისხმობს უმკიდროეს კავშირს ხელოვნების ნაწარმოებსა და მისი განმსაზღვრელი საყრდენისა და პირველსაფუძველის — ეროვნულ ნიადაგს შორის.

ამრიგად, რაც უფრო მკიდროდ, ორგანულად, სისხლხორცეულადაა დაკავშირებული ხელოვნება მისი მასაზროლებელი ერის ცხოვრებასთან, რაც უფრო სრულად და სრულფასოვნად გამოხატავს იგი მშობელი ქვეყნის, მშობელი ხალხის ცხოვრებას, მის ბუნებას. მის ხასიათს, მით მეტად იქმნება შესაძლებლობა იმისა, რომ ხელოვნება თავისი მნიშვნელობით გასცდეს ვიწრო ეროვნულ საზღვრებს და მსოფლიო, საკაცობრიო ღირებულება შეიძინოს, რომლის შინაარსი თანაბრად მახლობელი იქნება ყველა ქვეყნის, ყველა ეროვნების ხალხებისათვის.

ხელოვნების ყოველი ქვეყნის მნიშვნელობა, არჩილ ჯორჯაძის შეხედულებათა მიხედვით, თავის თავში მოიცავს „ეროვნულსა“ და

⁶ არჩილ ჯორჯაძე, ქართული ხელოვნების გამოფენაზე (1901), თხზულებანი, ტ. III, გვ. 208.

„საკაცობრიოს“: „კაცობრიული (მსოფლიო) და ეროვნული (განსაზღვრული) — არჩილ ჯორჯაძის სიტყვით, — ორი უტყუარი თვისებაა ნამდვილ ხელოვნურ ნაწარმოებისა“⁷; ხელოვნებაში „კაცობრიული და ეროვნული ერთმანეთს ანაყოფიერებენ, ასაზრდოვებენ და აცოცხლებენ“⁸, და თუ „შინაარსით ხელოვნური ნაწარმოები მსოფლიო, საზოგადო ხასიათისაა, თავის სახით, თავის გარეგნობით, ფორმით იგი ყოველთვის ეროვნულ თვისებისაა. კაცობრიობა ასაზრდოვებს ხელოვნებას, ეროვნება ფრთას უსხავს და აცხოველებს“⁹. „რამდენად ნაყოფიერია აზგვარი შეერთება ადგილობრივისა და საზოგადოსი, ეროვნული და მსოფლიო ხასიათებისა“¹⁰, არჩილ ჯორჯაძის აზრით, მით უფრო იმეტია ხელოვნების ნაწარმოების ღირებულება და მისი ზემოქმედება მკითხველზე, მსმენელზე თუ მაყურებელზე.

ესა თუ ის აზრი, ესა თუ ის ზოგადი იდეა, რომელიც გამოითქმის ხელოვნების ნაწარმოებში, შეიძლება არ წარმოადგენდეს და, როგორც წესი, არც წარმოადგენს ხოლმე ცალკეული შემოქმედის — მწერლისა თუ მხატვრის საკუთრებას, მის „მიგნებას“, მის მონაპოვარს. ხშირად შეუძლებელიც ხდება ამა თუ იმ აზრისა თუ იდეის პირველწყაროს დადგენა, ხოლო მას შემდეგ, რაც ხელოვნება არსებობს, არსებობს, აგრეთვე, საკაცობრიო პრობლემების, თემების, საკითხების უვრცესი წყება, რომელიც მუდამ რჩება ხელოვანთა ყურადღების საგნად, მათი შთაგონების დაუშრეტელ წყაროდ, მათი მხატვრული მოღვაწეობის სტიმულად და შინაარსად.

მაგრამ გარდა იმისა, რომ ნებისმიერი „მარადიული თემა“ ხელოვნებისა ყოველი ახალი ქვეშაირტი ხელოვანის მიერ ახლებური სიცოცხლეს იძენს, ყოველი „ძველთაძველი აზრი“ ახლებური შინაარსით ივსება და მდიდრდება, ესა თუ ის იდეა თუ მცნება, რომელთათვისაც არაერთხელ მიუმართავთ სხვადასხვა დროის მწერლებსა თუ მხატვრებს, ყოველი დიდი შემოქმედის ხელში ახლებური ელვარებას და შთაგონებით ძალას მოიპოვებს, — არჩილ ჯორჯაძის აზრით, ამ საკაცობრიო პრობლემების, თემების, იდეების ხორცშესხმა ხელოვნებაში, — ბგერებში, ფერებშია თუ ხაზებში მათი მატერიალიზაცია, — მხოლოდ ეროვნული ფორმით, ეროვნული სამოსელითაა მიზანშეწონილი. ხელოვნების ნაწარმოებში წამოყენებულ „განყენებულ იდეას“, რამდენად ღირებული და ქვეშაირტიც არ უნდა იყოს იგი თავისთავად, დაეკარგება თავისი მნიშვნელობა, მო-

⁷ არჩილ ჯორჯაძე, თხზულებანი, ტ. III, 1911, გვ. 210.

⁸ იქვე, გვ. 213.

⁹ იქვე, გვ. 210.

¹⁰ იქვე, გვ. 212.

მსიბველელობა და ძალა, თუკი იგი მოსწყდება ეროვნულ სინამდვილეს; ხელოვანი ვერ მიაღწევს თავის მიზანს და მკითხველზე ვერ მოახდენს სათანადო შთაბეჭდილებას, ვერ დაამჩნევს ღრმა ნაკვალევს მის აზრსა და გრძნობას, თუკი ნაწარმოები არ იქნა გაუღენთილი ეროვნული სულით, ეროვნული ხასიათით. საყოველთაო, ზოგად-კაცობრიული შინაარსი ვერ მიიღწევა, ვერ გამოიხატება ეროვნული ფორმის გარეშე, ფორმისა, რომელიც მხოლოდ „გარეგანი მორთულობა“ კი არაა მხატვრული ნაწარმოებისათვის, არამედ ნაწარმოების უღრმესი შინაარსის, სათქმელის, იდეის შესატყვისი და ადეკვატური.

ხელოვნების ეროვნული ხასიათის, ისევე, როგორც კერძოდ მისი ეროვნული ფორმის შესახებ არჩილ ჯორჯაძის შეხედულებათა საილუსტრაციოდ ნიშანდობლივია კრიტიკული წერილი გიგო გაბაშვილის შემოქმედების შესახებ, რომელიც 1901 წლის გაზეთ „ცნობის ფურცელში“ იყო გამოქვეყნებული.

გ. გაბაშვილის ნაწარმოებებს რომ დააკვირდეთ, წერს ა. ჯორჯაძე, „ღაინახავთ, რომ მხატვარს წერის და გამოსახვის ერთი ხასიათი არა აქვს შეთვისებული. თითქო რყევაშია ჩვენი მხატვარი, თითქოს ეძებს თავის თავს და ჯერ კიდევ ვერ გაუკაფავს საკუთარი გზა. ამ ძებნაში და რყევაში ის ხან ერთს სკოლას და მხატვარს წაჰბაძავს, ხან მეორეს, ხან მესამეს. მხოლოდ ამგვარი მიბაძვა, ეტყობა, არ აკმაყოფილებს ჩვენს მხატვარს და აი, აქა-იქ, ცდილობს დაგვანახვოს საკუთარი ხასიათი, ორიგინალური წერის მანერა...“

დიდ ყურადღებას იქცევს პატარა ტილოები ბუხარის ცხოვრებიდან. ნაზი ფერადები, ბევრი სინათლე, ამ სინათლის და ჩრდილის თამაში — ყველა ეს ფრიად სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე. მაგრამ აქ გაგონდებათ ამგვარივე ხასიათის პატარა ფაქიზი სურათები მეისონიესი, უნებლიეთ აღარებთ ამ სურათებს და აქაც მიბაძვის კვალს ჰპოულობთ.

არა ნაკლებ ყურადღებას იზიდავენ ჩვენი მხატვრის მითოლოგიური შინაარსის ტილოები. ჩასუქებულ, უზარმაზარ ფავნებს ხელში ჩაუგდიათ წყლის ქალი... ამავე ხასიათის მეორე ტილო იმგვარსავე აღელვებულ ზღვას წარმოადგენს, რომელშიაც სცურავს ქალთევზა. მაგრამ აქაც, როგორც ზემოდ აღნიშნულ სურათებში, გაბაშვილი თავისას არას ამბობს: ბეოკლინის მითოლოგიურ შინაარსის სურათებს ჰქონია გავლენა მხატვარზე და ეს გავლენა იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ მოუქლავს მასში ორიგინალური ხასიათი და პიროვნება“.

საბედნიეროდ, დასძენს ა. ჯორჯაძე, „ამგვარი წაბაძვა და ქვეშევ-
რდომობა არ აკმაყოფილებს ბ. გაბაშვილს ...იგი ეძებს საშუალებას,
რომლის დახმარებითაც [დაქვემდებარებული] დამოკიდებულების
დარღვევა სწადია; აკვირდება ჩვენებურ ბუნებას, ხალხს, მეტადრე
მთისას და მის გონებაში ისახება და ცხოველდება ეს ბუნება და ეს
ხალხი.

ღირსშესანიშნავია, რომ როდესაც კი ბ. გაბაშვილი საქართვე-
ლოს საზღვრებს არ სცილდება, მის კალამს მეტი გაბედვა და ძლიე-
რება ემჩნევა, და როცა ჩვენი მხატვარი იმას გვეუბნება, რაც გულში
აქვს, საკუთარ გულის ნაღებს გვაუწყებს, მის სურათებს ცხოველ-
მყოფელობა და თავისებურება ემატება“¹¹.

მხატვრული შემოქმედების ეს მხარე — ხედვის ორიგინალობა,
დამოუკიდებლობა, თავისუფლება ყოველგვარი უცხო გავლენისა და
შემოქმედებისაგან, არჩ. ჯორჯაძის აზრით, ქეშმარიტი ხელოვნების
აუცილებელ პირობას, მის არსებით ნიშანთვისებას წარმოადგენს.
რამდენად მაღალიც არ უნდა იყოს ოსტატობა მხატვრისა, შე-
მოქმედისა, მისი ნაწარმოები ვერ ჩაითვლება სრულფასოვნად, თუ-
კი მასში თუნდაც ნასახი იქნება ბრმა მიმბაძველობისა. ნაწარმოების
შინაარსი — მიუხედავად მისი სიუჟეტური ქარგისა თუ ფაბულისა,
— ორგანული უნდა იყოს მწერლის სულისათვის, შესატყვისი მისი
ბუნებისა და ხასიათისათვის, — გარეშე ამისა არ არსებობს ნამდვი-
ლი, მაღალი ხელოვნება. ხოლო ეს შესატყვისობა, ეს ჰარმონია „სა-
თქმელსა“ და „გამოსახულს“ შორის, მხატვრული ნაწარმოების უღ-
რმესს შინაარსსა და მისი გამოთქმის ფორმას შორის, მხოლოდ მა-
შინ მიიღწევა, თუკი ხელოვანი მტკიცედ დგას ეროვნულ ნიადაგზე,
თუ მას ეროვნული სინამდვილე ასაზრდოვებს, თუ მხატვრული ნა-
წარმოების დერიტას, მის პირველსაყრდენსა და საფუძველს მშობე-
ლი ერის, მშობელი ქვეყნის განუმეორებელი, მხოლოდ და მხოლოდ
მისი, მხოლოდ და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თავისებურე-
ბანი წარმოადგენს.

არჩილ ჯორჯაძის სიტყვით, „ყოველმა ნამდვილმა ხელოვანმა
თავისი რამ უნდა სთქვას, დაგვანახვოს ნაწარმოებში ის, რაც სხვას
არა აქვს“¹², — ეს „თავისი“ კი სწორედ ეროვნული ფენომენია, ერო-
ვნული ხასიათი, რაც, თავის მხრივ, საწინდარია მხატვრული ნაწარ-
მოების ზოგადკაცობრიული ქლერადობის მოსაპოვებლად. არჩილ

¹¹ არჩილ ჯორჯაძე, გიგო გაბაშვილის მხატვრობის გამო, თხზუ-
ლებანი, ტ. III, გვ. 210—212.

¹² არჩილ ჯორჯაძე, თხზულებანი, ტ. III, გვ. 211.

ჯორჯაძის აზრით, ამ ზოგადი თვალსაზრისის სამართლიანობის დამადასტურებელია, კერძოდ, გ. გაბაშვილის შემოქმედებაც, რომელიც განსაკუთრებით შთამბეჭდავია მაშინ, როცა მხატვარი ახერხებს მაცოთუნებელ გავლენათაგან თავის დაღწევას და „საკუთარი გულის ნაღების“ გამოსათქმელად — მშობლიურ, ნაცნობსა და მახლობელ სინაღდვილეს მიმართავს.

„საქართველოში ჩვენი მხატვრის ყურადღებას ჯერჯერობით მთა და მთის ხალხი იზიდავს. — შენიშნავს ა. ჯორჯაძე, — გაბაშვილი მთიდან ჩამოსვლას როგორღაც ვერ ჰბედავს, თუმცა კახეთში და ალაზნის ველზე დროგამოშვებით ჩამოსიერიანებს ხოლმე... მთის საიდუმლოება, მთის მამაცი და გაბედული ხალხი, მისი თავგანწირულება, ვაჟკაცობა, კლდე-ღრეებისადმი სიყვარული — ყველა ეს ალაფროთოვანებს ჩვენს მხატვარს.

აი, უზარმაზარ კლდის წვერზე თითქოს მიწებებულია ხევსურის სოფელი. ორი-სამი ქოხი და კოშკი აქა-იქ, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ჩანღშია გახვეული. ქვემოთ რამდენიმე ხევსური თოფ-იარაღით ბრძოლისათვის გამზადებულია. სოფლის პირდაპირ ამართულია უშველებელი მთა და გვერდზე მოსჩანს ხევი, აგრეთვე ბურუსით მოცული. აქ სისხლი უნდა დაიღვაროს... ხევსური თავისს კლდეებსა და ჩანღს არავის დაანებებს. ხოლო უზარმაზარი კლდე, მთა და ეს საიდუმლოებით მოცული ხევი არას ამბობს, არ აცხადებს თავის სიხარულს — იგი სდუმს ნაღვლიანად და მკმუნვარედ და უნებლიეთ უბადებს კაცს ექვსა, რად ირჯება ეს ხალხი, რისთვის უნდა დაიღვაროს სისხლი, როდესაც ეს მთაც და ყველა, რაც მის გარშემოა, ისეთი გამოურკვეველი, გაუგებარი და საიდუმლოებით მოცულია... აქ ჩვენი მხატვარი აღდგომლობრივ ცხოვრებიდან აღდგომლობრივი ცხოვრების საშუალებით აღუძრავს მაცურებელს საზოგადო შინაარსის გულში თქმას. ამ სურათით ჩვენმა მხატვარმა ხელოვნურად შეაერთა და შეაზავა ერთმანეთში საზოგადო აზრი და მისწრაფება და აღდგომლობრივი ცხოვრების კოლორიტი (დაყოფა ჩვენია — გ. ა.)“¹³.

ამავე თვალსაზრისითა და საზომით უდგება არჩ. ჯორჯაძე გ. გაბაშვილის „რელიგიური შინაარსის“ სურათებსაც, რომლებიც, კრიტიკოსის აზრით, ბედნიერი შერწყმაა „აღდგომლობრივისა და საზოგადოსი, ეროვნული და მსოფლიო ხასიათებისა“. ეხება რა გ. გაბაშვილის „საიდუმლო სერობის“ ესკიზებს, არჩ. ჯორჯაძე აღნიშნავს,

¹³ არჩილ ჯორჯაძე, თხზულებანი, წიგნი III, გვ. 212.

რომ თუმცა „ორი ამგვარი შინაარსის სურათი, საუბედუროდ, არ დაუშთავრებიაო მხატვარს“, მაგრამ „ამისდა მიუხედავად. წერის კოპ-პოზიციას ორიგინალური ქართველური ხასიათი ამჩნევია“, რის დამადასტურებლადაც არჩ. ჯორჯაძეს ნახატზე გამოხატულ მოციქულთა პოზა მიაჩნია („საიდუმლო სერობაში“ მოციქულები ჩვენებურად ფეხ-მოკეცილები ტახტზე არიან ირგვლივ ჩამომსხდარნიო“).

„დააკვირდით, აგრეთვე, „ხეთისმშობელს“. — წერს არჩილ ჯორჯაძე, — ეს ჩვეულებისამებრ, მშვენიერებით შემოსილი „მადონა“ არ არის. თქვენს წინ თალხებში ჩაცმული ბებერი, ჩვენებური დედა-კაცია, დაღარულ პირისახისა. მისი დიდრონი, ჩამქრალი შავი თვალები ცრემლებით ავსილან. თვალების სიღრმიდან გამოიყურება დედის მწუხარება, ტანჯვა და სასოწარკვეთილება. დედის გულთან მისვენებულია გარდაცვალებული ქრისტე... ამ სურათში მსოფლიო. სიუჟეტი დიდის ოსტატობით არის გამოსახული ქართველურ ფორმაში. კაცობრიული და ეროვნული ერთმანეთს ანაყოფიერებენ, ასაწარმოებენ და აცოცხლებენ“¹⁴.

არჩილ ჯორჯაძის ზემოაღნიშნული შეხედულება ხელოვნების ნაციონალურ, ეროვნულ ხასიათსა და საზოგადოებრივ დანიშნულებაზე მკიდროდ უკავშირდება მის თვალსაზრისს ხელოვნების ასახვის ობიექტის, მისი ასახვის საგნის შესახებ, რომელსაც არჩილ ჯორჯაძის ნაწერებში საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დამობილი.

როგორც ცნობილია, ხელოვნების საგნის საკითხი XIX საუკუნის ქართულ სალიტერატურ კრიტიკაში ერთ-ერთ ცენტრალურ საკითხს წარმოადგენდა, მაგრამ. ამავე დროს, ამ საკითხის ირგვლივ გასული საუკუნის ქართველ კრიტიკოსთა ნაწერებში არ შეინიშნებოდა რაიმე მნიშვნელოვანი აზრთა სხვაობა: ის ფაქტი, რომ ხელოვნება ობიექტურ სინამდვილეს, ცხოვრებას ასახავს და რომ მისი მოწოდება „სინამდვილისადმი ერთგულებაშია“, ქართული კრიტიკისათვის იმ ამოსავალ საფუძველს წარმოადგენდა, იმ ძირითად ქვაკუთხედს, რომლითაც იზომება მხატვრული ნაწარმოების ავტარგიანობა.

გასული საუკუნის პროგრესულად მოაზროვნე ქართველი კრიტიკოსები იზიარებდნენ იმ ცნობილ შეხედულებასაც, რომ „ყველაფერი ის როდია ნამდვილი, რაც სინამდვილეში არსებობს და მხატვრისათვის კი მხოლოდ გონიერი სინამდვილე უნდა არსებობდეს“ (ბელინსკი); და თუ „ხელოვნებისაგან ისინი მოითხოვდნენ სიმარ-

¹⁴ არჩილ ჯორჯაძე, თხზულებანი, წიგნი III, ვვ. 213.

თლეს, ყოველთვის სიმართლეს“, მეორე მხრივ, ისიც ახსოვდათ, რომ „ყოველი სიმართლე როდია ყველგან და ყოველთვის მნიშვნელოვანი და როდი შეუძლია აღძრას ყურადღება“ (ჩერნიშევსკი). ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, ქართველი კრიტიკოსები იმაზე ამბხილებდნენ ყურადღებას, რომ ლიტერატურა, ხელოვნება ამსახველია და გამომხატველი არა განუჩივლად ყველაფრისა, რაც სინამდვილეში, ცხოვრებაში გვხვდება, არამედ იმისა, რაც არსებითია, დამახასიათებელია, მნიშვნელოვანია ამ სინამდვილეში.

არჩილ ჯორჯაძეც არსებითად იზიარებდა XIX საუკუნის ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში ქართველ სამოციანელთა მიერ დამკვიდრებულ ამ მოწინავე თვალსაზრისს, რომლის თანახმად, ლიტერატურისა და ხელოვნებისათვის სინამდვილის, ცხოვრების ესა თუ ის მხარე, ესა თუ ის ფაქტი თუ მოვლენა „მით უფრო შესანიშნავია და ყურადღების ღირსი, რაც უფრო მეტი საზოგადო მნიშვნელობა აქვს მას ცხოვრებაში, ხოლო რაც ნაკლები საზოგადო მნიშვნელობა აქვს რომელსამე საგანს, მით უფრო ნაკლები ყურადღების ღირსია ის“¹⁵.

„ხელოვნება ჰსახავს ცხოვრებას და ბუნებას. — წერს არჩ. ჯორჯაძე, — ცხოვრებას და ბუნებას თავისი ელფერი და ხასიათი აქვს. ცხოვრებაში ერთ მოვლენას მეტი მნიშვნელობა აქვს, მეორეს ნაკლები. ბუნებაც მრავალფეროვანია, ხან დიდებული, ხან წყნარი და მშვიდი. ხან გაუგებარი და საიდუმლოებით მოცული. ცხოვრებისა და ბუნების გამოსახვაში დიდი გამორჩევაა საჭირო...“

როცა ხელოვნების შინაარსად ხდება ცხოვრების ზედაპირული ხასიათი, ან კაცის რომელიმე ფიზიკური ღირსება — ღონე, სილამაზე და სხვა ამგვარი, — ხელოვნებას ნაკლები მნიშვნელობა ეძლევა. ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც იგი გვისახავს სოცოცხლის ძირითად მხარეს — თავგანწირულებას, მწუხარებას, სიცოცხლის და ბუნების საიდუმლოებას“¹⁶. არჩილ ჯორჯაძის აზრით, ხელოვნების გამოხატვის ობიექტად, მისი ასახვის საგნად გარემომცველი სინამდვილისა და ცხოვრების ისწორედ არსებითი, ძირითადი მხარეები უნდა იქცეს, და ეს არა მხოლოდ იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში „ხელოვნება უფრო ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს, უფრო გვაღელვებს და გვაფიქრებს“¹⁷, არამედ, პირველ ყოვლისა, იმის გამო, რომ არჩილ

¹⁵ ნ. სკანდელი [ნ. ნიკოლაძე], კრიტიკა და მისი მნიშვნელობა ლიტერატურაში, უ. „კრებული“, 1871, № 3, გვ. 226.

¹⁶ არჩილ ჯორჯაძე, თხზულებანი, წიგნი III, გვ. 209—210.

¹⁷ იქვე.

ჯორჯაძის სიტყვით, „ღრმა და უტყუარი მნიშვნელობა ჩამდვილი ხელოვნებისა სწორედ აქ იმალება“, — ყოველდღიურ ცხოვრებაში დაფარული და შეუმჩნეველი სინამდვილის არსის წვდომასა და გათვალსაზრისებაში, ჩვეულებრივი მაყურებლისათვის „უხილავისა — ხილულად, და შეუძლებლისა — შესაძლებლად“ გადაქცევაში¹⁸.

ამრიგად, როგორც ზემოაღნიშნული შეხედულებებიც ადასტურებს, არჩილ ჯორჯაძე პრინციპულად იზიარებდა გასული საუკუნის მოწინავე ქართველ კრიტიკოსთა თვალსაზრისს, როგორც ხელოვნების უდიდესი საზოგადოებრივი დანიშნულების, ასევე მისი ასახვის ობიექტის შესახებ, — შეხედულებას ხელოვნებაში გამოსახატვად საზოგადოებრივი თვალსაზრისით ღირებული და მნიშვნელოვანი მოვლენებისა თუ საგნების სათანადო შერჩევის აუცილებლობის შესახებ.

მაგრამ ხელოვნების სინამდვილესთან მიმართების საკითხზე არჩილ ჯორჯაძის შეხედულებათა დახასიათებისას არ შეიძლება დაკმაყოფილება იმის აღნიშვნით, რომ არჩილ ჯორჯაძეც ეყრდნობოდა და აგრძელებდა იმ ტრადიციებს, რომელიც XIX საუკუნის ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში. ხელოვნების საგნის პრობლემის გადაწყვეტის მხრივ, ჯერ კიდევ ჩვენი სახელოვანი 60-იანელების მიერ იქნა დანერგილი და დაკანონებული:

როგორც აღვნიშნეთ, ხელოვნების საგნის პრობლემას არჩილ ჯორჯაძე თავის ნაწერებში არაერთხელ უბრუნდება, და თუმცა, როგორც ითქვა, იგი ძირითადად იზიარებს ამ საკითხის ტრადიციულ გადაწყვეტას (ტრადიციულს — XIX საუკუნის ქართული კრიტიკისათვის). მაგრამ, მეორე მხრივ, არ კმაყოფილდება საკითხის არსებული გაშუქებით და ამ თვალსაზრისით რიგ — ჩვენი აზრით, ძალზე საყურადღებო, — მოსაზრებებს გამოთქვამს, რომლებიც, ერთი შეხედვით (მაგრამ მხოლოდ — ერთი შეხედვით), თითქოს უპირისპირდება კიდევ არჩილ ჯორჯაძის. ზემოთ მითითებულ თვალსაზრისს ობიექტურ სინამდვილესთან ხელოვნების მიმართების საკითხზე.

მართალია, „ეგრეთ წოდებული ყოფა-ცხოვრება, ადამიანთა შორის არსებული კონკრეტული განწყობილებანი, საგანი და „საგანთა სამეფო“, პლასტიკა საგნისა და მოვლენისა, ხორცი და ნივთი, — არჩილ ჯორჯაძის აზრით, — ყოველთვის უნდა იყოს საფუძველი არა მარტო ხელოვნების შემოქმედების, არამედ ადამიანის

¹⁸ არჩილ ჯორჯაძე, თხზულებანი, წიგნი III, გვ. 43.

სულის ყოველნაირ შემოქმედებისა“¹⁹, მაგრამ, მეორე მხრივ; დაუშვებელია ხელოვნების სფეროს შემოფარგვლა „ემპირიული საზღვრებით“. „საგანთა სამეფოთი“. „კონკრეტული სინამდვილით“. არჩილ ჯორჯაძის შეხედულებათა თანახმად, არა თუ ლიტერატურისა და ხელოვნებისათვის, არამედ საზოგადოებრივი ცნობიერების ისეთი ფორმისათვისაც კი, როგორც რელიგიაა, შეუძლებელია კონკრეტული სინამდვილის, ობიექტური რეალობის, ცხოვრების უგულებელყოფა და ანგარიშგაუწევლობა: არჩილ ჯორჯაძის სიტყვით, „რელიგიის კონსტრუქცია შეუძლებელია თქვენთვის, თუ ასე თუ ისე არ გამოსახეთ თქვენი განწყობილება ცხოვრებასთან, საგნებთან, მიწასთან, ხორცთან. რელიგიამ შეიძლება უარპყოს მიწა და ხორცი, მაგრამ გულგრილად ვერ დადგება ამ მიწის და ხორცის წინაშე. „საიმქვეყნოს“ ყოველთვის „საამქვეყნოს“ უფარგისობა ედება საფუძვლად. და თუ აქ, რელიგიურ სფეროშიც მოსჩანს კავშირი ორ, თითქოს მოპირდაპირე სამეუფოსი, იგი კავშირი აუცილებელი ხდება იქ (ხელოვნებაში — გ. ა.), სადაც თვით სულიერი შემოქმედება ხორციელობაში ასე მკვიდრად არის გადახლართული“²⁰.

მაგრამ თუ, ერთი მხრივ, ხელოვნებას, არჩილ ჯორჯაძის აზრით, „მდიდარი მასალა აქვს თავის შემოქმედებისათვის დროსა და სივრცის ფარგალში“, — ობიექტურად არსებულ სინამდვილეში, რეალურ ცხოვრებაში, — მეორე მხრივ, „მომწყვდევა ხელოვნურ შემოქმედებისა ამ ფარგალში — აღიარებაა იმ თავმომწონე და ბრმა შეხედულებისა, ვითომ ადამიანის სიცოცხლეში უკვე ყოველივე გაზომილი და ცნობილია, რომ ფაქტებისა და ხელშესახებ საგანთა გარდა აღარაფერია ამ ქვეყნად, რომ ის, რასაც თვალი ხედავს დროსა და სივრცეში, არის ერთადერთი და უკანასკნელი სინამდვილე, მომწყვდეული საზღვრებში, მოკვეცილი და ვიწრო სარეცელში ჩამჯდარი“²¹. არჩილ ჯორჯაძის სიტყვიც, „აღიარება ამ აზრისა — ხელის აღება იქნება ადამიანის სულიერ შემოქმედებაზე, რომელიც სინამდვილესთან შედარებით გაცილებით უფრო მდიდარია თავიანთი შინაარსით (დაყოფა ჩვენია — გ. ა.). ეს იქნება სიკვდილი იმ სულიერ შემოქმედებისა, რომელსაც მარტო ის არ ასულდგმულებს, რაც უკვე გაზომილი და

¹⁹ არჩილ ჯორჯაძე. ცოტა რამ ხელოვნების შესახებ, თბზულებანი, ტ. III, გვ. 42.

²⁰ იქვე.

²¹ იქვე, გვ. 39—40.

ცნობილია, არამედ ისიც, რაც უცნობია და გაუზომავია. მოაცალეთ სიცოცხლეს საიდუმლოება და იგი გახდება უფერული, მქრალი, მოსაწყენი, უაზრო. დაამწყვდიეთ ხელოვნება „საგანთა სამეფოში“, აუკრძალეთ მას საიდუმლოების ჰერეტიკა და ხილვა, იგი მკვდარი გახდება და თავის სიკვდილთან ერთად მოჰკლავს პოეზიას და ოცნებას. ოცნება სინამდვილე არ არის და თუ გინდათ, რომ ხელოვნება უსათუოდ სინამდვილე იყოს, ოცნების ფრთებიც უნდა მოაჰკრათ ხელოვნებას“. მაგრამ „მაშინ იგი სამზარეულოში მომზადებული ბოზბაში იქნება და არა ესთეტიკური შემოქმედებაო“²², — სარკასტულად დასძინს არჩილ ჯორჯაძე.

ზემოაღნიშნულ შეხედულებას ემყარება არჩილ ჯორჯაძის დებულება იმის შესახებ, რომ „ხელოვნების დეფინიციისათვის საჭიროა უფრო ფართო მცნება, ვიდრე მცნება სინამდვილისა და ამ სინამდვილის სამსახურისა“²³. მაგრამ რამდენად მართებულია არჩ. ჯორჯაძის ზემოთ გადმოცემული შეხედულება ობიექტურ სინამდვილესთან ხელოვნების მიმართების საკითხზე?

როგორც დავიანახეთ, ხელოვნების ამოსავალ საფეხედ, ისევე როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების ყოველგვარი ფორმის, ადამიანის ყოველგვარი „სულიერი შემოქმედების“ საყრდენად, არჩ. ჯორჯაძე, სავსებით სამართლიანად, ობიექტურ რეალობას, ცხოვრებას, „საგანთა სამეფოს“ მიიჩნევს, მაგრამ, მეორე მხრივ, მისთვის შეუწყნარებელია ხელოვნების ასახვის ერთადერთ ობიექტად გარე სინამდვილის მიჩნევა, და „საგანთა სამეფოთი“ ხელოვნების სამყაროს შემოფარგლვა. მისი აზრით, ხელოვნების მოკვლის ტოლფასოვანია.

ასეთი შეხედულება ხელოვნების ასახვის საგნის საზღვრების შესახებ, ძირითადად, სამართლიანად შეიძლება იქნეს მიჩნეული. მაგრამ ხელოვნების საგნისა და. საერთოდ, ხელოვნების არსის შესახებ არჩილ ჯორჯაძის შეხედულებათა მართებული შეფასებისათვის, ჩვენი აზრით, აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს ერთი ნიშანდობლივი გარემოება: არჩილ ჯორჯაძის ნაწერებში, კერძოდ, ხელოვნების საკითხებზე მსჯელობისას, ობიექტური სინამდვილის ცნება — ო ბ ი ე ქ ტ უ რ ა დ ა რ ს ე ბ უ ლ ი სინამდვილის სინონიმად არის წარმოდგენილი; „სინამდვილეში“ არჩილ ჯორჯაძე „ეპიზორიულ სინამდვილეს“, „საგანთა სამეფოს“, ობიექტურად არსებულ

²² არჩილ ჯორჯაძე, ცოტა რამ ხელოვნების შესახებ, თბზულებანი, ტ. III, გვ. 39—40.

²³ იქვე, გვ. 39.

რეალობას გულისხმობს (სინამდვილის ცნების ასეთი გაგება ფართოდ იყო გავრცელებული XIX საუკუნის ქართულ კრიტიკაში), ხოლო რამდენადაც ადამიანის „სულიერი განწყობილება“, „ზრახვა“ თუ „ოცნება“ ვერ თავსდება ამგვარად გაგებული სინამდვილის ფარგლებში, — „სინამდვილისადმი ერთგულების“ მოთხოვნა არჩილ ჯორჯაძეს ხელოვნების საზღვრების ყოვლად შეუწყნარებელ შევიწროებად მიაჩნია.

ამგვარად, ობიექტური სინამდვილით ლიტერატურისა და ხელოვნების საგნის შემოფარგლვის წინააღმდეგ არჩილ ჯორჯაძის გალაშქრება, ფაქტიურად, მიმართული იყო ობიექტურად არსებული სინამდვილით — „საგანთა სამეფოთი“ ხელოვნების სამყაროს განსაზღვრის წინააღმდეგ, და ხელოვნების ასახვის ობიექტად ადამიანური მისწრაფებების, ოცნებების, ემოციების, განცდებისა და ვნებების უფლებამოსილებისა და აუცილებლობის შეგნებით იყო ნაკარნახევი, რაც, თავის მხრივ, ძირითადად, ხელოვნების — როგორც ადამიანის „სულიერი შემოქმედების“, როგორც სინამდვილის ასახვის სპეციფიკური ფორმის თავისებურებათა გათვალისწინების აუცილებლობის კანონიერ მოთხოვნას ემყარებოდა: „როდესაც ამგვარი ტენდენციები ემპირიულ ფარგლის გაცილებისა მეცნიერებას ებადება, — მიუთითებდა არჩილ ჯორჯაძე, — იგი დასაგმობი და უარსაყოფია, ხოლო როდესაც ხელოვნება ესთეტიური ინტუიციის ძალით გვიშლის სურათს, რომლის ხილვა სილოგიზმის და ლოდიკის საშუალებით არ ძალგვიძს, უნდა დავსტკბეთ ამ სურათით და ვლოცავდეთ იმ შემოქმედებით ნიქს, რომლის წყალობით უხილავი ხდება ჩვენთვის ხილულად და შეუძლებელი შესაძლებლად.

ღრმა და უტყუარი მნიშვნელობა ნამდვილი ხელოვნებისა სწორედ აქ იმალება“²⁴, — წერს ა. ჯორჯაძე, — იმ ახალი სამყაროს შექმნაში, რომელიც არ არსებობს ნივთთა და საგანთა სამეფოში, გარემომცველ სინამდვილეში და რომლის შემოქმედი ხელოვანია, მისი „ესთეტიკური ხილვის“ ძალა, რომელიც არსებულს ახლებურ სიცოცხლეს აძლევს და, ფაქტიურად, არარსებულს აქცევს არსებულად.

არჩილ ჯორჯაძის სიტყვით, „როგორც ჩვენი ცოდნა სინამდვილისა არ არის ის, რაც არის თვით სინამდვილე, არამედ ჩვენი წარმოდგენა სინამდვილისა, მით უმეტესად ხელოვნება არასოდეს არ არის მარტო ის, რაც არის სინამდვილე, არამედ ზედ-მეტი რამ, რაც

²⁴ არჩილ ჯორჯაძე, თხზულებანი, წიგნი III, გვ. 43.

სინამდვილეში არ არის. და რაკი ხელოვნება ზედ-შეტია, ვიდრე სინამდვილე, ამიტომ ადვილად მისახვედრია ის, თუ ხშირად რატომ სცილდება ხელოვნება ემპირიულ მოვლენათა ფარგალს და რატომ სცილილობს ესთეტიკური ხილვის საშუალებით დაგვანახვოს ის; რაც სინამდვილეში არ არის.

ხელოვნების განსაზღვრის დროს ერთი დარგი ხელოვნებისა კი არ უნდა გვქონდეს მხედველობაში, — წერს არჩილ ჭორჭაძე, — არამედ ესთეტიკურის შემოქმედების ყოველი დარგი — პოეზია, მხატვრობა, პლასტიკა და მუსიკა. სიტყვა, ფერადები, მარმარილო და ხმიანობა — ყოველივე ეს იარაღია ესთეტიკურის შემოქმედებისა. ამის მიხედვით, ზოგი დარგი ხელოვნებისა, ასე ვსთქვათ, ხორცშესხმულია, როგორც არის, მაგალითად, პლასტიკა. ზოგი დარგი კი სრულიად მოკლებულია ამ ხორცშესხმულებას, როგორც არის მუსიკა. და თუ პლასტიკის შესახებ კიდევ ითქმის, რომ იგი სინამდვილის გამომხატველია, მუსიკას ამ განსაზღვრით ვერ მივუდგებით, რადგან იგი სულიერი განწყობილების, ადამიანის გულის ზრახვაა. ეს ზრახვა და სულიერი განწყობილება შეიძლება იყოს გამოწვეული სინამდვილის ხილვით და განცდით, ხოლო შეიძლება არ იყოს, რადგან მუსიკალური გამოსახვა სიყვარულისა და რელიგიური აღფრთოვანებისა უკვე კარგავს კავშირს კონკრეტულ სინამდვილესთან. მუსიკა ხელოვნების ერთი იმ დარგთაგანია, რომელსაც ვერ მივუდგებით ნატურალისტური საზომით... რაც შეეხება ცეკვას, თამაშს და რითმიულ რხევის საშუალებით ესთეტიკური სიამოვნების აღძვრას — იგი ხომ სრულად გაუგებარი დარჩება თქვენთვის“. ამიტომ, რომ არჩილ ჭორჭაძის აზრით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ხელოვნების დეფინიციისათვის საჭიროა უფრო ფართო მცნება, ვიდრე მცნება სინამდვილისა და ამ სინამდვილის სამსახურისა“²⁵.

რა თქმა უნდა, თუკი არჩილ ჭორჭაძის ზემოთ გადმოცემულ შეხედულებებს ესთეტიკის საკითხების კვლევის დღევანდელი დონის პოზიციებიდან შევაფასებთ, ან თუნდაც მეოცე საუკუნის დამდეგის მსოფლიო ესთეტიკური აზროვნების მონაპოვარს შევადარებთ, აღნიშნული შეხედულებები ხელოვნების საგნისა და, საერთოდ, ხელოვნების არსის შესახებ, არ მოგვეჩვენება რამდენადმე ორიგინალურად და მნიშვნელოვნად. მაგრამ ქართული ესთეტიკური აზროვნების განვითარების ისტორიის თვალსაზრისით, მითითებული შეხედულებები, ჩვენი აზრით, ძალზე საყურადღებოა, რამდენადაც, გარდა იმისა, რომ როგორც ზემოთაც გვქონდა აღნიშნული, ხელოვნე-

²⁵ არჩილ ჭორჭაძე, თხზულებანი, წიგნი III, გვ. 39.

ბისა და ლიტერატურის ზოგადთეორიული პრობლემებით ქართული სალიტერატურო კრიტიკის გარკვეული დაინტერესებისდა მიუხედავად, ამ პრობლემათა კვლევას XIX საუკუნის მანძილზე ჩვენში არ ჰქონია მეტ-ნაკლებად სისტემატური და სპეციალური ხასიათი, — აღსანიშნავია ისიც, რომ ქართული სალიტერატურო კრიტიკის განვითარების პირველ ეტაპებზე ქართველ კრიტიკოსთა უპირველეს მიზანს რეალისტური ხელოვნების პრინციპების დანერგვა, და ყველა სხვა მხატვრულ მეთოდთა მიმართ რეალისტური მეთოდის უპირატესობის დასაბუთება წარმოადგენდა, და ამიტომ, ბუნებრივია, ძირითადი ყურადღება ხელოვნებისა და ლიტერატურის იმ თეორიულ საკითხებზე მახვილდებოდა, რომლებიც განსაკუთრებით აქტუალური იყო მატერიალისტური ესთეტიკისა და რეალისტური ხელოვნების პრინციპების დანერგვისა და განმტკიცებისათვის. ერთ-ერთ ასეთ უმნიშვნელოვანეს საკითხთაგანს კი სინამდვილესთან ლიტერატურისა და ხელოვნების მიმართების საკითხი წარმოადგენდა, ხოლო აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის დროს, „სინამდვილისადმი ერთგულების“ მოთხოვნა, რიგ შემთხვევაში, უკიდურესობამდეც იყო მიყვანილი და მხატვრულ ნაწარმოებთა ღირსება-ნაკლოვანებათა დადგენის არა მხოლოდ ერთ-ერთ აუცილებელ, არამედ ერთადერთ საზომდაც ობიექტური სინამდვილისადმი შესატყვისობა იყო ხოლმე მიჩნეული.

არჩილ ჯორჯაძის კრიტიკული პათოსი სწორედ ასეთ უკიდურესობათა წინააღმდეგ იყო მიმართული. მას თანაბრად დაუშვებლად მიაჩნდა როგორც „საგანთა სამეფოთი“, „ემპირიული საზღვრებით“ ხელოვნების საგნისა და ხელოვნების შინაარსის შემოფარგვლა, ასევე ის გადაჭარბებული უტილიტარიზმი ხელოვნების დანიშნულებისა და ამოცანების გაგებაში, რომელსაც იშვიათ შემთხვევებში მაგრამ მაინც ჰქონდა ადგილი გასული საუკუნის ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში (გავიხსენოთ, მაგალითად, პუშკინის შემოქმედების ანტონ ფურცელაძისეული შეფასება, ანდა შეფასება, რომელიც მის მიერ მიცემული ჰქონდა ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტურ შედეგს — „შემოღამება მთაწმინდაზედ.“²⁶).

მხატვრული ლიტერატურისადმი სწორედ ასეთი უკიდურესად უტილიტარული დამოკიდებულების შემთხვევები ჰქონდა მხედვე-

²⁶ იხ. ქ ე რ ე ლ ი ბ ე ქ ა [ა. ფურცელაძე], ქართული ლიტერატურა..., „ცისკარი“, 1863, № 3; ა ნ ტ. ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე, რამდენიმე სიტყვა „ივერიის“ მაისის „შინაურს მიმოხილვაზედ“, „იმედი“, 1882, № 7—8.

ლობაში არჩილ ჭორჯაძეს, როდესაც 1909 წელს დაწერილ კრიტიკულ წერილში — „პოეზიის სამფლობელოში“, — აღნიშნავდა: „იყო დრო, როდესაც ქართველ საზოგადოებაში პოეზიის შესახებ ფრიად უთავბოლო აზრები იყო გავრცელებული. ეს ის დრო იყო, როდესაც ყოველივეს, — სულიერ შემოქმედებას. ისე, როგორც პრაქტიკულ მოღვაწეობას, — ტლანქ სარგებლობის საზომით ზომავდნენ და როდესაც, რუსის მწერლის პისარევის ზედგავლენით, კარგად შეკერილ წაღას უფრო მნიშვნელოვან საგნად სთვლიდნენ, ვიდრე შექსპირის ამა თუ იმ ცნობილ დრამას“²⁷.

უტილიტარული თვალსაზრისით ხელოვნების ნაწარმოებების განხილვა, არჩილ ჭორჯაძის ნაწერებში განვითარებულ შეხედულებათა მიხედვით, ვერ მოგვცემს მართებულ წარმოდგენას აღნიშნულ ნაწარმოებთა ქეშმარიტი ღირებულების შესახებ; ვიწრო უტილიტარული საზომი ეყრდნობა ცალმხრივ წარმოდგენას ხელოვნების დანიშნულებაზე; იგი უგულებელყოფს ხელოვნების სპეციფიკას. ვერ ხედავს თვისობრივ განსხვავებას ხელოვნებასა და პუბლიცისტიკას შორის და ხელოვნებას სქემატურობის, დეკლარაციულობისა და ანტიესთეტიკურობისაკენ უბიძგებს. „სწორედ რომ გაჰკვირდებითო, — წერდა არჩილ ჭორჯაძე თავის წერილში „ცოტა რამ ხელოვნების შესახებ“, — როცა გაიხსენებთ ჩვენს საზოგადოებასა და მწერლობაში გამეფებულ უტილიტარულ აზრებს ხელოვნების შესახებ.

ამ უტილიტარულ ფილოსოფიის მთავარი დებულება ის არის, რომ ხელოვნება უნდა ემსახუროს ადამიანს მის ბრძოლაში მოქალაქეობრივ და სოციალ-პოლიტიკურ ასპარეზზე. თუ ხელოვნება ბრძოლისაკენ არ იწვევს ადამიანს, თუ იგი მაშვრალთ და დაჩაგრულთ არ იცავს, თუ იგი არ ლაპარაკობს იაფფასიან სადგომების და რვა საათიან სამუშაო დღის შესახებ, თუ ყველა ეს არ ისახება ხელოვნებაში, იგი სუსტია, უვარგისი და მას არავითარი ფასი არა აქვს“. არჩილ ჭორჯაძე შეგნებულად ილაშქრებს ხელოვნების დანიშნულების ამგვარი გაგების წინააღმდეგ და მიაჩნია, რომ „ღრმა და უტყუარი მნიშვნელობა ნამდვილი ხელოვნებისა“ ბევრად უფრო ფართოა, და, ამავე დროს, ბევრად უფრო რთულად განსამარტავი, ვიდრე მოთხოვნა იმისა, რომ „ხელოვნებამ უნდა იზრუნოს ივანეს, პეტრეს და არშაკას „ბედნიერებისათვის“ — იმისათვის, რომ ყველას თანასწორად დოვლათი მიენიჭოს, სადილად შემწვარი ვარიცები

²⁷ არჩილ ჭორჯაძე, თხზულებანი, წიგნი III, გვ. II.

და ყაბულ-ფლავი არ მოაკლდეს, რომ ყველანი თანასწორად თბილ და კარგად მოწყობილ სადგომებში სცხოვრობდნენ და რომ სადგომებს, სიბინძურის თავიდან ასაცილებლად, კარგად მოწყობილი კანალიზაცია ჰქონდეს.

დღე, ყოველივე ეს სოციალურმა და პოლიტიკურმა პროგრესმა ნოვენიკოს, ხოლო, მოიღეთ მოწყალება, „საასენიზაციო ობოზების“ ორგანიზაციას ნუ დააკისრებთ ხელოვნებასო,“²⁸ — დასძენდა არჩ. ჯორჯაძე. მაგრამ ზემოაღნიშნული შეხედულება არ გულისხმობს იმას, თითქოს არჩილ ჯორჯაძე უგულვებელყოფდა იმ დიდმნიშვნელოვან როლს, რომელსაც ხელოვნება საკუთრივ „სოციალური და პოლიტიკური პროგრესისათვის“ ბრძოლაში ასრულებს, ან ხელოვნების აპოლიტიკურობისა თუ „წმინდა ხელოვნების“ აპოლოგიას ეწეოდა და ხელოვნებიდან სოციალური მოტივების განდევნას მოითხოვდა („თუ სოციალური მოტივები ხელოვნების გარეთ დაეტოვებოდა, — წყრდა არჩ. ჯორჯაძე ერთ-ერთ კრიტიკულ წერილში, — ამ შემთხვევაში ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება დარჩება ხელოვნების გარეთ, ნამდვილად კი ხელოვნურ შემოქმედების საგნად უნდა იყოს მთელი ჩვენი ცხოვრება თავის სოციალურის და ფსიხოლოგიურის შინაარსით, საქმე ის არის, თუ როგორ არის შესრულებული ესა თუ ის ნაწარმოები, თორემ სოციალური მოტივი მას არასოდეს ღირსებას ვერ დააკლებს“⁶⁹). არჩილ ჯორჯაძის კრიტიკული მახვილი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიმართული იყო ხელოვნების არსისა და დანიშნულების შესახებ უკიდურესობამდე მიყვანილი უტილიტარული თვალსაზრისის წინააღმდეგ, რომელსაც ცალკეულ შემთხვევებში ადგილი ჰქონდა ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში, როგორც მისი განვითარების პირველ ეტაპებზე, ასევე მომდევნო ხანებშიც, რაც არჩ. ჯორჯაძის აზრით, ხელოვნურად ავიწროვებდა „ესთეტიკური შემოქმედების“ საზღვრებს, „ვიწრო კალაპოტით“ ფარგლავდა ხელოვნების მდიდარ და მრავალფეროვან სამყაროს და მის ასპარეზად მხოლოდ „საგანთა სამეფოს“, ყოველდღიურობას და ყოფაცხოვრების კონკრეტულ ვითარებას სახავდა.

სინამდვილისადმი ზუსტი შესატყვისობა, სინამდვილის შესახებ ობიექტური ცოდნის მოცემა, არჩილ ჯორჯაძის აზრით, მეცნიერებისათვის არის ნიშანდობლივი და აუცილებელი. მეცნიერული დასკვნების ღირებულება სწორედ იმით განიზომება, თუ რამ-

²⁸ არჩილ ჯორჯაძე, თხზულებანი, წიგნი III, გვ. 39, 43.

⁶⁹ არჩილ ჯორჯაძე, გ. ქიქოძის წერილის გამო..., ე. „ცისარტყელა“, 1971, გვ. 374.

დენად შეესაბამება იგი ობიექტურ რეალობას, რამდენად უტყუარ წარმოდგენას გვაძლევს იგი გარესამყაროს შესახებ. მაგრამ სინამდვილისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით, მეცნიერებასა და ხელოვნებას შორის ტოლობის ნიშნის დასმა გაუმართლებელია, რადგან ხელოვნება მეცნიერებისაგან განსხვავდება არა მხოლოდ თავისი მხატვრული ფორმით, როგორც ეს საყოველთაოდ იყო აღიარებული XIX საუკუნის ქართულ სალიტერატურო კრიტიკის მიერ, არამედ, ასევე, თავისი არსითა და მოწოდებითაც; ხელოვნება არჩილ ჯორჯაძისათვის „ესთეტიკური შემოქმედებაა“, იგი ხელოვანის, მწერლის გუნება-განწყობილებათა, ზრახვათა, მისწრაფებათა გამომხატველია, და ამ მხრივაც იგი პრინციპულად განსხვავდება მეცნიერებისაგან, რომლისათვისაც, მისი მიზნების შესაბამისად, „მშრალი გონება“, „სილოგიზმი და ლოგიკა“ ერთადერთი იარაღია სინამდვილესთან მიმართების, — სინამდვილის შეცნობის, მისი ობიექტური შესწავლისა და შეფასების დროს. ამდენად ხელოვნება მართლაც „მეტია“ (როგორც არჩილ ჯორჯაძეც აღნიშნავს), ვიდრე სინამდვილე, რადგან ობიექტურ სინამდვილეში, გარესამყაროში არ არსებობენ ემოციები, ხოლო მხატვრულ ნაწარმოებში, ისეთშიც კი, რომელშიც ადამიანს გარეშე არსებული რეალობაა ასახული, — ადამიანური განცდები, ემოციები აუცილებლად „მონაწილეობენ“ და, ბუნებრივია, იერს უცვლიან, ახლებური შინაარსით ტვირთავენ „უტყვ და უსი-ცოცხლო“ ბუნებას.

ხელოვნება, არჩ. ჯორჯაძის აზრით, მოვალეა გასცდეს „ემპირიულ მოვლენათა ფარგლებს“ და დაგვანახვოს არა მხოლოდ ის, რაც სინამდვილეშია, არამედ ისიც, რაც „სინამდვილეში არ არის“. სხეთი — „სინამდვილეში არარსებული“ და ხელოვნების მიერ „შექმნილი“ ახალი სინამდვილე კი — გარესამყაროსთან ადამიანის ესთეტიკური დამოკიდებულებაა, რომელიც თუ ერთი მხრივ, ვერ იარსებებს ობიექტური რეალობის გარეშე, მეორე მხრივ, ასევე წარმოუდგენელია სუბიექტისგან დამოუკიდებლად, ხელოვანის, მწერლის სინამდვილეში „ჩარევის“ და ობიექტური სინამდვილის სუბიექტური გარდაქმნის, „ესთეტიკური ხილვის საშუალებით“ სინამდვილის „გარდასახვის“ გარეშე.

აღსანიშნავია ისიც, რომ მხატვრული შემოქმედების პროცესში, არჩილ ჯორჯაძის შეხედულებათა თანახმად, ობიექტური სინამდვილე (ადამიანს გარეშე არსებული „ნივთთა სამეფო“) „მხოლოდ სტიმულია, იმპულსია შემოქმედებითი ნიჭისათვის“, რამდენადაც, ობიექტური სინამდვილე ხელოვანს აინტერესებს არა თავისთავად, არა როგორც „ნივთი თავისთვის“ (როგორც სინამდვილესთან მეცნიერ-

რების დამოკიდებულებისათვის არის დამახასიათებელი), არამედ როგორც საშუალება თავისი „სულის მოგზაურობის შთაბეჭდილებათა“ გადმოსაცემად, თავისი აზრებისა და ემოციების, თავისი შეხედულებების, მისწრაფებების და იდეების ხორცშესასხმელად, და ამიტომაც, არჩილ ჯორჯაძისათვის, ხელოვნების ნაწარმოებში ასახული რეალობა, ამ აზრით, „უფრო სიმბოლოა, ვიდრე საგანი“.

„თვით რეალისტური მიმართულების ნაწარმოები, — წერს არჩილ ჯორჯაძე, — თავისი შემოქმედებითი შინაარსის მხრივ სიმბოლურია და იგი არასოდეს არ არის მარტო ის, რაც არსებობს სინამდვილეში. და თუ ეს ითქმის რეალისტური ხასიათის ნაწარმოებთა თაობაზე, რაღა უნდა ვთქვათ იმ ნაწარმოებისა, რომელსაც ხელშესახებ საგანთა გამოსახვა კი არ დაუსახავს მიზნად, არამედ სულიერ სიცოცხლის უხილავ და რთულ განცდათა. ან იქნება სთქვათ, ხელოვნება არ უნდა მიეკაროს ამ სათუთ საგანს, მისი სარბიელი მარტოოდენ გარეგანი ყოფაცხოვრებააო?... მაგრამ ამ ნიადაგზე დამკვიდრება გამოიწვევს მარტოოდენ სიკვდილს ხელოვნებისას“³⁰.

ამრიგად, არჩილ ჯორჯაძის შეხედულებათა თანახმად, ხელოვნება. ლიტერატურა ასახავს არა მხოლოდ ობიექტურად არსებულ რეალობას, არამედ იმ სინამდვილესაც, რომელსაც არ გააჩნია მატერიალური, ემპირიული არსებობა (ასეთ „სინამდვილედ“ არჩილ ჯორჯაძეს, როგორც ითქვა, მიაჩნია ადამიანური ემოციები, მისწრაფებები, წარმოდგენები, შეხედულებები, იდეები და ა. შ., რომლებიც, კრიტიკოსის რწმენით, ხელოვნების ასახვის კანონიერ და აუცილებელ ობიექტებს წარმოადგენენ). მაგრამ აღსანიშნავია, რომ ასეთი თვალსაზრისი ხელოვნების ასახვის საგნის შესახებ არ გულისხმობს ობიექტური რეალობის უდიდესი მნიშვნელობის უგულებელყოფას, როგორც მხატვრული შემოქმედების პროცესის, ასევე თვით მხატვრული ნაწარმოების შინაარსისათვის, რამდენადაც ხელოვნების ნებისმიერ სფეროში — ლიტერატურა იქნება ეს, მხატვრობა, მუსიკა თუ სკულპტურა, — არჩილ ჯორჯაძის აზრით, როგორც აღვნიშნეთ, ობიექტურად არსებული რეალობა, ცხოვრება ის ძირითადი ს ა ყ რ დ ე ნ ი და ს ა ფ უ ძ ე ვ ლ ი ა, რომელთან მიმართებაშიც — „ესთეტიკური ხილვის საშუალებით“, — იქმნება ხელოვნების ნაწარმოები. და თუ ხელოვნების ისეთ დარგში, როგორც მუსიკაა, ობიექტური რეალობა იმდენად ტრანსფორმირებულია, რომ მას ფაქტიურად სრულიად დაკარგული აქვს მისი პირვანდელი სახე, მეორე მხრივ, მხატვ-

³⁰ არჩილ ჯორჯაძე, თხზულებანი..., ტ. III, გვ. 41.

რულ ლიტერატურაზე, კერძოდ, რეალისტურ პროზაზე რომ არაფერი ვთქვათ, მხატვრობასა და სკულპტურაში ობიექტურად არსებული სინამდვილის „მონაწილეობა“ შეუდარებლად ხელშესახებია და თვალსაჩინო:

„თუ ტონიკურ ხასიათის ესთეტიკურ შემოქმედებას „ხორციან“ და „ნახაზთან“ შორეული დამოკიდებულება აქვს, — მიუთითებს: არჩილ ჭორჭაძე, — იგივე არ ითქმის პლასტიკაზე, მხატვრობაზე და სკულპტურაზე, სადაც „ნახაზი“ (рисунок), ე. ი. რეალურად არსებულ საგანთა ფორმა და გამოსახულება უნდა იყოს დაცული. მეტაფიზიკურ და ირაციონალურ სულიერ განწყობილების დასახვისათვის სრულიადაც არ არის საჭირო „ნახაზის“ დამახინჯება და ყოფაცხოვრებასთან კავშირის გაწყვეტა. პირიქით, ძალა ხელოვნებისა მოულოდნელ და ძლიერ კონტრასტებშია. თუ გიპყრობთ ძალა ირაციონალურისა, რაციონალური საფუძველი, რომელზედაც დგებართ. მეტად გამოაჩენს თქვენს სულიერ განწყობილებას. თუ სულის მეუფეობისაკენ მისწრაფის თქვენი გული, — გვაჩვენეთ ხორცი, რომელმაც შეგაძულათ „სოფელი“. თუ სილამაზე გაფრთოვანებთ, დაგვისახეთ სიმახინჯე და სიდუხჭირე. ეგეც არ იყოს, თვით ეს ბუნება და ეს ჩვენი მუდმივი სიცოცხლეც კი მშვენიებით და საიდუმლოებით არის აღსავსე, მას რომ შეხედოთ სხვა, არა მუდმივ სიცოცხლის საზომით.

ხელოვნებას ხორცი არ უნდა ავაცილოთ, მაგრამ იმიტომ კი არა, ხორცი გავიხადოთ ღმერთად და გულში დავიხშოთ სურვილი უსაზღვროებისადმი მისწრაფებისა³¹“. ხელოვნების შინაარსში „მონაწილე“ ცხოვრებისეული დეტალები, რეალური სინამდვილის საგნები და მოვლენები, არჩილ ჭორჭაძის აზრით, ის მასალაა, რომლითაც აშენებულია, რომლითაც შექმნილია მხატვრული ნაწარმოებები, და თუმც მხატვრული ნაწარმოები არ დაიყვანება მის შემადგენელ ნაწილებზე, იგი „მეტია“ ვიდრე მისი შემადგენელი ელემენტების ჯამი და იგი თვისობრივად განსხვავდება გარესსინამდვილისაგან, რასაც („თვისობრივად განსხვავებულობას“) ხელოვანის „ესთეტიკური ხილვა“ ჰქმნის, მაგრამ ამავე დროს, ობიექტური რეალობა — ეს ის „ხორცია“, რომლის გარეშეც ვერ წარმოიდგინება ხელოვნების დარგთა უმეტესობა (გამონაკლისს ამ მხრივ, არჩილ ჭორჭაძის აზრით, როგორც აღვნიშნეთ, მუსიკა წარმოადგენს, რომელიც, მისი სიტყვით, „შეიძლება იყოს გამოწვეული სინამდვილის ხილვითა და განცდით და შეიძლება არც იყოს“).

³¹ არ ჩ ი ლ ჭ ო რ ჭ ა ძ ე, თხზულებანი, წიგნი III, გვ. 42—43.

როგორც ეს ნაწილობრივ ზემოთაც დავინახეთ, ხელოვნების პრობლემებზე, მისი არსისა და თავისებურებების საკითხებზე მსჯელობის დროს, არჩილ ჯორჯაძე განსაკუთრებულ ყურადღებას ხელოვნების ესთეტიკურ ბუნებაზე ამახვილებს და სინამდვილისადმი ესთეტიკურ დამოკიდებულებას — „ესთეტიკურ ხილვას“, ესთეტიკურ კვრეტას სინამდვილისას, ხელოვნების არსებით ნიშნად მიიჩნევს. ხელოვნების თითოეული დარგი არჩილ ჯორჯაძისათვის, პირველ ყოვლისა, „ესთეტიკური შემოქმედებაა“ და სწორედ ეს განსაზღვრავს, მისი რწმენით, ხელოვნების სპეციფიკურ თავისებურებებს, როგორც გარესამყაროსთან — ობიექტურ სინამდვილესთან, ცხოვრებასთან მიმართების მხრივ, ასევე იმ შემოქმედების თვალსაზრისითაც, რომელსაც ხელოვნების ნაწარმოები ადამიანზე ახდენს.

„ხელოვნება — აღფრთოვანებაა, თავის თავის დავიწყება, სხვისი სიხარულით და მწუხარებით გატაცებაა, — წერდა არჩილ ჯორჯაძე 1901 წელს გამოქვეყნებულ ერთ-ერთ თეატრალურ რეცენზიაში, — სამხატვრო სურათი ის არის, რომელიც მაყურებელს გრძნობას უღვიძებს, აღელვებს, ავიწყებინებს ცხოვრების ერთგვარობას; სამხატვრო მუსიკა ის არის, რომელიც კაცს აღფრთოვანებს, მის პიროვნულ ნება-სურვილს უარპყოფს და აღშფოთებით ავსებს კაცის გულს; სამხატვრო თეატრი ის არის, სადაც კაცი სხვისი სიხარულით, მწუხარებით, გაჭირვებით და ტანჯვით არის გატაცებული, სადაც სცენაზე თამაშობის ზედ-გავლენით, გავიწყდებათ ის სავარძელი, რომელზედაც ზიხართ, ის უსიამოვნება, რომელიც შინ გქონდათ თეატრში წასვლამდე. სამხატვრო თეატრი (ისევე, როგორც საერთოდ, ხელოვნება — გ. ა.) კაცს უ ა ნ გ ა რ ო ს ი ა მ ო ვ ნ ე ბ ა ს უსახავს, რადგან უ ა ნ გ ა რ ო ს ი ხ ა რ უ ლ ი ი ქ ი კ ი დებს ფესვებს, სადაც ადამიანის ადამიანისადმი თანაგრძნობაა, სადაც კაცის პიროვნების ირგვლივ შემოვლებული გალავანი ჩანგრეულა და კაცი, სხვებთან ერთად, ერთის ფიქრით, ერთის აზრით, ერთის მისწრაფებით, მწუხარებით და სიხარულით არის გამსჭვალული (დაყოფა ჩვენია — გ. ა.).

ასე რომ, ნამდვილი ხელოვნება, აღფრთოვანებასთან ერთად, ადამიანის ვინაობის გაფართოვებაა, მის გულში თანაგრძნობის სურვილის გაღვიძებაა³², — დასძენს არჩილ ჯორჯაძე, და თუმცა, ცხადია, ის უდიდესი როლი, რომელსაც ხელოვნება ადამიანის ცხოვრებაში ასრულებს, არ ამოიწურება მხოლოდ ზემოთ ციტირებულ

³² ა რ ჩ ი ლ ჯ ო რ ჯ ა ძ ე, ხელოვნების გამარჯვება, თხზულებანი, ტ. III, გვ. 200.

სტრიქონებში აღნიშნული მხარეებით (ესთეტიკური ტკობის მინიკე-
ბა არ წარმოადგენს ხელოვნების ერთადერთ მისიას), მაგრამ, მეორე
მხრივ, ესთეტიკური ტკობა ხელოვნების ის არსებითი და სპეცი-
ფიკური ნიშანთვისებაა, ის ერთადერთი გზა და საშუალება, რომ-
ლითაც ამყარებს იგი კონტაქტს მის მკვრეტელთან — ადამიანთან.
ხალხთან, საზოგადოებასთან. თუკი ხელოვნების ნაწარმოები ვერ
ახდენს ამა თუ იმ ინდივიდზე ესთეტიკურ ზემოქმედებას, ეს რა თქმა
უნდა, ჯერ კიდევ არ ადასტურებს ნაწარმოების ნაკლოვანებას („დამ-
ნაშავე“ ამაში, ადვილად შესაძლებელია, თვით ნაწარმოების მკვრე-
ტელი — მკითხველი, მსმენელი თუ მაყურებელი იყოს, — მისი ეს-
თეტიკური აღზრდისა თუ მომზადების დონე და ა. შ.), მაგრამ თამა-
მად შეიძლება ითქვას, რომ ასეთ შემთხვევაში ხელოვნების ნაწარ-
მოები ვერ მიაღწევს სასურველ მიზანს, რადგან ესთეტიკური ზემო-
ქმედების გარეშე მკვრეტელისათვის, ფაქტიურად, არ არსებობს ხე-
ლოვნების ნაწარმოები. არჩილ ჯორჯაძის სიტყვით, „არც კეთილი
აზრები და მაღალი იდეალები, არც სურვილი ხალხის სამსახურისა,
სამყოფი არ იქნება ნამდვილ ხელოვნურ ნაწარმოების შექმნისათ-
ვის“, თუკი ხელოვანი ვერ „აღვიძებს ადამიანში ინტელექტუალურ
ემოციასთან ერთად ესთეტიკურ ემოციას“; ესთეტიკური სიამოვნე-
ბის, „ტკობის ემოცია განუშორებელი თვისებაა ნამდვილ ხელოვ-
ნებისა“, და „ხელოვნება, რომელიც არ აღძრავს ადამიანში ესთეტი-
კურ ემოციას ხელოვნებად არ ჩაითვლება, თუგინდ შიგ იყოს ჩაყო-
ლილი ბევრი ჭკვიანი და სასარგებლო აზრი“³³.

რასაკვირველია, ესთეტიკური განცდის, ისევე როგორც, სა-
ერთოდ. ყოველგვარი განცდის კვლევა ფსიქოლოგიის სფეროს გა-
ნეკუთვნება, მაგრამ აღნიშნული პრობლემა, ცხადია, მეტად მნიშ-
ვნელოვანია საკუთრივ ესთეტიკისათვისაც, რამდენადაც, უდავოდ,
არა მხოლოდ ძალზე საინტერესოა, არამედ აუცილებელიც, ნათელი
წარმოდგენა გვქონდეს იმის შესახებ, თუ რა ხასიათის სიამოვნებას
გვანიჭებს ხელოვნება, რა თავისებურებების მქონეა ადამიანის ის
სულიერი ვითარება, რასაც ესთეტიკური განცდა, ესთეტიკური
ტკობა ეწოდება.

აღსანიშნავია, რომ მეცხრამეტე საუკუნის საქართველოში ეს-
თეტიკური განცდის პრობლემა არ წარმოადგენდა საგანგებო ყურა-
დლებისა და სპეციალური მსჯელობის საგანს, და, ამდენად, ბუნე-
ბრივია, რომ ის ორიოდ შენიშვნა თუ დაკვირვება, რომელიც ამ
საკითხის ირგვლივ გასული საუკუნის დამლევისა და მეოცე საუკუ-

³³ არჩილ ჯორჯაძე, თხზულებანი, წიგნი V, 1914, გვ. 110, 112.

ნის დამდგის ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში მოგვებოვება, ძალზე საყურადღებოა ჩვენთვის.

ამ თვალსაზრისით, ესთეტიკური განცდის შესახებ არჩილ ჯორჯაძის ნაწერებში გამოთქმული ცალკეული შეხედულებანი, უთუოდ, გარკვეულ ინტერესს იმასხურებს. კერძოდ, ჩვენს მიერ ზემოთ ციტირებულ სტრიქონებში, სადაც არჩილ ჯორჯაძე ხელოვნების ესთეტიკური ზემოქმედების შესახებ მსჯელობს, ხელოვნების ნაწარმოებისაგან მინიჭებული ტკობა დახასიათებულია, როგორც „უანგარო სიამოვნება“, „უანგარო სიხარული“, რითაც ესთეტიკური განცდის ერთ უმნიშვნელოვანეს მხარეზეა გამახვილებული ყურადღება.

როგორც ცნობილია, უ ა ნ გ ა რ ო ს ი ა მ ო ვ ნ ე ბ ი ს ც ნ ე ბ ა, რომელსაც არჩილ ჯორჯაძე იყენებს, კანტის სახელთანაა დაკავშირებული. იმის გამო, რომ ესთეტიკური აღქმის დროს, გარემომცველი საგნები თუ მოვლენები (და, კერძოდ, ხელოვნების ქმნილებანი) მხოლოდ და მხოლოდ ჰერეტის საშუალებით იწვევენ ჩვენში სიამოვნების, ტკობის განცდას, რომელიც (ეს განცდა), თავის მხრივ, არ იწვევს სურვილის, ნდომის აღმოცენებას, — ესთეტიკურ გრძნობას კანტი წმინდა, სუფთა გრძნობად სთვლიდა, ხოლო ამ განცდისაგან მიღებულ ტკობას — „დაუინტერესებელ სიამოვნებას“ („Uninteressiertes Wohlgefallen“) უწოდებდა. კანტის ნააზრევში „უანგარო სიამოვნების“ ცნების შინაარსის გარკვევა სპეციალური მსჯელობის საგანს წარმოადგენს და, ცხადია, ბევრად სცილდება ჩვენი თემის ფარგლებს. მაგრამ აუცილებელია აღინიშნოს, რომ ესთეტიკური ტკობის — როგორც „უ ა ნ გ ა რ ო ს ი ა მ ო ვ ნ ე ბ ი ს“ ცნებაში არჩილ ჯორჯაძის ლიტერატურულ-ესთეტიკურ ნააზრევში ის იგულისხმება, რომ ესთეტიკური ჰერეტის დროს, ესთეტიკურ ფენომენთან ურთიერთობისას, სუბიექტს, „მჰერეტელს“ არ უჩნდება, ასე ვთქვათ, აღებ-მიმცემლური დამოკიდებულება ესთეტიკური განცდის გამომწვევ საგანთან (ბუნების მოვლენა და საგანი იქნება ეს; თუ ხელოვნების ნაწარმოები); ესთეტიკური ფენომენისადმი სუბიექტის მიმართება პრინციპულად განსხვავდება სამომხმარებლო საგნისადმი ჩვენი დამოკიდებულებისაგან და ესთეტიკურ მჰერეტელს არ აღეძვრის ესთეტიკური საგნის გამოყენების ან დასაკუთრების სურვილი. ხოლო როცა ასეთი სურვილები — ი ნ ტ რ ე ს ე ბ ი ბ ადებიან, ჩვენი დამოკიდებულება ესთეტიკური საგნისადმი აღარაა ესთეტიკური, — მაშინ ჩვენ უკვე გამოვდივართ ესთეტიკური ჰერეტის მდგომარეობიდან, ვცილდებით, ვშორდებით ესთეტიკურ ჰერეტს, აღარ ვართ ესთეტიკური მჰერეტელი.

ესთეტიკური სიამოვნება, ესთეტიკური ტკბობა მხოლოდ მაშინ მიიღწევა, როცა საგნის თვით ჰერეტიკული გვანიჭებს სიამოვნებას — ყოველგვარი ანგარებითი გრძობების ჩარევის გარეშე. ესთეტიკური ტკბობის — როგორც „უანგარო სიამოვნების“ ასეთი ინტერპრეტაციის შემთხვევაში, კანტის მიერ დანერგული აღნიშნული ცნება უთუოდ ნაყოფიერია ესთეტიკური განცდის თავისებურებათა დახასიათებისას და მისი გამოყენება ესთეტიკის საკითხების კვლევის დღევანდელი დონისათვისაც, ჩვენი აზრით, საესებით მიზანშეწონილია და მისაღები.

არჩილ ჯორჯაძის ნააზრევში ესთეტიკური ჰერეტიკით გამოწვეულ განცდას — „უანგარო სიამოვნება“, „უანგარო სიხარული“ სწორედ ასეთი მნიშვნელობით ეწოდება და ამდენად, აღნიშნული ცნების დამკვიდრების ცდა ქართულ სინამდვილეში, უთუოდ, დადებით მოვლენად უნდა იქნეს მიჩნეული.

ამრიგად, მართალია, ესთეტიკური განცდის თავისებურებები არჩილ ჯორჯაძისათვის არ წარმოადგენდა სპეციალური შესწავლის საგანს, მაგრამ ამ კუთხით მის ნაწერებში გამოთქმული ცალკეული შეხედულებანი მაინც ძალზე საყურადღებოა ჩვენთვის, რამდენადაც თუკი, ერთი მხრივ. მათში, ჩვენი აზრით, არ შეინიშნება ამ საკითხის ირგვლივ რამდენადმე ორიგინალური და აღნიშნული პერიოდის მსოფლიო, ესთეტიკური აზროვნების მონაპოვართაგან განსხვავებული დაკვირვებანი, მეორე მხრივ, აღნიშნული შეხედულებები აშკარად მოწმობენ აღნიშნული პერიოდის საქართველოში ესთეტიკის სპეციალური საკითხებით ქართული მოაზრე საზოგადოების დაინტერესებასა და, საერთოდ, ესთეტიკური ცოდნის არსებულ მაღალ დონეს.

ესთეტიკის პრობლემათა შორის არჩილ ჯორჯაძის საგანგებო ყურადღების საგანს, როგორც ზემოთაც იყო მითითებული, ხელოვნების — როგორც ადამიანის სულიერი მოღვაწეობის — არსის პრობლემა წარმოადგენდა. ამ პრობლემას, როგორც ცნობილია, მრავალი ასპექტი გააჩნია და მისი გადაჭრა მრავალ სირთულესთან არის დაკავშირებული. და თუმცა, ცხადია, არ შეიძლება იმის თქმა, რომ ესთეტიკის ეს უდიდესი პრობლემა — ხელოვნების არსის პრობლემა, — არჩილ ჯორჯაძის მიერ რამდენადმე ამომწურავად თუ სრულყოფილად იყო გაშუქებული, მაგრამ საგულისხმოა და მნიშვნელოვანი უკვე ის გარემოება, რომ არჩილ ჯორჯაძის მიერ საესებით ნათლად არის გაცნობიერებული ის სიძნელებები, რომელთა გათვალისწინებისა და დაძლევის გარეშე შეუძლებელიც იქნებოდა აღნიშნულ პრობლემის მეცნიერული კვლევა-ძიება.

ერთ-ერთ ასეთ ძნელად დასაძლევ ამოცანად არჩილ ჯორჯაძეს ხელოვანის შემოქმედებითი პროცესის, მისი შემოქმედებითი ნიჭისა საერთოდ. და, კერძოდ კი, მისი ხასიათის თავისებურებების — მიწ-წრაფებებისა და მიდრეკილებების განმსაზღვრელი ფაქტორების შესწავლა მიაჩნდა. „განმარტეთ პოეტის ლირა ემპირიულად. — წერდა არჩილ ჯორჯაძე პოლემიკური ხასიათის წერილში, სათაურით „პოეზიის სამფლობელოში“, — ახსენით პოეზიის შინაარსი ისტორიულად. ნათელი ჰფინეთ იმ კავშირს, რომელიც არსებობს „გარემოსა“ და პოეტის შემოქმედებას შორის. სთქვით, თუ გნებავთ, რომ ეს კავშირი მიზეზობრივია. და როდესაც ყოველივე ამას აღასრულებთ, მაინც დარჩება გაურკვეველი ერთი რამ — რთული ფსიხიური შემოქმედება პოეტისა, დარჩება გამოურკვეველი შემოქმედების საიდუმლოება და მისწრაფება „მარადისობისადმი“ და უსაზღვროებისადმი, რომელიც პოეტის შემოქმედების საფუძველს შეადგენს“⁴³. და თუმცა ეს „საიდუმლოება“ არჩილ ჯორჯაძეს არ მიაჩნია პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ა დ ამოუხსნელად, მაგრამ, მეორე მხრივ, მას გაუმართლებლად მიაჩნია ის მეთოდები, რომლითაც ხელმძღვანელობენ კრიტიკოსები ამ ჭერჭერობით „გამოუცნობელი კითხვის“ გადასაჭრელად.

არჩილ ჯორჯაძის მიერ ხელოვანის შემოქმედებითი ნიჭისა და მისი კვლევის სირთულის პრობლემაზე ყურადღების გამახვილების საბაბს — ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის შესახებ 1909 წელს ივ. გომართელისა და გრ. რობაქიძის მიერ წაკითხული საჯარო ლექციები, ხოლო შემდეგ — „დროების“ № 240-ში გამოქვეყნებული გრ. რობაქიძის წერილი წარმოადგენდა, სადაც ავტორი განმარტავდა თავის პოზიციას ბარათაშვილის შემოქმედების თავისებურებებისა და მისი განმსაზღვრელი ფაქტორების მიმართ.

„მგოსანი და ეროვნული სხეული ორგანიულად არიან ერთი მეორესთან დაკავშირებული — ვკითხულობთ „დროებაში“ დაბეჭდილ მითითებულ წერილში, — ყოველი მგოსანი ინდივიდუალობაა, და როგორც ამგვარი, განუმეორებელია, განსაკუთრებული განცალკევებული; მას საკუთარი ბუნება აქვს, რომელიც სხვისაგან არ გამოიყვანება და არც სხვად დაიყვანება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი არ არის მოწყვეტილი, პირიქით, იგი შესხეულებულია მსოფლიოსთან და უხდება თავის ბუნების გაშლა მსოფლიოს განსაზღვრულ ფარგლებში. აქედან მისი შემოქმედება ორი თვალსაზრისით უნდა იხილებოდეს: აბსოლუტიურით და ისტორიულით. აბსოლუტიური თვალსაზრისი ფაქტად აღნიშნავს მგოსნის ბუნებას, მის ერთხელ მოვლენილსა და განუმეორებელს ინდივიდუალობას; ისტორიული

⁴³ ა რ ჩ ი ლ ჯ ო რ ჯ ა ძ ე , თხზულებანი, წიგნი III, გვ. 23.

თვალსაზრისი მიზეზობრივ ხსნის, თუ რომელ განსაზღვრულ წრეში მხილდებოდა (და არა იქმოდა) მისი ბუნება. ამნაირადვე შეგვიძლია განვიხილოთ ბარათაშვილიც. იგი თავის გენიალურ ბუნებით წინ უსწრებდა მთელ მის თანადროულ ქართველობას, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი მთელის თავის არსებით ქართველობის, როგორც სულიერ ერთეულის, სხეულს ეკუთვნოდა. მისი ბუნება, რასაკვირველია, განსაკუთრებული, სხვით გამოუყვანელი იყო, მაგრამ იგი ვითარდებოდა, მხილდებოდა ეროვნულ საზღვრებში“.

არჩილ ჭორჭაძე არ ეთანხმებოდა ბარათაშვილის — და საერთოდ ნებისმიერი მწერლის, ხელოვანის, — შემოქმედებითი ნიჭისა და მისი ინდივიდუალობის ზემოაღნიშნულ გაგებას და შემდეგნაირად ასაბუთებდა თავისი პოზიციის სამართლიანობას. მოგვაქვს ამონაწერები: „მე ვერ გავყვები გრ. რობაქიძეს აბსოლუტის ფარგალში, — წერდა იგი, — და აბსოლუტურის თვალსაზრისით ვერ განვმარტავ პოეტის შემოქმედებით ნიქს... არ შემიძლია მივიღო ორი საზომი, ორი კრიტერიუმი — ერთი აბსოლუტური, მეორე ისტორიული. მზად ვარ აღვიარო კრიტერიუმი „ისტორიული“, ხოლო ამ „ისტორიულში“ ჩემი შეგნებით, უნდა შედიოდეს როგორც მატერიალური გარემო (პოლიტიკური ფორმა მმართველობისა და საწარმოო ძალთა ურთიერთობა), ისე ყოველივე ის, რაც ამ გარემოს გარეშეა აღმოცენებული. ხოლო რასაც პოეტის სულიერ ვითარებაზე აქვს გავლენა — კაცობრიობაში დამკვიდრებული ფილოსოფიური, რელიგიური და ესთეტიკური აზრები“.

არჩილ ჭორჭაძე მიუთითებს, რომ ბარათაშვილის შემოქმედების განხილვისას ამავე საზომით — „ისტორიული კრიტერიუმით“ ხელმძღვანელობდა ივ. გომართელიც, მაგრამ „განსხვავება ჩემი და ივ. გომართელის პოზიციისა ის არისო, — მიუთითებდა არჩილ ჭორჭაძე, — რომ მე „ისტორიული პირობები“ უფრო ფართოდ მაქვს განმარტებული, — „ისტორიულში“ ჩაქსოვილი მაქვს რთული კომპლექსი მატერიალურის და იდეალურის ძალებისა, რომლებიც მოქმედებენ ადამიანის ბუნებაზე. გრ. რობაქიძეს კი ვერ ვეთანხმები იმაში, რომ არა მსურს გადავაცილო საზღვარი ემპირიულის მოვლენათა, და ადამიანის პიროვნებას არ ვსაზღვრავ, როგორც „ერთხელ მოვლენილ და განუმეორებელ ინდივიდუალობას“, რომელიც არა ისტორიულის, არამედ აბსოლუტურის საზომით უნდა იზომებოდეს.

მაშ თუ მაგრეა, იტყვის მკითხველი, თქვენთვის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი ფართოდ განმარტებულ „ისტორიულ“

ანუ. უკეთ ვსთქვათ. ემპირიულ ფაქტორებისა და განსაზღვრულ ხასიათის, ვთქვათ, ბარათაშვილის პოეზიის შორის. ემპირიკა ლოლიკურად ყოფილა დაკავშირებული „მარადისობის“ და „ამაობის“ პრობლემასთანო. ამ აზრის წინააღმდეგი არა ვარ. ჩემს ბელთ სხვა საზომი არ არის პოეზიის და სიცოცხლის პრობლემების განმარტებისათვის. მაგრამ, ვალიარებ რა ამ საზომის და ამ კრიტერიუმის სარგებლობას კვლევის დროს. არ შემძლიან ამავე დროს არა ვსთქვა, რომ ხსენებულ იარაღის საშუალებით ყოველივე ნათელი არა ხდება ჩემთვის პოეზიის და სიცოცხლის პრობლემების განმარტებაში. რჩება რალაც საიდუმლოება, რომელსაც არც ერთის ხსენებულის საშუალებით სინათლე არ ეფინება და გარკვეულობა არ ენიჭება.

თუ ეს ასეა, იტყვის კიდევ მკითხველი, მაშინ ვალდებული ხართ აღიაროთ გრ. რომაქიძის მიერ ნაჩვენები არაემპირიული საზომი კვლევისა. ამაზე ვამბობ გადაკრით, რომ ვალდებული სრულიადც არა ვარ. თუ რომელიმე მოვლენა ემპირიულის კრიტერიუმით ვერ ირკვევა, ეს გარემოება სრულიადაც არ გვავალებს მივმართოთ მეტაფიზიკურ ახსნას...³⁵

არჩილ ჯორჯაძის რწმენით, ის გარემოება, რომ ამა თუ იმ შემთხვევაში „ემპირიული მეცნიერება თავის კვლევა-ძიებაში მიადგება ერთგვარ ზღუდეს, რომლისაგან გასავალს ჯერ ხნობით მაინც ვერ ხედავს“, არავითარ შემთხვევაში არ ადასტურებს მეტაფიზიკური მეთოდებით საგნისა თუ მოვლენის კვლევის უპირატესობას და ვარგისიანობას. არჩილ ჯორჯაძეს მიაჩნია, რომ „ადამიანის რაციონალიზმი, კრიტიკულ პირობებში ჩაყენებული, ამგვარ სულმოკლეობას ვერ გამოიჩენს: აქაოდა რაციონალურად ვერ აუხსნია მას“ ესა თუ ის მნიშვნელოვანი პრობლემა, „არა-რაციონალურ საბუთს მის თვალში ფასი არ უნდა ჰქონდეს, რადგან ორში ერთია: ან რაციონალიზმია შემეცნების საფუძველი, ან ისეთი რამ, რაც რაციონალიზმს ანგარიშს არ უწევს — ინსტიქტი, ინტუიტივიზმი, დიონისიზმი და სხვა ამგვარი. თუ რაციონალურსა და ირრაციონალურს შორის ბრძოლაა, ბრძოლა ეს ჯერ არ დამთავრებულა და სანამ ირრაციონალიზმი არ გაიმარჯვებს რაციონალიზმზე, რაციონალიზმის მიმდევარნი თავის ნიადავს არავის დაუთმობენ და არ შეიწყნარებენ... იმგვარ განმარტებას (და, კერძოდ, ხელოვნების იმგვარ განმარტებასაც — გ. ა.), რომელსაც ირრაციონალური განმარტების ხასიათი აქვს. არ შეიწყნარებენ იმ შემთხვევაშიაც, თუკი მათი რაციონალუ-

³⁵ ა რ ჩ ი ლ ჯ ო რ ჯ ა ძ ე, პოეზიის სამფლობელოში, თხზულებანი, წიგნი III, გვ. 20—21.

რი განმარტება უძლური იყოს³⁶, უძლური — მეცნიერული ცოდნის გარკვეულ ეტაპზე.

არჩილ ჯორჯაძის ნაწერებიდან ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი ვრცელი ამონაწერები ნათლად გამოხატავს არჩილ ჯორჯაძის თვალსაზრისს ხელოვანის შემოქმედებითი ნიჭისა და, საერთოდ, ხელოვნების — როგორც ადამიანის სულიერი მოღვაწეობის პროდუქტის, ობიექტური შესწავლის შესაძლებლობებისა და ამ მიზნის მისაღწევად მტკიცედ განსაზღვრული მეცნიერული მეთოდებით ხელმძღვანელობის აუცილებლობის შესახებ. და თუკი გვერდს ავუვლით ავტორისეული მსჯელობის ნაკლოვან მხარეებს და ზემოთ ციტირებულ სტრიქონებში განვითარებულ ძირითად შეხედულებებზე გავამახვილებთ ყურადღებას, არჩ. ჯორჯაძის აღნიშნული თვალსაზრისი, ჩვენი აზრით, უთუოდ საყურადღებოდ და ანგარიშგასაწევად უნდა მივიჩნიოთ.

მართალია, შემოქმედებითი პროცესის, შემოქმედის ინდივიდუალობისა და, საერთოდ, ხელოვნების არსის თავისებურებათა პრობლემა არჩილ ჯორჯაძეს ჯერჯერობით ამოუხსნელ „საიდუმლოებად“ მიაჩნია, რომლის წინაშეც „ჩაფიქრებული დგას“ კაცობრიობა, და ეძნელება გადაჭრით გასცეს პასუხი კითხვას — „გამოსაცნობია“ ეს საიდუმლოება, თუ „გამოუცნობელ კითხვად დარჩება“ იგი სამუდამოდ, მაგრამ, მეორე მხრივ, მიუხედავად ამისა, მას დაუშვებლად მიაჩნია „აბსოლუტური საზომების და ონტოლოგიური არგუმენტების“ მოშველიება „შემოქმედებითი პროცესის ასახსნელად“³⁷, რადგან სინამდვილის წვდომა, სინამდვილის შემეცნება — და, კერძოდ, ხელოვნების რთულ სამყაროში შეღწევა და მისი ახსნა, — არჩილ ჯორჯაძის მტკიცე რწმენით, მხოლოდ მეცნიერული მეთოდებითაა დასაშვები და შესაძლებელი, და როგორც ხელოვნების, ასევე სინამდვილის სხვა სფეროთა მიმართაც მხოლოდ მეცნიერული დასკვნებია სანდო, დასკვნები, რომელიც საგანთა და მოვლენათა ობიექტურ ანალიზს ეყრდნობა და არა სინამდვილის უშუალო „განკვრეტის“ თუ „წვდომის“ შესაძლებლობის დაუსაბუთებელ რწმენას.

ამრიგად, არჩილ ჯორჯაძის ზემოაღნიშნული თვალსაზრისი ხელოვნების თავისებურებათა შესწავლის გზებისა და მეთოდების შესახებ — ობიექტური სინამდვილის მეცნიერული მეთოდებით კვლევის აუცილებლობის შეგნებას ემყარებოდა და ამდენად, მითითებუ-

³⁶ არჩილ ჯორჯაძე, თხზულებანი, ტ. III, გვ. 22—23.

³⁷ იქვე, გვ. 23.

ლი თვალსაზრისი არსებითად გამართლებული იყო და უთუოდ მოწინავეც თავისი დროისათვის. მაგრამ მეორე მხრივ, ეს, ცხადია, არ ნიშნავს იმას, თითქოს არჩილ ჯორჯაძის ზემოაღნიშნულ თვალსაზრისს გარკვეული ნაკლოვანებები არ ახასიათებდეს. ასე, მაგალითად, უთუოდ საპირობებს გარკვეულ კორექტივს არჩილ ჯორჯაძის ზემოთ გადმოცემული შეხედულება „ისტორიულ გარემოსთან“ მწერლის მიმართების საკითხზე, კერძოდ, ის აზრი, რომელიც კრიტიკოსს „ისტორიული“ და „მატერიალური“ გარემოს ცნებებში აქვს ნაგულისხმევი: „...ისტორიულში, ჩემი შეგნებით, უნდა შედიოდეს როგორც მატერიალური გარემო — პოლიტიკური ფორმა მმართველობისა და საწარმოო ძალთა ურთიერთობა, — ისე ყოველივე ის, რაც ამ გარემოს გარეშე აღმოცენებული, ხოლო რასაც პოეტის სულიერ ვითარებაზე აქვს გავლენა — კაცობრიობაში დამკვიდრებული ფილოსოფიური, რელიგიური, და ესთეტიკური აზრებიო,“ — წერდა არჩ. ჯორჯაძე და, როგორც ვხედავთ, „კაცობრიობაში დამკვიდრებული ფილოსოფიური, რელიგიური და ესთეტიკური აზრები“, რომელნიც, ცხადია, მართლაც უდიდეს ზეგავლენას ახდენენ ხელოვანის სულიერ და ინტელექტუალურ სამყაროზე, მას „მატერიალური“ გარემოსაგან დამოუკიდებლად აღმოცენებულად აქვს მიჩნეული.

ვხებოდა რა ივ. გომართელის თვალსაზრისს ბარათაშვილის შემოქმედების თავისებურებების განმსაზღვრელ ფაქტორებზე, არჩ. ჯორჯაძე აღნიშნავდა, რომ კრიტიკოსმა „მიზეზობრივი კავშირით დააკავშირა ისტორიული პირობები, საზოგადოებრივი გარემო და მგოსნის პოეზიის და სულიერი დრამის შინაარსი“ და, ამრიგად, „პოეტის პესნიში და მსოფლმხედველობა გამოყვანილია პოლიტიკო-სოციალური პირობებიდან“³⁸, რაც, არჩილ ჯორჯაძის აზრით, გამართლებულად წარმოადგენს იმ მკიდრო, მაგრამ ძალზე რთული ხასიათის კავშირს, რომელიც მართლაც არსებობს „გარემო პირობებსა“ და მწერლის შინაგან სამყაროს შორის.

„რეალურ პირობებს, რა თქმა უნდა, დიდი გავლენა აქვს ადამიანის პიროვნების შემუშავებაში. — აღნიშნავს არჩილ ჯორჯაძე, — ამ პირობების ზეგავლენით ხშირად იღვიძებს ადამიანის გულში უკმაყოფილება, მაგრამ იმისი აღიარება, რომ სოციალ-პოლიტიკური წყობილება ლოლიკურად არის დაკავშირებული „მარადისობის“ და „ამაოების“ პრობლემასთან, მაინც შეუძლებელია. ამ აზრზე რომ დავ-

³⁸ არჩილ ჯორჯაძე, თხზულებანი, ტ. III, გვ. 15.

დგეთ, იძულებული ვიქნებით ვალიართ, რომ პესიმიზმი და მარადისობის ძებნა მხოლოდ იქ იჩენს თავს, სადაც სოციალ-პოლიტიკური წრე საკმარის პესიმიზმურ საყვებს იძლევა“.

ამ შემთხვევაში, წერდა არჩილ ჯორჯაძე, ჩვენთვის გაუგებარი დარჩებოდა მაგალითად შელის პოეზია, რომელშიც, ბარათაშვილის მაგავსად, „იგივე ღრმა უკმაყოფილებაა, იგივე სევდა და იგივე სურვილი საზღვარ-დადებულ ბუნების გადალახვისა. შელი კი ამაყ ბრიტანიის შვილი იყო, იმ ბრიტანიისა, რომელიც მის დროს (1792—1822) განსაკუთრებულის ძლიერების პატრონი იყო. მაშ, ეტყობა ლოგიკური კავშირის გაბმა მოუხერხებელია, ერთის მხრივ, ამოება — წარმავლისა და, მეორეს მხრივ, სოციალურ-პოლიტიკურ გარემოს შორის“.

არჩილ ჯორჯაძის აზრით, არაერთი „მტანჯველი და თავსამტვრევი“ პრობლემა, რომელიც მუდამ აწუხებდა მოაზროვნე ადამიანს კაცობრიობის კულტურული განვითარების მთელს მანძილზე, არაა უშუალო კავშირში ამა თუ იმ ქვეყნის, ან ამა თუ იმ სოციალურ-პოლიტიკური წყობილებით შექმნილ კონკრეტულ-ისტორიულ ვითარებასთან. ასეთ პრობლემათა რიგს ადამიანის სიცოცხლის არსისა და აზრის პრობლემა წარმოადგენდა, პრობლემა ადამიანის სიცოცხლის დასაბამისა და მისი დასასრულის გარდუვალობისა, და ამ მხრივ კი არსებული კონკრეტული ვითარება, — თუნდაც სასურველი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გარემო, — „კონსტიტუცია, პოლიტიკური დამოუკიდებლობა, გინდ სოციალიზმის დამყარება, ვერ დააშოშმინებსო ადამიანის გულს, ინდივიდუალობით შევიწროებულს, — სიკვდილის წინაშე მდგომარეს და სიკვდილის დათრგუნვის სურვილით შეპყრობილს“³⁹.

მაგრამ თუ ერთი მხრივ, მართლაც შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ არჩილ ჯორჯაძის მიერ აღნიშნული პრობლემა — სიცოცხლის აზრისა და სიკვდილის, როგორც ყოველი ინდივიდის აუცილებელი დასასრულის პრობლემა, — მისი ნებისმიერი გადაწყვეტისდა მიუხედავად, მუდამ იყო და მომავალშიც დარჩება ადამიანის დაფიქრებისა და მისი გონებისა და სულისათვის საცნაურყოფის ბუნებრივი მოთხოვნის საგნად, მეორე მხრივ, არც იმ ფაქტის უგულებელყოფა მოხერხდება, რომ მითითებული პრობლემის გადაჭრა, მისი ასეთი თუ ისეთი გააზრება, მისდამი დამოკი-

³⁹ არჩილ ჯორჯაძე, თხზულებანი, ტ. III, გვ. 14—15.

დებულების სხვადასხვაობა — მუდამ, ხელოვნებისა და ლიტერატურის ისტორიაში, — პირველ ყოვლისა, სწორედ „ისტორიული და მატერიალური“ გარემოთი ყოფილა ხოლმე გაპირობებული. სწორედ კონკრეტული საზოგადოებრივ-ისტორიული ვითარება, არსებული სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული განვითარების ხასიათი, ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარების ყოველ ეტაპზე. ისევე როგორც ფილოსოფიური აზროვნების განვითარების სხვადასხვა მონაკვეთზე, განსაზღვრავდა ყოველთვის მოაზროვნეთა თუ ხელოვანთა დამოკიდებულების, მიმართების ხასიათს ნებისმიერი „მარადიული კითხვებისადმი“. და თუკი ის უმჭიდროესი კავშირი. რომელიც მწერლის ინდივიდუალობასა და მის ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორს — „მატერიალურ და ისტორიულ“ გარემოს შორის არსებობს, არ არის ყოველთვის თანაბრად აღვილად შესამჩნევნი, ეს, ცხადია, მკვლევარს სრულიადაც არ აძლევს უფლებას ცნობიერების ფორმირებასა და თავისებურებებისათვის ყოფიერების გადამწყვეტი მნიშვნელობის უარყოფისა თუ უგულებელყოფისა.

ამ კუთხით არჩ. ჯორჯაძის ზემოაღნიშნული თვალსაზრისი, ჩვენი აზრით, უთუოდ საჭიროებს გარკვეულ კორექტივს, თუმცა, მეორე მხრივ, როგორც ზემოთაც დავინახეთ, არაერთი არჩილ ჯორჯაძის მიერ ამ საკითხის ირგვლივ გამოთქმულ შეხედულებათაგან უთუოდ ანგარიშგასაწევი იყო და პრობლემის ფაქტიური სირთულის გაცნობიერების შედეგად შემუშავებული.

„ჩვენთვის, არა-პოეტებისათვის, — წერდა არჩილ ჯორჯაძე, — ამგვარი თვალსაზრისი სავალდებულო არ არის. ჩვენ ვიღებთ სიცოცხლეს ისეთს, როგორც არის იგი და თუმცა სიკვდილის პრობლემა ჩვენს წინაშეც სდგას გამოუცნობელი, მაგრამ თვით სიცოცხლეში, სანამ იგი ჩვენს ხელშია, თვითმოქმედებასა და მოძრაობაში იმდენს ძალას და მშვენიერებას ვხედავთ, რომ ამ განუწყვეტელ შემოქმედების პროცესში ვპოვებთ სიცოცხლის პარმონიას და აზრს. და სიკვდილი არ გვაშინებს. რადგან, ერთის ბრძენისა არ იყოს, სანამ ჩვენა ვართ, სიკვდილი არ არის, და როდესაც სიკვდილი მოდის, ჩვენ აღარ ვიქნებითო...“⁴⁰

მაგრამ პოეტებს ყოველივე ეს ვერ აკმაყოფილებსო, დასძენს არჩილ ჯორჯაძე და ბარათაშვილსაც სწორედ ასეთ მოაზროვნედ მიიჩნევს, „რომელიც სიცოცხლის ზემოდ აღნიშნულ შეფასებიდან გამოდიოდა და მისი პოეტური ჩანგი და მისი ძებნა მარადისობისა და

⁴⁰ არჩილ ჯორჯაძე, თხზულებანი, წიგნი III, გვ. 16.

მისი სასოწარკვეთილება სიცოცხლის ამოების გამო — გამოწვეული იყო პოეტის ერთგვარ ფილოსოფიურ მიდრეკილებით და მისი ლირის ესთეტიურის ღრმა ჩახედულებით⁴¹. და თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი აზრით, შეუძლებელია არჩილ ჭორჭაძის ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე იმ აზრის გაზიარება, რომ, თითქოს, თვით ეს „ფილოსოფიური მიდრეკილება“ პოეტისა, თუ მისი „ლირის ესთეტიკური ჩახედულება“ დამოუკიდებელი იყოს „ობიექტური გარემოს“ გავლენისაგან, მაგრამ მეორე მხრივ, ისიც უდავოა, რომ მექანიკური მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დამყარების ცდა პოეტის სულიერ სამყაროსა და იმ სოციალურ-პოლიტიკურ გარემოს შორის. რომლის ატმოსფეროშიც უხდება პოეტს ცხოვრება — ემყარება ცალმხრივ და არაზუსტ წარმოდგენას იმ უაღრესად რთული და მრავლისმომცველი ფენომენის შესახებ, რასაც ხელოვნების სამყარო ეწოდება. ამდენად, ჩვენი აზრით, საგულისხმოა არჩილ ჭორჭაძის მოსაზრება, რომ „მარტოოდენ პოლიტიკურ დამოუკიდებლობის დაქარგვას“ არ შეეძლო „ბარათაშვილის გულში შეექმნა და შეემუშავებინა შინაარსი მგოსნის პოეტურ შემოქმედებისა“.

ბარათაშვილის პოეზიის თავისებურებათა გაგებაში არჩილ ჭორჭაძე სავსებით იზიარებს ილია ჭავჭავაძის შეხედულებებს, რომელიც მას განვითარებული ჰქონდა 1892 წელს „ივერიაში“ გამოქვეყნებულ ცნობილ წერილში — „ნიკოლოზ ბარათაშვილი“⁴². საგულისხმოაო, აღნიშნავდა არჩილ ჭორჭაძე, რომ ილია ჭავჭავაძე, რომელმაც „მოგვცა მოკლე და საკვირველის ზომით და ჩაფიქრებით დაწერილი წერილი ნ. ბარათაშვილის პოეზიის შესახებ.., ხაზს არ უსვამს პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაქარგვას და აქედან არ გამოჰყავს პოეტის სულის კვეთების შინაარსი... ილია ჭავჭავაძე, როგორც ვსთქვით, სხვაგან ეძებს გენეზისს ბარათაშვილის ლირიკისას. — „განა შეტყობა იმისა თუ, — რა არის ცაში, ან ცის იქით, — ამბობს იგი, — მუდამის წყურვილით შესატყობარი არ არის ერთობ ადამიანისათვის? განა ამის ვერ მიხწევის უღონობა ზოგად-კაცობრიული ჩივილი არ არის უძღურებისა? განა ამეებში ტრიალი გონებისა, არ არის ზოგად-კაცობრიობის გაუთავებელი ტრიალი იმ საიდუმლოების უძირო მორევში, რომელსაც არც თავი აქვს, არც ბოლო, არც პო და არც არაო?..“

⁴¹ არჩილ ჭორჭაძე, თხზულებანი, წიგნი III, გვ. 16.

⁴² ილია ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი (პატარა ეტიუდი ერთის წერილიდან ამოღებული), „ივერია“, 1892, № 77.

ილიას აზრით, — მიუთითებს არჩ. ჯორჯაძე, — „გაება კაცობრობისა ის არის, რომ მიზეზი აქვს ძებნისა, ეძებს და ვერ უპოვნია, — „აი, სად არის სათავე ადამიანის სასოწარკვეთილებისა, ყოველისფრის უარპყოფისა, რომელიც ზოგჯერ, ხანდახან, ასე დაიპყრობს ხოლმე მთელ მოაზრე კაცობრიობასა და შავად მღელვარის ფიქრებით ავსებს ადამიანის ცხოვრებასო“⁴³.

აღსანიშნავია, რომ არჩილ ჯორჯაძე იზიარებდა ბარათაშვილის „მერანის“ იმ შეფასებასაც, რომელიც ილია ჭავჭავაძის ზემოთ დასახელებულ წერილშია წარმოდგენილი, და შეუწყნარებლად მიაჩნდა მის თანამედროვე ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში არსებული თვალსაზრისი „მერანის“, როგორც ბარათაშვილის სასოწარკვეთილებისა და უსასო პესიმიზმის გამომხატველი ნაწარმოების შესახებ.

მაგრამ თუ ერთი მხრივ, შეუძლებელია არ დავეთანხმოთ არჩილ ჯორჯაძეს, როდესაც იგი „მერანის“ იდეის ილიასეულ გაგებას ემხრობა და, ასევე, მისი პოეზიის ზოგადკაცობრიულ შინაარსზე ამახვილებს ყურადღებას, მეორე მხრივ, ჩვენი აზრით, ის ინტერპრეტაცია, რომელსაც არჩილ ჯორჯაძე აძლევს ილია ჭავჭავაძის შეხედულებას „გარემო პირობებთან“ — საქართველოს იმჟამინდელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებასთან ნ. ბარათაშვილის პოეზიის მიმართებაზე, უთუოდ, გარკვეულ დაზუსტებას საპიროებს. საქმე ის არის, რომ ილია ჭავჭავაძის ზემოთ დასახელებული ეტიუდი ნ. ბარათაშვილზე, რომელიც, როგორც ცნობილია, ილიას ვრცელი ნაშრომის („წერილები ქართულ ლიტერატურაზე“) ერთ მცირე ნაკვეთს წარმოადგენს, არ ისახავდა მიზნად ბარათაშვილის პოეზიის ყოველმხრივ დახასიათებასა და დეტალურ ანალიზს.

ილიას „წერილებს“ და, კერძოდ, ეტიუდს ნ. ბარათაშვილზეც (რომელიც „წერილების“ IV თავს წარმოადგენს), სრულიად გარკვეული მიზანდასახულება გააჩნდა. და თუკი ილია ჭავჭავაძე დასახელებულ კრიტიკულ ეტიუდში მართლაც არ ამახვილებდა საგანგებო ყურადღებას იმაზე, თუ რა ფაქტორები განაპირობებდა ბარათაშვილის პოეზიის ხასიათს, როგორმა ნიადაგმა წარმოშვა და „გამოჰყვება“ პოეტის განწყობილებანი და ზოგადკაცობრიული „წყურვლი ძიებისა“, ეს, ცხადია, არ ნიშნავს იმას, თითქოს ილია უგულვებლყოფდა ობიექტური, კონკრეტულ-ისტორიული გარემოს როლს, და ბარათაშვილის შემოქმედების დახასიათებისას, თითქოს, „პოლი-

⁴³ არჩილ ჯორჯაძე, თხზულებანი, ტ. III, გვ. 17.

ტიკური ვითარების მნიშვნელობას — როგორც არჩილ ჯორჯაძეს მი-
აჩნია, — პოეტის ჩანგის შემუშავებაში უკანასკნელ ადგილს აკუთ-
ვნებდა“ („იგი წერილის ბოლოში ამბობს. — წერს ა. ჯორჯაძე ილია
კავკავაძის მითითებული კრიტიკული ეტიუდის შესახებ, — არც ნ.
ბარათაშვილი იყო უიმიისო, რომ გულში დარდათ არა ჰქონოდა ბე-
დი ქართლისა, ბედი მის მამულისა“... „მაგრამ „ილია კავკავაძე ხაზს
არ უსვამს პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვის გარემოებას
და აქედან არ გამოჰყავს პოეტის სულისკვეთების შინაარსი“⁴⁴).

საყურადღებო შეხედულებები აქვს გამოთქმული არჩილ ჯორ-
ჯაძეს ხელოვნების ფორმა — შინაარსის ურთიერთმიმართების საკი-
თხებზეც. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, არჩილ ჯორჯაძე, ისევე,
როგორც გასული საუკუნის მოწინავე ქართველი მწერლები და ლი-
ტერატურული მოღვაწეები, შეგნებულად ილაშქრებდა ყალბი
თეორიის — „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ წინააღმდეგ, და მხატ-
ვრული ნაწარმოებების ფორმას განიხილავდა, როგორც შინაარსის
გამოთქმის, გამოხატვის, „ხორცშესხმის“ საშუალებას: „მხოლოდ
მარტო შინაარსი ვერას იზამს, თუ ხელოვნური ნაწარმოები გარე-
გნობის, ფორმის მხრივ სუსტობს. — წერდა არჩილ ჯორჯაძე, აღნი-
შნავდა რა, რომ ხელოვნების ასახვის საგანსა და მის შინაარსს სი-
ცოცხლისა და ცხოვრების „არსებითი მხარეები“ უნდა შეადგენდე-
სო. — ყოველი საგანი და მოვლენა. რომელიც ხელოვნურ გამოსა-
ხვის შინაარსად ხდება, უნდა განსაზღვრული, მკაფიოდ ხორცშეს-
ხმული იყოს. ამისათვის, ფორმის მხრივ. ყოველ უტყუარ ხელოვნურ
ნაწარმოებს უნდა ჰქონდეს დროის და ადგილის ელფერი, უნდა გან-
საზღვრულ წრის, საზოგადოების და ერის ხასიათი ემჩნეოდეს, რა-
დგან ხორცშესხმულობა ხელოვნებას მაშინ დააჩნდება ხოლმე, რო-
დესაც გამოსახვის საგანი განსაზღვრულ ცხოვრებიდან არის აღე-
ბული, ამ ცხოვრების დალი და ფერი ამჩნევია.

მაშასადამე, ყოველგვარ ხელოვნურ ნაწარმოებს ორი ღირსება
ჰქმნის ნამდვილ ხელოვნებად: ნაწარმოების შინაარსი უნდა გვაღელ-
ვებდეს და გვაფიქრებდეს, ნაწარმოების გარეგანი სახე ანუ ფორმა
უნდა მკაფიოდ გამოსახული, ხორცშესხმული იყოს“⁴⁵.

ფორმა-შინაარსის ურთიერთმიმართებაში, არჩილ ჯორჯაძის აზ-
რით, განმსაზღვრელი, გარეგადამწონი შინაარსია, — ნაწარმოების
აზრი, იდეა, ის „სათქმელი“, რომელსაც ხელოვანი თავისი შემოქმე-
დებით მსმენელსა თუ მკითხველს უზიარებს. ნაწარმოების ფორმა —
შინაარსის გამოთქმის წესია და. ამდენად, ბუნებრივია, რომ ფორმი-

⁴⁴ არჩილ ჯორჯაძე, თხზულებანი, წიგნი III, გვ. 17.

⁴⁵ იქვე, გვ. 210.

სათვის თავისთავადი ღირებულების მინიჭება — ხელოვნების არსის შესახებ მცდარი წარმოდგენის შედეგია და გამომხატველი. ხელოვნების ფორმათა მრავალსახეობას, პირველ ყოვლისა, სწორედ ის ვითარება განსაზღვრავს, რომ ხელოვნების „სათქმელი“ რთულია და მრავალფეროვანი, ხოლო ყოველი განსხვავებული შინაარსი — მისი გამოთქმის თუ გამოსახვის შესაბამის, ადეკვატურ ფორმას მოითხოვს. „ხელოვნება გამოისახება სხვადასხვა ფორმებში, სხვადასხვა საშუალებით — სიტყვით, ხმებით, ქვით და მარმარილოთი, ფერადებით, — წერდა არჩილ ჯორჯაძე. — იქ, სადაც ხელოვნური ნიჭი სიტყვის, ხმების, მარმარილოს და ფერადების მეოხებით ლაპარაკობს, მღერის, ამეტყველებს ქვას და ტილოს, იქ ხელოვნება მრავალშტოიანია, მრავალფეროვანია და რთული. ამ შემთხვევაში ხელოვნურ ნიჭს ეძლევა ფართო ასპარეზი: ის, რაც სიტყვით არ გამოითქმის — სიმღერაში ისახება, რაც მოითხოვს განსაზღვრულ გამომეტყველებას — ხორცს ისხამს ქვის და მარმარილოს საშუალებით; ხოლო ის, რასაც ამჩნევია სიმარტივე და ფორმის განსაზღვრულობა, ერთის მხრით, ხოლო მეორეს მხრით, გამოურკვეველი, საიდუმლოებით მოცული გულის თქმანი — ის ნახატში და ფერადების თამაშობაში კპოულობს გამომეტყველებას.

პოეზია, მუსიკა, მხატვრობა და ქანდაკება — ამ ოთხ ფორმის საშუალებით კაცი უზიარებს ქვეყანას თავის აზრს, გრძნობას, დაკვირვებას და გულის წაღილს. უზიარებს ისე კი არა, როგორც მეცნიერი და მკვლევარი, — ესე იგი საბუთებით და მსჯელობით, არამედ მოხერხებულ მეტყველებით, გულის სიდრმიდან ამოსულ ხმებით, გაბედულ კალმის გასმით და ხაზით“⁴⁶.

ხელოვნებაში, კერძოდ მხატვრულ ლიტერატურაში ფორმისა და შინაარსის ადგილისა და როლის, და მხატვრული ფორმის — როგორც შინაარსის გამოთქმის საშუალების შესახებ არჩილ ჯორჯაძის შეხედულებათა დასახასიათებლად, ძალზე მნიშვნელოვანია არჩილ ჯორჯაძის მიერ 1912 წელს დაწერილი ვრცელი ნაშრომი — „ძირითადი მოტივები ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკისა“, სადაც არაერთი საყურადღებო მოსაზრება და დაკვირვებაა გამოთქმული როგორც ლიტერატურის ფორმა-შინაარსის ურთიერთმიმართების ირგვლივ, ასევე, საზოგადოდ, XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის განვითარების რიგ თავისებურებათა შესახებ.

უნებოდა რა ილია ჭავჭავაძის სამოღვაწეო სარბიელზე გამოსვლის პერიოდს, კერძოდ, მის „ორიოდე სიტყვასა“ და „პასუხს,“ არ-

⁴⁶ არჩილ ჯორჯაძე, ქართული ხელოვნება გამოფენაზე, თხზულებანი, ტ. III, გვ. 202—203.

ჩილ ჯორჯაძე — პირველად ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში, — მიზნად ისახავდა გაერკვია დასახელებული წერილების მნიშვნელობა ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში და ასე აყალიბებდა თავის თვალსაზრისს:

„ჩვენს წინ მოხდა შეჯახება ორ მსოფლმხედველობისა: თეოლოგიურ-სქოლასტიკურისა და ახლად წარმოშობილ ჩვენს საზოგადოებრივ აზროვნებაში პოზიტიურ-რეალისტურისა. რეალისტურმა აზროვნებამ აქ ილღესასწაულა თავისი პირველი გამარჯვება. მოხდა სულ უბრალო, ხოლო ჩვენთვის დიდმნიშვნელოვანი საქმე. ილიამ დაანახვა ქართველ საზოგადოებას, რომ თანახმად პოზიტიურის აზროვნებისა, სიტყვა გარეგანი სამოსელია აზროვნებისა და რომ აზრი აძლევს სიტყვას ხორცშესხმულობას და შინაარსს (დაყოფა ჩვენია — გ. ა.). დღეს ამ საგანზედ გრძლად ლაპარაკი მეტია, მაგრამ ის დრო სხვა დრო იყო. ახლად გამოღვიძებულ ქართველთა აზრს ჯერ კიდევ ეტყობოდა წარსულ საუკუნოების სქოლასტიკურ აზროვნების ელფერი“⁴⁷.

მაგრამ რაში მდგომარეობდა და როგორ ვლინდებოდა არჩილ ჯორჯაძის აზრით, სქოლასტიკური აზროვნების გავლენა, რომლის წინააღმდეგ გალაშქრება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამსახურება იყო 60-იან წლებში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსული თაობისა.

„მეთვრამეტე საუკუნის ბოლოში ერთგვარი აღორძინება იყო ქართულ მწიგნობრობისა. — წერს არჩ. ჯორჯაძე, — ანტონ კათალიკოსმა, დ. გურამიშვილმა, ბესარიონ გაბაშვილმა და სხვ. ხელი შეუწყეს ჩვენი საზოგადოების გონებრივ განვითარებას. ბესიკმა ლირიკულ პოეზიას ჩაუდგა სული და კაზმულ-სიტყვაობის მოყვარე საზოგადოება სტკებოდა მისი პანგების გულწრფელის ხმებით. ბესიკი იყო დიდი ხელოვანი სიტყვისა და ხშირად თამაშობდა კიდევ სიტყვების გადატრიალ-გადმოტრიალებით. მის პოეზიას ამგვარი „თამაშობა“ არ ამცირებდა, რადგან ყველასათვის აშკარა იყო, ეს თამაშობა უბრალო გასართობი იყო და სხვა არაფერი“.

არჩილ ჯორჯაძეს ცალკეული ადგილები მოაქვს ბესიკის ლექსებიდან — „ან-ზე სით მიხვალ“ და „ანბანთქება“, რომელიც, მისი სიტყვით. „ნამდვილად არავითარ ლექსს არ წარმოადგენს, არამედ მარტოოდენ სიტყვის ხელოვნებას, მოცლილი ადამიანის ლიტერატურულ გართობასო“, და დასძენს: „ბესიკს ამგვარი ვარჯიშობა ეპატიებოდა. მის ლირიკას ადამიანის დამწვარ გულიდან გამოსული სი-

⁴⁷ არჩილ ჯორჯაძე, ძირითადი მოტივები ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტისა (კრიტიკული განხილვა), გვ. 6.

მღერის ღირსება აქვს და ცოდვით არ ჩაეთვლება აღნიშნულ ხასიათის გასართობ „ლექსების“ წერა. მაგრამ, საუბედუროდ, ნიჟიერი მგოსანი ერთია და უნიჟო — ასი. ბევრს სრულიად დახშული აქვს პოეტურ შემოქმედების ნიჟი, მაგრამ პოეზიას მაინც ეტანება.

ამისთანები იყვნენ ძველ დროშიც. — განაგრძობს ა. ჯორჯაძე, — ანტონ კათალიკოზი, მაგალითად, დიდი სწავლული კაცი იყო. მარტო მისი „მზა-მეტყველება“, იდეოლოგიური ხასიათის ტრაქტატი, გაუთქვამდა მას სახელსა. მაგრამ მელექსეობის ჟინი, საუბედუროდ, ძველ დროშიაც ყოფილა განუქურნავი სენი ქართველობისა. და აი, ეს პატიოსანი მწერალი მხატვრულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის კანონებს იკვლევდა და თანაც უშველებელ გალექსილ ტრაქტატებსა სწერდა, ალბათ სანიმუშოდ, რომ აი, ასე უნდა იწერებოდეს ამა და ამ ხასიათის ლექსიო. გადამალეთ ვეებერთელა წიგნი — „წყობილ-სიტყვაობა, ქმნილი ანტონისაგან პირველისა კათოლიკოს-პატრიარქისა უფლისა საქართველოსა“. აქ ლექსის ფორმით ბევრგვარ საგანს შეხვდებით...

აი, ერთი ნიმუშიც ამგვარ პოეზიისაო, — მიუთითებს არჩილ ჯორჯაძე და საილუსტრაციოდ რამდენიმე ადგილი მოაქვს ანტონის „წყობილსიტყვაობიდან“.

„ასეთ პოეტურ ნიმუშებს ვპოვებთ ანტონ კათალიკოსის „წყობილსიტყვაობაში“, — შენიშნავს ა. ჯორჯაძე, და ამ ნიმუშთა მიხედვით „ადვილად წარმოვიდგენთ, რაგვარად აიძღვრა ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეში წმინდა ნაკადული ქართულ პოეზიისა... ჩვენდა საუბედუროდ, ამ უნიჟო ვერსიფიკატორობას დიდი ადგილი მიეცა მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარშიაც, როდესაც წარსულ დროის კულტურა მხოლოდ თავისი მახინჯი მხარეებით იყო აღორძინებული საზოგადოებაში. და აი, სწორედ ამ უნიჟო ვერსიფიკატორებს შეუტია ილიამ და წყრომით შემოსძახა: „თუ „ცისკარი“ უვარგისია, კიდევ თქვენგან, ყვაეებო ფარშავანგის ფრთებითა, ბუღბუღებო ყორნის ჩხაილითაო...“

„დააკანონა რა თავის წერილში ის აუცილებელი მცნება, რომ სიტყვა გარეგანი სამოსელია აზრისა, — წერს არჩილ ჯორჯაძე, — ილიამ გაანთავისუფლა ქართული აზროვნება სქოლასტიურ ტყვეობისაგან, გზა გაუხსნა კრიტიკულ მსჯელობას და ერთხელ და სამუდამოდ უკუაქცია წარსულიდან მემკვიდრეობით გადმოცემული ლიტერატურული უგნურება...“

არჩილ ჯორჯაძის დასკვნით, „ილიამ სასიკვდილოდ დასკრა პრეტენზიებით გაბერილი, აზრისაგან და გულწრფელ გრძნობებისაგან

დაცალიერებულ ქართული ვერსიფიკატორობა. ეს იყო მისი პირველი დიდი დამსახურება“⁴⁸.

არჩილ ჭორჭაძის მითითებული ნაშრომიდან ზემოთ მოტანილ ვრცელ ამონაწერში, როგორც ვხედავთ, სწორადაა გააზრებული ის დიდმნიშვნელოვანი როლი, რომელიც ილია ჭავჭავაძის ცნობილმა წერილებმა ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში შეასრულა. მაგრამ ამჟერად ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებო ისაა, რომ როგორც ზემოთ დამოწმებული სტრიქონებიც ადასტურებენ, არჩილ ჭორჭაძე ლიტერატურული ნაწარმოების ფორმაშინაარსს განიხილავს როგორც დაუნაწევრებელ მთლიანობას, სადაც მხატვრულ ფორმას შინაარსის სრულყოფილად გამოვლენის, მისი „ხორცშესხმისა“ და „გათვალსაჩინოების“ ფუნქცია აქვს დაკისრებული.

მხატვრულ ლიტერატურაში — პოეზია იქნება ეს თუ პროზა, — არჩილ ჭორჭაძისათვის. მსგავსად ილია ჭავჭავაძისა, „სიტყვა გარეგანი სამოსელია აზრისა“, — „სამოსელი“, რომელიც ღირებულია მხოლოდ მაშინ და მხოლოდ იმდენად, როდესაც იგი სავსებით შეესაბამება, შეესატყვისება და ნათელს ხდის იმ „სხეულს“, რომელსაც მოსავს იგი. ღირებულებას მხატვრულ ნაწარმოებს მასში ჩაქსოვილი აზრი სძენს მნიშვნელობას — „აზრი აძლევს მას ხორცშესხმულობას და შინაარსს,“ — და არა „გარეგანი სამოსელი“, რაგინდ ბრწყინვალეც არ უნდა იყოს იგი თავისთავად. არჩილ ჭორჭაძის ასეთი შეხედულება მხატვრული ნაწარმოების ფორმა-შინაარსის ურთიერთმიმართებისა და შინაარსის განმსაზღვრელი როლის შესახებ, როგორც ადვილი შესამჩნევია, გამომხატველია XIX საუკუნის მიწურულისათვის ჩვენში უკვე მტკიცედ დამკვიდრებული იმ თვალსაზრისისა, რომლის დანერგვა ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში, არჩილ ჭორჭაძის სამართლიანი მითითებით, 60-იანი წლების ეპოქის მოწინავე ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა, კერძოდ კი, ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დამსახურებას წარმოადგენდა.

ხელოვნების ზოგადთეორიულ პრობლემებზე მსჯელობის დროს, არჩილ ჭორჭაძე, როგორც ჩვენს მიერ ზემოთ განხილული მასალიდან ჩანს, ეყრდნობოდა და ითვალისწინებდა არა მხოლოდ ხელოვნების ამა თუ იმ დარგის, ან ამა თუ იმ მიმდინარეობის, სტილის (ფართო გაგებით) სპეციფიკურ თავისებურებებს, არამედ იმ საერთოს, ზოგადს, საყოველთაოს, რაც დამახასიათებელია ყოველი დროისა და

⁴⁸ არჩილ ჭორჭაძე, ძირითადი მოტივები ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკისა, კრიტიკული განხილვა, თავი II — „ორ მსოფლმხედველობის შეჯახება“, გვ. 9.

ყოველი მიმართულების ხელოვნების ნებისმიერი დარგისათვის. მართალია, ა. ჯორჯაძე თავის ნაწერებში არ იფარგლებოდა ხელოვნებისა და ლიტერატურის მხოლოდ და მხოლოდ ზემოაღნიშნული ზოგადი პრობლემებით და, რიგ შემთხვევაში, ეხებოდა, აგრეთვე, იმ შედარებით კერძო ხასიათის საკითხებსაც, რომლებიც ხელოვნების ცალკეული დარგისათვისაა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი (მაგ. ქართული მუსიკის, მხატვრობის, სკულპტურის და თეატრალური ხელოვნების ცალკეულ საკითხებს), მაგრამ აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობის დროსაც აშკარად იგრძნობა ავტორის მისწრაფება ფართო ხასიათის თეორიული განზოგადებისაკენ. ლიტერატურისა და ხელოვნების ცალკეული ნიმუშები არ. ჯორჯაძისათვის უმეტესწილად მხოლოდ საილუსტრაციო, დამხმარე მასალაა ხელოვნებისა და ლიტერატურის შესახებ მისი თეორიული თვალსაზრისის წარმოსადგენად. ჩვენ მიზანს არჩილ ჯორჯაძის სწორედ ამ ზოგადთეორიული შეხედულებების ერთი ნაწილის დალაგება და დახასიათება წარმოადგენდა, შეხედულებებისა, რომელნიც, ჩვენი აზრით, ცხადყოფენ როგორც საკუთრივ მათი ავტორის, ასევე საერთოდ გასული საუკუნის მიწურულისა და მეოცე საუკუნის დამდეგის ქართული ესთეტიკური და ლიტერატურულ-კრიტიკული აზროვნების ფართო დიაპაზონს, მაღალ დონესა და დიდ შესაძლებლობებს.

მართალია, როგორც ზემოთ უკვე გვქონდა აღნიშნული, მეცნიერული ცოდნის დღევანდელი დღის მოთხოვნათა პოზიციებიდან არჩილ ჯორჯაძის ლიტერატურულ-ესთეტიკური მემკვიდრეობის, ისევე როგორც, საერთოდ, აღნიშნული პერიოდის სხვა ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა ლიტერატურულ-კრიტიკული ნაწერების მიმართ არაერთი შენიშვნის წაყენება შეიძლება, და არჩილ ჯორჯაძის მიერ გამოთქმულ შეხედულებათაგან რიგი უდავოდ მიუღებელი და უარსაყოფია ჩვენთვის, ბევრი რამ კი, შესაძლოა, ტრივიალურად ან მოძველებურად მოგვეჩვენოს, მაგრამ, როგორც მარქსიზმი გვასწავლის, „ისტორიული დამსახურება ფასდება არა იმის მიხედვით, თუ რა არ მოუციათ ისტორიულ მოღვაწეებს თანამედროვე მოთხოვნებთან შედარებით, არამედ იმის მიხედვით, თუ რა მოგვცეს ახალი თავიანთ წინამორბედებთან შედარებით“⁴⁹. ამ ერთადერთი სწორი კრიტერიუმით შეფასების შემთხვევაში კი არჩილ ჯორჯაძის ლიტერატურულ-ესთეტიკურ ნააზრევს, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანი ადგილი ეკუთვნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში.

⁴⁹ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, გამოცემა IV, ტ. 2, თბ., 1948, გვ. 217.

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. აკაკი ენკოშვილი. XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ლიტერატურის ჰუმანისტურ-დემოკრატიული თავისებურებანი . . .	3
2. ლეილა სულხანიშვილი. ვაჟა-ფშაველას პოეტური ლექსიკის საკითხები.	21
3. ლეილა სულხანიშვილი. ვაჟას პროზაულ თხზულებათა კომპოზიციის შესახებ.	39
4. ნიკო ანდრონიკაშვილი. პიროვნულსა და ეროვნულს პრობლემას. ყაზბეგის შემოქმედებაში	51
5. შალვა რატიანი. გაზეთი „ტფილისის ეწყობანი“	72
6. შალვა გოზალიშვილი. სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი „ქვალი“ (1893—1904).	99
7. შალვა სააკაძე. ნიკო ნიკოლაძე და ქართული რომანტიზმი . . .	131
8. შოთა ეშაყმაძე. სერგეი მესხი და ქართული რეალისტური კრიტიკა	146
9. გიორგი აბაშიძე. არჩილ ჯორჯაძის ლიტერატურულ-ესთეტიკური ნააზრევიდან	171